

კრებულში შეტანილია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენის პრინციპები და ამ პრინციპთა საფუძველზე დადგენილი ნორმები. ნორმები ეხება თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ორთოგრაფიის, სიტყვაწარმოების, სახელთა ბრუნებისა და ზმნების უღვლილების და სიტყვათა შეწყობის სადავო საკითხებს. სათანადო ადგილი აქვს დათმობილი უცხო ენებიდან მომდინარე სიტყვათა ქართულად გადმოცემის საკითხებსაც.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები განხილული და დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენის მუდმივი სახელმწიფო კომისიის მიერ.

წინამდებარე კრებული წარმოადგენს 1970 წელს გამოცემული „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ნორმების“ ფოტოტიპურ გამოცემას. იგი იბეჭდება საქართველოს სსრ საშუალო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ქართული ენის სწავლების გაუმჯობესების მიზნით სადირექტივო ორგანოების მიერ მიღებული დადგენილების საფუძველზე.

შინაარსი

წინასიტყვაობა	VI—XI
შემოკლებათა განმარტება	X II—X VI
1. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენის პრინციპები	1—8
2. ვ ბგერის შემონახვის, ჩართვისა და დაკარგვის წესები	9—22
3. ი-ს შემცველ რუსულ და რუსულის გზით შემოსულ სიტყვათა გადმოცემა ქართულში	23—25
4. ა-ს შემცველ რუსულ და რუსულის გზით შემოსულ სიტყვათა გადმოცემა ქართულში	26—27
5. ე-ს შემცველ რუსულ და რუსულის გზით შემოსულ სიტყვათა გადმოცემა ქართულში	28—29
6. უმახვილო ი-ს შემცველ რუსულ და რუსულის გზით შემოსულ სიტყვათა გადმოცემა ქართულში	30—32
7. გერმანული ei დიფთონგის გადმოცემა ქართულში	33—35
8. ევროპის ენებიდან მომდინარე Ia და lu ჯგუფებიანი სიტყვების გადმოცემა ქართულში	36—39
9. ბერძნულიდან და ლათინურიდან მომდინარე სიტყვათა დაწერილობა ქართულში	40—49
10. რუსულის გზით შემოსულ eя-ზე დაბოლოებულ სიტყვათა გადმოცემა ქართულში	50—53
11. რუსულის გზით შემოსულ a-ზე დაბოლოებულ სიტყვათა გადმოცემა ქართულში	54—60
12. მიმართულებითი ბრუნვის დაბოლოება	61
13. წოდებითი ფორმის დაბოლოება	62—64
14. რიცხვითი სახელების მართლწერის საკითხები	65—74
15. მოსაგვარებელი საკითხები ადამიანის სახელთა ბრუნებისას	75—86
16. -მე, -ვე, -ლა, -ლაც(ა) ნაწილაკიან სახელთა ბრუნება	87—94
17. თანდებულთა და თანდებულთან სახელთა მართლწერა	95—104
18. სახელის შეწყობა ცალკე მდგომ თანდებულებთან და ზმნისართებთან ნათესაობითსა და მიცემითს ბრუნვებში	105—124

19. ზედსართავ სახელთა წარმოება ნასესხებ სიტყვათაგან -ურ ბო-
ლოსართით 125—128
20. ზედსართავი სახელების წარმოება ბერძნულიდან მომდინარე
მა-ზე დასრულებულ არსებით სახელთაგან 129—130
21. მსაზღვრელი სახელის შეთანხმება საზღვრულთან ბრუნვაში
(წითელი დროშის თუ წითელ დროშის?) 131—134
22. ნანათესაობითარი მსაზღვრელი სახელის შეთანხმება საზღვრულ-
თან ბრუნვაში (წიგნს ამხანაგისას თუ წიგნს ამხანაგისა?) 135—138
23. მსაზღვრელი სახელის შეთანხმება საზღვრულთან მრავლობით
რიცხვში 139—147
24. რთული სიტყვების (კომპოზიტების) დაწერილობა 148—157
25. შერწყმული დანართის მართლწერა (სახლ-მუზეუმი თუ სახლი-
მუზეუმი?) 158—160
26. სხვათა სიტყვის მართლწერის საკითხები 161—167
27. პრევერბების ხმარებასთან დაკავშირებული საკითხები 168—175
28. აღვიარებ თუ ვალიარებ? აღვიარე თუ ვალიარე? აღმიარებია
თუ მილიარებია? 176—180
29. სუბიექტის -ს ობიექტის მრავლობითობის თ-ს წინ (მათ ის
აქვს თუ აქვთ? ის თქვენ გიგზავნის თუ გიგზავნით? ის თქვენ
დაგიდგამს თუ დაგიდგამთ?) 181—184
30. ი- და ე- პრეფიქსებიანი ვნებითი გვარის ზმნების მრავლობითი
რიცხვის ფორმათა წარმოება დრო-კილოთა II ჯგუფში (ისინი
დაიმაღლნენ თუ დაიმაღლენ? დაემაღლნენ თუ დაემაღლენ მას? და-
ესწრნენ თუ დაესწრენ? შეეჩვივნენ თუ შეეჩვიენ მას?) 185—187
31. სუბიექტის III პირის მრავლობითობის ნიშანი დრო-კილოთა
პირველ მეორე და მესამე ჯგუფებში (ისინი აშენებდნენ თუ
აშენებდენ? იზრდებოდნენ თუ იზრდებოდენ? გაფითრდნენ თუ
გაფითრდენ? მოვიდნენ თუ მოვიდენ? შეკითხებოდნენ თუ
შეკითხებოდენ?) 188—190
32. ჰ- და ს- თავსართების ხმარება ზმნებში 191—202
33. -ავ სუფიქსიანი ზმნების მართლწერა 203—205
34. ნთქამს თუ ნთქავს? ჩანთქამს თუ ჩანთქავს? ჩაუნთქამს თუ
ჩაუნთქავს? 206
35. -ევ სუფიქსიანი ზმნების ვნებითი გვარის ფორმათა წარმოება
დრო-კილოთა მეორე ჯგუფში 207—210
36. ერთპირიანი ვნებითი გვარის ზმნების ფორმათა წარმოება თურ-
მეობით პირველსა და თურმეობით მეორეში (ვშობილვარ თუ
შობილვარ? ვშობილიყავი თუ შობილიყავი ან ვშობილიყავი?) 211—213
37. ორპირიანი გარდაუვალი ვნებითი გვარის ზმნების ფორმათა
წარმოება თურმეობით მეორეში (შევკითხებოდი თუ შევკით-
ხებიყავი?) 214

38. ორპირიანი -ავ და -ამ სუფიქსებიანი ზმნების ფორმათა წარმოე-
ბა თურმეობით პირველში (გაუბედავს თუ გაუბედა? მოუკ-
ლავს თუ მოუკლია? დაუბამს თუ დაუბია? შეუსვამს თუ შეუს-
ვია? უნახავს თუ უნახია?) 215—217
39. -ებ სუფიქსიანი გარდამავალი ზმნების ფორმათა წარმოება თურ-
მეობით მეორესა და კავშირებით მესამეში (აეშენებინა თუ აეშე-
ნებია? აეშენებინოს თუ აეშენებინოს?) 218—219
40. ორპირიანი გარდამავალი ზმნების ფორმათა წარმოება თურ-
მეობით პირველსა და თურმეობით მეორეში (გაუტეხია თუ გაუ-
ტეხნია? გაეტეხა თუ გაეტეხნა?) 220—223
- დამატება
ა) აღამიანთა სახელების სარეკომენდაციო სია 224—237
ბ) სახელების სარეკომენდაციო სიის შედგენილობის შესახებ 238—240
- ერთოგრაფიული საძიებელი 241—292

წინასიტყვაობა

ქართულ სალიტერატურო ენას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ძველი ქართული სალიტერატურო ენა, რომელზედაცაა დაწერილი V—XI საუკუნეების საეკლესიო მწერლობის ძეგლები, საკმაოდ ჩამოყალიბებული და უნიფიცირებული ნორმების მქონე ენა იყო, თუმცა დიალექტური თუ სხვა წარმოშობის ფორმები მასშიც არაიშვითად გვხვდება.

ახალი სალიტერატურო ქართული ძველი ქართული სალიტერატურო ენის გაგრძელებაა. იგი წარმოიქმნა ძველი ქართული სალიტერატურო ენის განვითარებისა და გადამუშავების შედეგად. მისი შემდგომი განვითარება ხდებოდა ქართული კილოს საფუძველზე, რომელიც გაძლიერებული ქართული ფეოდალური სახელმწიფოს ახალი ცენტრის — თბილისის მიმდებარე ტერიტორიაზე იყო გავრცელებული. ახალი ქართულის წყაროდ ამ სახელმწიფოს მმართველი წრეებისა და მოსახლეობის განათლებული ფენების მეტყველება მიჩნეული. ეს მეტყველება წარმატებითაა გამოყენებული XII საუკუნიდან განვითარებული საერო მწერლობის საუკეთესო ნიმუშებში.

სალიტერატურო ენაში ახალი ნაკადის შემოჭრამ, ცოცხალი მეტყველების მონაწილეობის გაძლიერებამ ძველი ქართულის ნორმათა თანდათან ცვლა გამოიწვია და ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებას სათავე დაუდო.

XVIII საუკუნეში ახალი სალიტერატურო ქართულის ჩამოყალიბების პროცესი დამთავრებულია. ამის ნიმუშებს სულხან-საბა ორბელიანის პროზისა და დავით გურამიშვილის პოეზიის ენა წარმოადგენს.

მაგრამ შემდგომ ანტონ კათალიკოსის ხელოვნურმა ორთოგრაფიულმა ნორმებმა, რომლებიც არ ემყარებოდა ენის ბუნებრივი განვითარების შესწავლას, მთელი საუკუნით შეაფერხა ახალი ქართული სალიტერატურო ენის წინსვლა.

ახალი სალიტერატურო ქართული მწერლობაში საბოლოოდ XIX საუკუნის შესაბამისად წლებიდან მკვიდრდება. ეს ლიდინიშენელოვანი მობრუნება ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში ილია ჭავჭავაძის სახელს უკავშირდება.

სწორედ ამ დროიდან იწყება ჩვენში არსებითი ხასიათის მუშაობა სალიტერატურო ენის საცილობელ საკითხთა მოსაგვარებლად. ამ დროს გატარდა სერიოზული ორთოგრაფიული რეფორმა სალიტერატურო ენაში: სალიტერატურო ენამ ხელი აიღო ძველი ასოების ხმარებაზე.

შემდგომ ქართული მწერლობის, კერძოდ, ქართული პროზის განახლება და განვითარებას, ქართული პუბლიცისტიკისა და ჟურნალისტიკის შექმნას სალიტერატურო ენის გამდიდრება და მისი გამოყენების ფარგლების გაფართო-

ება მოჰყვა. ლიტერატურულ საქმიანობაში ჩაებნენ საქართველოს თითქმის ყველა კუთხის წარმომადგენლები. ყველაფერმა ამან ხელი შეუწყო სალიტერატურო ენაში მოცილე პარალელურ ფორმათა მომრავლებას.

ამ გარემოებას უკვე XIX საუკუნის მეორე ნახევარშივე მიეცა ყურადღება და ქართული სალიტერატურო ენის სადავო ფორმათა შესახებ პრესაში რამდენიმე საინტერესო წერილიც გამოქვეყნდა. საუკუნის ბოლოს ასეთი ხასიათის მუშაობას უკვე ასე თუ ისე სისტემატური ხასიათი მიეცა.

ამგვარი მუშაობა კიდევ უფრო გაცხოველდა ჩვენი საუკუნის დასაწყისში, ვანსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც დაარსდა თბილისის უნივერსიტეტი (1918 წ.) და დასაბამი მიეცა ქართულ ენაზე მეცნიერების აღორძინებასა და განვითარებას.

ამის შედეგი იყო ის ფაქტი, რომ უკვე 1921 წელს გამოვიდა წიგნაკი „სალიტერატურო ქართულისათვის“ (54 გვ.), რომელიც წარმოადგენდა პროექტს ქართული ორთოგრაფიის სადავო საკითხთა მოსაგვარებლად. ეს პროექტი შეადგინა კომისიამ, რომელშიც შედიოდნენ: გ. ახვლედიანი, ვუკ. ბერიძე, ს. გორგაძე, კ. კეკელიძე და ა. შანიძე (თავმჯდომარე); კომისიის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა აგრეთვე დ. უზნაძე.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქართული სალიტერატურო ენის საცილობელ საკითხთა მოსაგვარებლად წარმოებულ მუშაობას გეგმაშეწონილი ხასიათი მიეცა.

1925 წელს დაარსდა ცენტრალური სატერმინოლოგიო კომისია, რომელიც მეცნიერების სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგიების შემუშავებასთან ერთად სალიტერატურო ენის სადავო საკითხთა მოგვარებისათვისაც ზრუნავდა. ამ მხრივ წარმოებულ მუშაობის შედეგები გამოქვეყნდა კიდევ 1932—1933 წლებში ცალკე ნაკვეთებად (სულ 10 ნაკვეთი).

ცოტათი უფრო გვიან განათლების სახალხო კომისიარტან შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელმაც გამოიმუშავა სალიტერატურო ენის სადავო საკითხთა მოწესრიგების ძირითადი პრინციპები და დაადგინა სალიტერატურო ენის ზოგიერთი ნორმა. ამ კომისიის სახელით 1936 წელს დაიბეჭდა ქართული სალიტერატურო ენის ნორმების კრებული (84 გვ.).

სალიტერატურო ქართული ენის ამ ნორმათა საფუძველზე დამუშავდა „სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონი“, რომელიც 1941 წელს გამოიცა (206 გვ.); მეორე გამოცემა 1946 წელს დაიბეჭდა (262 გვ.), ხოლო მესამე — 1949 წელს (278 გვ.).

მუშაობა ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა უნიფიკაციისათვის შემდგომაც არ შეწყვეტილა. 1946—1948 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებობდა ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი კომისია, რომელმაც გარკვეული მუშაობა ჩაატარა სადავო საკითხთა მოსაგვარებლად. (კომისიის თავმჯდომარე იყო ს. ჯანაშია, თავმჯდომარის მოადგილე — ვ. თოფურია; ს. ჯანაშიას გარდაცვალების შემდეგ 1948 წ. კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა ა. შანიძე).

შემდგომ ქართული სალიტერატურო ენის საცილობელ საკითხთა შესწავლისა და ნორმათა დადგენისათვის წარმოებულ მუშაობას უფრო სისტემატური და გეგმაშეწონილი ხასიათი მიეცა. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან — მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ხელმძღვანელობით — შეიქმნა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწი-

ფო კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან ქართული მწერლობის, ლიტერატურისა და პრესის მუშაკთა, სამეცნიერო დაწესებულებათა და სხვა შესაბამის ორგანიზაციათა წარმომადგენლები და ქართული ენის სპეციალისტები.

კომისიის დანიშნულებაა „გაუწიოს ხელმძღვანელობა ქართული სალიტერატურო ენის განვითარების პროცესს იმ მხრივ, რომ ქართული სალიტერატურო ენა სრულად იყენებდეს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის პროცესში შექმნილ საგანძურს, იყოს მაქსიმალურად მონოლითური, ჭეშმარიტად ხალხური და ჯეროვნად მოემსახუროს ქართველ ხალხს, როგორც სოციალისტური კულტურის წინსვლის იარაღი“.

მეორე მხრივ, 1963 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში შექმნილია ქართული მეტყველების კულტურის განყოფილება, რომელსაც დავალებული აქვს შეისწავლოს ქართული სალიტერატურო ენის განვითარების პროცესში წარმოშობილი სადავო საკითხები და შეიმუშაოს ნორმათა პროექტები ამ საკითხთა მოსაგვარებლად. განყოფილების მიერ შემუშავებულ პროექტთა განხილვა დაკისრებული აქვს ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს; საბჭოს მიერ მოწონებული პროექტები გადაეცემა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენ მუდმივ სახელმწიფო კომისიას განსახილველად და სათანადო დადგენილების მისაღებად. სახელმწიფო კომისიის მიერ დამტკიცებული ნორმები სავალდებულოდ ითვლება.

ენათმეცნიერების ინსტიტუტმა შეისწავლა მოსაგვარებელი საკითხები, გამოიყენა წინა წლებში დამუშავებული ნორმებიც ცალკეულ საკითხთა შესახებ და შეიმუშავა ნორმათა პროექტები, რომლებიც წარუდგინა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენ სახელმწიფო კომისიას. კომისიამ განიხილა და დაამტკიცა ნორმები თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის პირველ რიგში მოსაგვარებელი საკითხებისა.

ქართული სალიტერატურო ენის ეს ნორმები, რომლებიც ახლა ქვეყნდება, მოიცავს ორთოგრაფიისა და მორფოლოგია-სინტაქსის, აგრეთვე უცხო ენებიდან სიტყვათა შეთვისების არაერთ საკითხს.

სულ კრებულში წარმოდგენილია 40 სტატია. ოთოთველ სტატიაში მოცემულია საკითხის წარმოშობისა და განვითარების მიმოხილვა, ენობრივი ანალიზი და, ბოლოს, სათანადო დასაბუთება მიღებული ნორმისა. სტატიაში დამოწმებულია ქართული მწერლობის ძეგლებიდან, პრესიდან, სამეცნიერო ლიტერატურიდან თუ სახელმძღვანელოებიდან ამოღებული ნიმუშები საცილობელი პარალელური ფორმებისა.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის აქ წარმოდგენილი ნორმები ქართული ენის შესწავლის თანამედროვე მდგომარეობას ასახავს. ორიოდ გამოწონაკლესის გარდა, სამეცნიერო ლიტერატურაზე მითითებები წიგნში წარმოდგენილი არაა მისი ხასიათის გამო.

სალიტერატურო ქართულის ნორმების განხილვისას თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ კომისიის წევრები: გ. ჯავახიშვილი (კომისიის თავმჯდომარე), ირ. აბაშიძე, გ. ახვლედიანი, ალ. ბარამიძე, ნ. ბერძენიშვილი, შ. გამყრელიძე, ივ. გი-

გინეიშვილი (მდივანი), ი. გრიშაშვილი, ვ. თოფურია, გ. ლეონიძე, ქეთ. ლომთათიძე (თავმჯდომარის მოადგილე), აკ. შანიძე, არნ. ჩიქობავა, გ. წერეთელი და, სხვადასხვა დროს, ი. დოლიძე, დ. მჭედლიშვილი და გ. ჯიბლაძე.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების შემუშავებისას ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს და თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენ მუდმივ სახელმწიფო კომისიას მსჯელობისათვის გამოყენებული აქვს სხვადასხვა ავტორის მოხსენებები.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენის პრინციპებს საფუძვლად დაედო არნ. ჩიქობავას მოხსენების დებულებები.

ნორმებს სალიტერატურო ქართულის ცალკეულ საკითხთა შესახებ საფუძვლად დაედო მოხსენებები:

1. ნ ა ბ ე ს ა ძ ი ს ა :
 - ა) რუსულის გზით შემოსულ ეჟ-ზე დაბოლოებულ სიტყვათა გადმოცემა ქართულში.
 - ბ) რუსულის გზით შემოსულ ა-ზე დაბოლოებულ სიტყვათა გადმოცემა ქართულში.
 - გ) აღვიარებ თუ ვალიარებ? აღვიარე თუ ვალიარე? აღმიაარებია თუ მილიარებია?
2. გ ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი ს ა :
 - ა) ა-ს შემცველ რუსულ და რუსულის გზით შემოსულ სიტყვათა გადმოცემა ქართულში.
 - ბ) ე-ს შემცველ რუსულ და რუსულის გზით შემოსულ სიტყვათა გადმოცემა ქართულში.
 - გ) უძახვილო ო-ს შემცველ რუსულ და რუსულის გზით შემოსულ სიტყვათა გადმოცემა ქართულში.
3. ი ვ გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი ს ა :
 - ა) რიცხვითი სახელების მართლწერის საკითხები.
 - ბ) მოსაგვარებელი საკითხები ადამიანთა სახელების ბრუნებისას.
 - გ) თანდებულთა და თანდებულის სახელთა მართლწერა.
 - დ) სახელის შეწყობა ცალკე მდგომ თანდებულებთან და ზმნისართებთან ნათესაობითა და მიცემითს ბრუნებებში.
 - ე) პრევერბების ხმარებასთან დაკავშირებული საკითხები.
 - ვ) ჰ- და ს- თავსართების ხმარება ზმნებში.
 - ზ) -ევ სუფიქსიანი ზმნების ვნებითი გვარის ფორმათა წარმოება დროკილოთა მეორე ჯგუფში.
 - თ) ნთქამს თუ ნთქავს? ჩანთქამს თუ ჩანთქავს? ჩაუნთქამს თუ ჩაუნთქავს?
4. ვ თ ო ფ უ რ ი ა ს ი :
 - ა) -მე, -ვე, -ლა, -ლაც(ა) ნაწილაკიან სახელთა ბრუნება.
 - ბ) ნანათესაობითარი მსაზღვრელი სახელის შეთანხმება საზღვრულთან ბრუნებაში (წიგნს ამხანაგისას თუ წიგნს ამხანაგისა?).
 - გ) შერწყმული დანართის მართლწერა (სახლი-მუზეუმი თუ სახლ-მუზეუმი?).
 - დ) -ავ სუფიქსიანი ზმნების მართლწერა.
5. ვ თ ო ფ უ რ ი ა ს ი და ი ვ გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი ს ა (ერთობლივად):

- ა) ხევის შენახვის, ჩართვისა და დაკრავის წესები.
- ბ) რთული სიტყვების (კომპოზიტების) დაწერილობა.
- გ) სხვათა სიტყვის მართლწერის საკითხები.

6. ლ. ლევიკისი:

მასწავლებელი სახელის შეთანხმება საზღვრულთან მრავლობით რიცხვში.

- 7. ს. ყაფიანი:
- ა) ბერძნულიდან და ლათინურიდან მომდინარე სიტყვათა დაწერილობა ქართულში.

ბ) ზედსართავი სახელების წარმოება ბერძნულიდან მომდინარე მა-ზე დასრულებულ არსებით /სახელთაგან.

- 8. ა. შანიძისი:
- ა) თ-ს შემცველ რუსულ და რუსულის გზით შემოსულ სიტყვათა გადმოცემა ქართულში.

ბ) ევროპის ენებიდან მომდინარე Ia და II ჯგუფებიანი სიტყვების გადმოცემა ქართულში.

- გ) მიმართულებითი ბრუნვის დაბოლოება.
- დ) წოდებითი ფორმის დაბოლოება.

9. არნ. ჩიქობავასი:

ა) სუბიექტის -ს ობიექტის მრავლობითობის თ-ს წინ (მათ ის აქვს თუ აქვთ? ის თქვენ გიგზავნის თუ გიგზავნი? ის თქვენ დაგიდგამს თუ დაგიდგამო?)

ბ) - და ე- პრეფიქსებიანი ვნებითი გვარის ზმნების მრავლობითი რიცხვის ფორმათა წარმოება დრო-კილოთა II ჯგუფში (ისინი დაიშალნენ თუ დაიშალენ? დაემალნენ თუ დაემალენ მას? დაესწრნენ თუ დაესწრენ? შეეჩვივნენ თუ შეეჩვიენ მას?).

გ) სუბიექტის III პირის მრავლობითობის ნიშანი დრო-კილოთა პირველ, მეორე და მესამე ჯგუფებში (ისინი აშენებდნენ თუ აშენებდენ? იზრდებოდნენ თუ იზრდებოდენ? გაფითრდნენ თუ გაფითრდენ? მოვიდნენ თუ მოვიდენ? შეაკეთებდნენ თუ შეაკეთებდენ?).

დ) ერთპირიანი ვნებითი გვარის ზმნების ფორმათა წარმოება თურქობითპირველსა და თურქობით მეორეში (ვშობილვარ თუ შობილვარ? ვშობილვარ თუ შობილვარევი ან ვშობილვარევი?).

ე) ორპირიანი გარდაუვალი ვნებითი გვარის ზმნების ფორმათა წარმოება თურქობით მეორეში (შევკითხებოდი თუ შევკითხებოდი?).

ვ) ორპირიანი -ავ და -ამ სუფიქსებიანი ზმნების ფორმათა წარმოება თურქობით პირველში (გაუბედავს თუ გაუბედა? მოუკლავს თუ მოუკლავ?).

დამბას თუ დაუბა? შეუსვამს თუ შეუსვია? უნახავს თუ უნახა?).

ზ) -ებ სუფიქსიანი გარდამავალი ზმნების ფორმათა წარმოება თურქობით მეორესა და კავშირებით მესამეში (აეშენებინა თუ აეშენებინა? აეშენებინა თუ აეშენებინოს?).

თ) ორპირიანი გარდამავალი ზმნების ფორმათა წარმოება თურქობით პირველსა და თურქობით მეორეში (გაუტეხია თუ გაუტეხინა? გაუტეხია თუ გაუტეხინა?).

10. ს. ჩანაშაისი:

- ა) გერმანული et დიდთონგის გადმოცემა ქართულში.

ბ) ზედსართავი სახელთა წარმოება ნასესხებ სიტყვათაგან -ურ სუფიქსით.

გ) მასწავლებელი სახელის შეთანხმება საზღვრულთან ბრუნვაში (წითელი დროშის თუ წითელ დროშის?).

ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს დამატების სახით ერთვის ადამიანთა სახელების საჩუქრულადაცია სია, რომელიც შემუშავებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხაზოგადობრივ მეცნიერებათა განყოფილების მიერ გამოყოფილი სპეციალური კომისიის მიერ. კომისიაში შედიოდნენ: ი. აბულაძე, ნ. ბერძენიშვილი, ივ. გიგინეიშვილი, ი. დოლიძე (თავმჯდომარე), ვ. თოფჩია, ნ. კუცხოველი, ქეთ. ლომთათიძე, ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა, გ. წერეთელი. განმარტებითი წერილი „ადამიანთა სახელების საჩუქრულადაცია სიის შედგენილობის შესახებ“ დაწერილი ივ. გიგინეიშვილის მიერ.

საქილობელ მარტოფორ ფორმითა ნიმუშებში, რომლებიც სტატიებში მოყვანილი, ავტორთა ორთოგრაფიისა დაცული.

წიგნს ერთვის მისში განხილულ სიტყვა-ფორმითა ორთოგრაფიული საძიებელი.

სანამ ნორმები მოლიანად გამოცემოდა ცალკე წიგნად, რამდენიმე სტატია დაიბეჭდა კვლევაში. ამ ნორმითა საფუძველზე გამოქვეყნდა სხვადასხვა ავტორის რამდენიმე პოპულარული წიგნები ქართული მეცნიერების კულტურის საკითხებზე და მართლწერის დამხმარე სასკოლო სახელმძღვანელო. ამ ნორმებს ემყარება მოლიანად „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი“, რომელიც 1968 წელს გამოიცა.

ქართულ სალიტერატურო ენის დიდი ხნის ისტორია და მეტად მდიდარი ტრადიციები მოგვითხრობს. მასში ერთმანეთს გვერდით დღესაც მტკიცედა დღევანდელი სხვადასხვა ენობრივი ჩამოყალიბებული ფორმები. ასეთი სალიტერატურო ენის წარმოება უნივერსალური სიმართლეა დაკავშირებული. ერთობა, ტრადიცია მკაცრად მოქმედს ფაქტორია ზეწვი სალიტერატურო ენისა. ამ წარმოდგენილ ნორმითა დადგენისას ტრადიციას ყოველთვის ექცეოდა სთანადო თურქობით.

ამ საფუძველზე შესახებ, რომელიც ემყარება სალიტერატურო ქართულის ნორმებს, შეთანხმდა მსხვერპლს იმის წერილში — „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმა: დადგენის პრინციპები“ — რომლითაც ეს წიგნი იწვევა.

ზემოკლებათა განმარტება

ა. აბაშ., ალ. აბაშ., ალ. აბაშელი
 გ. აბაშ., გ. აბაშიძე
 ი. აბაშ., ი. აბაშიძე
 აბო
 „აკადემიის მოამბე“, „საქართვე. მეცნ. აკადემიის მოამბე“
 აკაკი
 „ანა დედოფ. ქ. ც.“
 არაბ.
 შ. არაგ., შ. არაგვ.
 ლ. არდაზ.
 ლ. ასათ., ლ. ასათიანი
 ა. შ.
 „ახ. კომ.“, „ახ. კომუნისტი“
 ნ. ბარ., ნ. ბარათ., ნ. ბარათაშვილი
 ვ. ბარნ., ვ. ბარნოვი
 დ. ბაქრ.
 ქ. ბაქრაძე
 ბაჩ.
 აკ. ბელ.
 ბერძნ.
 ეკ. გაბ.
 „გამარჯვება“
 კ. გამს.
 ვ. გაფრ.
 გერმ.
 გვ.
 რ. გვეტ.
 ი. გოგ., ი. გოგებ.
 ი. გრიშ., ი. გრიშაშვილი
 ი. გულის.
 დ. გურამ.
 შ. დად.
 ო. დგებ.
 ი. ევდოშვ.

ალექსანდრე აბაშელი
 გრიგოლ აბაშიძე
 ირაკლი აბაშიძე
 კ. კეკელიძე, ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა: წამებამ წმიდისა მოწამისა ჰაბოასი, თბილისი, 1935
 ეურნ. „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“
 აკაკი წერეთელი
 ანა დედოფლისეული ქართლის ცხოვრება
 არაბული ენა
 შიო არაგვისპირელი
 ლავრენტი არდაზიანი
 ლადო ასათიანი
 ასე შემდეგ
 გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“
 ნიკოლოზ ბარათაშვილი
 ვასილ ბარნოვი
 დავით ბაქრაძე
 ქეთევან ბაქრაძე
 ბაჩანა (ნიკო რაზიკაშვილი)
 აკაკი ბელიაშვილი
 ბერძნული ენა
 ეკატერინე გაბაშვილი
 გაზ. „გამარჯვება“
 კონსტანტინე გამსახურდია
 ვალერიან გაფრინდაშვილი
 გერმანული ენა
 გვერდი
 რაჟდენ გვეტაძე
 იაკობ გოგებაშვილი
 იოსებ გრიშაშვილი
 იერემია გულისაშვილი
 დავით გურამიშვილი
 შალვა დადიანი
 ორდენ დგებუაძე
 იროდიონ ევდოშვილი

ია ეკ., ია ეკალ., ი. ეკალ.
 ი. ელფთ.
 რ. ერ., რ. ერისთ., რ. ერისთავი
 ე. ი.
 ე. წ.
 ეტიუდ.
 ვაჟა
 „ვეფხ.“, „ვეფხისტყ.“
 ენებ.
 გ. თავზ.
 თარგმ.
 „თბილ.“
 ა. თევზ., ა. თევზაძე
 ა. თვალჭრ.
 თურქ.
 „ივერია“
 ილია
 ინგლ.
 ი., იოანე

იობ

იტალ.
 იხ.
 კ. კალაძე
 ნ. კეცხ.
 ნ. კვარაცხ.
 ნ. კვინიკაძე
 დ. კლდ.
 ს. კლდ.
 კიმენი, I

კიმენი, II

„კომ.“, „კომუნისტი“
 ლათ.
 „ლულო“
 „ლიტ. გაზ.“
 „ლიტ. და ხელ.“
 „ლიტ. საქ.“

ია ეკალაძე (იაკობ ცინცაძე)
 ილია ელფთერიძე (ილია ზურაბიშვილი)
 რაფიელ ერისთავი
 ესე იგი
 ეგრეთ წოდებული
 ეტიუდები
 ვაჟა-ფშაველა (ლუკა რაზიკაშვილი)
 „ვეფხისტყაოსანი“
 ენებითი გვარი
 გიორგი თავზიშვილი
 თარგმანი
 გაზ. „თბილისი“
 ანდრო თევზაძე
 ალექსანდრე თვალჭრელიძე
 თურქული ენა
 გაზ. „ივერია“
 ილია ჭავჭავაძე
 ინგლისური ენა
 ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, იოანეს სახარება, ა. შანიძის გამოცემა, თბილისი, 1945
 წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი, ტ. 1, ნაკვეთი 2, ა. შანიძის გამოცემა, თბილისი, 1948
 იტალიური ენა
 იხილეთ
 კარლო კალაძე
 ნიკო კეცხოველი
 ნინო კვარაცხელია
 ნიკოლოზ კვინიკაძე
 დავით კლდიაშვილი
 სერგო კლდიაშვილი
 ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, კიმენი, ტ. I, კ. კეკელიძის გამოცემა, თბილისი, 1918
 ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, კიმენი, ტ. II, კ. კეკელიძის გამოცემა, თბილისი, 1946
 გაზ. „კომუნისტი“
 ლათინური ენა
 გაზ. „ლულო“
 გაზ. „ლიტერატურული გაზეთი“
 გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“
 გაზ. „ლიტერატურული საქართველო“

ნ. ლომ.
 კ. ლომთ.
 ტ. ლორთქ.
 ლ., ლუკა

 მაგ.
 შ., მათე

 მრ., მარკ.

 კ. მაყ.
 ა. მაშ.
 ი. მაჩ., ი. მაჩაბ., ივ. მაჩაბ.
 ივ. მაჭ.
 ს. მგალ., სოფ. მგალ.
 მდინ.
 მედიც.
 ს. მთვ.
 მიმართ.
 ა. მირცხ., ა. მირცხულავა
 მისტ.
 მიც., მიცემ.
 „მნათობი“
 მოთხრ.
 მოქმ., მოქმედ.
 მრავლ.
 მ. მრევლ.
 მუს.
 შ. მღვ.
 ნათეს.
 გ. ნატრ.
 ე. ნინ., ე. ნინოშ., ე. ნინოშე.
 ი. ნონ., ი. ნონეშვილი
 გ. ორბ.
 ოშკი, მსაჭულთა

 პათ. ანატ.

ნიკო ლომოური
 კოლა ლომთათიძე
 კონსტანტინე ლორთქიფანიძე
 ქართული ოთხთავის ორი ძველი რე-
 დაქცია სამი შატბერდული ხელნაწე-
 რის მიხედვით, ლუკას სახარება, ა.
 შანიძის გამოცემა, თბილისი, 1945
 ზეგალითად
 ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქ-
 ცია სამი შატბერდული ხელნაწერის
 მიხედვით, მათეს სახარება, ა. შანი-
 ძის გამოცემა, თბილისი, 1945
 ქართული ოთხთავის ორი ძველი რე-
 დაქცია სამი შატბერდული ხელნაწე-
 რის მიხედვით, მარკოზის სახარება,
 ა. შანიძის გამოცემა, თბილისი, 1945
 კოტე მაყაშვილი
 ალიო მაშაშვილი (მირცხულავა)
 ივანე მაჩაბელი
 ივანე მაჭავარიანი
 სოფრომ მგალობლიშვილი
 მდინარე
 მედიცინა
 სიმონ მთვარაძე
 მიმართულებითი ბრუნვა
 ალიო მირცხულავა
 მისთანანი
 მიცემითი ბრუნვა
 ეურნ. „მნათობი“
 მოთხრობითი ბრუნვა
 მოქმედებითი ბრუნვა
 მრავლობითი რიცხვი
 მიხეილ მრევლიშვილი
 მუსიკა
 შიო მღვიმელი (ქუჩუყაშვილი)
 ნათესაობითი ბრუნვა
 გიორგი ნატროშვილი
 ეგნატე ნინოშვილი (ინგოროყვა)
 იოსებ ნონეშვილი
 გრიგოლ ორბელიანი
 წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი, ტ. I,
 ნაკვეთი 2, ა. შანიძის გამოცემა, თბი-
 ლისი, 1948
 ვლადიმერ ჟღენტი, „პათოლოგიური
 ანატომია“

თ. რაზ., თ. რაზიკ.
 რელიგ.
 „რუსულ.“

 რუს.
 საბა

 სამოქ. სამ. კოდექსი, 1938

 სასულიერო პოეზია

 საქართვე. სიძველენი

 „სახ. გან.“, „სახ. განათლ.“, „სახ. გა-
 ნათლება“
 სახ., სახელობითი
 სპარსული
 სხვ.
 გ. ტაბ.
 ფრ., ფრანგ.
 ქართ.
 ლ. ქიაჩ.
 გ. ქიქ., გერ. ქიქ.
 ა. ქუთ.
 ა. ყაზბ., ა. ყაზ.
 ს. შანშ.
 შდრ., შეად.
 შმდ.
 დ. შენგ.
 ბ. ჩხ.
 ავქ. ცაგარელი
 ცხორება საბა ასურისაჲ

 წამება ცხრათა ძმათა კოლაელთაჲ

 წარტყ.

თედო რაზიკაშვილი
 რელიგიური
 „რუსულდანიანი“, ილ. აბულაძისა და
 ივ. გიგინეიშვილის გამოცემა, თბი-
 ლისი, 1957
 რუსული ენა
 სულხან-საბა ორბელიანი, სიბრძნე-
 სიცრუისა, თბილისი, 1957
 საქართველოს სსრ სამოქალაქო სამარ-
 თლის კოდექსი, 1938
 ძველ-ქართული სასულიერო პოეზია,
 პ. ინგოროყვას გამოცემა, თბილისი,
 1913
 საქართველოს სიძველენი, ექვ. თაყა-
 იშვილის რედაქტორობით
 გაზ. „სახალხო განათლება“

 სახელობითი ბრუნვა
 სპარსული ენა
 სხვა
 გალაქტიონ ტაბიძე
 ფრანგული ენა
 ქართული ენა
 ლეო ქიაჩელი (შენგელაია)
 გერონტი ქიქოძე
 ალექსანდრე ქუთათელი
 ალექსანდრე ყაზბეგი
 სანდრო შანშიაშვილი
 შეადარე
 შემდეგ
 დემნა შენგელაია
 ბორის ჩხეიძე
 ავქსენტი ცაგარელი
 ცხორება საბა ასურისაჲ, სიმ. ჯანა-
 შიას გამოცემა, „არილი“, თბილისი,
 1926
 ცხრათა ძმათა კოლაელთა მარტვი-
 ლობა, ნ. მარის გამოცემა: *Тексты и
 разыскания по армяно-грузинской
 филологии*, V, С.-Петербург, 1903
 წარტყუენება იერუსალიმისა, ნ. მა-
 რის გამოცემა: *Тексты и разыскания
 по армяно-грузинской филологии*,
 XI, С.-Петербург, 1909

წელიწადული

გ წერ., გ წერეთ.
წოდ., წოდებ. წოდებითი
დ. კონქ.
ხალხ.
ხანმეტი, ხანმეტი ტექსტები

ხანძთ.

ა. ხარაბ., ა. ხარაბაძე, ათ. ხარაბაძე
ხევსურული მასალები

ხრონ.

ივ. ჯავახ.
მ. ჯავახ.
ბ. ჯორჯ., ბ. ჯორჯაძე

ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწადული, I — II, ტფილისი, 1923—24

გიორგი წერეთელი
წოდებითი ფორმა
დანიელ ჭონჭაძე
ხალხური
ხანმეტი ტექსტები, ივ. ჯავახიშვილის გამოცემა: ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. II, 1922—23

გიორგი მერჩული, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ნ. მარის გამოცემა:
Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, VII, С.-Петербург, 1911

ათანასე ხარაბაძე
ქვესურული მასალები, ბეს. გაბუურის მიერ შეკრებილი, პროფ. ა. შანიძის რედაქციით: „წელიწადული“, I—II, ტფილისი, 1923—24

ხრონოლოგი გიორგი მონაზონისა, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, ტფილისი, 1920

ივანე ჯავახიშვილი
მიხეილ ჯავახიშვილი
ბარბარე ჯორჯაძე

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა რეგონის პრინციპები

ქართული სალიტერატურო ენა სოციალისტური ერის ეროვნული ენაა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქართული ერთიანი საერთო-ეროვნული სალიტერატურო ენა არაჩვეულებრივად განვითარდა, დაიხვეწა და სრულყოფილი გახდა. სოციალისტური კულტურის აყვავების შედეგად ქართულმა ერთიანმა ეროვნულმა სალიტერატურო ენამ გზა გაიკაფა საქართველოს ყველა კუთხეში. ქართული ეროვნული სალიტერატურო ენის სიწმინდის დაცვა, მისი შემდგომი სრულყოფა და მთელ ქართველ ხალხში მისი შემდგომი დამკვიდრება სახელმწიფოს ზრუნვის საგანს შეადგენს.

ქართული სალიტერატურო ენა დღეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ენაა. ეს ენა მომსახურებს უწყვეტ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დაწესებულებებს, მდიდარ პრესას, რადიოს, თეატრს, მრავალრიცხოვან საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებს. ამ ენაზე განუხრავლად ვითარდება და ახალ-ახალ წარმატებებს აღწევს ქართული საბჭოთა მწერლობა. ამ ენაზე აყვავდა საბჭოთა საქართველოში მეცნიერებას ყველა დარგი. ქართულ სალიტერატურო ენას არასოდეს ჰქონია გამოყენების ასეთი ვრცელი ასპარეზი, არც განვითარების ასეთი ფართო შესაძლებლობა, როგორც აქვს მას დღეს საბჭოთა საქართველოში.

ეს ნიშნავს: ქართული სალიტერატურო ენა არასოდეს არ ყოფილა ისე მდიდარი სასიცოცხლო ძალებით, ისე ძირმტკიცე, როგორადაც ის იქცა დღეს, სოციალისტური წყობილების დროს და ამ წყობილების მეოხებით. იგი შეივსო ახალი ცნებების გამომხატველი სიტყვებითა და გამოთქმებით, მეცნიერების სხვადასხვა დარგის მდიდარი ტერმინოლოგიით. ამ ტერმინებსა და გამოთქმებს ყოველდღიურად მოიხმარენ მოსახლეობის ფართო ფენები, მათი საშუალებით ეწაფება ქართველი ახალგაზრდობა მეცნიერების სხვადასხვა დარგს.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ეს მდგომარეობა ასახავს საქართველოს სახალხო მეურნეობისა და სოციალისტური კულტურის მძლავრ აღმავლობას. ბუნებრივია, რომ ზრდის პროცესში უფრო მეტად ხდება საჭირო. ჯეროვანი ხელმძღვანელობა გაეწიოს ამ ენის შემდგომ განვითარებას, რომ ქართულმა სალიტერატურო ენამ შეძლოს კიდევ უფრო კარგად მოემსახუროს ქართულ სოციალისტურ კულტურას.

1. თანამედროვე სალიტერატურო ქართულის ნორმათა მოწესრიგება გულისხმობს პირველ რიგში ძირითადი სადავო ფონეტიკურ-ორთოგრაფიული, მორფოლოგიური და სინტაქსური საკითხების გადაჭრას.

ორთოგრაფიულ საკითხებზე ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით მიიჩნევა ფონეტიკური პროცესებით გამოწვეული სადავო საკითხები; ამავე რიგისაა

1. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები

თანამედროვე ქართული სალიბერალური ენის ნორმათა რეგენის პრინციპები

ქართული სალიბერალური ენა სოციალისტური ერის ეროვნული ენაა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქართული ერთიანი საერთო-ეროვნული სალიბერალური ენა არაჩვეულებრივად განვითარდა, დაიხვეწა და სრულყოფილი გახდა. სოციალისტური კულტურის აყვავების შედეგად ქართულმა ერთიანმა ეროვნულმა სალიბერალურ ენამ გზა გაიკაფა საქართველოს ყველა კუთხეში. ქართული ეროვნული სალიბერალური ენის სიწმინდის დაცვა, მისი შემდგომი სრულყოფა და მთელ ქართველ ხალხში მისი შემდგომი დამკვიდრება სახელმწიფოს ზრუნვის საგანს შეადგენს.

ქართული სალიბერალური ენა დღეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ენაა. ეს ენა მომსახურებას უწევს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დაწესებულებებს, მდიდარ პრესას, რადიოს, თეატრს, მრავალრიცხოვან საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებს. ამ ენაზე განუხრელად ვითარდება და ახალ-ახალ წარმატებებს აღწევს ქართული საბჭოთა მწერლობა. ამ ენაზე აყვავდა საბჭოთა საქართველოში მეცნიერების ყველა დარგი. ქართულ სალიბერალურ ენას არასოდეს ჰქონია გამოყენების ასეთი ვრცელი ასპარეზი, არც განვითარების ასეთი ფართო შესაძლებლობა, როგორც აქვს მას დღეს საბჭოთა საქართველოში.

ეს ნიშნავს: ქართული სალიბერალური ენა არასოდეს არ ყოფილა ისე მდიდარი სასიცოცხლო ძალებით, ისე ძირმტკიცე, როგორცაა ის იქცა დღეს, სოციალისტური წყობილების დროს და ამ წყობილების მეოხებით. იგი შეიქმნა ახალი ცნებების გამოხატველი სიტყვებითა და გამოთქმებით, მეცნიერების სხვადასხვა დარგის მდიდარი ტერმინოლოგიით. ამ ტერმინებსა და გამოთქმებს ყოველდღიურად მოიხმარენ მოსახლეობის ფართო ფენები, მათი საშუალებით ეწაფება ქართველი ახალგაზრდობა მეცნიერების სხვადასხვა დარგს.

თანამედროვე ქართული სალიბერალური ენის ეს მდგომარეობა ასახავს საქართველოს სახალხო მეურნეობისა და სოციალისტური კულტურის მძლავრ აღმავლობას. ბუნებრივია, რომ ზრდის პროცესში უფრო მეტად წდება საჭირო, ჯეროვანი ხელშეწყობა გაეწიოს ამ ენის შემდგომ განვითარებას, რომ ქართულმა სალიბერალურ ენამ შემდგომ კიდევ უფრო კარგად მოემსახუროს ქართულ სოციალისტურ კულტურას.

1. თანამედროვე სალიბერალური ქართულის ნორმათა მოწესრიგება გულისხმობს პირველ რიგში ძირითადი სადავო ფონეტიკურ-ორთოგრაფიული, მორფოლოგიური და სინტაქსური საკითხების გადაჭრას.

ორთოგრაფიულ საკითხებზე ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით მიიჩნევა ფონეტიკური პროცესებით გამოწვეული სადავო საკითხები; ამავე რიგისა

1. თანამედროვე ქართული სალიბერალური ენის ნორმები

აგრეთვე სასვენისა თუ სხვა ნიშნების ხმარებასთან დაკავშირებული საკითხები; მაგალითად: ერთგული თუ ერდგული, საშუალება თუ საშვადება, მრგვალი თუ რგვალი, რეგულუცია თუ რეგულიუცია, რედაქტორი თუ რედაქტორი, აპერცეფცია თუ აპერცეპცია... აგრეთვე: რკინის გზა, რკინისგზა თუ რკინის-გზა; ამისდა მიუხედავად, ამისდამიუხედავად თუ ამის და მიუხედავად; ხმალი-ამოწვდილი თუ ხმალიამოწვდილი... გაზ. „კომუნისტის“ თუ გაზ. „კომუნისტ“-ის; დავითი ამბობდა: „მოვაო“, „მოვა“-ო თუ მოვაო და სხვ.

მორფოლოგიური საკითხები ეხება ან სახელთა ბრუნებას, ან ზმნათა უღვლილებას, ანდა სიტყვაწარმოებას. მაგალითად: მაგრად თუ მაგრათ; გრებს თუ გრინავს; რამეს, რასმე თუ რასმეს; ორივეს, ორსავე, ორთავე თუ ორთავებს; იცვამს თუ იცვავს; გაუტენია თუ გაუტენინა; გაიტენა თუ გაიტენინა; ჰყავდა თუ ყავდა; გაერთიანდნენ თუ გაერთიანდენ; აქვს თუ აქვთ; დიალექტიკური თუ დიალექტიკური და მისთ.

სინტაქსის ხაზით პირველ ყოვლისა მოსაგვარებელია სიტყვათა შეხამების ისეთი საკითხები, როგორიცაა: ცენტრალური კომიტეტის თუ ცენტრალურ კომიტეტის; სახლები შენდება თუ სახლები შენდებიან; ქალაქისა და სოფლის შორის თუ ქალაქისა და სოფელს შორის; მოქალაქეები დაინტერესებული არიან თუ მოქალაქეები დაინტერესებულნი არიან და სხვ.

საკუთრივ ორთოგრაფიული საკითხები ჩვეულებრივ ცალკე სიტყვათა დაწერილობას, თქმულის ბგერითს გამოხატულებას ეხება, მორფოლოგიურ-სინტაქსური საკითხები ერთისა და იმავე გრამატიკული კატეგორიის მრავალ ფაქტს გულისხმობენ. საკუთრივ ორთოგრაფიულ საკითხთა ხვედრითი წონა ქართულში შედარებით მცირეა. ზოგიერთი მიზეზის გამო მათი მოგვარება ადვილია. შეუდარებლოვრთულია და მრავალრიცხოვანი მორფოლოგიურ-სინტაქსური საკითხები, რომელთა მოუგვარებლად გამოკეთილი სახის მქონე ახალი სალიტერატურო ქართულის შესახებ ლაპარაკი შეუძლებელი იქნებოდა.

2. სალიტერატურო ენის სადავო საკითხთა მოწესრიგებისას ერთმანეთს უპირისპირდება ორი თვალსაზრისი: სუბიექტური და ობიექტური.

პირველ შემთხვევაში გადამწყვეტი როლი ეკისრება კეთილხმოვანების პრინციპს: მისაღება ის, რაც კეთილხმოვანია, უარსაყოფია ის, რაც არ არის კეთილხმოვანი.

პოეტის თვალსაზრისით კეთილხმოვანება სავსებით გამართლებულია: ერთისა და იმავე სახის გადმოსაცემად ხელოვანს არ გამოადგება ყოველი სიტყვა, რომელიც ერთისა და იმავე მნიშვნელობისაა. ზოგს მეტი ექსპრესიული ძალა ახლავს, უკეთ ბგერს, ზოგს ნაკლები. „ცხენს მიაჰენებს“ და „ცხენს მიაჰროლებს“ შინაარსეულად ახლოს დგანან ერთმანეთთან, მაგრამ მათი ექსპრესიული ღირებულება ერთი და იგივე არ არის.

„კარვის კალთა ჩახლათული, ჩაქვერ, ჩავაკარაბავე,

ყმისა ფერხთა მოვეციდე, თავი სვეტსა შევუტაკა“.

(„ვეფხისტყაოსანი“, სტროფი 558-ე, 1957 წლის გამოცემა).

„ჩავაკარაბავე“-ს ნაცვლად რომ „გზა გავიკაფე“, „ჩავგლიჯე“ ან სხვა რამ ეხმარა შოთას, ცხადია, იმ ეფექტს ვერ მივიღებდით, რასაც ეს სტრიქონი იძლევა.

„კეთილხმოვანება“, უკეთ ვთქვათ, სიტყვის ბგერითი სახე უარესად ანგარიშგასაწევია პოეტური სტილის თვალსაზრისით, მაგრამ მორფოლოგიურ-სინტაქსურ ნორმათა დადგენისას შეუძლებელია მით ვინელმდგენლოთ: ყოველ პირს

კეთილხმოვანად ის ფორმა მიაჩნია, რომლის ხმარებასაც თვითონ არის მიჩვეული. ყოფილა შემთხვევა, როცა ერთი იძახდა: „მოვიდენ“ არის კეთილხმოვანია, სხვები, პირიქით, „მოვიდენ“-ს თვლიდნენ კეთილხმოვანად. ასევე, ერთი გრამატიკოსის მტკიცებით ნ არ არის კეთილხმოვანი ფორმებში—„მაწერინებს, დამაწერინა, მაწყენინა, მეწყინა, შემხედნია, გამიხედნია“, მაშინ როდესაც მეორე მხარე სწორედ ამ ნარიან ფორმებს აცხადებდა ლიტერატურულ ფორმად.

3. ერთადერთი გზა მორფოლოგიურ-სინტაქსურ ნორმათა დადგენისას უნდა იყოს გზა ობიექტური ანალიზისა. რა თქმა უნდა, საცილობელ ფორმათა შეფასებისას სუბიექტურ მომენტს სავსებით თავს ვერ დავაღწევთ, მაგრამ ეს შეფასება დაფუძნებული იქნება მკვიდრ მეცნიერულ საფუძველზე, რამდენადაც ამოსავლად გვაქვს ანალიზი იმ სინამდვილისა, რომლისთვისაც ნორმას ვეძებთ, ანალიზი ენისა, საერთოდ, და სალიტერატურო ენისა, კერძოდ.

4. ენა წარმოადგენს სისტემას ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური თვალსაზრისით.

ფონეტიკაში ყველაზე ნათლად ეს ჩანს ბუნებრივი კომპლექსების არსებობაში: ქართულში, მაგალითად, ჩვეულებრივია წყ და ჰყ (წყალი, წყარო, წყავლა... ჰყვილი, ჰყყყა...), მაგრამ შეუძლებელია ყწ, ყბ კომპლექსები. სამაგიეროდ, სავსებით შესაძლებელია როგორც ხხ, ისე ხხ კომპლექსები (ხხვა, ხხივი... ხხნა, ხხენება...), ოღონდ ძველ ქართულში ხხ ყოველთვის ჰხ-ს სახეს იღებდა, ესე იგი ხხ კომპლექსი შეიძლებოდა, მაგრამ შეუძლებელი იყო ხხ.

რაც შეეხება მორფოლოგიას, ცნობილია, რომ სიტყვაწარმოებაც, სახელთა ბრუნებაც და ზმნათა უღვლილებაც იმ ფორმულების წყებას წარმოადგენენ, რომელთა მეხებითაც სახელისა და ზმნის ცვლილებანი სისტემის სახით წარმოვივლივება.

ასე, მაგალითად, სიმრავლის აღსანიშნავად ქართულში გამოყენებულია აფიქსები -ებ, -ნ/-თ, -ენ, -ან, -ებს.

-ებ გვაქვს სახელებში: სახელმწიფო—სახელმწიფო-ებ-ი, ძველებურად: სახელმწიფო-ნ-ი. -ებ ყველა ბრუნვაში რჩება: სახელმწიფოებმა, სახელმწიფოებს, სახელმწიფოებად და სხვ., -ნ კი სხვა ბრუნვებში (წოდებითის გარდა) არსად რჩება, მის მაგივრად ჩნდება -თ: სახელმწიფოთა (მოთხრობითი, მიცემითი, ნათესაობითი).

-ებ აღნიშნავს მრავლობით რიცხვს სახელებში, ზმნაში კი არა, ხოლო -თ ზმნაშიაც იხმარება: ვაკეთებ მე—ვაკეთებთ ჩვენ; აკეთებ შენ—აკეთებთ თქვენ... გაუკეთებია მს—გაუკეთებიათ მათ.

-ან, -ენ, -ეს მრავლობით აღნიშნავენ აგრეთვე ზმნებში, მაგრამ ყოველ მათგანს თავისი ადგილი აქვს:

-ან აღნიშნავს მესამე პირის მრავლობითობას მხოლოდ აწმყოში, როცა ფუძის საწარმოებელია -ი: ვიზრდები მე—იზრდებიან ისინი.

-ეს იხმარება აგრეთვე მრავლობითის მესამე პირში, მაგრამ მხოლოდ ნამყო ძირითადში (ნამყო წყვეტილში) და ისიც გარდამავალ ზმნებთან (როცა სუბიექტი მოთხრობითს ბრუნვაშია):

მან დაწერა, მოიტანა, განმარტა

მათ დაწერეს, მოიტანეს, განმარტეს და სხვ.

-ენ სუფიქსიც სუბიექტის მესამე პირის სიმრავლეს აღნიშნავს, ოღონდ მისი გამოყენების არე გაცილებით უფრო ფართოა; სახელდობრ, ის იხმარება: ა) ნამ-

ყო ძირითადად (წყვეტილსა) და მეორე კავშირებითი გარდაუვალ ზმნებთან: ისინი მოვიდნენ, დაესწრნენ... ბ) აწმყოში თითქმის ყველა ზმნასთან, რომელ-
თაც ფუძის ბოლოს არ უზის -ი: ისინი წერენ, აკეთებენ; გ) ნაწყო უსრულსა
(უწყვეტილსა) და პირველ კავშირებითში ყველა ზმნაში: ისინი წერდნენ, აკ-
ეთებდნენ, ხატავდნენ და სხვ.

ამგვარად, სიმრავლის აღმნიშვნელ -ებ, -ნ, -თ, -ან, -ენ, -ეს სუფიქსებს
ქართული ენის მორფოლოგიურ სისტემაში ყველას თავისი ადგილი აქვს მიჩენი-
ლი და ერთი მეორის ადგილას არ ვამოდგება.

უფრო რთულია დროის, კილოს, პირის, გვარის, ქცევის წარმოება, მაგრამ
ყველა ამ შემთხვევაში მორფოლოგიური სისტემა გარკვეულ პრინციპებს ემყარე-
ბა: ყოველ აფიქსს თავისი ადგილი აქვს მიჩენილი და ყოველ წარმოებას სათა-
ნადო ფორმულა მოეპოვება.

სინტაქსური ფორმულებიც, ისევე, როგორც მორფოლოგიური, გარკ-
ვეულ სისტემას ქმნის.

ასე მაგალითად:

ა) ნაწყო ძირითადში (წყვეტილში) ზოგი ზმნა სუბიექტს მოთხრობითში
იგუბებს, ზოგიც სახელობითში, იმისდა მიხედვით, გარდაშავალია იგი (აქვს ობი-
ექტი სახელობითში), თუ გარდაუვალი (არა აქვს ობიექტი სახელობითში): და-
ვითი სახლს აშენებს—დავითმა სახლი ააშენა; მაგრამ: დავითი არჩილს ეკით-
ხება, დავითი არჩილს შეეკითხა...

ბ) —გან თანდებული ნათესაობითსა და მოქმედებითს ბრუნვებს მოითხოვს:
ნათესაობითს—კითხვაზე: ვი სგან? რისგან? (წერილი ამხანაგისგან მივიღე,
ჭარხლისგან შაქარი კეთდება), მოქმედებითს კითხვაზე: საიდან? (სოფლიდან
ჩამოვიდა, თბილისიდან გაგზავნა და სხვ.).

სიტყვაწარმოებაც ანალოგიურ სურათს წარმოადგენს. სადაურობის
აღსანიშნავად სალიტერატურო ქართულში იხმარება -ელ და -ურ: -ელ იხმარე-
ბა, თუ აღამიანს ეხება საქმე (სოფელ-ელ-ი, მოსკოვ-ელ-ი), ხოლო -ურ—თუ სა-
განს უკავშირდება (სოფელ-ურ-ი, მოსკოვ-ურ-ი და მისთ.).

შეიძლება ენას დაწერილობა არ გააჩნდეს: მხოლოდ ზეპირი მეტყველების
ენა იყოს. პირუკუ, შეიძლება ენას მდიდარი ლიტერატურა მოეპოვებოდეს. რო-
გორც ერთი, ისე მეორე წარმოადგენენ სისტემას, სისტემას, როგორც ითქვას,
ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური ფორმულებისას. ეს ფორმუ-
ლები ცხადყოფენ: რა არის კანონიერი ამ ენის სისტემის თვალსაზრისით და რა
არ ეკუთვნის, გწინააღმდეგება ამ ენის სისტემას.

5. ენობრივი სასტემა უცვლელი როდია: დროთა ვითარებაში ამ სისტემის
ყოველი რგოლი მეტ-ნაკლებად იცვლება. იცვლება არა მხოლოდ სიტყვათამარაგი
და მნიშვნელობა, არამედ მორფოლოგიაც, სინტაქსიც, ფონეტიკური წესები,
თვით ბგერითი შედგენილობაც კი.

ძველ ქართულში გარჩეული იყო ჯ და ხ: ჯერტი (მოხერხება) და ხერხი
(იარალი) სხვადასხვაგვარად იწერებოდა (ახლაც მთიული, ფშაველი, ხევსური
განასხვავებენ მათ გამოთქმაში), მაგრამ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში
ერთნაირად იწერება ეს სიტყვები.

ჩვენ ახლა ვამბობთ: ისინი წერდნენ, მოვიდნენ, დაესწრნენ, გაემართნენ
და მისთ. ძველად იყო: ივინი წერდეს, მოვიდეს, დაესწრნეს, გაემართნეს და
მისთ. (-ენ დაბოლოება ახლაც არის დაცული მთაში ასეთ შემთხვევებში).

ძველი ქართულის სინტაქსი მოითხოვდა, რომ წარიანი მრავლობითის სახე-
ლობითს ზმნა შესთანხმებოდა რიცხვში იმისდა მიუხედავად, სუბიექტი იქნებოდა
ეს სახელობითი, თუ ობიექტი: მან წერილი დაწერა—მან წერილი დაწერა;
მან წერილი დაწეროს—მან წერილი დაწერეს.

ამგვარად გაგზავნენ, სიტყვანი მესმნეს მონათა ჩემთანი,
მაგრა დავყარენ არენი მე კაცრიელთა თემთანი;
სახლად სამყოფნი მიმჩინდეს თხათა და მათ ირემთანი,
გავიჭერ, სრულად დავტყებნენ ქვე მინდორნი და ზე მთანი“.
(„ვეფხისტყაოსანი“, სტროფი 653-ე, 1957 წლის გამოცემა).

ამჟამად სალიტერატურო ქართულისათვის უცხოა ამგვარი კონსტრუქცია:
„გავიჭერ, სრულად დავტყებნენ ქვე მინდორნი და ზე მთანი“.

მას გაუკეთებია—მათ გაუკეთებიათ: ესაა ჩვეულებრივი ფორმა თანამედ-
როვე ქართულისათვის, ძველ ქართულში კი იყო: მათ გაუკეთებენ (ისევე, რო-
გორც მას გაუკეთებენ). მაშასადამე, ძველი ქართულის სისტემისათვის
კანონიერი ფორმა ხშირად უცხოა ახალი ქართულის მორფო-
ლოგიური და სინტაქსური სისტემისათვის.

6. ენის სისტემის ცვლა სათანადო საზოგადოების განვითარებასთან არის
დაკავშირებული. ეს ბუნებრივია იმიტომ, რომ ენა არის გაგებინების საშუალება,
ურთიერთობის იარაღი გარკვეული ენობრივი კოლექტივისათვის.

შენიშვნა. ენობრივ კოლექტივს ქმნიან ერთ ენაზე მოლაპარაკენი.
ცნება ენობრივი კოლექტივისა მხოლოდ ნაწილობრივ ფარავს ცნებას
ეროვნებისას: 1) ეროვნებით ქართველი, მაგრამ ქართულის არმცოდნე
არ ეკუთვნის ქართულ ენობრივ კოლექტივს; პირუკუ, ქართულად მო-
ლაპარაკე არაქართველი შედის ქართულს ენობრივ კოლექტივში; 2)
ყოველი აღამიანი შეიძლება ეკუთვნოდეს მხოლოდ ერთს ეროვნებას; მაგ-
რამ ის იქნება იმდენი ენობრივი კოლექტივის წევრი, რამდენი ენაც იცის.

ლაპარაკის პროცესი ინდივიდში მიმდინარეობს, მაგრამ ენა არ არის ინდი-
ვიდუალურ-ბიოლოგიური მოვლენა: ლაპარაკი მოლაპარაკის გარდა მსმენელსაც
გულისხმობს. იმიტომ მოლაპარაკე არ არის თავისუფალი: იგი ვერ იხმარს ისეთ
სიტყვებსა და გამოთქმებს, რომლებიც სათანადო ენობრივი კოლექტივისათვის
უცხოა. „ეს სახლი მაღალია“—იმის ნაცვლად ქართულად მოლაპარაკე ვერ იტყ-
ვის: „ეს მეზონი ალტია“, რადგანაც ეს ისევე არ გამოდგებოდა გაგებინების სა-
შუალებად, როგორც ამავე სიტყვების ბგერათა ვადამით მიღებული უაზრო კა-
მპლექსები („ხე ილხას აილაღამ“).

ყოველი ენობრივი მოვლენა, რომელიც მიღებულია გაგებინების საშუალე-
ბად, რომელსაც აქვს სოციალური სანქცია, უკვე ვამართლებულია; ხმარებული
ცოცხალია, ხმარებიდან გასული—მკვდარი; ხმარება, უზუსტი ყველაფერია.

სახლი, ტუნ, დომ, შაუს, მეზონი—ერთისა და იმავე საგნის სახელია სხვა-
დასხვა ენობრივ კოლექტივში. საგნის არსს არც ერთი მათგანი არ გამოხატავს,
საგნის ნიშნად კი ყველა გამოდგება, რამდენადაც ქართველი ხმარობს „სახლ“-ს,
სომეხი „ტუნ“-ს, რუსი „დომ“-ს, გერმანელი „შაუს“-ს, ფრანგი „მეზონი“-ს,
რამდენადაც ამ სახელებს სოციალური სანქცია მოეპოვებათ.

ეგვეთ ითქმის ყოველი სხვა ენობრივი მოვლენის, კერძოდ, მორფოლოგიური
და სინტაქსური მოვლენების შესახებ.

ამიტომ, როცა ენაში რაიმე ცვლილება იჩენს თავს, უდიდესი მნიშვნელობა აქვს, თუ რამდენადაა იგი გავრცელებული, როგორია მისი გამოყენების არე, რამდენად ვგუბა იგი განვითარების ტენდენციას, რა პერსპექტივები აქვს, რომ სოციალური სანქცია მოიპოვოს.

7. რა დამოკიდებულებაშია გრამატიკულად სწორი სოციალურად ვაბატონებულთან? ჩვეულებრივ გრამატიკულად სწორს სოციალური სანქცია აქვს, მაგრამ არა ყოველთვის: ყოველს ენაში ბლომად მოიპოვება ისეთი მოვლენა, რომელიც ენის სისტემის თვალსაზრისით კანონიერად ვერ მიიჩნევა, მაგრამ სოციალური სანქცია უკვე აქვს და ერთადერთ კანონიერ მოვლენადაა მიჩნეული. ქართულში ამის ნიმუშს წარმოადგენს: დაღმა, სადაური, აქაური, იქაური (კაცი), ვწვივარ, ვღვავარ, ვწვივარ და მისთ.

„დაღმა“-ს „ღ“ „აღმა“-ს მიმგავსებით გაუჩნდა (ძველ ქართულში „ღა-მართ“-ია და არა „დაღმართ“-ი). მაშასადამე, „დაღმართ“-ში „ღ“ ისევე უქანონა ისტორიულად, როგორც „უფროს“-ში „შ“.

„სადაური“, „აქაური“, „იქაური“ ამჟამად ადამიანის მიმართაც იხმარება და საენის მიმართაც: აქაური მცხოვრები, იქაური მოქალაქე, იქაური ღვინო... „აქაური მცხოვრები“ ისევე ნაწარმოები, როგორც „კახური მევენახე“, „გორული მეხილე“ და, თუ ეს უკანასკნელი უქანონა, ისიც უქანონო უნდა იყოს.

„ვწვივარ“, „ვღვავარ“, „ვწვივარ“ ფორმებში „ვარ“ ისევე უქანონი იყო ერთ დროს, როგორც ჩვენთვის დღეს „ვყვირივარ“, „ვფიქრავარ“-ში, მაგრამ ყველა ამ ზემოდასახელებულმა „უქანონო“ მოვლენამ (ვწვივარ, ვღვავარ) მოიპოვა სოციალური სანქცია და დღეს ერთადერთ ლიტერატურულ ფორმას წარმოადგენს.

პირუტყუ, არის მოვლენები, რომლებიც სავესებით კანონიერია ქართული ენის სისტემის თვალსაზრისით, მაგრამ არალიტერატურულად მიგვაჩნია. „იგი კაცი“, „იგი საქმე“ თავისთავად ისევე კანონიერია, როგორც „ის კაცი“, „ის საქმე“. ძველ ქართულში სწორედ პირველი იყო მიჩნეული ლიტერატურულ ფორმად; მაგალითად: „რას დაგეჟადა იგი ყმა, რა ნახა შენგან კლებული?“ („ფეხის-ტყაოსანი“, სტროფი 1104-ე, 1957 წლის გამოცემა).

ამჟამად „იგი ყმა“, „იგი კაცი“ თითქმის დიალექტობშია.

ასევე გრამატიკულად უნაკლო „მოსულარიან“, „დაწოლიდარიან“, ერთადერთი ლიტერატურული ფორმა ძველი ქართულისა, ამჟამად მკვეთრად დიალექტურით ჩანს, ლიტერატურულად კი „მოსულან“, „დაწოლიდან“ მიგვაჩნია.

მაშასადამე, სოციალურ სანქციას შეუძლია ისტორიულად უქანონო აღქურვის კანონიერი მოვლენის უფლებით და, პირუტყუ, ისტორიულად კანონიერს აპყაროს უფლება, რაც ცხადყოფს სოციალური მომენტის სიძლიერეს.

8. ზემოთქმული ეხება როგორც ცოცხალ ხალხურ მეტყველებას, ისე სალიტერატურო ენას: ორივე სისტემა, ორივე სოციალური მოვლენა—ეს საერთოა მათთვის; განსხვავდება კი ისინი შემდეგი ნიშნების მიხედვით:

ა) სალიტერატურო ენა, როგორც წიგნის ენა, ერთია გარკვეული ენობრივი კოლექტივისათვის, კუთხური მეტყველება (დიალექტი) კი ერთზე მეტია.

ბ) კუთხური მეტყველებას კონტროლი არ ეწევა, სალიტერატურო ენა კონტროლს ექვემდებარება, მასზე შეგნებულ ზემოქმედებას ახდენენ იმ მიზნით, რომ კულტურის ეს პროდუქტი მაქსიმალურად შეეფერებოდეს თავის დანიშნუ-

ლებას: იყოს კულტურული წინსვლის მარჯვე და მკვეთრი იარაღი. განსაკუთრებული მნიშვნელობა ამას ჩვენში აქვს ამჟამად.

სალიტერატურო ენა იქმნება გარკვეული კილოს ნიადაგზე, მაგრამ ის იახლოებს და უახლოვდება სხვა კილოებსაც. მხოლოდ ამ გზით შეიძლება მან შეასრულოს საერთო სალიტერატურო ენის როლი. სალიტერატურო ენას კილოები ასაზრდოებენ, მაგრამ სალიტერატურო ენის გზა არც ერთი კილოს განვითარებას არ ჰვდება მთლიანად.

სალიტერატურო ქართული ყოველ შემთხვევაში მე-5 საუკუნიდან მკვეთრად ჩამოყალიბებული სახის მქონე სალიტერატურო ენაა. ახალი სალიტერატურო ქართული მისი გავრცელება, სახეცვლილი ქართულ-კახური ცოცხალი მეტყველების საფუძველზე.

ამ ენის ნიმუშები ყოველ შემთხვევაში მე-18 საუკუნის დასაწყისიდან გვაქვს, თუმცა მხოლოდ მე-19 საუკუნის მესამოცე წლებიდან იკაფავს საბოლოოდ გზას და ერთადერთ სალიტერატურო ენად გვევლინება.

გასული საუკუნის მესამოცე წლებიდან მოყოლებული ამ სალიტერატურო ენაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ როგორც აღმოსავლური, ისე დასავლური დიალექტები, თუმცა ეს მონაწილეობა ძირითადად ლექსის ხაზით ხორციელდება, მორფოლოგიურ-სინტაქსურ სისტემას კი საფუძვლად ედო და ამჟამადაც უძვეს ქართულ-კახური.

ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ მორფოლოგია-სინტაქსში სხვა კილოებიდან არაფერი შემოსულა და არ შემოღის; ან, რაც ქართულსა და კახურში გვხვდება, ყველაფერი ლიტერატურულია.

არაფის არ მოუვა აზრად ლიტერატურულად მიიჩნიოს ქართული „დაწყობა“ (დაწყების მნიშვნელობით), კახური „უსათოოდ“, ქართლსა და კახეთში ხმარებული „ვწვივარ“, „შაიკანა“, „მამწონს“, „აქვ“, „ღვა“, „იცვაფს“, „იფარამს“... ლიტერატურაში ხმარებულ ქართულ-კახურ „კახეთიდან“, „ქართლიდან“, „სოფლიდან“ ფორმათა ნაცვლად საბოლოოდ დამკვიდრდა „კახეთიდან“, „ქართლიდან“, „სოფლიდან“. აგრეთვე „ჩემთვინ“, „აქამდისინ“, „მამლი ყვილი“ და მრავალი სხვა ამგვარი უდავოდ არალიტერატურულია.

უკლასო სოციალისტური საზოგადოების შექმნა, სოფელსა და ქალაქს შორის წინააღმდეგობის მოშლა, სოციალისტური კულტურის ძლიერების წინსვლა შინაგანი აუცილებლობით იწვევს ქართულ სალიტერატურო ენაში ქართული დიალექტების სავანძურის კრიტიკულად გადამუშავება-ათვისებასთან ერთად უჩვეულო ზრდას სალიტერატურო ქართულის გავლენისას დიალექტებზე, რაც საბოლოო პერსპექტივაში მოგვცემს დიალექტების მოხსნასა და სალიტერატურო ქართულის ერთიანი სახის განმტკიცებას.

ყოველივე იმის საფუძველზე, რაც ზემოთ არის ნათქვამი, საერთოდ, ენისა და, კერძოდ, სალიტერატურო ენის შესახებ, ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დადგენისას დასაყრდენი უნდა იყოს შემდეგი დებულებები:

1. ქართული სალიტერატურო ენის ნორმების შემუშავების დროს მაქსიმალურად გამოყენებული უნდა იქნეს დამკვიდრებული ენა ქართული ლიტერატურის კლასიკოსებისა, არ უნდა შეიქმნეს ხელოვნური ნორმები, ცოცხალი ენისაგან დაშორებული.

2. გადასინჯავს არ მოითხოვს და უცვლელად უნდა დარჩეს ისეთი ლექსიკური, მორფოლოგიური თუ სინტაქსური მონაცემი, რომელიც სალიტერატურო

ქართულში მხოლოდ ერთი სახით გვხვდება, მაშინაც კი, როცა ის სავსებით უმართებულოა ქართული ენის გრამატიკული სისტემის თვალსაზრისით (დაღმა, აქაური (კაცი), იქაური (კაცი), ვდგავარ, ვზივარ). რასაც უყოყმანო სოციალური სანქცია აქვს, ის საკითხად ვერ იქცევა.

3. როცა სალიტერატურო ქართულში ორი ან მეტი მოცილე მორფოლოგიურ-სინტაქსური მოვლენა იჩენს თავს, საკითხი უნდა გადაწყდეს იმის სასარგებლოდ, რომელიც:

ა) უფრო გავრცელებულია კლასიკოსთა ენაში და ეფუძება ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ტენდენციას;

ბ) გამართლებულია ქართული ენის დღევანდელი გრამატიკული სისტემით, ესე იგი, გრამატიკულად კანონიერია და არ არღვევს ამ სისტემით ნაგულისხმევ თანამიმდევრობას;

გ) სხვა თანაბარ პირობებში წარმოების პრინციპის მიხედვით უფრო მარტივია და

დ) სხვა თანაბარ პირობებში მნიშვნელობის მიხედვით უფრო ნათელია.

შენიშვნა. იშვიათ შემთხვევაში, როცა ერთმანეთს მოცილებდნენ გამოდის ორი ან მეტი პარალელური ფორმა, რომლებიც თანაბრად კანონიერია გრამატიკული სისტემის თვალსაზრისით, მაგრამ ზმარების მიხედვით კლასიკოსების ენაში გადაჭრით არც ერთს არა აქვს უპირატესობა, შესაძლებელია ისინი დარჩნენ პარალელურად.

4. ორთოგრაფიული საკითხების მოგვარებისას სავალდებულოა დარჩეს ერთი ფორმა, ამ შემთხვევაში მოცილე მოვლენათგან უპირატესობა უნდა მიეცეს იმას, რომელიც:

ა) უფრო გავრცელებულია სალიტერატურო ქართულში;

ბ) გამართლებულია ეტიმოლოგიურად და მორფოლოგიურად;

გ) მისაღებია ქართული ენის ბუნებრივ კომპლექსთა თვალსაზრისით.

3 ბგერის შემონახვის, ჩართვისა და დაპატივის წესები

ქართული სალიტერატურო ენის ისტორიიდან სიტყვაში **ვ** ბგერის ჩართვისა და ფუძისეული **ვ**-ს დაკარგვის შემთხვევები იმთავითვე ცნობილია. მაგალითად, **ვ** ჩართული იყო სიტყვებში: **სარწმუნოება, უფარი—უფარისყოფა, შუვა...**, მაგრამ **ვ** ამოღებული იყო სიტყვებში: **ცხთარი, პოა, ითხარ და სხვა**.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ფუძისეული თუ ფორმანტისეული **ვ** ბგერის შენარჩუნებას სიტყვაში ან მის ამოღებას, ან კიდევ **ვ** ბგერის ჩართვას შემთხვევითი ხასიათი არა აქვს, მაგრამ მინც მყარი წესები ყოფილთვის არ არსებობს. თუ, ერთი მხრით, შეიმჩნევა მიდრეკილება—**წერა წარმოქმნის** მისდევდეს, მეორე მხრით, თავს იჩენს ტენდენცია ეტიმოლოგიურ და მორფოლოგიური პრინციპის დაცვისა. ამის გამოა, რომ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში გვხვდება შემთხვევები როგორც ვინიანი, ისე უვინო ფორმების, ხმარებისა (დაჯილდოება და დაჯილდოება, სადავო და სადაო, მოხევეური და მოხეური, აქტივობა და აქტიობა, მიზეზობრივობა და მიზეზობრიობა და ა. შ.).

ვ ბგერა სიტყვაში ან ფუძისეულია, ან აფიქსისეულია, ან კიდევ ფონეტიკურ ნიდაგზეა განვითარებული. ფუძისეული **ვ** არის შენარჩუნებული სიტყვაში **მიჯაჭვეულ-ი** (ამოსავალი ფუძეა **ჯაჭვ-** და აქედან გვაქვს **მიჯაჭვეულ-ი**); აფიქსის **ვ** ზმნის ფორმაში **ვ-ვარჯიშობ** მე; ფონეტიკურ ნიდაგზეა განვითარებული **ვ** სიტყვაში **მეტყვემ** (ამოსავალი ფუძეა **ტყმ**, აფიქსებია **მე-—ე**, **ვ** ფონეტიკურადაა განვითარებული ხმოვნებს შორის). **ვ** ბგერა როგორც ვითარდება ფონეტიკურ ნიდაგზე (მაგალითად: **დაუთოვება, გაქვავება, გახევება...**), ასევე იკარგვის ფონეტიკურ ნიდაგზე განსაკუთრებით წყვილბაგისმიერ ბგერათა წინ (მაგალითად: **ხეგ-ი, მაგრამ: ხეობა; მოხეგ-ე, მაგრამ: მოხეური; აქტივ-ი, მაგრამ: აქტიური** და სხვ.).

სიტყვაში **ვ** ბგერის შემონახვისა და ამოღების ან მისი ჩართვის წესებს დასაღვენად ამჟამად ერთი რომელიმე პრინციპის თანმიმდევრულად გატარება ძნელი ხდება. ძირითადი და მთავარია მინც ამა თუ იმ ფორმის ხმარებულობა, მისი გავრცელებულობა, მაგრამ შეძლებისდაგვარად ანგარიში უნდა გავწიოს სიტყვის მორფოლოგიურ აღნაგობასაც და ეტიმოლოგიურ მხარესაც.

თუ გავითვალისწინებთ სიტყვაში **ვ** ბგერის შემონახვისა და ამოღების, აგრეთვე მისი ჩართვის ყველა შემთხვევას, თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში უნდა გატარდეს შემდეგი წესები:

1. ფუძისეული **ვ** უნდა დაცულ იქნას

1. იმ ბოლოთანხმოვნიან სახელთა მიმართვის ფორმაში, რომელთა ფუძე **ვ** ბგერით ბოლოვდება.

თავ-ი—თავ-ო: „ჩემო თავო, ბედი არ გიწერია“ (აკაკი).

ერისთავ-ი—ერისთავ-ო

ვარსკვლავ-ი—ვარსკვლავ-ო

ნიავე-ი—ნიავე-ო: „ნიავეო, ჩემო ნიავეო, ნუ სჩაგრავ ტყეში
ოზობლს“ (ილია); „პაპანებაში ნიავეო ტრიალის მინდვრებისაო“ (გაჩ.); „გიჟო
ნიავეო, დააკე ერთ ადგილას!“ (ია ეკ.).

შავ-ი—შავ-ო

ბავშვ-ი—ბავშვ-ო

ვეფხვ-ი—ვეფხვ-ო

დათვ-ი—დათვ-ო

ღივ-ი—ღივ-ო

არაგვ-ი—არაგვ-ო: „ჩვენო არ ავეო! რარიგ მიყვარხარ!“ (ილია).

გარდა მარტივი აგებულების ფუძეებისა, აქ შემოვა ნაზმნარი სახელები
(მიმღობები), ნაწარმოებიანი მ-პრეფიქსით -ავ და -ევ სუფიქსიანი ზმნთა ფუძე-
ებისაგან: დამხატავ-ი (დამხატავ-ო), დამხარავ-ი (დამხარავ-ო), მბეჭდავ-ი
(მბეჭდავ-ო), მწვერავ-ი (მწვერავ-ო), მფრინავ-ი (მფრინავ-ო), მხარჯავ-ი
(მხარჯავ-ო), მსტინავ-ი (მსტინავ-ო: „მსტინავო ჩიტო, მსტინავო,
შენ უალერსე კაკოსა!“—ილია), მომქნევ-ი (მომქნევ-ო), გამარჯვ-ი (გამარჯვ-ო),
გამქცევ-ი (გამქცევ-ო), გამწვავ-ი (გამწვავ-ო), მხილავ-ი: გულთამხილავ-ი (გულ-
თამხილავ-ო: „გულთამხილავო, შენ უწყო, რაც დღეს საქართველოსა კირნი
მოაღებს!“—ნ. ბარ.).

აქვე შემოვა სა-პრეფიქსიანი მყოფადის მიმღობები ამავე ზმნებისა: სახეჭ-
დავ-ი (სახეჭდავ-ო), სახატავ-ი (სახატავ-ო), სახაზავ-ი (სახაზავ-ო), სახარავ-ი
(სახარავ-ო), საკლავ-ი (საკლავ-ო), ხარჩევ-ი (ხარჩევ-ო), საკლევ-ი (საკლევ-
ო), სამტვრევ-ი (სამტვრევ-ო), დასაძლევ-ი (დასაძლევ-ო).

ამათვე მიეკუთვნება აგრეთვე: მცურავ-ი, მხოხავ-ი, მგმინავ-ი, მერწევ-ი,
მერხვავ-ი, მერხევ-ი, მოძრავ-ი, მოკვდავ-ი და ა. შ.

სხვა მიმღობათაგან—ამავე სუფიქსიანი ზმნებისგან ნაწარმოები უარყოფი-
თი მიმღობები: დაუხატავ-ი, დაუხარავ-ი, მოუკლავ-ი... უღლავ-ი...

აქვე შემოვა სახელთა ფუძეებისაგან ნა-—ევ აფიქსებით ნაწარმოები სახელე-
ბი: ნაქმრევ-ი (ნაქმრევ-ო), ნაყმევ-ი (ნაყმევ-ო), ნაძლევ-ი (ნაძლევ-ო), ნა-
რძლევ-ი (ნარძლევ-ო), ნადეღამთილევ-ი (ნადეღამთილევ-ო), ნავენახევ-ი (ნა-
ვენახევ-ო); გეოგრაფიული სახელთაგან: ნადარბაზევ-ი, ნაჭარბაგევ-ი...

ევ-სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელები: ბოხლევ-ი, ბელლევ-ი, ვაშლევ-
ი... ავ-სუფიქსიანები: თელავ-ი, მანავ-ი...

2. იმ შემთხვევაში, როდესაც შემასმენლად წინადადებაში ავ- და ევ: სუ-
ფიქსიანი ზმნების I და II პირის ფორმებია აწმყო დროისა ან მყოფადისა და
მათ დერთვის სხვათა სიტყუას -ო ნაწილაკი.

გზარავ-ო, ვთხავ-ო, ხედავ-ო, დავხარავ-ო, დავთხავ-ო, შეხედავ-ო...
აძლევ-ო, შეუარავ-ო, ვავლანძლევ-ო, ავკრძალავ-ო, დავმალავ-ო, ვნაწავ-ო,
დავკარგავ-ო, შევირთავ-ო, დავფქვავ-ო, მოვრწყავ-ო, როშავ-ო, დავჩრქვავ-ო,
გავწირავ-ო, მოვხარშავ-ო, მოვხნავ-ო, დავხურავ-ო, ვვორავ-ო, ვტოკავ-ო,
ვბრუნავ-ო, დავწურავ-ო, შევაკრავ-ო, ვავათევ-ო, ვამოვიკვლევ-ო, დავღლევ-ო,
დავამხხვრევ-ო, დავამტვრევ-ო, შევამჩნევ-ო, დავარბევ-ო, დავარღვევ-ო, შე-
ვარხევ-ო, შევარჩევ-ო, შევამჩნევ-ო, შევახვევ-ო, მივაღწევ-ო...

ფიქარმან უთხრა: ჩქარი მქსოველი ვარო, დღევ ორს მოგქსოვო (ხაბა);
მან მხვეწილი უთხრა: ხსლხა ვთესავო (ხაბა).

უფრო ადრე კი სალიტერატურო ქართულში სუფიქსიანი ვ შეიძლება
და დაკარგულიყო: „ვითხრა ჩემი სამიზნეო, მე თუ ლხინთა რად დაველიო“
(„გვეტ.“, 105).

3. თანხმობების შორის, თუნდაც ფუძეს წყვილბაგისმიერი მგერით დაწყე-
ბული სუფიქსი მოსდევდეს: მიწვდომია, მოკვდომია, შეხვდომია... გვხვდობა, და-
მხვდური, დაღაზრობ, მხატვრული... ამოაძვრე, დააძვრე, გაძვრება... (მაგ-
რამ: ამოძრობა, ამოხაძრობი... ამოძრომა, შეძრომა, ხაძრომი)... წვრთნის...

ამ სავდრის კვლავი ძველი მხატვრობით იყო აქრებული (გ. წერ.);

მხატვრობაშიც უძველესი, ფანქარს კობტად ამოვიღებ (წ. მჭვ.);

კიოსკებსა და მალაზიებში დიდი რაოდენობითა... მხატვრული

ლიტერატურა („კომ.“);

იგი გატაცებულია პოლიტიკურ, მცენიერული, მხატვრული იდეებით (წ. ლორთქ.);

წყალში გაღვრილი და მხვდომებს (გ. ბარ.).

(მაგრამ მასთანვე გვხვდება: „დახოცილ წადირთ... სიმრავლე მიღწეი იყო, რომ
ყველა შემხდომს და დამხდომს უწილადეთ...“).

ყველა დამხვდური გაღვრილი უცებ („ახ. კომ.“);

მოსულები დამხვდურებს მივსალმეთ (გ. ბარ.);

თბილისის ვაჭლის ბაქანზე მრავალ დამხვდურს მოყვარა თაი („ღვთა“);

ქიშობა იყო მოსულთა და დამხვდურთა შორის (წ. ლომ.);

მოეგება მომავლსა, თავს უჩვენებს აწ დამხვდურთა (აკაკი).

(მაგრამ გვხვდება ასეც: „ეს ისეთი აღავია, რომ ერთი დამხვდური ოც მო-
მხდურსაც მოერევა“.—მ. ჯავახ.; „მომხდურს დამხდურს უნდოდა და
კუპატნელიც დაუხვდა“.—მ. ჯავახ.; „ქალაქიდან მომავლმა ორი დამხ-
დური შექრა“.—მ. ჯავახ.).

მორცხვობა ნიქის ღვინო შეიღო (გ. გრიშ.);

ხობლავა მარინეს სიბეჭით და მორცხვობა („კომ.“);

[მარესს] ვერ ახსნა თავისი სიწითლე და მორცხვობა (წ. არაგვ.);

მორცხვობით ერთი წაუბორილად ფეხი (წ. ლორთქ.).

(მაგრამ გვხვდება ასეც: „წინო ნაწილ წამომიღვა ფეხზე და წირფელს მო-
რცხვობით ხელი გამომიწოდა“.—ეკ. ჯავ.; „ღარეჭანს—უფრო გულნატკენად და
მორცხვობით ლუარსაბმა—ღარეჭანს თუ გიყვარდეს, ტურფეს ნუ მძებნი!“—
ილია).

მინდოდა ტახტს ქვეშ შეძრომა (წ. ლომ.);

სევა აბრუნდა საღმრთე შეძრომას (თ. რაზ.).

4. იმ შემთხვევაში, თუ ვ ბგერაზე ვათავებულ სახელის ფუძისაგან -ურ
სუფიქსით იწარმოება ზედსართავი სახელი; ანდა კიდევ, თუ ამავე სუფიქსით
ზედსართავი სახელი იწარმოება ისეთი ბალონზონიანი სახელის ფუძისაგან, რომ-
მელშიაც ბოლოკილურ ხმოვანს წინ ვ ბგერა უზის, ხოლო წარმოებისას ბოლო-
კილური ხმოვანი იკვეცება; აგრეთვე მიმღობის -ულ სუფიქსის წინ.

დათვ-ი—დათვურ-ი

ბავშვ-ი—ბავშვურ-ი

პირუტყვი-ბირუტყვი-ულ-ი (დისიმილატიონი)

ლიტვა-ლიტვა-ურ-ი

მორღვა-მორღვა-ულ-ი (დისიმილატიონი)

ჯაბჭი-მიაჯაბჭავს-მიჯაბჭვი-ულ-ი

ნახკვი-გაღანახკვავს, ჩანახკვავს-გაღანახკვი-ულ-ი, ჩანახკვი-ულ-ი

რაგვი-შემორაგვავს-შემორაგვი-ულ-ი

შენიშვნა 1. მიმღობებში ერთი ვ მანც ღაქარგულრს (იხ. წ. 24).

შენიშვნა 2. გამონაკლისია: მოკაკული.

სიყვარული ბავშვი ური გრძობას (გ. ნინ.).

ბავშვი ური სიყვარული დედას გამოთქმაში (შ. ლად.).

მაგრამ ასეც გვხვდებოდა: „ბავშვი ური სცენები სასახლეში სუყველას მოფ-
წონა, გარდა მოურავისა“.—აკაკი; „იმის ვაჟაკურს პირისახეს ბავშვი ური
სიხარული დაეტყო“.—ა. ყაზბ.; „ტკბილად, ბავშვი ური ძილით ეძინათ“.—
შ. არაგვი; „ვსთქვით, შეგვხვდა ქართული ბავშვი ური სიტყვა აჩუა.“—ილია¹.

ბირუტყვი ულ-ი შიშვა შენიშვნა (გ. ლომთ.).

ერქარობდი, დამეღწია თაფლი ამ ბირუტყვი ულ-ი ცხოვრებისათვის (დ. ბაქრ.).

ნუთუ ამ შაქრს ძილა—უძლიო ეს ბირუტყვი ულ-ი შიშვი? (გ. ლომთ.).

ჩემმა შვიკობარმა ზოჯარვემა და თვე ური სამსახური გამოწია (დ. ბაქრ.).

და თვე ური მოუღარავლომა მელაღდებოდა მის მიხვრამოხვრანი (კ. განს.).

ამისმა და თვე ური მის ყოფაქცევამ გზაზე ბევრი უსამოვნობა

გამოგვარონინა (გ. წერ.).

5. -ობ-ი სუფიქსის წინ, თუ ბოლოკიდური ვ-ს წინ თანხმოვანი უძღვის.

ბავშვი-ი—ბავშვობა

ბრიყვი-ი—ბრიყვობა

გულუხვი-ი—გულუხვობა

თავვი-ი—თავვობა

მორცხვი-ი—მორცხვობა

წინის ვალებმა განსაკუთრებით ძლიერია ბავშვი-ობა-ში („კომ.“).

მოგწყლი ბავშვი-ობის მიმდევრებს, ვიღამის (ა. მირც.).

ჭანის სისუსტე ბავშვი-ობის ვე-მინოთხა (გ. ნინ.).

(მაგრამ ასეც გვხვდებოდა: „ვუ ხომ მტკნარი ბავშვი-ობა მჭნებია“—ილია; „ბავშვი-
შობისას კი ხშირად მოსკლით ასეთი ვანწირული დიჭერი“—ი. წიწ.; „ერსაკ-
როგორც თერთოეულს ცალკე აღამიანს, თავისი ასაკები მჭნის; ბავშვი-ობა, ყრბო-
ბა, ქიბუკობა“.—ილია). (შდრ. აგრეთვე წ. 2 და წ. 4).

ერთმა უფრომმა თავუნამ იუჯადრისა თავგამმა (აკაკი).

6. -ოვან სუფიქსის წინ, თუ ბოლოკიდური ვ-ს წინ თანხმოვანი უძღვის.

ბეწვი-ი—ბეწვოვანი

ძარღვი-ი—ძარღვოვანი

შაგრაბი: რიცხვი-ი—მრავალრიცხოვანი

7. იმ შემთხვევაში, თუ ო ხმოვნის რელუქციის შედეგად მიღებული ვ არ
არის რომელიმე წყვილბავისმიერი ბგერის ახლო მეზობლობაში.

მაწონ-ი—მაწვნისა

მინღორ-ი—მინღვრისა

ნიორ-ი—ნივრისა

იორ-ი—ივრისა

8. უქონლობის უ—ო ან დანიშნულების ხა—ო აფიქსთა დარღვევა ვ-ზე
გათავებულ ფუძეთაგან ნაწარმოებ სახელებში ან ისეთ ბოლომხროვნებში
დან ამ აფიქსებით ნაწარმოებ სახელებში, რომლებშიც ბოლოკიდური ხმოვნის წინ
ვ თანხმოვანი უძღვის, ხოლო წარმოებისას ბოლოკიდური ხმოვნის იკვეცება.

თავი-ი—უ-თავ-ო

მწითელი-ი—უ-მწითელი-ო

ნავი-ი—უ-ნავ-ო

სახურავი-ი—უ-სახურავ-ო

სხივი-ი—უ-სხივი-ო

ბავშვი-ი—უ-ბავშვი-ო

დავა-ი—უ-დავ-ო

ინიციატივა—უ-ინიციატივა-ო

ქევა-ი—უ-ქევა-ო

სიტყვა-ი—უ-სიტყვა-ო

მაგრამ: უმოძრაო.

ასევე: ზავ-ი—სა-ზავ-ო, ვრისთავ-ი—სა-ვრისთავ-ო, ნათხაზ-ი—სა-ნათხა-
ზავ-ო, ბავშვი-ი—სა-ბავშვი-ო, ეჭვი-ი—სა-ეჭვი-ო, ღაღა—სა-ღაღავ-ო, აღრიცხვა—
სა-აღრიცხვა-ო...

მაგრამ: სახაკლაო, სახაფლაო, სამრეცხაო, საშატოო, საკაცაბრძო, სა-
ნადღეო.

ტაბრის უღავდა შემკვირვ არ მოსჩინდა (მ. ჯავახ.).

ყაბტი რომ ახსნობს, ეს უღავდა (ს. შთავ.).

საჭყთა სპორტსმენები წარმატებით გამოდიან საერაშორისო შეჯიბრებებში, არევენ-
ბენ საბჭოთა სპორტის უღავდა უპირატესობას (კომ.).

(მაგრამ გვხვდებოდა ასეც: „მჭაქური ჰენის განსაკუთრებული სიყველე ჩემთვის
უღავდა ხდებოდა.“—ს. შთავ.).

ამის წინათ მხროვნებ სავტელო ზირაბი მთავრენ (ს. შანს.).

თუ სავტელო ფარისული შემოქმედი, გეტყვდა ძილი (რ. ერ.).

სავტელო ფარისული ზარის გამოწევა (შ. არაგვი.).

მეტყველ სხომმა სავტელო ფარისული შემოქმედი (გ. ჯავახ.).

უნდა შეუღვიწიონ ბიბლიოთეკა სავტელოს სავტელო წიგნებისა

მოსავლის აღწებს ზერილოში მჭაქავებს სახავტელო ზავა (კომ.).

მისი მოთხრობები და თარგმანები მჭაქავებზე სავტელო

მჭაქავებში (გ. ჯავახ.).

¹ თუმცა არ არის გამოიცილებული, ამ შემთხვევაში ამოსაძალი ფუძე იყოს ბავშვი-ი: ბავშვი-
ბავშვი-ობა ფორმა იყო.

(მაგრამ ასეც გვხვდება: „და სათამაშო, საბავშო ბურთად არ მიმანჩია ეს ჩემი გული“. — აკაკი).

სადავო საქმის გამარჯვლად მან მოიწვია ღმერთია (ვაჟა).
ყოველივე სადავო საქმე ფერმებსა და მემამულეს შორის

დაუმორჩილა კანონს (ილია).
სადავო საგანი ათის თემის ღირებულებას არ აღემატება (ილია).

სადავო საქმეებზე საუბარი დაუშვებელი იყო (დ. კლდ.).
მრავალი კითხვა სადავოდ შეჩვენა (ნ. ლორთქ.).

მან ბევრი გააკეთა სადავო საქმითა გადაწყვეტისათვის („სახ. ვან.“).

(მაგრამ ასეც გვხვდება: „სადაოდ გამიხდის საქმეს“. — ილია; „შერმე მო-
იდეს სადაოდ თუნდა ოსმალის ჯარია“. — ვაჟა; „ბევრი სჯა-ბაასის შემდეგ სა-
დაოდ საგანი... გადაწყდა“. — ს. მგალ.).

9. მე-მ წ-ში დასახლებულ შემთხვევებში ოდნობითი ფორმების საწარ-
მოებლად მო-—ო აფიქსების დართვისას.

ბერავ-ი—მო-ბერავ-ო
შავ-ი—მო-შავ-ო
მშავე—მო-მშავ-ო

[არწივს] ტანი მო შავო ფერისა აქვს (ი. გოგ.).
შორს ცაში გამოჩნდა რაღაცა მო შავო გუნდი (ი. გოგ.).

10. ნამყო უსრულის -ოდ და მეორე კავშირებითის -ო სუფიქსის დართვი-
სას, თუ ვ ძირეულია და თანხმოვანს მოსდევს ან ვ სუფიქსისეულია და თან-
ხმოვნებს შორისაა მოქცეული:

იგვის—იგვოდა	დაიხეტყვა—დაიხეტყვოს
ილტვის—ილტვოდა	იელვა—იელვოს
იწვის—იწვოდა	იცეკვა—იცეკვოს
ეკვრის—ეკვროდა	გაკვირვა—გაკვირვოს
იძვრის—იძვროდა	დაიბრიყვა—დაიბრიყვოს
იღვწის—იღვწოდა	დაეიჭვა—დაეიჭვოს

მაგრამ:
ებრძვის—ებრძოდა
ესვრის—ესროდა
ეტყვის—ეტყოდა
უძღვხის—უძღლოდა

11. -ევ სუფიქსიანი ფუძედრეკად ზმნათა ნამყო ძირითადს მრავლობითი
რიცხვის III პირის ფორმებში, სადაც -ევ სუფიქსს -ივ ცვლის. სხვა პირებში
და მხოლოობითი რიცხვის მესამე პირშიც ვ დაკარგულია.

შეერია—შეერივნენ
შეესია—შეესივნენ
შეიერია—შეიერივნენ
დაეწია—დაეწივნენ
მოეხვია—მოეხვივნენ

-ევ სუფიქსიანი ზმნების ნამყო ძირითადში -ევ სუფიქსს -ივ ცვლის. ამ
სუფიქსის ვ ძველად შემონახული იყო, მაგალითად, დ. გურამიშვილთან და

ზოგჯერ XIX საუკუნის ზოგიერთ მწერალთანაც: დახევს—დახივა, დაღევს—
დაღივა და ა. შ. ღღევანდელ ქართულში ვ-ს საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტი-
ლია: იგი დაკარგულია და ერთადერთი ფორმები გვაქვს: დახია, დაღია, შე-
ძლია და მისთ.

12. ნამყო ძირითადის მხოლოობითი რიცხვის I და II პირის და მრავლო-
ბითი რიცხვის ყველა პირის ფორმებში იმ ზმნებში, რომლებიც თურმეობით
პირველში (კითხვაზე: რა უქნია?) ვ ბგერას წარმოგვიდგენენ ფუძეში.

ნამყო ძირითადში (წყვეტილში) თანამედროვე სალიტერატურო ქართულში
გვხვდება ბარალელური ფორმები: დავანჩრჩვე, დაანჩრჩვე, დავანჩრჩვეთ, დაანჩრ-
ჩვეთ, დაანჩრჩვეს, ერთი მხრით, და დავანჩრჩე, დაანჩრჩე, დავანჩრჩეთ, და-
ანჩრჩეთ, დაანჩრჩეს, მეორე მხრით; ასევე: შევატყვე და შევატყვე, დავაწყვე
და დავაწყვე და მისთ. იმ ტიპის ზმნათაგან ზოგიერთი თურმეობით I-ში ფუძეში
ვ-ს წარმოაჩენს, ზოგი კი არა. ამის კარგი მაგალითია ორი ზმნა: ვიწყებ და ვა-
წყობ. ვიწყებ—დავიწყებ—დამიწყია; ვაწყობ—დავაწყებ—დამიწყვია. თურმე-
ობით I-ში პირველმა არ წარმოგვიდგინა ვ ბგერა, მეორემ—კი.

ასეთივე მაგალითი იქნებოდა ვაცხებ და ვაცხობ: ვაცხებ, წავაცხებ და წა-
მიცხია; ვაცხობ, ვამოვაცხებ და ვამომიცხვია.

-ვმ სუფიქსიანი ზმნები აქ შესადარებლადაა მოყვანილი, თორემ ვ ბგერის
შენარჩუნებისა თუ ამოღების საკითხი, რა თქმა უნდა, ობ- სუფიქსიანი ზმნებს
ეხება:

ამის მიხედვით გვექნება:
ვაწყობ—დავაწყვი, დაწყვი, დავაწყვი, დაწყვი, დაწყვის—დამი-
წყვია;
ვატყობ—შევატყვე, შეატყვე, შევატყვეთ, შეატყვეთ, შეატყვეს—შემი-
ტყვია.
ვალტობ—დავალტვე, დაალტვე, დავალტვეთ, დაალტვეთ, დაალტვეს—
დამილტვია.

და ასე:
ვათრობ—დავათვრე (მეტათეზისით)—დამითვრია
ვალხობ—გავალხვე—გამილხვია
ვანჩობ—დავანჩრჩვე—დამიანჩრჩვია
ვასობ—დავასვე—დამისვია
ვაძობ—გავაძვრე (მეტათეზისით)—გამიძვრია
ვაცხობ—ვამოვაცხებ—გამომიცხვია
ვანღობ—მივანღვე—მიმინღვია
ვიღრძობ—ვიღრძვე—მიღრძვია

მაგრამ:
განვავარძობ—განვავარძვე—განმივარძვია
ვამკობ—შევამკე—შემიმკია (შდრ. ძვ. ქართ. შევამკვე)
ვაქრობ—წავაქრე—წამიქრია
ვაყრდნობ—დავაყრდნე—დამიყრდნია
ვაშრობ—გავაშრე—გამიშრია
ვაცხრობ—დავაცხრე—დამიცხრია
ვაფრთხობ—დავაფრთხე—დამიფრთხია

შენიშვნა. ამგვარი ზმნები სრულად ორთოგრაფიულ ლექსიკონშია აღრიცხული.

13. აღდგება -იერ სუფიქსით ნაწარმოებ სახელებში, განსაკუთრებით ზმნისართული მნიშვნელობით ნახმარ მიმართულებითი ბრუნვის ფორმებში:

მშვენიერი-იერი-მშვენი-იერ-ი: მშვენიერად; მაგიერი-მაგიერად, მაგრამ; ბედნიერი-ბედნიერად, წესიერი-წესიერად...

14. იმ ზმნების ფორმებში, რომლებშიც -ოვ ან -ავ სუფიქსი შედის სხვადასხვა გარემოების გამო.

პოვებს - მოიპოვებს, მოიპოვა, მოიპოვოს (მოვიპოვო, მოიპოვო); ათხოვებს-ათხოვა, ათხოვოს (ვათხოვო, ათხოვო); აგროვებს, აგროვა, აგროვოს (ვაგროვო, აგროვო); დატოვებს, დატოვა, დატოვოს (დავტოვო, დატოვო).

ამათ გვერდით, თუცა: **იმოძრავებს, იმოძრავა, მაგრამ; იმოძრაოს (ვიმოძრაო, იმოძრაო).**

ტანვარში პირველი ჯგუფის გუნდებს შორის პირველობა მოიპოვა

თბილისის გუნდმა (აკომ.).

ლმის დასასრულს პასევიზმა... ძალა მოიპოვა (მ. ჭავჭავაძე).

დათუნამ თვდაპირველად აზატობა უნდა მოიპოვოს (მ. ჭავჭავაძე).

მოიპოვეს გამარჯვება ანგარიშით 5 : 0 („ლელო“).

გარდამავალი დროში კომპლემენტუმა ბრტყელად მოიპოვა („ახ. კომ.“).

სიტყვაც არ მოიპოვება ამ აზრის გამოსახატავად (ილია).

(მაგრამ ასეც გვხვდება: „სხვა რამ ძალა მოიპოვებო და ამ აღმართში“.-

ი. ელფთა; „თუნდა რომ ათასში ერთი მოიპოვებოდეს კიდევ“-ილია).

15. -ავ და -ავ სუფიქსებიანი ზმნების კაუზატივების ფორმებში.

ბედავს-აბედვინებს

ხატავს-ახატვინებს

კლავს-აკვლევინებს

ზიდავს-აზიდვინებს

ხევს-ახევინებს

და ამგვარადვე: **არევინებს, აშლევინებს, ახენევინებს.**

16. ზმნათა ფორმებში: **აკვირვებს, აცეკვებს, ანახევებს, აქარვებს, აღელვებს, უჭირვებს...**

მაგრამ: **აბრწყინებს, აგორებს, აცურებს, ახურებს (ლუმენს), აბრუნებს (შდრ. ძველი: „ვა სოფელო, რაშიგან ხარ, რას გეაჭრუნებებ, რა ზნე გჭირსა?“-„ვეფხ.“, 951).** აგრეთვე მიმღეობებში: **გაბრწყინებულდი, საგულეებდდი, უგულეებდდი (უგულეებდდი).**

17. ცალკეულ სიტყვებში: **ვეფხვი (შდრ. გვარი ვეფხვაძე; მაგრამ; „ვეფხვის-ტყალსანი“); გველეშაპი, ვეფრატი, თვითონ, მღოვრე, მჭევრმეტყველი.**

მაგრამ: **თედორე, თითოეული, ისრამი...**

18. პირველი სუბიექტური პირის პრეფიქსი ვ- იმ ზმნებში, რომლებიც უ, ო, ვ ბგერებით იწყება, დაცულ უნდა იქნეს: **მე ვუთხარა, მოვუტანე, გავუგზავნე... მე დავობლდი, გავოცდი... მე ვვარჯიშობ, ვვარცხნი, ვვარდები, ვვითარდები, ვვარგვარ...**

როგორც ცნობილია, პირველი სუბიექტური პირის პრეფიქსი ვ- საობიექტო ქცევის უ- პრეფიქსის წინ ძველ ქართულში არ იწერებოდა და გარკვეული საუკუნეების ენაში პირველი და მეორე პირის ფორმები გარჩეული არ იყო (მეორე პირის ფორმაშიც მეორე სუბიექტური პირის პრეფიქსი ვ იკარგებოდა):

უბრძანე (მე მას), უბრძანე (შენ მას). დღევანდელ ქართულში ეს ფორმები გარჩეულია მიუხედავად იმისა, რომ მეორე სუბიექტური პირის პრეფიქსი ვ- არა გვაქვს; სამაგიეროდ, დაცულია პირველი პირის პრეფიქსი ვ-: **ვუბრძანე (მე მას), უბრძანე (შენ მას).**

პირველი სუბიექტური პირის პრეფიქსი ვ- დაკარგულია მხოლოდ ორ ფორმაში: **მოვალ მე და მოვადი მე.**

19. იმ შემთხვევაში, როდესაც ვ ბგერით დაწყებულ ზმნებს მრავლობითი რიცხვის I ობიექტური პირის ფორმაში გვ- პრეფიქსი დაერთვის, შენახულ უნდა იქნეს ორივე ვ, ფუძისეულიც და პრეფიქსისეულიც: **გავგვარდნია (ჩვენ ის ხელიდან), ჩავგვარდნია (ჩვენ ის ხელში), შეგვავატრებია (ჩვენ ის), შეგვავადრებია (ჩვენ ის), დავგვარდნია (ჩვენ თმა) და სხვ.**

2. მ რპარტვისი

20. იმ შემთხვევაში, თუ -ობა სუფიქსი დაერთვის ვ ბგერით გათავებულ ფუძეს და ამ ვ-ს წინ თანხმოვანი არ უძღვის, ასეთი შეიძლება იყოს **არსებითი** სახელებიც და, განსაკუთრებით, მიმღეობები, რომლებიც -ავ ან -ევ სუფიქსისაზრის ზმნებისაგანაა წარმოებული.

თავ-ი: თაობა (ახალი თაობა, ძველი თაობა).

ხევ-ი: ხეობა (დარიალის ხეობა, ქსნის ხეობა).

ბედშავ-ი: ბედშაობა; ბერავი: ბერაობა („პნახე ჩვენ ტეფშიაობას“-ილია).

ნათესავ-ი: ნათესაობა

გამბედავ-ი: გამბედაობა

სანახავ-ი: სანახაობა

საცოლავ-ი: საცოლაობა

უნახავ-ი: უნახაობა

შესახედავ-ი: შესახედაობა

ნარგავ-ი: ნარგაობა

ნარევ-ი: ნარეობა

ნაძალადევ-ი: ნაძალადეობა

პარასკევ-ი: პარასკეობა და ა. შ.

მაგრამ ვ დარჩება სიტყვებში: **ვრისთავობა (←ერისთავ-ი), მოურავობა (←მოურავ-ი).**

შენიშვნა. თუ ვ-ს წინ თანხმოვანი უძღვის, მაშინ ვ შემონახულია: **ბავშვ-ი-ბავშვობა (ამის შესახებ იხ. § 5).**

ასევე იკარგვის -ობა სუფიქსის დარგვისას ქართულ სიტყვებში: **ავ ფორმანტისეული ვ და ივ+ობა იქცევა ი-ობა-დ.**

კაცობრივ-ი: კაცობრიობა

საზოგადოებრივ-ი: საზოგადოებრიობა

ბუნებრივ-ი: ბუნებრიობა

კლასობრივ-ი: კლასობრიობა

მიწეობრივ-ი: მიწეობრიობა

წოდებრივ-ი: წოდებრიობა

მაგრამ ზოგჯერ ვ დაცულია: მრავალმხრივობა, მუდმივობა, ცალმხრივობა, ხანგრძლივობა.

იმ შემთხვევაში, თუ -ობა სუფიქსი დარტყვის იგი ბოლოკიდურიან უცხოურიდან ნასესხებ სიტყვებს, ვ დაცულია და გვექნება იგ+ობა: აქტივობა, ინტენსივობა, პასივობა, უნიციტივობა, უპერსპექტივობა...

21. იმ შემთხვევაში, თუ ვ ბგერით გათავებულ ფუძეს, რომელსაც წინ თანხმომავანი არ უძღვის, დარტყვის -ოსან სუფიქსი. თავ- ფუძისაგან გვაქვს თაოსანი (აქედან კიდევ თაოსნობა), პატივ- ფუძისაგან—პატიოსანი, ნავ- ფუძისაგან—ნაოსანი (აქედან შემდეგ ნაოსნობა), ვეფხისტყაოსანი (ამოსავალია ტყავ-ფუძე), შაოსანი („იდხან იტირეს ყმაძან და მან ქალმან შაოსანამან“: „ვეფხისტყ.“, 266; „წითელ-ყვითლითა დაგავდე, აწ შაოსანსა გხედაო“: „ვეფხისტყ.“, 1628. ამოსავალია შავ- ფუძე).

მაგრამ ვ შენარჩუნებულია გასხვივსნებულ-ში.

22. ფუძისეული ვ იკარგვის -ურ სუფიქსის დარტყვისას როგორც ქართულ, ისე ნასესხებ სიტყვებში იმ შემთხვევაში, თუ ვ-ს წინ თანხმომავანი არ უძღვის (თუ ვ-ს წინ თანხმომავანი უძღვის, მაშინ ვ- დაცულია: ბავშვ-ი—ბავშვ-ურ-ი. ამის შესახებ იხ. § 3).

ფშავ-ი : ფშაური

კავთისხევი-ი : კავთისხეური

მეჯვრისხევი-ი : მეჯვრისხეური

აქტივი-ი : აქტიური

პასივი-ი : პასიური

კოლექტივი-ი : კოლექტიური

ვ ასეთ პოზიციაში მაშინაც დაიკარგება, თუ იგი ფუძის ბოლოკიდური არ არის, მაგრამ უსწრებს ფუძის ბოლოკიდურ ხმოვანს, რომელიც იკვეცება: მოხვევ-მოხეური.

ამგვარსავე პოზიციაში ვ იკარგვის:

უ- პრეფიქსითა და -ურ სუფიქსით წარმოების შემთხვევაში -ურ სუფიქსის დარტყვისას: თავ-ი—უ-თა-ურ-ი.

მე- პრეფიქსითა და -ურ სუფიქსით წარმოების შემთხვევაში -ურ სუფიქსის დარტყვისას: თავ-ი—მე-თა-ურ-ი.

ხა- პრეფიქსითა და -ურ სუფიქსით წარმოების შემთხვევაში -ურ სუფიქსის დარტყვისას: თავ-ი—ხა-თა-ურ-ი.

ხი- პრეფიქსითა და -ო სუფიქსით წარმოების შემთხვევაში -ო სუფიქსის დარტყვისას: ხი-მხხ-ო.

ხა- პრეფიქსითა და -ო სუფიქსით წარმოების შემთხვევაში -ო სუფიქსის დარტყვისას: ხა-შატი-ო.

-ურ-ა სუფიქსით კინოზბითის წარმოებისას: მუავე—მუაუნა (მაშინაც კი, როცა ვ-ს წინ თანხმომავანი უსწრებს: დათვი-ი—დათუნა: „მელაკულამ ტაში დაჰკრა: ამფერ, ჩემო დათუნაო!“—აკაკი. ასეთივე მდგომარეობაა ნაკლებ გავრცელებული ურ-ა სუფიქსის დარტყვის შემთხვევაშიც: დათურა).

მაგრამ ზოგჯერ ასეთ პოზიციაში ვ შემონახულია: მოსკოვი-ი—მოსკოვი-ურ-ი, თავ-ი—თავ-ურ-ი (თავური დარტყმა. შდრ. ხა-თა-ურ-ი, მე-თა-ურ-ი, სადაც თავ- ფუძის ბოლოკიდური ვ ამგვარსავე პოზიციაში დაკარგულია).

ასევე: სლავ-ურ-ი, სტანანოვი-ურ-ი.

23. იმ შემთხვევაში, თუ ვ ო ხმოვნის რედუქციის შედეგადაა მიღებული და მოხვდა რომელიმე წყვილბაგისმიერი ბგერის ახლო მეზობლობაში.

ობოლ-ი : ობლისა (←ობელ-ისა)

დილომ-ი : დილმ-ისა (← დილემ-ისა)

კოჯორი : კოჯრ-ისა (←კოჯვრ-ისა)

(შდრ. § 7).

24. -ავ და -ევ სუფიქსებიანი ზმნებისაგან -ულ სუფიქსით ნამყო დროის ნებებით მიმღობის წარმოებისას ვ ყოველთვის იკარგვის:

ხატავ-ს : დახატული (← დახატული ← დახატული)

მალავ-ს : დამალული

პარავ-ს : მოპარული

ფარავ-ს : დაფარული

წაქცევ-ს : წაქცეული (← წაქცეული)

დახევ-ს : დახეული

აზღვევ-ს : დაზღვეული

არბევ-ს : დარბული

25. ბოლოკიდური ვ ყოველთვის ქრება ზმნებში -ოდ სუფიქსის დარტყვისას როგორც ნამყო უსრულსა და პირველ კავშირებითში, ისე მეორე თურმეობითსა და მესამე კავშირებითში (კითხვებზე: რას შერებოდა, რა მოსლიოდა? რას შერებოდა, რა მოსლიოდა? რა ექნა, რა მოსვლოდა? რა ექნას? რა მოსვლოდა?).

ყივის—ყოდა, ყიოდეს („ზახილი მესმა, შეგხედენ, მოყმე ამაყად ყიოდა“.— „ვეფხისტყ.“, 593).

ჩივის—ჩიოდა, ჩიოდეს („საწყალი მელა ჩიოდა: არ მომივიდა ძილია“.— ხალხური).

კივის—კიოდა, კიოდეს

ცივა—ციოდა, ციოდეს

წივის—წიოდა, წიოდეს

ზღავის—ზღაოდა, ზღაოდეს

კნავის—კნაოდა, კნაოდეს

ყვავის—ყვაოდა, ყვაოდეს

ჭყავის—ჭყაოდა, ჭყაოდეს

ერევა—ერეოდა, ერეოდეს

ერკვევა—ერკვეოდა, ერკვეოდეს

ერწვევა—ერწვეოდა, ერწვეოდეს

ეხევა—ეხეოდა, ეხეოდეს

იბწვევა—იბწეოდა, იბწეოდეს

ინგრევა—ინგრეოდა, ინგრეოდეს

ირწვევა—ირწეოდა, ირწეოდეს

სწვევია—სწვეოდა, სწვეოდეს

დასწვევია—დასწეოდა, დასწეოდეს

დახვევია—დახეოდა, დახეოდეს

დახვევია—დახვეოდა, დახვეოდეს

დაშკარგვია—დაშკარგოდა, დაშკარგოდეს

დართვია—დართოდა, დართოდეს

გაშპარგვია—გაშპარგოდა, გაშპარგოდეს

26. არ არის საჭირო ვ ჩაერთოს პირველი თურმეობის ფორმებში: გა-
უჭრია, გაუჭრია, გაუცნია, უგრძნია... (და არა: გაუჭრია, გაუჭრია, გა-
უცნია, უგრძნია...).

27. ორიოდე ზმნის შორის სემანტიკურ სხვაობას ვ-ც ამყარებს: შეიცვება
და შეცვება (აცვებს წყალს და აცვებს მას დღეგამოშვებით); შატებია და
და გაშატებია (აშატებებს დანაშაულს და აშატებებს მიწას).

3. ვ ბგერა დაერთვის ან ჩაერთვის

28. იმ შემთხვევაში, თუ ე ან ო ხმოვნით დაბოლოებული ფუძეებისგან
მე-—ე, სა-—ე აფიქსებიდან ნაწარმოები სახელი, ფუძისეულ და სუფიქსის ხმოვ-
ნებს შორის ვ ჩაერთვის და იგი რჩება,

- ტყე—მე-ტყე-ვ-ე
- რძე—მე-რძე-ვ-ე
- ეწო—მე-ეწო-ვ-ე
- რძე—სა-რძე-ვ-ე
- ეწო—სა-ეწო-ვ-ე

უ ბოლოზმოენიანთაგან ნაწარმოებ სახელებს ვ არ ექნება: სოფლის სახე-
ლია კახეთში საბუე (სა-ბუ-ე).

29. ასევე, იმ შემთხვევაში, თუ ა ან ო ხმოვნით დაბოლოებული ფუძეებისაგან
სი-—ე პრეფიქს-სუფიქსითა ნაწარმოები სახელი, ფუძისეულ და სუფიქსის
ხმოვნებს შორის ვ ჩაერთვის და იგი რჩება.

- კობტა—სი-კობტა-ვ-ე
- ზრმა—სი-ზრმა-ვ-ე
- ხუფთა—სი-ხუფთა-ვ-ე
- ფართო—სი-ფართო-ვ-ე
- ვიწრო—სი-ვიწრო-ვ-ე
- ახლო—სი-ახლო-ვ-ე

უ ბოლოზმოენიანთაგან ნაწარმოებ სახელებზე ვ არ გვექნება: ყრუ—სი-
ყრუე, ცრუ—სიცრუე და არა: სიყრუე, სიცრუე.

შენიშვნა 1. ძველად ამ შემთხვევაშიც შეიძლება იყოს ვ-ც-ის ფაქტი „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემებშია ასახული. მაგალითად, პო-
ემის 1957 წლის გამოცემაში ერთ შემთხვევაში გვხვდება სიცრუე, მე-
ორე შემთხვევაში კი სიცრუე.

- ვა, საწუთრო, სი ც რ უ ე ი თ თ ვ ი სა ტ ა ნ ა ს ი დ რ ე 1213.
- ენახე რამე ეშაჟისა ს ი ც რ უ ე ე და სიბაღწეო. 118.
- ს ი ც რ უ ე და ო რ ბ ი რ ო ბ ა ი ვ ნ ე ბ ს ზ ო რ ც სა, მ ერ ჰ ე ს უ ლ სა. 789.
- რ ი თ ვ ა ნ თ ა ვ ი ა ს ი ც რ უ ე ყ ო ლ ის ა უ ბ ე ლ ბ ის ა,
- მ ე რ ა ლ გ ა ვ ი რ ო მ ო ყ ვ ა რ ე, მ ა უ მ ტ ი ც ე ს ი მ ო ბ ის ა. 790.

შენიშვნა 2. როდესაც ვამბობთ, უ ბოლოზმოენიანთაგან ნაწარმოებ
სახელებში ვ არ არის (სიცრუე), ძველად კი შესაძლებელია ყოფილი-
ყო (სიცრუე), ისიც უნდა დავსძინოთ, რომ, სიცრუე-სა და მსგავს
ფორმებში ვ არ ჩნდება, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეგვიძლია ვთქვათ,

სუფ ამოსავლად ცრუ- ფუძეს მივიჩნევდით; მაგრამ, თუ ამოსავლია არა
ცრუ- ფუძე, არამედ ცრუვ- ფუძე, მაშინ სიცრუე-ში ვ უნდა მივიჩნიოთ
დავარდულად, ასევე სიცრუე ფორმაში ვ გაჩენილად შეიძლება ჩავთვა-
ლოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამოსავლად ცრუ- ფუძე გვაქვს მი-
ჩნეული, მაგრამ, თუ ამოსავლად ცრუვ- ფუძეს მივიჩნევდით, მაშინ
სიცრუე ფორმაში ვ შემონახული აღმოჩნდებოდა. საჭმე ის არის, რომ
ლიტერატურულ მე, ყრუ, ცრუ და უ-ზე დაბოლოებულ ზოგ სხვა
ერთმანადაც სიტყვას ქართული ენის აღმოსავლურ დიალექტებში ზუვ-ი,
ყრუვ-ი, ცრუვ-ი და მისთ. სახეობები მოეპოვება.

30. სახელთა ფუძეებისაგან ზმნების წარმოებისას, ე. ი. ნასახელარ ზმნებში,
აგრეთვე ჩნდება ზოგ შემთხვევაში ვ.

თანზოვანზე დაბოლოებულ ფუძეთაგან ზმნების წარმოებისას ვ არასოდეს
არ ჩნდება: თეთრ-ი—ათეთრებს, ათეთრებდა, ათეთრებდეს, გაათეთრებს, გა-
ათეთრებდა, გაათეთრა, გაათეთროს, გაუთეთრებია, გაუთეთრებინა, გაუთეთრე-
ბინოს. ასევე ვნებითში: თეთრდება, გათეთრდა, გათეთრებულა და სხვ. ნაზმნარ
სახელებში: გათეთრება, გათეთრებული, განათეთრები, განათეთრებელი, გამთეთ-
რებელი.

ე-ზე დაბოლოებულ ფუძეთაგან ზმნების წარმოებისას ვ ჩნდება ყველა დროსა
და კილოში და რჩება ყველგან, გარდა მეორე კავშირებითისა (კითხვაზე: რა ქნას? რა
მოუვლდეს?): ხე—ახევეებს, ახევებდა, ახევებდეს, გაახევეებს, გაახევებდა, გა-
ახევა, გაუხევებია, გაუხევებინა, გაუხევებინოს, მაგრამ: რა ქნას? გაახევის.
ვნებითში ვ ყველგანაა: ხეგდება, ხეგდებოდა, ხეგდებოდეს, გახევედება, გა-
ხევედებოდა, გახევედა, გახევედეს, გახევებულა, გახევებულიყო, გახევებული-
ყოს. ნაზმნარ სახელებში: გახევება, გახევებული, განახევები, განახევებელი,
გახევებელი.

ა-ზე დაბოლოებულ ფუძეთაგან ზმნების წარმოებისას ვ არასოდეს არ ჩნდება
იმ შემთხვევაში, თუ წარმოებისას ბოლოკიდური ა მოკვეცა. ამ შემთხვევაში
ისეთივე სურათი გვაქვს, როგორც იყო თანზოვანზე დაბოლოებულ ფუძეთაგან
წარმოებისას: შეშა—აშეშებს, გააშეშებს, გააშეშა, გაუშეშებია; ვნებითში:
შეშდება, გაშეშდება, გაშეშდა, გაშეშებულა. ნაზმნარ სახელებში: გაშეშება,
გაშეშებული, გასაშეშებელი...

მაგრამ, თუ ა-ზე დაბოლოებულ ფუძეთაგან ზმნების წარმოებისას ბოლო-
კიდური ა არ მოკვეცა, მაშინ ისეთივე სურათი გვექნება, როგორც ე-ზე დაბო-
ლოებულ ფუძეთაგან ზმნების წარმოებისას გვექნება: ვ ყველა დროსა და კილო-
ში გაჩნდება, გარდა მეორე კავშირებითისა. მონა—იმონავებს, იმონავებდა, იმო-
ნავებდეს, დაიმონავებს, დაიმონავებდა, დაიმონავა, დაუიმონავებია, დაემო-
ნავებინა, დაემონავებინოს; მაგრამ მეორე კავშირებითში იქნება დაიმონაოს.

ვნებითში ვ აქვს ყველგანაა: მონავდება, მონავდებოდა, მონავდებოდეს,
დამონავდება, დამონავდებოდა, დამონავდა, დამონავდეს, დამონავებულა, და-
მონავებულიყო, დამონავებულიყოს.

ნაზმნარ სახელებში: დამონავება, დამონავებული, დანამონავები, დასა-
მონავებელი, დამამონავებელი.

შდრ. ამავე ფუძისაგან ბოლოკიდური ა-ს მოკვეცი თ წარმოები ფორმები
ზმნისა: იმონებს, დაიმონებს, დაიმონა, დაუიმონებია, დამონდება, დამონდა,
დამონებულა და სხვ. ნაზმნარ სახელები: დამონება, დამონებული, დასამო-
ნებელი, დამამონებელი...

ო-ზე დაბოლოებულ ფუძეთაგან ზმნების წარმოებისას ვ ჩნდება მხოლოდ ნამყო ძირითადში (კითხვაზე: რა ქნა? რა მოუვიდა?): **ჯილდო—დააჯილდოვა** (მან), **დააჯილდოვე** (შენ), **დავაჯილდოვე** (მე); **დააჯილდოვეს** (მათ), **დააჯილდოვებთ** (თქვენ), **დავაჯილდოვებთ** (ჩვენ).

სხვა დრო-კალოებში ვ არ არის: **აჯილდოვებს**, **აჯილდოვებდა**, **აჯილდოვებდეს**, **დააჯილდოვებს**, **დააჯილდოვებდა**, **დააჯილდოვებდეს**, **დააჯილდოვებო**, **დააჯილდოვებინა**, **დააჯილდოვებინოს**.

ენებითში ვ ყველგანაა, გარდა მესამე სერიის ფორმებისა: **ჯილდოვდება**, **ჯილდოვდებოდა**, **ჯილდოვდებოდეს**, **დააჯილდოვდება**, **დააჯილდოვდებოდა**, **დააჯილდოვდებდეს**. მაგრამ მესამე სერიის ფორმებში გვაქვს: **დააჯილდოებულა**, **დააჯილდოებულაყო**, **დააჯილდოებულაყოს**.

ნაზმნარ სახელებში ვ არსად არ არის: **დააჯილდოება**, **დააჯილდოებული**, **დანააჯილდოები**, **დანააჯილდოებელი**, **დამაჯილდოებელი**.

უ-ზე დაბოლოებულ ფუძეთაგან ზმნების წარმოებისას ვ არც ერთ დროსა და კალოში არ ჩნდება: **ყრუ—აყრუებს**, **აყრუებდა**, **აყრუებდეს**, **დააყრუებს**, **დააყრუებდა**, **დააყრუა**, **დააყრუოს**, **დაუყრუებია**, **დაეყრუებინა**, **დაეყრუებინოს**.

ენებითებში ვ ყველგანაა, გარდა მესამე სერიის ფორმებისა: **ყრუვდება**, **ყრუვდებოდა**, **ყრუვდებოდეს**, **დაყრუვდება**, **დაყრუვდებოდა**, **დაყრუვდებდეს**. მაგრამ მესამე სერიის ფორმებში გვაქვს: **დაყრუებულა**, **დაყრუებულაყო**, **დაყრუებულაყოს**.

ნაზმნარ სახელებში ვ არსად არ არის: **დაყრუება**, **დაყრუებული**, **დანაყრუები**, **დანაყრუებელი**, **დამაყრუებელი**.

როგორც ვხვდეთ, ფუძისეული ან აფიქსისეული ვ უფრო ადვილად იკარგვის უ-ს წინ, ვიდრე ო-ს წინ. მაინც ერთგვარი ვითარება არ გვაქვს ერთგვარ პოზიციასშიც კი: ერთ შემთხვევაში ვ რომ იკარგვის, მეორე შემთხვევაში მსგავს პოზიციასში ვ შენარჩუნებულია. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა ხნოვანების წარმოებასთან გვაქვს საქმე. რაც უფრო ძველაა წარმოება, მით უფრო ხშირია ვ-ს დაკარგვის შემთხვევები; რაც უფრო ახალია წარმოება, მით უფრო ერიდება ენა ფუძის დაზიანებას ფუძისეულა ვ-ს დაკარგვის შედეგად და ა. შ. სიჭრელე იმითაა გამოწვეული, რომ სხვადასხვი ეპოქის მასალასთან გვაქვს საქმე.

აქ წარმოდგენილია ყველაზე ძირითადი შემთხვევები. ვ-ს შენარჩუნების, დაკარგვისა და ჩართვის ყველა შემთხვევის აღწესება ორთოგრაფიული ლექსიკონის საქმეა და მასშია კიდევაც გათვალისწინებული.

იოს შემხვერ კუსელ დე კუსელის გზით შემოსულ სიყვანათუ კარმოსევა ქაკთაქლი

იოს შემხვერ კუსელ დე კუსელის გზით შემოსულ უცხო სიტყვებში იოს სხვადასხვაგვარი წარმოსახვისაა. სიტყვის დასაწყისში და ხმოვნის შემდეგ ის არის დიფთონგი (მაგალითად: Юрий; Ювенал), მაგრამ სიტყვის შიგნით თუ ბოლოს იოს სხვა დანიშნულება აქვს: ესაა ხმოვანი ყ, რომლის წინა თანხმოვანი რბილია (Любимов, Тютчев), ე. ი. იოს თანხმოვნის სირბილეს აღნიშნავს ყ ხმოვნის წინ. გარდა ამისა კუსელში იოს იხმარება ფრანგულიდან და გერმანულიდან მომდინარე სიტყვებში, რომლებშიც ვიწრო ყ გვაქვს (Гюго, Мюллер), და სიტყვის დასაწყისში ან ხმოვნის შემდეგ, როცა უცხოურ ენებში ყუ გვაქვს (ювелир, юнкер, юриспруденция, каюта).

ძველ ქართულში ბერძნულიდან მომდინარე სიტყვები, რომლებშიც მსგავსი ბგერა (ბერძნული ყ) გეკონდა, ჯ-თი იწერებოდა: ჯპატოსი, სჯემონი, სჯნდისი და სხვა. შემდეგომ, როდესაც ბერძნულში ამ ბგერის გამოთქმა იოს დაუახლოვდა, ამ ფაქტმა ქართულშიც პოვა გამოძახილი და მივიღეთ: სიმონი, სინდისი და სხვ. მაგრამ რიგ სიტყვაში ვი დამკვიდრდა: კვიპაროსი, კვიპროსი, კვირიკე და სხვ.

თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში ზუსტად და კუსელის გზით შემოსულ უცხოურ სიტყვებში რიგ შემთხვევაში იოს უ-თია ვადმოცემული: დუიმი, დუჟინი, კაფსული (капсула и капсуль), ბროშურა, პარაშუტი. რიგ შემთხვევაში უ-თიც და იუ-თიც ერთდროულად (შიუგო და შუგო, სიუჟეტი და სუჟეტი, რიუკზაკი და რუკზაკი, კოსტიუმი და კოსტუმი), ხოლო უმეტეს წილად იუ-თი (ბიულეტენი, ბიუჟეტი, ბიურო, ბიუსტი, ეტაუდი, რეზიუმე). ზოგჯერ უ-თია ვადმოცემული (თუმცა არაიშვიათად გვხვდება იუ-თიც) ის ორიოდ სიტყვა, რომლებიც კუსელში ტიურა-ზე ბოლოვდება: ავანტურა (რუს. авантюра), ავანტურისტი (რუს. авантюрист), მინიატურა (миниатюра), უვერტურა (увертюра), როგორც ჩანს, ტურა-ზე დაბოლოებულ სიტყვათა ანალოგიით: აბრევიატურა (аббревиатура), აგენტურა (агентура), კლავიატურა (клавиатура), კრეატურა (креатура)... უ-თი ვადმოდის ზოგჯერ ინგლისურიდან მომდინარე ტრედუნიონიზმი (რუს. тред-юнионизм), აგრეთვე ნატურმორტი (натюрморт) ნატურის ანალოგიურად.

იოს სიტყვის დასაწყისში

იუველირი, იუბიდე, იუბილარი, „იუბკა“ („დახულებიდან გამოჩნდა ერთი რაღაც დამბალი საბნის ნაგლეჯი, კაბის ქვეშა გარშემო ჩამოკიდებული, შითომ და იუბკაა. აი, მგზი კი დავეცა! ამასაც კი სდომებია იუბკა!“—ილია), იუნგა, იუნკერი, იურისტი, იურტა, იუსტიცია, იურისპრუდენცია, იურისკონსულტი, იუპიტერი.

19 ხმოვნის შემდეგ

კაიუტა.

20 თანხმოვნის შემდეგ

ვებტიბიული, გრავიურა, დებიუტი, ბიუსტი, ბიურა, ბიუროკრატია, ბი-
ულეტიანი, ბიუჯეტი, რეზიუმე, მანიკიური, მენიუ, პიურე, ბრიუნეტი, სიუ-
შეტი, სიუტი, სიურპრიზი, კოსტიუმი, ეტიუდი, პარფიუმერია, ბიურგერი, ბი-
უვარი, ნიუანსი, სანკიულოტი, რიუკზაკი, უიური.

20 გამყოფი ზ-ს შემდეგ

ადიუტანტი, კონიუნქტივი, კონიუნქტურა, კონიექტურა.

20 უცხოურ და რუსულ გვარებსა და სახელებში
სიტყვის დასაწყისში და თანხმოვნის შემდეგ

იუშმანოვი, იუსუბოვი, იუვენალი, იუდენიჩი, იუჟინი, იუსტი, იულიოს
კეისარი, იულია, იუში, იუნონა, იურა (მსახიობი), იუსტინიანე, დიურინგი,
ბრიულოვი, ბიულოვი, ბრიუხოვი, ბირიუკოვი, რიურიკი, რიურიკოვი. ვორი-
უნოვი, ტიუტჩევი, შიუბშმანი, ტიუდორი, შიუგო, გიულდენშტადტი, ბირიუ-
ნეტიერი, დიუბუა, დიუკლო, დიუმა, ფოლოი-კიური, ფიულ ვერნი, შიულერი,
სობიური, სტიუარტი.

20 გამყოფი ზ-ს შემდეგ

ნიუტონი.

20 გეოგრაფიულ სახელებში

იუკონი, იუგოსლავია, იუტლანდია, აქტიუბინსკი, ვიურცხურგი, ვიურ-
ტემბერგი, დიუხედლორფი, ვილნიუსი, ციურიხი, ბრაუნსელე, შიუნენი, მა-
რიუბოფი, ნიურნბერგი, ტიურიჩი.

20 გამყოფი ზ-ს შემდეგ

ნიუ-იორკი, ნიუფაუნდლენდი.

საილუსტრაციო მაგალითები

20-იუ

საიუბილეო თარიღისათვის განზრახულია გამოცემის ცნობაზე (კომ.).
შემდეგ მივიღებ ადიუტანტთან (კომ.).
38 ბიულეტენი ცნობილია გაუქმებულად (კომ.).
რაიონის ბიუროს სხდომა (კომ.).
საბჭოთა პრესის მიზობილის ბიულეტენები (კომ.).
გაველდეს ბრინჯაოს ბიულეტენი (კომ.).
ორი ბიულეტენი—განვითარების ორი პერსპექტივა (კომ.).
უნგრეთის რესპუბლიკის ახალი ბიულეტენი (კომ.).
ნაწარმოების სიუჟეტი ულფა-ცხოვრების ფონზე იშლება (ლიტ. და ხელ.).
იუსტიციის სამინისტრო (კომ.).
სამხედრო ავანტიურა (სახ. განათლება).

იმპერიალიზმის ავანტიურის ტული პოლიტიკა (კომ.).
საკონკურსო ეიურტი (კომ.).
ეს დეპიუტი წარმატებით დამთავრდა (ლიტ. და ხელ.).
პოლიტექნიკური ინსტიტუტის ექსტინქციონი (კომ.).
მუშის კონტრაქტი ღირდა 100 მილიონად (კომ.).
მის გვეა ძვირფასი ყაყისფერი კონტრაქტი (ლიტ. და ხელ.).
ნიუანსებით მდიდარი ხმა აქვს (ლიტ. და ხელ.).

გეოგრაფიულ სახელებში

ბრიუსელის კომუნისტური კომიტეტი (კომ.).
დიუსელდორფში დახურეს კომუნისტური გაზეთი (კომ.).
წითელი არმია კიუსტრინთან იღვა (კომ.).
ნიურნბერგის ყველა საწარმო გაფიცვის გამოაგზავნეს (კომ.).
მთავრობის ნაწილი და უმალესი სარდლობა უნდა მოთავსებულიყვნენ
ტიურიჩიში (კომ.).

20-იუ

ამ ბროშურას წამმდგარებელი ჰქონდა (სახ. გან.).
ეს შინაი ტურები ეგება როგორც ისტორიულ, ისე თანამედროვე
თემებს (ლიტ. და ხელ.).

რაც შეეხება რუსულ გვარებსა და გეოგრაფიულ სახელებს, რომლებშიც
20 თანხმოვანს მოსდევს, მათი გადმოცემისას მერყეობს აქვს ადგილი: გზვდვ-
ბა, ვრთი მხრით, ი-ს იუ-თი გადმოცემის შემთხვევებო, ხოლო, მეორე მხრით,
ი-ს უ-თი გადმოცემის შემთხვევებო. ამ შემთხვევებო გარკვეულ ვაგლენა მო-
ახდინა უთუოდ ევროპული ენებიდან მომდინარე სუ ჩვეულის შემცველ სიტყვათა
ქართულად გადმოცემის დამკვიდრებულმა წესმა. ჩელუსკინი გავრცელებული
ფორმა, მაგრამ პარალელურად გვხვდება დობროლიუბოვი და დობროდუბოვი,
ბოგოდუბოვი და ბოგოდუბოვი, დიუბიმიოვი და დუბიმიოვი.

თუ მდებარე სალიტერატურო ქართულში ყველა შემთხვევაში უნდა გატარ-
დეს ი-ს შემცველი რუსული და რუსულის გზით შემოსული სიტყვების გადმო-
ცემის შემდეგი წესი:

20 ქართულში ყველგან (სიტყვის დასაწყისში, ხმოვნის შემდეგ, გამყოფი
ზ-ს და ზ-ს შემდეგ, თანხმოვნის შემდეგ) გადმოიცეს იუ ჩვეუთი (მათ შორის იმ
სიტყვებშიც, რომლებიც რუსულში ТИРА-ზე ბოლოვდებიან: ავანტიურა, შინა-
ტიურა, უვერტიურა...).

გამონაკლისის წესით 20 გადმოიცეს უ-თი რამდენიმე სიტყვაში, რომლებშიც
ი-ს უ-თი გადმოცემა დამკვიდრებულია თანამედროვე სალიტერატურო ქართულში
(ბრიუსურა, პარაშუტი, კაფსული, ტრედუნიონიზმი, დუჟენი, დუჟი, რუჟკა).
ამასთანავე აღინიშნოს, რომ უკანასკნელი სამი სიტყვა აქტუალური მნიშვნელო-
ბისა აღარ არის სალიტერატურო ენისათვის (დუჟენი და დუჟი ხმარებიდან
გავიდა, ხოლო რუჟკა სალიტერატურო ენის კუთვნილება არასოდეს ყოფილა).

რაც შეეხება რუსულ გვარებსა და გეოგრაფიულ სახელებს, რომლებშიც
20-ს წინ 20 თანხმოვანია, ეს შემთხვევებიც უნდა საერთო წესს დავუქვემდებაროთ
და დიუ ჩვეუთი გადმოცეთ. ამის მიხედვით გვექნება:

დიუბაგინი (რუსი ქიმიკოსი), დიუბავკი (ისტორიკოსი), დიუბარკი
(მეტალურგი), დიუბიშენკო (ბოტანიკოსი), დიუბიკოვი (მუსიკოსი), დიუბიმი-
ოვი (ისტორიკოსი), დიუბლინი, დიუცზიანი (მღინ.), მილიუტინი, ჩელი-
უსკინი.

ჩ-ს შემთხვევად ჩასულ და ჩასულის გზით შემოსულ სიძველეთა გარეშობა
ქართულში

ცნობილია, რომ რუსული სიტყვები ქართულში შემოდის ორი გზით: ზეპირად და წერილობით. ცნობილია ისიც, რომ ის სიტყვები, რომლებშიც ჩაგვრეა, ზეპირი გზით არასალიტერატურო მეტყველებაში გადმოვიდა ჩა-ს სახით: барышня—ბარიშნა, княгиня—კნენა, Соня—სონა, песня—პესნა და სხვა, მაგრამ იქვე გვხვდება ჩა-თი გადმოცემის შემთხვევებიც: князь—კნაზი, князь—ბიაზი. იმ შემთხვევაში, როცა სიტყვები ლიტერატურული გზით შემოდის, ქართულში ის გვაქვს: ბარიატინსკი (Барятинский), მაგრამ ბარატინსკი (Баратынский), ტიან-შანი და სხვა.

გადმოღობის წესი აქაც იმნაირივეა, როგორც ჩა-ს გადმოღობის შემთხვევაში. 1) თუ ჩ სიტყვის დასაწყისში ან ხმოვნის შემდეგ, გადმოღობის ია-თი: იაროსლავსკი, იაროსლავლი, იაროვია, მიაკოვსკი. 2) თუ ჩ-ს თანხმოვანი უსწრებს წინ, მაშინაც ის გვაქვს: ბარიატინსკი, ვიატკა, ვიაზემსკი. 3) ის გვაქვს იმ შემთხვევაშიც, როცა თანხმოვანსა და ჩ-ს შორის გამყოფი რბილი ნიშანია: კონიაკი, სტატია (რუს. коньяк, статья).

ჩ სიტყვის დასაწყისში და ხმოვნის შემდეგ

იაროსლავსკი, იავა, იალტა, იაპონია, იამაია, იაროსლავლი, იასი, იავა, იარმარკა, იარუსი, იაკობინელი, იამბი, იან (სახელი: იან შუსი), იანკი, იანსენიზმი, იანუსი, იანიჩარი, იარლიყი, იაბლონოვსკი, იაბლოჩკინა, იავოროვი, იაზიკოვი, იაკოვლევი, იაკოვენკო, იაკუბოვიჩი, იანოვსკი, იანსოვი, იანინსკი, იანონტოვი, ბოსიაკი, მიაკოვსკი, ბიანი, კრასნოიარსკი, ლოიალური, როიალი, როიალისტი, იაკუტია, იაკუტსკი, იან-ცზი, იაროსლავი, იანნაია პოლიანა.

ჩ თანხმოვნის შემდეგ

ვიშნიაკოვი, ვიატკინი, კუდრიავცევი, სვიატოსლავი, შიასოედოვი, პრიპიატი, შიასკოვსკი, რუმინცევი, პოშიალოვსკი, კუდრიაშოვი, ვიაზემსკი, ბუტრიატ-მონგოლეთი, ვიაშმა, პიატიგორსკი, ვიატკა, რიაუსკი, ტიან-შანი, რუმინცევი, ვიაჩესლავი, ბარიატინსკი, ბრიანსკი, რიაშანი.

ჩ გამყოფი რბილი ნიშნის შემდეგ

პასიანსი, ამუ-დარია, ტრეტიაკოვი, ტოლიატი, სირ-დარია, კონიაკი, სტატია.

რაც შეეხება რუსულ გვარებსა და გეოგრაფიულ სახელებს, რომლებშიც ჩ თანხმოვანს მოსდევს, ესენიც ჩვეულებრივ ლია ჩგუფით არიან გადმოცემული:

ლიაოდუნის ნახევარკუნძული, კლიაშმა, ჩელიაბინსკი, ლებედევ-პოლიანსკი, ალიაბიევი, ბელაიევი, ლიადოვი, ლიაპუნოვი („დასახელებულ შრომაში განხილულია ის შემთხვევა, როცა ბრტყელი დრეკადი არე შემოსაზღვრულია ლიაპუნოვის შეკრული წრიოთა.—„აკადემიის მოამბე“), კოტლიარევსკი, მალიაგინი, შალიაპინი, ლიაპიდევსკი, ლიატოშინსკი, კლიაზოვი, ლიაშჩენკო, ლიაშკო, პოლიაკოვი, ლიაპინი (მდინარე რუსეთში), ლიაოხე (მდინ.), ლიაოიანი (ქალაქი).

გამყოფი ი-ს (რბილი ნიშნის) შემდეგ

ულიანოვი.

უცხოურიდან მომდინარე სიტყვებში

ბილაარდი, ბრილიანტი.

ზემოთქმულს თანახმად თანამედროვე სალიტერატურო ქართულში უნდა გატარდეს ჩ-ს შემცველა რუსული და რუსულის გზით შემოსული სიტყვების გადმოცემის შემდეგი წესი:

ჩ ქართულში ყველგან (სიტყვის დასაწყისში, ხმოვნის შემდეგ, გამყოფი ი-ს (რბილი ნიშნის) შემდეგ, თანხმოვნის შემდეგ)—გადმოიცეს ია-თი.

ამავე წესს დაექვემდებაროს რუსული გვარები და გეოგრაფიული სახელები (აგრეთვე რუსულის გზით შემოსული ჩინური გვარები და გეოგრაფიული სახელები) და ჩაგუფი ყველგან გადმოიცეს ქართულში ლია ჩგუფით.

ბ-ს შემთხვევად ჩასვდა და ჩასვლის გზით შემოსულ სიტყვებთან პარამეტრები
პარტიკული

1. სლიტერატურო რუსულ ენაში ბ ნიშანს დაკისრებული აქვს გამოხატვის მახვილიანი ო სხვადასხვა მდგომარეობაში, ე. ი. სხვადასხვა ბგერითს გარემოცვაში: სიტყვის თავიდან დასრულებით დასრულებით დასრულებით ო ხმოვანს, რომელსაც წინ უძღვის მჟღერი სპირანტი j (დაახლოებით ქართ. ჯ); მაგ.: ёлка, ёж და სხვ. ასეთივე ბგერითი მნიშვნელობა აქვს ბ ნიშანს წინდებულის შემდეგ—აგრეთვე მახვილიან მდგომარეობაში; მაგ.: подъём, приём და სხვა.

2. სიტყვის შიგნით ბ გამოხატავს მახვილიან ო ხმოვანს, რომლის წინა თანხმოვანი რბილია (პალატალურია) ან დარბილებული (გაპალატალებული); მაგ.: чёрный, щёлка და სხვა; ან: ребёнок, Будённый, Ковалёв, Гринёв და სხვა.

3. აღსანიშნავია აგრეთვე სიტყვის შიგნით ბ, რომელიც გამოხატავს მახვილიან ო ხმოვანს, მაგრამ არ მიუთითებს არც რბილსა და არც დარბილებულ წინა თანხმოვანზე; ასეთია ჯ და შ თანხმოვნების მომდევნო ბ: шёлк (= шолк), жёнушка (= жонუшка) და სხვა. ასეთი დაწერილობა შენარჩუნებულია იმ დროიდან, როცა ჯ და შ რბილი თანხმოვნები იყო, ახლა კი მათ დარბილებაც არ შეუძლიათ (ან შეუძლიათ იშვიათად).

4. ზემოჩამოთვლილი ბგერითი მნიშვნელობები მიიღო ძველმა მახვილიანმა ბ ხმოვანმა რუსული მწერლობის პირველ ხანებში (დაახლოებით XI—XII საუკუნეებში) მაგარი თანხმოვნების წინ. დღევანდელ სლიტერატურო რუსულშიც საერთოდ მოქმედებს იგივე წესი: მახვილიანი e მაგარი თანხმოვნის წინ წარმოითქმის როგორც ბ (იგულისხმება ზემოაღნიშნული მისი ბგერითი მნიშვნელობანი). ამ წესიდან გამონაკლისები აიხსნება ანალოგიის საშუალებით (მაგ.: несе́те არის несе́м-ის ზეგავლენით მიღებული).

5. რუსულიდან ქართულში გადმოტანილი ბ-ს შემცველი სიტყვები უმთავრესად გვარები და საკუთარი სახელებია (Де́мин, Гринёв, Будённый, Аксе́нов, Могилёв, Ковалёв, Лёва და მრავალი სხვა). რუსული წარმოშობის საზოგადო სიტყვათაგან სასაუბრო მეტყველებაში გვხვდება „ტოტა“ (тётя) და „იოჟიკი“ ёжик—თმის კრეჭის ერთ-ერთი სახე). სამაგიეროდ ძალიან ბევრია ქართულში გვრთბული (უმთავრესად ფრანგული) სიტყვები, რომლებიც რუსული ენის გზით შემოსულა ჩვენში: жонглёр (ფრანგ. jongleur), монте́р (ფრანგ. monteur), антрепрене́р (ფრანგ. entrepreneur), режиссе́р (ფრანგ. régisseur), партне́р (ფრანგ. partenaire).

6. ქართულში ბ-ს გადმოღება სხვადასხვაგვარად ხდებოდა იმის მიხედვით, მხოლოდ სმენითაა გადმოღებული (როგორც ტოტა, იოჟიკი, რეჟისორი), თუ მწიგნობრული გზით (გრაფიკის ზეგავლენით), როგორც მონტიორი, კოვალიოვი, გრინიოვი და სხვა.

7. ბ-ს გადმოღება ყოველთვის ერთი და იმავე ნიშნით ძნელია, ვინაიდან მას სხვადასხვა ბგერითი მნიშვნელობა აქვს და ასეთი რამ დაარღვევს ქართულში მართლწერის შედარებით სიმარტივეს.

უფრო რთული მდგომარეობაა, როცა სიტყვის შიგნით ბ მოსდევს ისეთ თანხმოვნებს, რომელთაც რუსულში ორი ვარიანტი აქვთ (რბილი და მაგარი); ქართულ თანხმოვნებს კი ასეთი თვისება არა აქვთ. ასეთ პირობებში შესაძლებელია ორგვარი გამოსავალი:

1. იწერებოდეს იო, 2. იწერებოდეს მხოლოდ ო.

ამ ორი შესაძლებლობიდან თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში უნდა გამოყენებულ იქნეს პირველი.

რუსული. ან რუსულის გზით შემოსული სიტყვების ბ ქართულში გადმოიციეს იო კომპლექსით, მაგრამ ზოგიერთი თანხმოვნის შემდეგ (როგორცაა: ж, ш, ч) იგი გადმოიციეს მხოლოდ ო-თი; სახელდობრ: жё—იო, шёл—შო, чёл—ჩო, რადგანაც ამ უკანასკნელთ რუსულში აქვთ მხოლოდ თითო ვარიანტი, ж, ш-ს—მაგარი, ч-ს—რბილი.

მაშასადამე, იქნება ასე:

1. Ёлков — იოლკოვი... Будённый — ბუდიონი, Ковалёв — კოვალიოვი, Гринёв — გრინიოვი... მონტიორი, პარტიორი, ვახტორიოვი, იმპორტიორი, კონტროლიორი, პოზიორი, რეზონიორი, გრავიორი, სუფლიორი...

შენიშვნა. ისეთი უკვე დაკვირებული სიტყვები, როგორცაა: რეჟისორი, ტუბერკულოზი, დარჩება ო-თი.

2. Жёлтая — ჟოლტაია (მდინარის სახელი), Чёрный — ჩორნი (გვარი), Шёлков — შოლკოვი (გვარი), Щёголев — შჩოგოლევი (გვარი), დირიჟორი, კომპიოვიორი და სხვ.

შეხვედრის შემთხვევად ახსნად და ახსნის გზით შემოსულ სიტყვათა
გადმოცემა პარათული

უმახვილო ი-ს რუსულში არა აქვს ერთგვარი წარმოთქმა. მიუხედავად ამისა მისი ქართულად გადმოცემის საკითხი უფრო მარტივია, ვიდრე მ-სი.

ჩვეულებრივ გავრცელებულია აზრი, თითქოს რუსული უმახვილო ი უდრის a-ს (ე. ი. თითქოს წარმოითქმებოდეს როგორც ა). მართლაც, რუსული ენის ძლიერი „აურობის“ შექონე დიალექტებში (მაგალითად, სამხრეთ ველიკორუსულში) ეს ასეა. მაგალითად: городской, хорошо, голова... წარმოითქმის ასე: городскои, харашо, галава... მაგრამ რუსულ სალიტერატურო ენაში უმახვილო ი წარმოითქმის a-დ მხოლოდ მახვილისწინა პირველ მარცვალში; დანარჩენ მარცვლებში კი უმახვილო ი არ წარმოითქმის საცხებით ერთნაირად, მაგრამ ის არ არის a და შეგვიძლია მივიღოთ ერთგვარ (რელუტირებულ) ხმოვნად, რომელიც საშუალოა a-სა და y-ს შორის (სახელდობრ ა, ქართ. გ).

ჩვენ რომ აუცილებლად გცნოთ ფონეტიკური გადმოცემა რუსული უმახვილო ი-სი და გადმოვიღოთ იგი ა-თი, ეს იქნება დიალექტის (სამხრეთ ველიკორუსულის) და არა ლიტერატურული ენის მიხედვით გადმოღება. მაგრამ, საქართოდ, ფონეტიკურად გადმოცემა არ იქნება მართებული, რადგანაც ამ შემთხვევაში ფონეტიკურადვე უნდა გადმოგვეღო სიტყვის ბოლოში ან ყრუ თანხმოვანთა წინ დაყრუებული თანხმოვნები (მაგალითად, ასე: ლერმანტაჟი, დასტაეჟსკი და სხვ.). გარდა იმისა, რომ ასეთი გადმოღება უმართებულოა, იგი არც შესაძლებელია, რადგანაც რელუტირებული ხმოვნისათვის ქართულ დამწერლობაში ნიშანი არ მოგვეპოვება, რადგანაც ასეთი ხმოვანი ქართულს არ აქვს.

ქართულში ამჟამად რუსული ენიდან შემოსული ი-ს შემცველი სიტყვები სხვადასხვაგვარი დაწერილობით გვხვდება. მაგალითად, ერთი მხრით, გვხვდება კამოდი, კამიკი, ლატარია, ხაღდათი..., ხოლო, მეორე მხრით, კომისია, მონეტა, ოდეკოლონი, ოფიცერი...

ხაღდათის ტიპის სიტყვები შემოსულია ქართულში მეტწილად ზებირი გზით, ხოლო კომისიის ტიპისა—მეტწილად წერილობითი გზით.

პირველი ტიპის სიტყვებისაგან ზოგიერთი ლიტერატურულ ენაშიცაა შემოსული წარმოთქმის თანახმად და დამკვიდრებულია ამავე სახით, ასეთი სიტყვების რიცხვი მცირეა. უფრო მრავალრიცხოვანია ისეთი სიტყვები, რომელთა დაწერილობისას ქართულში მერყეობაა, რუსული უმახვილო ი ხან ი-თა გადმოცემული და ხან ა-თი და ამის გამო პარალელური ფორმები ჩნდება. მაინც, უკანასკნელ ხანებში ი-თი გადმოცემა გაბატონებულია.

მე-19 საუკუნის მწერლობის ენაში ასეთი სურათი გვაქვს:

ი გადმოცემულია ა-თი

ამ სიტყვებზედ შეცნობა აფიცერმა თითებზედ იკონია (ილია).

დაეუფლები ყური ამ აფიცერს (ილია).

მალღობა ღმერთს, აფიცრობა და ჩინოვნიკობა ბევრი მოდის (ილია).

თავი დაუკრა აფიცერმა (ა. ყაზბ.).

თავად ერისთავს კარგი უნებებია, ...რომ კაზლოვი ამოურჩევა (ილია).

ჩინოვნიკის კაკარდასაც დიდი მნიშვნელობა აქვს (გ. წერ.).

აქ კამანდაცა დგას (ა. ყაზბ.).

კამფეტები ვიყიდვ (შ. არაგვ.).

მოიტუზებოდა სტამბას კანტორაში (გ. წერ.).

დღე-ღამეში ცხვარზედ კაპეიკი უნდა ეძლიოთ (ა. ყაზბ.).

ერთ ან ორ კაპეიკს აძლევდა ამ მოთხოვარს (ე. ნინოშ.).

ყაზაბები გადმოცვიდნენ სალდათების მხარეს (ა. ყაზბ.).

ინსტიტუტის კარიღორში ყველაზე პირველად მოგვეგებებოდა (გ. წერ.).

ბახვამ გაიმართა თავისი საკუთარი კანტორა (გ. წერ.).

ა, მიირთვი თორმეტი კაპეიკი (ნ. ლორთქ.).

ი გადმოცემულია ი-თი

ტფილისის ვოგზალზე რომ ჩამოხტა, აერია გზა-კვალი (ე. ნინოშ.).

ყო კარდის დანახვებზე იმ კაცს სახე ექმუნებოდა (გ. წერ.).

მრავალი მთავანი ამ ნაწარმოებში სცელიდა... სხვადასხვა კოლონიის საქონელს (გ. წერ.).

მთავრობის კომისია დაესხა თავს (გ. წერ.).

ბევრ კომპლიმენტს უძღვნიდა მელანისს (ე. ნინოშ.).

გავეთებინა ვულსოვის კომპრესი (ე. ნინოშ.).

ამ ღროს ნაცნობმა კონდუქტორმა შემოღდა ფეხი (გ. წერ.).

კონდუქტორში გამოხვეულს მოგართმევ (გ. წერ.).

ორგანიზმი განუვითარებელი აქვს (ე. ნინოშ.).

ასუნებინა ოდეკოლონი (ე. ნინოშ.).

სტაცა ხელი საკვოი აქვს (გ. წერ.).

ტყუილად ჩაიარა... პროკურორთა ნ... სირბილმა (ე. ნინოშ.).

რა მნიშვნელობა აქვს ამისთანა რაინდებს კაცობრიობის პროგრესში? (ე. ნინოშ.).

ამჟამად სალიტერატურო ენაში ასეთ მერყეობას ადგილი აღარ აქვს. ამ ტიპის სიტყვები ჩვეულებრივ ი-თა გადმოცემული. ასეთებია: ბოლშევიკი, კომისია, კომანდა, ვედრო, კოლონია, კომიტეტი, კომპრესი, კონსტიუმი, მონეტა, ოდეკოლონი, ოპერაცია, ოფიცერი, პროვინცია, კოლეგია, კოლენკორი, კოლექცია, კომერცია, კომისარი, კომისიონერი, კომპენსაცია, კომპლექტი, კომპოზიტორი, კომპოტი, კომუტატორი, კონდუქტორი, კორექტურა, კონტაქტი, კონტრაქტი, კონტროლი, კონტუზია, კონცერტი, პოზიცია და მრავალი სხვა.

ადამიანთა გვარებისა და გეოგრაფიული სახელებისაგან:

გოდუნოვი, დოსტოევსკი, ბოგოლიუბოვი, ბოროდინი, ლომონოსოვი, ოსტროვსკი... პოლტავა, მოვილიოვი, ირიოლი, ბობრუსკი, ბოროდინო, ონეგის ტბა...

შემოთ ნათქვამის საფუძველზე დღევანდელ ქართულ სალიტერატურო ენაში უნდა მიღებულ იქნეს შემდეგი წესი:

1. უმახვილო ი-ს შემცველი რუსული და რუსულის გზით შემოსული სიტყვები, აგრეთვე საკუთარი სახელები და გვარები და გეოგრაფიული სახელები ქართულში გადმოიცეს ი-თი.

მაშასადამე, გვექნება: ტოლსტოი (და არა ტალსტოი), დოსტოევსკი (და არა დასტაევსკი), ბორის გოდუნოვი (და არა ბარის გადუნოვი), ლომონოსოვი,

გრიბოდოვი, ვორონცოვი, ზოროდინი, ოსტროვსკი... ოძოლი, პოლტავა, ოდე-
სა, ზობრუისკი, ზოროდინო, კოლომნა, ლოზოვია, ზოკალი, ვედრო, კომპა-
ნია (ამხანაგობა), კომპოტი, კოსტიუმი, ოფიცერი, კოლეგია, კოლონა, პომი-
დორი და მრავალი სხვა, ისევე როგორც საყოველთაოდ გავრცელებული და და-
მკვიდრებული დაწერილობები: ზოლშევიკი, კომუნისტი, კომისარი, კომიტეტი,
პოლკოვნიკი, კომისია, ოპერაცია, კოლექცია, კომპილაცია, კორექტორი, კონ-
ცერტი, პოზიცია და მისთ.

2. რუსულიდან შემოსული რუსული თუ უცხოური სიტყვები, რომლებშიც
უმახვილო ი ა-თია გადმოცემული და ასეა დამკვიდრებული როგორც ზეპირს მე-
ტყველებაში, ისე სამწერლობო ენაში, გამოჩაგლისის წესით უნდა დატოვებულ
იქნეს ამ სახითვე. ეს სიტყვებია: კანტორა, კატლეტი, კაპიკი, კამოდი, ლაბარია.

შენიშვნა 1. ო-თი გადმოიცემა კომპანია (компания, ფრ. compagnie =
ამხანაგობა); სხვა კამპანია—компания, ფრ. campagne, იტალ. campagna (საარ-
ჩენო კამპანია, თესვის კამპანია).

შენიშვნა 2. ქართულში გარჩეული დარჩება კანფეტი (конфета, იტალ.
confetto) და კონფეტი (конфетти, იტალ. confetti).

შენიშვნა 3. ა-თი დარჩება ქართულში სიტყვა ხალდათი, რომელიც ზე-
პირი გზითაა შემოსული და არა ლიტერატურულით. ოღონდ მას ისტორიული
მნიშვნელობა აქვს შერჩენილი, თანამედროვე სალიტერატურო ქართულში მის
ნაცვლად იხმარება ქართული ჯარისკაცი.

პეკამანდი ეი ღოთონის გადმოცემა ქართლში

1. საკითხი წმინდა ორთოგრაფიული ხასიათისაა, ე. ი. დასადგენია, თუ რა დაწერილობა უნდა შეეფერებოდეს სავალდებულო ლიტერატურულ წარმოქმმას. ეს უკანასკნელი ირკვევა როგორც შესათვისებელი, ისე შემთვისებელი ენის ფაქტების მიხედვით.

2. თვით გერმანულის ლიტერატურულ გამოქმმაში ეი ლიფთონგის პირველი ხმოვანი ამჟამად უკვე აღარ არის ე: ის საშუალო ბგერაა ე-სა და ა-ს შორის, რომელიც, თვით გერმანული ფონეტიკის თვალსაზრისით, გაცილებით უფრო ახლოსაა ა-სთან, ვიდრე ე-სთან.

სპეციალურ ლიტერატურაში ეი ლიფთონგის პირველ ხმოვანს განიხილავენ სწორედ როგორც ა-ს; ორთოგრაფია ამ შემთხვევაში ისტორიულ ტრადიციას ემყარება.

3. ხსენებულ ლიფთონგიანი გერმანული სიტყვების დაწერილობა სხვა ევროპულ ენებში იცავს გერმანულ ორთოგრაფიას იქ საყოველთაოდ მიღებული უცხო სიტყვათა გრაფიკულ-მექანიკური გადმოცემის წესის მიხედვით, რაც, უმთავრესად, შრიფტის ერთიანობასა და საერთოდ ტრადიციულ ორთოგრაფიებზეა დამყარებული.

4. რუსულში, რომელიც ამ გრაფიკულ-მექანიკურ პრინციპს არ იცავს შრიფტის განსხვავებულობის გამო (შეად. რუს. Гёте, Шекспир და სხვ.), აღებულ შემთხვევაში გარეგნულად თითქოს მას მისდევს (გერმანული ეი რუსულში ჩვეულებრივად ეჰ-ს სახით გადმოდის), ნამდვილად კი რუსული დაწერილობა ისტორიული და ფონეტიკური მიზეზებით აიხსნება.

5. ქართულში აღნიშნულ ლიფთონგიან გერმანულ სიტყვათა დაწერილობაში ერთგვარ მერყეობას ჰქონდა ადგილი. წინათ თუ, ერთი მხრივ, უპირატესად იწერებოდა ლეიბანიცი, ლეიბქირსურგი, რეიხსტაგი, შტრეიბერნგერი და სხვ., მეორე მხრით, იხმარებოდა ვაიმარი, ცვაიგი, აინშაინი, შაიდელბერგე, შეკელაინი და სხვ.; გვხვდებოდა პარალელური ფორმებიც: ლეიფცაგი და ლაიფციგიც, შეინე და შაინეც და სხვ. ეს მერყეობა აიხსნება ამ სიტყვათა ქართულში შემოსვლის ორი გზით: რუსულიდან, ბეჭდურ-დაწერილობითი გზით და გერმანულიდან, უშუალო ცოცხალი ურთიერთობის გზით. უკანასკნელი იწყება უმთავრესად იმ მომენტში, როდესაც ლიფთონგის დღევანდელი, გერმანული ლიტერატურული გამოქმმა უკვე ჩამოყალიბებულია.

6. თანამედროვე ლიტერატურული გამოქმმა ეი ლიფთონგსა საცესებით ზუსტად გადმოიცემა ქართულში აი-ს სახით, რაც ქართული ა ხმოვნის ხასიათითაა განსაზღვრული.

7. ქართული ა არის შედარებით ვიწრო ხმოვანი. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს იმ ენებთან შედარებით, სადაც ან რამდენიმე სხვადასხვა ა მიაპოვება

3. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები

ან არადა ერთადერთ ა-ს აქვს უფრო ღია გამოთქმა, როგორც, მაგალითად, რუსულში.

8. რუსულ-ქართული მრავალრიცხოვანი პარალელები ცხადად მოწმობენ, რომ ქართული ა სწორედ თავისი სიეწროვის გამო ძალიან ხშირად თავის შესატყვისად რუსულში პოვებს არა a-ს, არამედ e-ს და ბირუკუ (ე საერთოდ უფრო ვიწრო ბგერაა, ვიდრე ა); მაგალითად:

ქართულიდან ნასესხები სიტყვები ოქსულში
(აღებულია ისტორიული ფაქტები)

მაჭვარიანი	Мечеварианов
შარვაშიძე	Шервашидзе
ათაბაგი	атабек
ფეშანგი	Пешенга
ოჩამჩირე	Очемчиры
ბასლათი	Беслетка

რუსულიდან ქართულში ნასესხები სიტყვები

იორანალი	генерал
არტალარია (ხალხური)	артилерия

საერთო ნასესხობანი რუსულსა და ქართულში რომელიმე უცხო ენიდან კავკასიური ენებიდან:

შაქი	Шека (Шеки)
შამახია	Шемаха
ჩაჩანი	чеченец
აბრავი	абрек და სხვ.

აღმოსავლური ენებიდან
(არაბულსპარსულ-თურქულიდან):

დარუბანდი	Дербент
ადარბაიჯანი	Азербейджан
ფათ-ალი-ხანი	Фетали-хан
ფათ-ალი-შაჰი	Фетали-шах
ჯავანშირი	Джеваншир
თაფა	тепе
თარაქამა	терехемейцы
ჩალაბი	Челеби
ბეგლარბეგი	беглербег
ჩარდახი	чердак
მაჰმადი	Магомед
მაჰდი	Мегди, Мехти
მაქა	Мека
მადინა	Медина

ალაბი
ნავთი

Алеппо
нефть და სხვ.

9. გერმანულ-რუსულ ბევრივე შესატყვისობათა თვალსაზრისით გერმანულში ორი ა-სა და რუსულსა და ქართულში თითო ა-ს არსებობის პირობებში გასაგები ხდება ის გარემოება, რომ რუსულში a შესატყვისება გერმანულ ღია a-ს (პირველი ხმოვანი სიტყვაში Arbeit), ხოლო ქართული a გერმანულ ვიწრო a-ს (მეორე ხმოვანი იმავე სიტყვაში). ასევე ცხადი ხდება, რომ, თუ გერმანული ვიწრო a, კერძოდ ei დიფთონგის a, ვერ პოვებს ზუსტ შესატყვისს რუსულ a-ში, სამაგიეროდ, ზუსტ შესატყვისს პოვებს იგი ქართულ ა-ში (ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტსაც, რომ რუსულში მაინც არის თითო-ორი შესატყვისა აღნიშნული დიფთონგის ай-ს სახით გადმოცემის: Айсберг, გერმ. Eisberg—ყინულის მთა, გვარები: Айхенвальд, Айзман, Айзенштадт).

ამის მიხედვით თანამედროვე სალიტერატურო ქართულში უნდა გატარდეს შემდეგი წესი:

გერმანულ სიტყვათა შეთვისებისას გერმანული ei გადმოიცეს ქართულში ყველგან აი-თ. მაშასადამე, უნდა გიხმაროთ:

აინშტაინი
ბრაუნშვაიგი
გლინტვაინი
ვაიშარი
კამელმაისტერი
ლაიბგარდია
ლაიბმედიკი
ლაიბნიცი
ლაიფციგი
გროსმაისტერი
მანჰაიმი
მეკლაინი

რაინი
რაიხსტაგი
ფრაიბურგი
შტრაიკბრეხერი
შტაინაჩი
ცაიტნოტი
ცვაიგი
„ცაიტუნგი“
„ცაიტშიფტი“
ჰაიდელბერგი
ჰაინე
მოფმაისტერი და ა. შ.

შენიშვნა. ეს წესი არ გავრცელდება ei დიფთონგთან იმ სიტყვებზე, რომლებიც გერმანულიდან შესულან რუსულ ენაში, დაქვემდებარებიან რუსული ენის წარმებს და შემდგომ შემოსულან ქართულში, ასეთ სიტყვათა დაწერისას ანგარიში უნდა გაეწიოს რუსულ დაწერილობას და ei დიფთონგი ქართულში ეი-ს სახით გადმოიცეს, ამის კვალობაზე ქართულში უნდა იწერებოდეს:

ბრონშტეინი
ეიზენშტეინი
ეიხენბაუმი
ეიხენვალდი
რუბინშტეინი და ა. შ.

**უკრაინის ენებიდან მომდინარე Ia და Iu ჯგუფიანი სიყვავისი
გაგონებათა ქართული**

1. ქართულში მოიპოვება ბევრი ისეთი სიტყვა, რომლებიც ევროპის ენებიდან მომდინარეობს და რომლებშიც ევროპული ენების Ia და Iu ჯგუფი სხვადასხვაგვარადაა გადმოცემული; მაგ.: Ia ჯგუფისათვის შეიძლება შეგვხვდეს, ერთი მხრით, **კლანი, ლამპა, პროკლამაცია, დეკლამაცია, ხალანსი, ირლანდია, ისლანდია** და მისთ., მეორე მხრით, **იზოლიაცია, კომპილიაცია, რეგულიარული, პოპულიარული, მალიარია, ფინლიანდია** და მისთ.; Iu ჯგუფისათვის კი შეიძლება გვხვდებოდეს, ერთი მხრით, **ლუპა, ბლუზა, კლუბი** და მისთ. და, მეორე მხრით, **ევოლიუცია, რევილიუცია, ილიუსტრაცია, ალიუმინი** და მისთ. ზოგიერთი მათგანისათვის ქართულში მოიპოვება პარალელური ფორმები, მაგ., შესაძლებელია როგორც **იზოლიაცია**, ისე უმეტესად **იზოლიაცია**, როგორც **რევილიუცია**, ისე უმეტესად **რევილიუცია** და მისთ.

2. ევროპის ენებში (ფრანგულში, გერმანულში, ინგლისურში, იტალიურში და სხვ.), რომლებიც ლათინურ წერას მისდევენ, Ia და Iu ჯგუფის გამოთქმა ყველგან ერთნაირი არ არის; მაგრამ ქართულ ენას ამ ჯგუფებიანი სიტყვების სესხებისას თითქმის ყოველთვის რუსულთან აქვს უშუალო ურთიერთობა, ეს სიტყვები მას უმთავრესად რუსული ენიდან აქვს შეთვისებული.

სხვადასხვაობა ამ ჯგუფების გადმოცემისას ქართულში აიხსნება. ერთი მხრით, იმით, რომ თვით რუსულს სხვადასხვაგვარად აქვს გადმოცემული ეს ჯგუფები: Ia ჯგუფი ხან **ლა**-თია გადმოცემული (მაგ. **лампа, декламация, прокламация, Ирландия** და მისთ.), ხან კი **ля**-თი (მაგ. **компиляция, симуляция, спекуляция** და მისთ.); Iu ჯგუფიც გადმოცემულია ხან **ლუ**-თი და ხანაც **лю**-თი (მაგ., ერთი მხრით, **клуб, лупа** და მისთ., მეორე მხრით, **эволюция, революция, резолюция, алюминий** და მისთ.).

3. რუსულის მეორე ორგვარი მოპყრობა აღნიშნული კატეგორიის სიტყვებისადმი აიხსნება ისტორიულად: იგი ამგვარ სიტყვებს სხვადასხვა ენიდან სხვადასხვა დროს და სხვადასხვა გზით იღებდა. ამით აიხსნება, მაგალითად, ის გაგრძობა, რომ გეოგრაფიულ სახელებში, რომლებსაც ბოლოს გერმანული -land მოუღდის, რუსულში ხან -ландია არის და ხან -ляндия (Голландия, Ирландия, Исландия, მაგრამ: Финляндия, Эстляндия, Курляндия).

4. იმ შემთხვევაში, როდესაც რუსული ენა Ia და Iu ჯგუფის მქონე ევროპულ სიტყვებში **ლა** და **ლუ** ჯგუფებს ხმარობს, ქართულში არავითარი მერყეობა არ არის: ყველგან **ლა** და **ლუ** გვაქვს. სხვადასხვაობა და მერყეობა მხოლოდ მაშინ იჩენს თავს, როცა რუსულში **ля** და **лю** არის: ამბო შესაფერისად ქართულში ხან **ლა** და **ლუ** გვხვდება, ხან კი **ლია** და **ლიუ**, რაც რუსული წერისა და გამოთქმის თავისებურებათა ნიადაგზეა წარმოშობილი.

5. რუსულ ენას ახასიათებს საზოგადოდ თანხმოვანთა ორგვარი გამოთქმა: **მაგარი** და **რბილი**, მაგრამ წერისა და ბეჭდვის დროს სილბო და სიმავრე თანხმოვნებისა სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვაგვარადაა გამოხატული: ერთი მხრით, სილბოსთვის არსებობს **ь** (мягкий знак, „რბილი ნიშანი“), სიმავრისათვის კი არაფერი; მაგ., **брат** და **сестра** სიტყვებში ბოლოკოდური **т** ერთ შემთხვევაში **მაგარია** (**брат**), მეორე შემთხვევაში კი **რბილია** (**сестра**); მაშასადამე, „რბილი ნიშნის“ („**ь**“ ნიშნის) მოწერა და რბილებას აღნიშნავს თანხმოვნისას, უამისობა კი სიმავრეს. ეს წესი გვხვდება მარცვლის ბოლოს. მეორე მხრით, თანხმოვნის სილბო-სიმავრის გამოსახატვად რუსული ენა კომპინაცის მიმართავს მომდევნო ხმოვნის ნიშნებთან დაკავშირებით: ერთი რიგის ნიშნების წინ მაგრად გამოთქვამს, მეორე რიგის წინ კი რბილად.

რადგანაც ევროპული Ia და Iu ჯგუფებიანი სიტყვების განხილვისას მარტო **ა** და **უ** არის საინტერესო, უნდა ითქვას, რომ ამ ხმოვანთა გადმოსაცემად რუსულს ორ-ორი ნიშანი მოეპოვება: **ა**-სთვის **а** და **я**, **უ**-სთვის **у** და **ю**. ამიტომ **я** და **ю** ნიშნების შესახებ არასწორი წარმოდგენა არსებობს: ვარაუდობენ, თითქმის ისინი ყოველთვის **ია** და **იუ** ჯგუფებს გადმოგვიცემენ. მართალია, ასეთი გამოთქმაც აქვთ მათ ზოგიერთ შემთხვევაში, მაგ., ცალკე აღებისას (ვთქვათ, **я** „მე“), ან სიტყვის თავში (მაგ., **ясно; Яков, юный, Юрий** და მისთ.), ან კიდევ „მაგარი ნიშნის“ (**ь**) ან „რბილი ნიშნის“ (**ъ**) შემდეგ (ვთქვათ, **объявление, съезд...**, **ладья** და მისთ.), მაგრამ სხვა შემთხვევაში ისინი იმავე ბეჭერებს გადმოგვიცემენ, როგორც **а** და **у**, ამ განსხვავებით მხოლოდ, რომ **а** და **у** ნიშნების დაწერა წინა თანხმოვნის სიმავრეს მოასწავებს, **я** და **ю** ნიშნებისა კი იმავე წინა თანხმოვნის სილბოს; მაგალითად: **мать и мять** სიტყვებში ხმოვნები გამოთქმით ერთი და იგივეა, ორგანვე **ა** სიმის, მაგრამ განსხვავებულია წინა თანხმოვანი **м**: პირველ შემთხვევაში იგი **მაგარია** (**мать**), მეორეში კი **რბილი** (**мьять**). ასეთივე შეფარდებაა ამ მაგალითებშიც: **рад** და **ряд, вал** და **вля** და მისთ. აქ განსხვავებულად გამოითქმის თანხმოვნები **р** და **в** და არა მათი მომდევნო ხმოვნები.

რაც ითქვა **ა**-სა და **я**-ს ურთიერთობის შესახებ, იგივე ითქმის **უ**-სა და **ю**-ს ურთიერთობისა და შეფარდების შესახებაც; მაგალითად: **тук** და **тюк** რუსულ სალიტერატურო გამოთქმაში არა ხმოვნების მიხედვითაა განსხვავებული, არამედ თანხმოვნებისა: **т** ერთ შემთხვევაში **მაგარია** (**тук**), მეორეში კი **რბილი** (**тюк**).

6. მაგრად და რბილად გამოთქმის წესები რუსულში თანხმოვანთა უმეტესობას ეხება და მათ შორის **ლ**-საც. მისი დარბილება მარცვლის ბოლოში წერის დროს იმით გამოიხატება, რომ „**ь**“ („რბილი ნიშანი“) უნდა მიეწეროს, სიმავრე კი არაფრით აღინიშნება (ვთქვათ, **пыль** და **пыль**); ხოლო მომდევნო **ა** და **უ**-ს შემთხვევაში ზოგადი წესის მიხედვით, მისი სიმავრე **ა** და **უ** ნიშნების მოწერით გამოიხატება, დარბილება კი **я** და **ю** ნიშნების საშუალებით; მაგ., **гладь** და **гладь, лук** და **люк** ერთიმეორისაგან **ლ** ასოს მიერ აღნიშნული ბგერით განსხვავდებიან, თორემ ხმოვანი პირველ შემთხვევაში იქაც **ა** არის და აქაც **ა**, მეორე შემთხვევაში იქაც **უ** და აქაც **უ**; რაც შეეხება **ლ**-ს, იგი **ა** და **უ**-ს წინ **მაგარია** (**гладь, лук**), **я** და **ю**-ს წინ კი **რბილი** (**гладь, люк**).

7. ქართულში არ მოგვეპოვება რუსულის მსგავსად თანხმოვანთა ვაპალა-

¹ გამონაკლისს შეადგენენ: ж, ш, щ, ъ. ш.

ტალება (დარბილება). ამიტომ ქართველი, რომელმაც რუსული წერა-კითხვა არ იცის და რომელსაც რუსული სიტყვები მხოლოდ სმენის საშუალებით აქვს შეთვისებული, უყურადღებოდ ტოვებს თანხმობების დარბილებას. ამის მაგალითებია:

რუსული	ქართულში გადმოღებულია
кухня (кухня)	კუხნა ან ქუხნა
тѣтя (тьтя)	ტოტა
Оля (Ольа)	ოლა
Лѣля (Льольа)	ლოლა
Коля (Кольа)	კოლა
Соня (Сонья)	სონა
подряд (подрьат)	ფორათი
Рюмка (рьумка)	რუმკა
Любовь (Льубовь)	ლუბა და მისთ.

ქართველი ინტელიგენტი კი, რომელმაც რუსული წერაც იცის და კითხვაც და რომელსაც ყ-ს დანახვაზე ია ჯგუფის წარმოდგენა გაუჩნდება ხოლმე, ხოლო იო-ს დანახვაზე იუ ჯგუფისა, ვარაუდობს, რომ რუსული *ля* და *лю* ჯგუფები *лня* და *лнй* ჯგუფებს უფარდება და ამის გამო სათანადო სიტყვების ქართულად დაწერის დროს მას გადმოაქვს *ლია* და *ლიუ*. მაშასადამე, ქართველ ინტელიგენტს *я* და *ю* ნიშნების ხმარება *я-ს* შემდეგ გათანაბრებული აქვს იმ შემთხვევებთან, როდესაც *ეს я* და *ю* ნიშნები სიტყვის წინ გვხვდება (როგორცაა, მაგ., Яков, Юрий და სხვ.).

8. ეს გათანაბრება *я* და *ю* ნიშნებით გამოხატული სხვადასხვა ბგერისა არ არის სწორი. რუსული გამოთქმის თვალსაზრისით სწორი რომ იყოს, მაშინ შეგვეძლო გადმოგველო *ля* და *лю* ასე: *ლაა*, *ლაჟ* (მაგალითები რომ დავასახელოთ, ასე: იწოლაა ცია და რეწოლაჟ ცია).

ამაზე უნდა ითქვას, რომ *აა* და *აჟ* კომპლექსები, რომლებიც დიფთონგებია, არ გვქონია არც ძველად; ძველად გვქონდა დამავალი დიფთონგები, რომლებიც კარგა ხანია გაქრა სალიტერატურო ქართულში და ქართულის თითქმის ყველა ცოცხალ კოლოში *ა* ნიშნით გამოხატული ბგერის გაქრობასთან ერთად. ასე რომ, კიდევაც რომ დაწერილიყო *ლაა* და *ლაჟ*, გამოთქმაში მაინც ორ-ორი მარცვლი გამოგვივიდოდა. ეს იმიტომ, რომ საზოგადოდ დიფთონგების გამოთქმაზე ქართულმა ენამ დიდი ხანია ხელი აიღო და იმის გამოცოცხლება ამჟამად აღარაა შესაძლებელი.

9. როცა აღნიშნული კატეგორიის სიტყვებში ქართულად იწერება *ლია* და *ლიუ*, ინტელიგენტთა გამოთქმაში ჩვეულებრივ მოიხმის არა ორი მარცვლი, არამედ ერთი, თანაც ისე, რომ ხმოვანი *ა* და *უ* გამოთქმულია, *ი* კი არა. სამაგიეროდ, წინა თანხმობანია დარბილებული მეტად, ვიდრე ჩვეულებრივ. ეს იმას ნიშნავს, რომ სიტყვა იწერება ქართული ასოებით, მაგრამ გამოთქმა (*ლია* და *ლიუ-ს* მიმართ) რუსულია შემონახული. მაგალითად, იწერება *ტრანსლიაცია* და *ევოლუცია*, გამოითქმის კი *ტრანსლაცია* და *ევოლ'უცია*. ასეთი შეუფარდებალობა, რომელიც ორენოვან ინტელიგენტთა საუბარს ახასიათებს, ქართულს სხვა შემთხვევაში არა აქვს; აქ კი დარღვეულია ის კარგი წესი, რომელიც (ზო-

გიერთ გამოწაკლისს თუ არ მივიღებთ მხედველობაში) ახასიათებს შეფარდებას ქართულ წერასა და კითხვას შორის: იწერება ისე, როგორც გამოითქმის, და გამოითქმის ისე, როგორც იწერება.

10. ქართული *ლ* არც მაგარ რუსულ *л-ს* უდრის და არც რბილს, მაგრამ იგი უფრო ახლოს დგას რბილთან, ვიდრე მაგართან. ევროპის ენათაგან ქართული *ლ* თავის სილბოთი ძალიან ახლოს დგას გერმანულთან და იტალიურთან. ამიტომ უფრო ბუნებრივია ქართული გამოთქმისათვის, რომ *ля* და *лю* ჯგუფები *ლა-სა* და *ლუ-ს* სახით იქნეს წარმოდგენილი.

11. ევროპის ენებიდან რუსულის გზით შემოსულ სიტყვებში *la* და *lu* ჯგუფს ქართულში არ შეეფარდება *ლია* და *ლიუ*, რომლებიც ორმარცვლიანებია და ძალიან დაშორებულია რუსულისა და ევროპის ენების გამოთქმას; მაგრამ იმავე *la* და *lu* ჯგუფს არ შეეფარდება არც *ლაა* და *ლაჟ*, რომელთა ერთმარცვლიანნი (დიფთონგური) გამოთქმაც დღევანდელი ქართულისათვის სრულიად უცხოა.

ნათქვამის მიხედვით, თანამედროვე სალიტერატურო ქართულში უნდა დაცანდეს შემდეგი წესი:

ევროპული ენებიდან მომდინარე *la* და *lu* ჯგუფებიანი სიტყვები, რომლებიც რუსულ ენაში გამოვლით *ля* და *лю* კომპლექსიან ფორმებს იძლევა, ქართულში უნდა გადმოიყვას მხოლოდ და მხოლოდ *ლა* და *ლუ* ჯგუფებით. ეს არის ერთადერთი სწორი გადმოღება *la* და *lu* ჯგუფების შემცველი ევროპული სიტყვებისა ქართულში.

მაშასადამე, უნდა ვწეროთ

ლა-ს შემცველი სიტყვები.

აკუმულაცია, აკუმულატორი, ახიზილაცია, იწოლაცია, იწოლატორი, კანცელარია, კომპილაცია, კომპილატორი, მალარია, პლაჟი, პოლარული, პოლარისაცია, პოპულარული, რეგულარული, ტრანსლაცია და მისთ.

ლუ-ს შემცველი სიტყვები:

ალუმინი, გლუკოზა, ევოლუცია, ილუზია, ილუმინაცია, ლუთერი, ლუმინიტი, მილუსკი, პლუს, პოლუსი, რეგულაცია, რეზოლუცია, მალუსცინაცია და მისთ.

შენიშვნა. ეს წესი ამჟამად სალიტერატურო ქართულში არსებითად გატარებულია და მომავალშიც მტკიცედ უნდა იქნეს დაცული.

გეოგრაფიული და ლათინური მონიშვნის სივრცითი დახვეწილობა ქართულში

საკითხი ეხება ბერძნულიდან და ლათინურიდან მომდინარე სიტყვათა ქართულად გადმოცემის დროს ბგერითი მხარის მოგვარების საქმეს. ახალ ქართულ სალიტერატურო ენაში გვხვდებოდა და იშვიათად ახლაც გვხვდება პარალელური ფორმები:

- ლოგია—ლოღია
- ტრაგეული—ტრადიკული
- ესთეტიკა—ესტეტიკა
- ტერმინი—ტერმინი
- ფსიქოლოგია—ფსიხოლოგია
- ტექნიკა—ტექნიკა
- ჰეგემონია—გეგემონია
- ჰიპნოზი—გიპნოზი
- გენიოსი—ჰენიოსი
- ლექსიკონები—ლექსიკონები
- ექვივალენტი—ექვივალენტი და სხვ.

იმ საკითხის გადასაწყვეტად, თუ ამ პარალელური ფორმებისაგან რომელს უნდა მიეცეს უპირატესობა, ანგარიში უნდა გაეწიოს შემდეგ სამ ფაქტორებს:

- 1) რომელი ფორმა უფრო სწორია იმ ენის მიხედვით, საიდანაც ესა თუ ის სიტყვა მომდინარეობს;
- 2) რომელი ფორმა არ ეწინააღმდეგება ქართული ენის ნორმებს;
- 3) რომელი ფორმა დღევანდელ სამწერლობო ენაში გაბატონებული.

1. ქ თუ ხ?

იმ სიტყვებში, რომლებიც ამჟამად იპყრობს ყურადღებას, გვხვდება ერთი ბგერა, რომელსაც დავალებული აქვს გადმოგვცეს ბერძნული **χ**, ლათინური **ch**, რუსული **х**. ასეთ სიტყვებში ბერძნული და (მასთან ერთად) ლათინურიც თავიანთი სალიტერატურო ენის განვითარების ძველ პერიოდში და უფრო გვიან სასაუბრო მეტყველებაშიც ხმარობდა **ქ**-ს და არა **ხ**-ს. ძველმა ქართულმა სალიტერატურო ძეგლებმა შემოგვინახეს აუარებელი ნიმუში **χ**-ს ასეთი გადმოცემისა; მიქაელი, ანტიოქელი, აქილიანი, ქრისტე, ქორინიკონი და სხვ. ქართულმა სასაუბრო მეტყველებამაც კარგად შეითვისა ასეთი გამოთქმა; ეს ჩანს იქიდან, რომ

დღესაც ეხმარობთ რამდენსამე ისეთ სიტყვას, რომლებშიც **ქ** მიგვაჩინა სრულიად ბუნებრივად და არა **ხ**. ასეთი სიტყვებია: მალაქია (და არა მალახია), ქრისტინე (და არა ხრისტინე), ქარაგმა, ხტომაქი, ხტიქიონი, ზოქლომა.

ვინაიდან ბერძნულიდან და ლათინურიდან მომდინარე სიტყვებში **χ**-ს გადმოსაცემად ძველმა ქართულმა სალიტერატურო ენამ ბუნებრივად გამოიყენა **ქ** და ახლმა ქართულმა სალიტერატურო ენამ და სასაუბრო მეტყველებამაც შეინარჩუნა ეს **ქ**, ყველგან ასეთ შემთხვევაში უნდა დარჩეს **ქ**-ს წერა. ამის მიხედვით გვაქვს და დარჩება:

არქაიზმი	ტიქნიკუმი
არქაული	ტიქნიკური
არქეოლოგია	ტიქნოლოგია
არქიმედე	ტრიქინა
არქიტექტურა	ფსიქიკა
ბრაქიცეფალური	ფსიქიკური
ბრონქები	ფსიქოლოგია
ბრონქიალური	ქლორი
ექინოკოკი	ქოდერა
იქთიოზაფრი	ქოდერიკული (ტიბი)
იქთიოლოგია	ქორდა
პოლიტიქნიზაცია	ქრესტომათია
პოლიტიქნიკური	ქრიზანთემა
სპაროქეტა	ქრონიკა
ხტიქიური.	ქრონოლოგია...
ტიქნიკა	

მეგრამ **ხ** დარჩება საკუთარ სახელში, ხარტონი.

2. თ თუ ტ?

თ-სა და ტ-ს წერისას მეტი შეცდომა მოსალოდნელი ვიდრე **ქ**-ს წერისას. მაშინ, როდესაც ბერძნულიდან და ლათინურიდან მომდინარე სიტყვებში ჩვენ მხოლოდ **ქ** გვხვდება, რადგანაც ძველ ბერძნულსა და ლათინურს **ხ** არა ჰქონიათ, ქართულში ამ ენებიდან შემოსულ სიტყვებში **თ** და **ტ** ორივე მოსალოდნელი, რადგანაც ამ ენებს ერთიც ჰქონდათ და მეორეც (**θ** და **τ**). რუსულ ენაში (ისევე, როგორც გერმანულსა და ფრანგულშიც) ეს ორივე ბგერა ბერძნულ-ლათინურისა ერთნაირად გამოითქმის; წერისას გერმანულსა და ფრანგულში თ-ს წერენ **th**-ით, ტ-ს **t**-ით, ხოლო რუსულს ორივე ბგერის გადმოსაცემად მხოლოდ ერთი **т** მოეპოვება. მართო ძველი რუსული განასხვავებდა წერისას მათ: **θ**-სათვის ჰქონდა **Ѡ**, ხოლო **τ**-ისათვის **Ѳ**. როგორც ძველს, ისე ახალ ქართულში ორივე ამ ბერძნულ-ლათინური ბგერის გადმოსაცემად ორი განსხვავებული ნიშანი მოიპოვებოდა და მოიპოვება: **თ** და **ტ**.

ვინაიდან ქართულიისათვის ბუნებრივია თ-სა და ტ-ს გარჩევა, ყველა ის ბერძნული და ლათინური სიტყვა, სადაც **თ** არის, თ-თი უნდა გადმოიცეს ქართულში და არა ტ-თი, ხოლო, როცა ბერძნულ-ლათინურში **ტ** არის, ასეთი სიტყვა ქართულშიც ტ-თი უნდა იწერებოდეს და არა თ-თი.

ამის მიხედვით ქართულში თ იწერება და უნდა დარჩეს სიტყვებში:

ათეისტი	თეორემა
ანთოლოგია	თეორია
ანთროპოლოგია	თერაპია
ანთროპომეტრია	თერმოსი
ანთროპომორფიზმი	თერმოდინამიკა
ანტითეზიზი	თერმომეტრა
აპათია	კათეტი
აჩითმეტიკა	კათოლი
ბიბლიოთეკა	ლითონი
დითირამბი	ლოგარიტმი
ეთერი	მათემატიკა
ენტოზოზი	პათოლოგია
ეპიფელიუმი	ხიმბათია
ეპითეტი	ხიმბათიური
ერიტროციტები	ხინთეზა
ესთეტიკა	ფიზიოთერაპია
თეატრი	ფილანთროპია
თეზიზი	ფიტოპათოლოგია
თემა	ფსიქოპათია
თეოლოგია	ფსიქოპათოლოგია...
თეოფილე	

ბ იწერება და უნდა დარჩეს სიტყვებში:

ატომი	ოლონტოლოგია
ატროფია	ონტოლოგია
ეტოლოგია	ტავტოლოგია
კატალოგი	ტელეოლოგია
კატალიზი	ტელეგრაფი
კატაპლექსია	ტელეფონი
კატასტროფა	ტერმინი
კატეგორია	ტერორი
კლიმატურა	ტიფი
მეტაფიზიკა	ფოტოგრაფია...

ქართულში უნდა გაიჩინოს ორი სიტყვა: რიჟმა და რიტემა, ეს ვარჩევა ქართულში დაკვიდრდა და გაბატონდა რუსული ენის მიხედვით (рифма და ритма).

ამგვარადვე უნდა მოგვარდეს თ-სა და ტ-ს წერის საკითხი იმ სიტყვებშიც, რომლებიც ბერძნულიდან და ლათინურიდან კი არ მომდინარეობენ, არამედ გერმანულიდან და ფრანგულიდან, დღეს გერმანული და ფრანგული თითქმის აღარ განასხვავებენ გამოთქმაში თ-სა და ტ-ს, ძველად კი ასეთი განსხვავება არსებობდა, ამჟამად ფრანგულში ორსავე შემთხვევაში გამოითქმის დაახლოებით ტ, ხოლო გერმანულში თ, დაწერილობაში კი ორივემ შეინარჩუნა განსხვავება: th და t. ვინაიდან ან მხოლოდ ქართული თ, ან მხოლოდ ტ ზედმიწევნით არ ვაღ-

მოგვცემს გერმანულსა და ფრანგულ ბგერებს, ამიტომ ლოგიკური დაწყება გერმანულსა და ფრანგულ დაწერილობაზე და th თ-თი უნდა გადავიცი, ხოლო t ტ-თი.

მაშასადამე, უნდა ეხმარათ: პატალიონი, პატარეა, პეტონი, ერფურტი, ეტაპი, ეტიკეტი, ვირტუოზი, ვიტრინა, კაბინეტი, მაგრამი; გოფა, დორნოფა და სხვა.

3. ა (h)

ბერძნულში h იყო ხარხისმგერი ბგერა, რომლის გაღმოსაცემად საფანეებო ასო არ მოიპოვებოდა, რომელიც გრამატიკოსები h-ს გამოიხატვედნ ასოს არც კი უწოდებდნენ ასოს (littera), არამედ მხოლოდ ნიშანს ეძახოდნენ: nota aspirationis. სიტყვის დასაწყისში, ანლაუტში, ის სუსტად მჩრისმჩრდა, ხოლო ანლაუტში იმდენად დასუსტდა, რომ სულ დაიკარგა.

საშუალო ბერძნულში ჰ გაქრა და ამის შედეგად უთქვოდ, რომ ძველ ქართული შეტწილად არც კი გადმოგვცემს სათანადო შემთხვევაში ჰ-ს. ამის გამოც, რომ გვხვდება

- ელადა (და არა ჰელადა)
- ელახპონტი (და არა ჰელახპონტი)
- ერმა (და არა ჰერმა)
- ეფეტოს (და არა ჰეფეტოს).

მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ჰ გვაქვს: ჰეროდი, ჰრონი. პირველი შეიძლება ბერძნულიდან გადაღებული ერთი უძველესი სიტყვა იყოს ქართულში, ხოლო მეორის ჰ მიწინააღმდეგეული ვხედავთ ლბათ შენოსული.

რუსულს ჰ ბგერა და, მაშასადამე, არც შესაბამისი ნიშანი არ მოგვარებოდა. ამიტომ ბერძნულ-ლათინურიდან მომდინარე სიტყვებში h f-თი გადაიღო (გამოითქმის კი ზოგჯერ როგორც ლ).

ბერძნულიდან და ლათინურიდან მომდინარე სიტყვებში h ბგერის გადაღოსაცემად ქართულში გვაქვს და დარჩება ჰ, მაშასადამე, იქნება:

აპენი	ჰიდრაელიკა
ჰაპენი	ჰიდროლოგია
კონტრაჰენტი ¹	ჰიმნი
რიონჰენი	ჰიპნოზი
ჰალუციაცია	ჰიპოთეზა
ჰეგემონია	ჰიპოტენუზა
ჰიბრიდი	ჰონორარი
ჰიფენი	ჰუმანიზმი...

გვევ წესი დარჩება ძალაში ინგლისური და გერმანული სიტყვების გადაღოსაცემისას. სადაც ინგლისურ და გერმანულ სიტყვას h აქვს, ქართულშიც ჰ უნდა იხმარებოდეს და არა ფ. მაშასადამე, იქნება:

¹ ლათინურისაგან contrahere, ხოლო აგენტი ლათინურისაგან ago (agens).

აზღერშალდენი
მანშაიმი
რაინშარტი
შალსტუნი
შამბურგი

შანოვერი
შამილტონი
შანზა
შაილზენი
შოფმარშალი და მისთ.

მეგრამ გვექნება გერცენა და არა შერცენი. მიუხედავად იმისა, რომ ამ გერცენს გერმანული ეტიმოლოგია აქვს, მისთვის ამოსავალია რუსული ფორმა Герцен.

4. გ თუ დ?

გ-ს ვადმოცემისას ქართულში წინათ (მაგ., XIX საუკუნეში) დიდი გრევი-დარევი იყო; წერდნენ „ორამატიკა“-ს, „კატრილორია“-ს, „ლორიკა“-ს, „ტრალე-ლია“-ს და სხვ. დღეს გ-ს ვადმოცემის საქმე მოწესრიგებულია, ბერძნულიდან და ლათინურიდან მომდინარე ყ-ს ან გ-ს შემცველი ყველა სიტყვა იწერება უკვე გ-თი, მაგრამ აქა-იქ მინც აქვს ადგილი ერთგვარ ჩვეულებას; მაგ., ზოგერთები მიიხსენებენ ისეთ ფორმებს, როგორცაა: დოდეკა, ტრადიკული და ა. შ.

ბერძნული ყ სხვადასხვა პოზიციაში სხვადასხვაგვარად გამოითქმარდა. ერთ ბგერას ვადმოსცემდა იგი ი და ე ხმოვანთა წინ, ხოლო სულ სხვას დანარჩენ შემთხვევებში. ი და ე ხმოვანთა წინ ის ისეთი ბგერა იყო, რომ ქართულმა ყველაზე მიზანშეწონილად დანახა მისი ვადმოცემა გ-თი (და ძველთაგანვე ცნობილი ასეთი სიტყვები; გორგი, გერონტი, მაგისტროსი...). სხვა შემთხვევებში ქართულმა ბერძნული ყ ბევრგან დ-თი ვადმოსცა; პითაგორა, ლიკურდოსი, მელისია. მაგრამ მეორე შემთხვევებშიც დ არ ვადმოსცა; ზედმიწევნით პირველი ყ-საგან განსხვავებულ მეორე ყ-ს და ამიტომ შემდეგ ხანებში ჩარევი ყ-ს ვადმოცემა ერთმანეთში ირია.

ქარვა ხანია ქართულ ენაში განიხილ ფორმებია ვადმოსცემული და ეს გ გამართლებულია ისტორიულად. ამიტომ უნდა დავასტურდეს ბერძნულიდან და ლათინურიდან მომდინარე ყ-ს შემცველი სიტყვების გ-თი ვადმოცემა.

მაშასადამე, იხმარება და უნდა დარჩეს:

ავტაცია
ავრონოზია
ალეგორია
ანაგრაზია
გენეალოგია
გენერალი
გენეტიკა
გენიოსი
გეოგრაფია
გეოლოგია
გეომეტრია
გრამატიკა
გუბერნატორი

დემოგრაფია
დიაგრაზია
დიპლომა
ლოგოგრაფია
ლოგოგრაფია
ლოგოგრაფია
მეგალითები
მეგალითები
პედაგოგია
პრაგმატიზმი
ტრაგედია
ტრაგედიული
ფსიქოლოგია
ფრაგმენტი და სხვ.

5. ზ თუ ძ?

ქართულში (სამეცნიერო ტერმინოლოგიაში) გვხვდებოდა ჩრნაირი ფორ-მები:

ზოოლოგია და (იშვითად)	ძოოლოგია
ზოოტექნიკა	ძოოტექნიკა
პროტოზოო	პროტოპოო და სხვ.

აქ ზ-თი და ძ-თი ვადმოცემული იყო ბერძნული ζ (ლათ. Ζ: ΖΩΟΛΟΓΙΑ). ძველ ბერძნულში ზ-ს ვადმოცემა მართლაც უახლოვდებოდა ქართული ძ-ს ვადმოცემას, ხოლო შემდეგ ხანებში ჩრგორც ბერძნულში, ისე ლათინურში, მისი ზ-ს ვადმოცემა დაემატა ზ-ს ვადმოცემის, ეს უკანასკნელი გამოთქმა დანდობა საუბრეში და მათშიც ზ-ს ვადმოცემის გარდა ზ-ს ვადმოცემა (ზაქარია, ზევი, ზენონი, ზოდიაკო, მონაზონი, ტრადიკული და სხვ.). იგივე გამოთქმა და შესაბამისი დანდობა ლაზა ვადმოცემა ვეროპულ ენებში (რუსულში, ფრანგულში, ინგლისურში). ამის გამო ბერძნულიდან და ლათინურიდან მომდინარე სიტყვებში ზ-ს ვადმოსაცემად უნდა იხმარებოდეს ზ (ლათ. Ζ: d).

მაშასადამე, იხმარება და უნდა დარჩეს:

ზევიტიები	ზოოგეოგრაფია
ზევირია	ზოოლოგია
ზოოტექნიკა	ზოოტექნიკა
ზოოლოგია	ზოოქიმია
ზოო	პროტოზოო და სხვ.

6. ჯ და ი

უშუალოდ ან ევროპულ ენების მეშვეობით ქართულში შემოსულია ვრცელი ბერძნული და ლათინური სიტყვა; რომლებშიც ვხვდებით ბერძნულში ყ-ს ლათინურში ყ, ძველი ქართული ვი ბგერის ვადმოსაცემად იყენებდა ჯ-ს (ჯეატონი, ჯრანია და სხვ.). უფრო გვიან ხანებში, როდესაც თვით ბერძნულში ხ-ს ვადმოცემა ი-სას დაემატა, ქართულიც ვადმოსცემდა მას ინით, ვარდა ზოგერთი შემთხვევისა, რომლებშიც ბერძნულის ძველი ხ-ს ვადმოსაცემად ქართულში უკვე ვი დამკვიდრდა (კვიპაროსი, კვიპაროსი, კვირიკე და სხვ.).

ვინაიდან თვით ბერძნულში სავალად აღარ მოხდა ყ-ს ი-დ ქცევა და ქართულში ი-ს ვადმოცემა შეითვისა მეტწილად, ვარდა ამისა თანამედროვე ქართულს ხ-ს შესატყვისი არ მოეპოვება, ხოლო ამას ყველაზე უფრო უახლოვდება ი, ამიტომ ბერძნული ხ-სა და ლათინური ყ-ს შემცველი სიტყვები უნდა ვადმოცემეს ინით.

მაშასადამე, იქნება:

დიონისე	ჰიკურგოსი
ესქილე	ოლინესი
თეოფილაქტი	ჰოლეკარტი
იპოლიტი	ჰიპოთეზა
კიროსი	ჰიპერბოლა და სხვ.
სინდისი	

გამონაკლისის სახით დარჩება უკვე დამკვიდრებული ვი სიტყვებში; კვ-პაროსი, კვიპროსი, კვირიკე.

7. ე

ბერძნული ე (ე) ჩვენი წილთაღრიცხვის პირველ საუკუნეებშივე ინად იქცა და ძველმა ქართულმაც ე-ს შემცველი სიტყვები შეტწილად ინით გადმოგვეცა (გარდა უძველეს პერიოდში შეთვისებული სიტყვებისა, როგორცა: ეკლესია, მონასტერი, კერეონი, ეპისტოლე).

მაგრამ იმ უცხო სიტყვებში, რომლებიც გავრცელებულია ლათინურის წყალობით და რომელთაც შერჩა ძველი გამოთქმა ე, ყველა ენაში მიღებულ იქნა ბერძნული ე-ს გადმოცემა ე-თი, ასეთი სიტყვები ქართულშიც ე-თი არის გადმოსული და ასევე უნდა დარჩეს.

მაშასადამე, დარჩება:

აღევგორია	კატეგორია
არქიმედე	პრობლემა
დემოკრიტე	სქემა
დემოსთენე	ჰერაკლე
ემბლემა	ჰეროდოტე
ჟენონი	ჰომეროსი
თეზევსი	ჰეგემონია...

გამონაკლისს წარმოადგენს სიტყვა *ჯუჟაჯა*, სადაც უკვე დამკვიდრებულია ი (ქიჩია), ზგრეთვე რიტორიკა და რამდენიმე საკუთარი სახელი, რომლებშიც შენარჩუნებულია ი: ლიშიტი, შიტროფანი.

8. დიფთონგები აი, აი

დიფთონგები აი და აი საშუალო ბერძნულში, რომლის ფორმების გავლენით შემოდიოდა ქართულში ბერძნული და ლათინური სიტყვები, მონოფთონგებად იქცნენ (აი=ე, აი=ი). გარდა ამისა, ლათინურშიც ისინი შიახლოებით ე-თი (აე) და ი-თი (ი, ზოგჯერ ე) გადმოსცა.

ქართულში უნდა დადასტურდეს აი და აი დიფთონგების შემცველ სიტყვათა ე-თი და ი-თი გადმოცემა; მაშასადამე, დარჩება:

აი::	ესოვე	აი::	არისტიდე
	ენეასი		ემპირია
	ესქილე		მვკლიდე
	ეტოლია		თერაპია
	ესთეტოკა...		იბინე...

9. ეგ—ეი—ეუ, ავ—ავ

1. არვე-დარევა დიფთონგ ეა-ს გადმოცემის საკითხში; იხმარება ლევკოცობები და ლევკოცობები, დევტეროგამია და დევტეროგამია...

დიფთონგი აუ იმ ენებში გამოთქმაში, საიდანაც მომდინარეობს ეა-ს შემცველი სიტყვები, უდრიდა ეუ-ს, სადაც უ უმარცვლო ბგერას წარმოადგენს. ახალ ქართულში უმარცვლო უ შეცვალა ვ-მ.

ამიტომ, ბუნებრივია, ქართულში ყველა ეა დიფთონგის შემცველი სიტყვა დაიწეროს ეგ-ით და არა ეი-თ ან ეუ-თი.

მაშასადამე, უნდა იხმარებოდეს: დევტეროგამია, ეგრობა, ზევტიები, ლევკემა, ლევკოცობები, ნევრალგია.

შენიშვნა: ეგ-ის ნაცვლად ეი დარჩება სიტყვაში ნეიტრალური, სადაც ეი გამოთქმა გაბატონებული.

2. ეა დიფთონგის ანალოგიურია აუ დიფთონგი, რომელიც უნდა დაიწეროს ავ-ით (და არა აუ-თი).

მაშასადამე, დარჩება: ავტოგამია, ავტონომია, ტავტოლოგია და არა: აუტონომია, ტაუტოლოგია და სხვ.). მაგრამ: აუდიტორია.

10. კვ—კვ

კვ გვხვდება ლათინურიდან (გერმანულ-რუსული გზით) მომდინარე სიტყვებში და უდრის ეა-ს ხმოვნის წინ. ასეთი სიტყვები ქართულ სალიტერატურო ენაში ასე იწერებოდა: კვადრატ, კვადრიფიკაცია, ლიკვიდაცია და სხვ., მიუხედავად ამისა, ერთხანს გავრცელდა ფორმები: აქვარელი, კვადრეტი, ლიკვიდაცია და სხვ. მაგრამ ჩვენს შემთხვევაში (ეა) ისეთ კ ბგერასთან გვაქვს საქმე, რომლის ქ-თი გადმოცემას არავითარი საფუძველი არა აქვს.

ძველ ლათინურს მოეპოვებოდა სამი ხორხისმიერი ბგერა: q, k, c. პირველი (q) გვხვდება ი-სა და ა-ს წინ და უფრო ღრმა ხორხისმიერი იყო; მეორე k-სა და თანხმოვნების წინ იხმარებოდა, ხოლო მესამე c-სა და i-ს წინ იხმარებოდა (ეს შეიძლება უფრო ქ-ს შესატყვისი ყოფილიყო). კლასიკურმა ლათინურმა დამწერლობაში გაერთიანა სამივე კ და წერდნენ ყველა სამივე სახის კ-სთვის ასო c-ს, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში კუ კომპლექსს ხმოვნის წინ, სადაც უ თანხმოვური (ვ) გამხდარიყო, დაუტოვა დაწერილობა qu. აქ q ყოველთვის იყო ღრმა ხორხისმიერი ბგერა და ქ-ს გამოთქმას ის დიდად არის დაშორებული.

ამის გამო qu კომპლექსი უნდა გადმოიცეს კვ (და არა კვ) კომპლექსით. მაშასადამე, უნდა იხმარებოდეს:

ადეკვატი	კვადრიფიკაცია
ადეკვატური	კვანტიტი
აკვარელი	კვარტალი
აკვარუზა	კვუენტორი
ანტიკვარული,	კვიტიზმი
ეკვატორი	კვინტა
მკვიფალენტი	კვორტუმი
მკვილიბრისტოკა	ლიკვიდაცია
კვადრატ	რეკვიზიცია და სხვ.
კვადრეტი	

შენიშვნა, კვ გამოთქმა და დაიწერა იხმარებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, რომ კვ კომპლექსი ქართულისათვის უჩვეულო ყოფილიყო, მაგრამ ქართულისათვის სრულიად ბუნებრივია კვ (კვადრი, კვადრეტი, სიკვდილი და სხვ.).

11. კს (cs, x)—პს (ps) თუ ქს—ფს?

კს (cs, x) და პს (ps) კომპლექსების შემცველ ბერძნულიდან მომდინარე სიტყვებში ეს კომპლექსები ძველ ქართულში ქს და ფს კომპლექსებით გადმოიცემოდა და ასეთი გადმოცემა გაბატონებულია დღესაც.

ძველ ქართულში გვქონდა:

ექსორია	პელოფხი
მაქსიმე	ხამფხონი
ოქსია	ფხალმუნი...
ქხეხტი	

ამის მიხედვით გვაქვს და დარჩება:

ელიფხი; ელიფხური
კაფხული
ფხეფლონიში
ფხიქოლოგია და სხვ.

ცალკე უნდა გამოიყოს რამდენიმე სიტყვა, როგორცაა: **ეგზამენი, ეგზემპლარი, ეგზოტიკა, ეგზოგამია, ჰეგზამეტრი.**

ეგზამენი და **ეგზემპლარი** უნდა დარჩეს ამ დაწერილობით, მაგრამ პირველი უნდა შეცვალოს **გამოცემა-მ**, ხოლო მეორის ნაცვლად უფრო უნდა გავრცელდეს მისი ბადალი სიტყვა **ცალი**.

ეგზოტიკა და **ეგზოგამია** უნდა დარჩეს ამ დაწერილობით, ხოლო **ჰეგზამეტრის** პარალელურად შეიძლება იხმარებოდეს **ჰექსამეტრი-ც**.

12. ქტ თუ კტ?

ct კომპლექსის დაწერილობაში ძველი ქართული მერყეობს: ლიტერატურული გზით მომდინარე სიტყვებში **ქტ** კომპლექსი ხშირად დაცულია (**ნექტარი, ოქტავიოსი...**), მაგრამ ზეპირი გზით შემოსული და ქართულში დამკვიდრებული **კტ** კომპლექსიანი სიტყვები გადმოცემულია სხვადასხვანაირად (**დიქტატორი**, **„დიქტატორი“**, **ოქტონზერი...**), უფრო ხშირად კი ამ კომპლექსის **კ** ბგერას ცვლიან **ქ**-თი (**ინდიქტიონი, მენექტარება...**).

კტ (ct) კომპლექსის შემცველი სიტყვები თანამედროვე სალიტერატურო ქართულში გადმოცემულია და უნდა დარჩეს **ქტ**-თი:

დიქტატორი
ინდიქტიონი
ოქტომბერი...

13. პტ თუ ფტ?

პტ (pt) კომპლექსშიც მოსალოდნელი იყო იგივე სურათი, როგორც ct-სთან გვაქვს. მართლაც, ძველმა ქართულმა pt-ს თავიდან ასაცილებლად შეცვალა იგი **ქტ**-თი (**„ხეპტემზერ“ → ხექტემზერი**). მაგრამ, რადგანაც არც ძველსა და არც ახალ ქართულს არ ახასიათებს **პ**-ს ვაფშვინფიერება **პტ** კომპლექსში (**ხეპტრა, პტოლემეოსი, ტრაპტოლემოსი...**), ამიტომ უნდა დარჩეს pt კომპლექსის გადმოცემა **პტ**-თივე.

შენიშვნა. ზემოთ გათვალისწინებული წესები უნდა გავრცელდეს **ქს, ქტ, ფს, პტ** კომპლექსების შემცველ იმ სიტყვებზეც, რომლებიც შემოსულია ან შემოდის ქართულში ევროპული ენებიდან რუსული ენის მეშვეობით. მაშასადამე, უნდა იწერებოდეს:

აქტი	აქსიომა...	ხეიპტრა...
რედაქტორი	ფსამეტიზი	
ფაქტი...	ფსიქოლოგია...	

14. კც—ქც

ევროპული ენებიდან შემოსულია რუსული ენის მეშვეობით **кц** კომპლექსის შემცველი სიტყვები. ეს კომპლექსი წარმოდგარია **ct** კომპლექსისაგან მეორე მკვეთრის პალატალიზაციით **ი-ს** წინ. რამდენადაც კომპლექსის პირველი ელემენტი (**с**) იგივე რჩება, ამდენად კომპლექსი გადმოიცემა **ქც**-თი (**აქცია, კონსტრუქცია, რედაქცია**).

4. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები

რუსული გზით შემოსულ ეჟ-ზე დაბოლოებული უცხოური სიტყვები ქართულში სამეგარი დაბოლოებით გადმოიცემა: -ეა, -ეია და -ეია დაბოლოებით.

- ბატარეა—ბატარეია—ბატარია
- ბაკალეა—ბაკალეია—ბაკალია
- გალანტერეა—გალანტერეია—გალანტერია
- გალერეა—გალერეია—გალერია

ზოგიერთი ამ ტიპის სიტყვა მხოლოდ ორგვარი—ეა და ეია დაბოლოებითაა წარმოდგენილი: ეპოპეა—ეპოპეია, იდეა—იდეია. -ეია დაბოლოებით ეს სიტყვები არ გვხვდება.

მაგალითები:

ასამბლეა:

- ... ასამბლეაში მიიღო ზომები იმისათვის, რომ უხსნა მსჯავრდებულთა სიცოცხლე (ეკომ.).
- გენერალურმა ასამბლეამ მიიღო... გადაწყვეტილება (გამარჯვება).
- ასამბლეამ მიიღო სამეურვეო კომიტეტის რეზოლუციები (ეკომ.).
- განხილდა გენერალური ასამბლეის სპეციალური პოლიტიკური კომიტეტის სხდომები (ეკომ.).
- ... უადგილო არ იქნება, ეს საკითხი დაისვას გენერალური ასამბლეის წინაშე (ეკომ.).
- გენერალური ასამბლეა მუშაობას იწყებს... საერთო დისკუსიით (ეკომ.).

ბატარეა, ბატარეია, ბატარია:

- ზღვის პირზე ამართული იყო ორი დიდი ბატარეა... (დ. კლდ.).
- მაგრამ: გაუარდა ბატარეია (იქვე).
- ... ვაროების გუნდის დაკომპლექტება მთელი წლის მანძილზე მიმდინარეობს ინკუბატორში გამოყვანილ და ბატარეებში გამოზრდილ წიწილების ხარჯზე (მეფურინველ.).
- მაგრამ: ბატარეია (იქვე).
- იგი... მოძრაობს კონტაქტურ გაყვანილობათა გარეშე, საყუთარი ავტომატობრული ბატარეების ხარჯზე (ახ. კომ.).
- რამდენიმე მშრალი ბატარეის მუდმივ დენს მიწაში ატარებენ ლითონის ელექტროდებით (ახ. კომ.).
- ელემენტებისაგან ბატარეის შედგენა და მის ბოლოებზე ძაბვის გაზომვა (ახ. განათლ.).
- [გალიები] შეერთებული არიან ევრეთ წოდებულ ბატარეიაში (მეფურინველ.).

- რუსთაყის მოკმედი საწარმოთა მწებობაში ჩადგენ მე-2 საკლასე ბატარეა... ტუბინა-გენერატორი (ეკომ.).
- მიულოცე მიხაკს ბედნიერება... ბატარეის კამანდობა (დ. არდაზ.).
- ბატარეების წარმოება მოუწყო კოლხურიების საფუძველზე (ეკომ.).
- მიზეზად ბატარეების უჭირლობას ასახელებენ (ეკომ.).
- ცდილობენ სამშვიდობო პაქტზე უარის თქვით აშკარა აზრი დადარონ არგუმენტების მთელი ბატარეა (ეკომ.).
- ქარხნის საკლასე ბატარეები წელიწადში მოხმარდნ 900 ათას ტონა ტვიანების (ილიტ. და ხელ.).
- კომბინატში შენდება ეოქსის ბატარეები (ეკომ.).

გალერეა, გალერეია, გალერია:

- მოსე მწერალი ყველაზე უარყოფითი სახეა ევანტე ნინოშვილის მიერ შექმნილ გალერეაში (გ. ქიქ.).
- მას უფლება აქვს სიამაყის გრძობით ჩაუაროს... სამხატვრო გალერეის (გ. ქიქ.).
- ზემოთ გალერეაში გამოჩნდება გლოსტერი... (ი. მაჩაბ., თარგმ.).
- ნამუშევრების დიდი ნაწილი გამოფენილ იქნა სამხატვრო გალერეისა და მხატვართა კლუბში (ილიტ. და ხელ.).
- სამხატვრო გალერეაში იხსნება გ. გაბაშვილის ნაწარმოებთა გამოფენა (ილიტ. და ხელ.).
- მის მიერ გამოყვანილი ტიპური სახეები... საბოლოოდ შერჩებიან ქართული ლიტერატურის გალერეის (შ. დად.).
- ფრანტალური წყალბომები ნატანდამჭერი გალერეით სრულებით არ ატარებს ნატანს (ახ. კომ.).
- ერთი ავტობუსი დედაქალაქის ცენტრში მიდიოდა, მეორე—ზოლოტოვიჩის ბაღში... მე-ოთხე—ტრეტიაკოვის გალერეიაში (ეკომ.).
- ხელმწიფემ ბრძანა... სურათი სახელის გალერეიაში ჩამოკიდეთ (აკადი).
- ესაა ერთ-ერთი მომხიბლავი ტიპი გიორგი წერეთლის მიერ შექმნილ ქალთა პორტრეტების გალერეიაში (გ. ქიქ.).
- მიუნხენში, გალერეიაში... ერთი ყმაწვილი ჩემკენ შემობრუნდა და აღელვებით მითხბა (ნ. ლორთქ.).
- ჩუბოსლოვაციის მწერლის გალერეიაში გაიხსნა გამოფენა „მ. შაიკოვსკის ცხოვრება და შემოქმედება“ (ეკომ.).
- ლეიფციგის-წიგნა... ინახულა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, სურათების გალერეია (ეკომ.).
- ... აუხიბის უკლება ამიდრებს მსახიობის მიერ შექმნილ სახეთა გალერეიას (ეკომ.).

ეპოპეა, ეპოპეია:

- ეს ნამდვილად გასაოცარი ეპოპეია (ეკომ.).
- მარჯანიშვილის სახელობის თეატრის კოლექტივმა დამსწრეთ უჩვენა ისტორიულ-რევოლუციური ეპოპეა—1917 წელი (ეკომ.).
- საბჭოთა მკითხველებისათვის ფართოდ ცნობილია და საყვარელია თქვენი პოეტური ეპოპეა (ეკომ.).
- ლუკაშენკალური პიესაში „დიადი მომავლისათვის“... ასახულია სამამულო ომში საბჭოთა ხალხის ისტორიული ბრძოლის დიადი ეპოპეა (ეკომ.).
- ეს მთელი ეპოპეა არის (ა. ჭუთაია).
- თავის სურათებში ქართველმა მხატვრებმა ისახეს ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების შესანიშნავი ეპოპეის (ეკომ.).

იდეა, იდეია:

- პირველად ამ წიგნში დაიხილა... ქართული თეატრის დაარსების იდეა (გ. ქიქ.).
- ამ დიდ ფრთხილ პლატონს იდეათა მოძღვრება აძლევდა (გ. ქიქ.).
- არი გაქვთ აზრი? იდეა გრძნობა? (ფაფა).

საცა ვე მოუსვენარი იღვია არ არის, იქ ლონია და ძლიერება (ილია).
 ყურნალ-გაზუნთა უაღრესი და უპირველესი მნიშვნელობა უნდა მისცეს იმ იღვიას,
 იმ დღეა-აზრს, რომლითაც თითონ სულდგმულობს (ილია).
 ეს იღვია საკუთრად შე შეკუთვნის (ლ. არდაზ.).
 მას იღვია ჰქვიან სახელად (ი. ევდოშვი.).

ლატარია, ლატარია:

კალაწყდა ამ „ბერანგის“ გათამაშება ლატარიაში (ქ. ბაქრ. თარგმ.).
 გათამაშდება... ნივთებისა და ფულის ახალი ლატარია („ახ. კომ.“).
 მოსწავლემ ხატაპურები მოიტანა კლასში და ლატარიაში ჩააგდო თითო კაპეკიად
 (აკაკი).
 მეორევერ სახელმწიფო ლატარიაში ორასი ათასი მოიგო (შ. ლაღ.).

ამ პარალელურ ფორმათაგან თანამედროვე სალიტერატურო ქართულში
 გაბატონებულია ეს დაბოლოებიანი ფორმები: **ასამბლეა**, **იდეა**, **ალეა** და მისთ.
 ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უცხოური წარმოშობის ამ სიტყვებს **ეჟ** დაბოლოება
 რუსულში აქვთ შექმნილი.

ნათქვამის მიხედვით უცხოური წარმოშობის სიტყვები, რომელთაც რუსულ-
 ში **ეჟ** დაბოლოება აქვთ, ქართულში ეს დაბოლოებით უნდა გადმოიციეს.

ამის მიხედვით გვექნება:

- ალეა (რუს. аллея, ფრ. allée)
- ასამბლეა (რუს. ассамблея, ფრ. assemblée)
- ბაკალეა (რუს. бакалея, არაბულიდან)
- ბატარეა (რუს. батарея, ფრ. batterie)
- გალანტერეა (რუს. галантерея, ფრ. galanterie)
- გალერეა (რუს. галерея, იტალ. galleria)
- გინეა (ინგლისური ოქროს მონეტა)
- იდეა (რუს. идея, ბერძ. ἰδέα)
- ეპოპეა (რუს. эпопея, ბერძ. ἐπιποιεμα)
- ორანჟერეა (რუს. оранжерея, ფრ. orangerie)
- პანაცეა (რუს. панацея, ბერძნ. πανακεια)
- პიორეა (რუს. пиорея, ბერძნ. πύριον)
- ტრაქეა (რუს. трахея, ბერძნ. τραχεια)
- ფარმაკოპეა (რუს. фармакопея, ბერძნ. φαρμακοποιεμα)
- ქორეა (მედიც. რუს. хорея, ბერძნ. χορεία)
- ლივრეა (რუს. ливрея, ფრ. livrée)
- მინეა (რუს. минея, ბერძნ. μινεια)
- ორქიდეა (რუს. орхидея, ფრ. orchidée)
- პორტუპეა (რუს. портупея, ფრ. porte-épee)
- ტრანშეა (რუს. траншея, ფრ. tranchée)
- გონორეა (რუს. гонорея, ბერძნ. γονορροια)
- კისეა (რუს. кисея)
- ფეა (რუს. фея, ფრ. fée)

საკუთარ და გეოგრაფიულ სახელთაგან:

დუღციინეა გვინეა
 მედეა ევბეა

ფსიქეა კორეა
 ერაითრეა იუდეა
 ვანდეა

შენიშვნა 1. ორი სიტყვა—**მამბაზია** და **ლატარია**—ქართულში ზე-
 პირი გზითაა შემოსული (შდრ. რუს. лотерея, ფრანგ. loterie და რუს.
 бомбазея, ფრანგ. bombasin); ამით დაწერილობა უცვლელი დარჩება.

შენიშვნა 2. საკუთარი სახელები **Пелагея** და **Саломея** ქართულში
 უკვე დამკვიდრებული ფორმით დარჩება: **პელაგია** და **ხალომე**.

**ჩასვლის გზით შემოსულ ა-ზე დაბოლოება სიტყვათა
გაფორმება ქართულში**

უცხოური სიტყვები, რომელთაც რუსულში -ა დაბოლოება აქვთ (наша, лампа... газета, цифра, пудра... цитата, кабина...), ქართულში ორგვარი სახით გვხვდება:

ა) ასეთ სიტყვათა აბსოლუტური უმრავლესობა უცვლელად გადმოვიდა ქართულში -ა დაბოლოებით და ა-ზე დაბოლოებული ფორმეებიც კი სახელების წყებას მიეკუთვნა: ბაზა — ბაზისა, ფაზა — ფაზისა, ლამპა — ლამპისა (მაგ., ლამპის შუშა).

ბ) ზოგიერთ ასეთ სახელს ქართულში ბოლოიდური ა ხმოვანი მოეკვეცა და ბოლოთანხმოვანი სახელებს გაუთანაბრა. ასეთებია, მაგალითად: ვაჭეთი, პაპირისი, კატლეტი, ციფრი, პუდრი...

მაგრამ ა-ზე დაბოლოებული რუსულა გზით შემოსული უცხოურა სიტყვები ქართულში პარალელური ფორმებითაც გვხვდება: ზომმა და ზომში, გრანატა და გრანატი, კაბინა და კაბინი, ფანერა და ფანერი, ცისტერნა და ცისტერნი, ციტატა და ციტატი, დეპეშა და დეპეში, პირამიდა და პირამიდი, ამპლიტუდა და ამპლიტუდი, ბიხექტრისა და ბიხექტრისი, ორბიტა და ორბიტი, შიპოთეზა და შიპოთეზი, შიპერბოლა და შიპერბოლი.

მაგალითები:

გრანატა:

მიკვალავლით, გრანატა მოვამზადე, როგორც ვი ვისროლე... (გ. ნატრ.).

გრანატი:

ერთგვარეულმა შუაგულ ქალაქში რამდენიმე გრანატი ისროლეს (კომ.).
პარამუტისტები ტრიბუნისკენ გაეჭინენ და ორი გრანატი გადააგდეს (კომ.).

კაბინა:

... კაბინას აღვამს ავტომობილს (ახ. კომ.).
... კაბინაში დაჯდებოდა და საჭის ბერკეტებს გადასწევ-გაღმოსწევდა (ლიტ. გაზ.).

კაბინი:

[მანქანის] მუხრუჭების სისტემა საიმედოა, მძღოლის კაბინი—მოხდენილი (კომ.).
... ლიფტის კაბინის თერთმეტი გასაჩერებელი აქვს (კომ.).

ფანერა:

საბჭოთა მეურნეობამ სკოლას მისცა... თუნუქი, ფანერა და მასალები (კომ.).
... შექმნილია 12 ათასი ყუთისათვის საკმარისი ფანერა (კომ.).

ფანერი:

კასრს დაფარებული კქონდა ფანერი (კომ.).
საწოლები მბატარულად არის გაფორმებული. გადაკრული აქვთ კაკლის ფანერი (კომ.).

ცისტერნა:

გუშინწინ ორი ცისტერნა ბენზინი ნავთობის მაგიერ სომეხებს ამოატანს (დ. შენგ.).
მატარებლის გადაგდების შედეგად ვანადგურდა: 24 ავტომანქანა, 45 მოტოციკლი, ოთხი ცისტერნა ნავთობ... (დ. ბაქრ.).

ციტერნი:

დავტვირთოთ... 150 ათასი ციტერნი ნავთობის პროდუქტებით (კომ.).

შიპოთეზა:

ნებას მივემ ზემს თავს შიპოთეზა გამოვთქვა (ჩ. ლორთქ.).

შიპოთეზი:

ყველა ზემოაღნიშნული თვით ნ. მარს შიპოთეზია. რომელსაც კრიტიკული განხილვა და შემოწმება სჭირდება (ივ. ჯავახ.).
ის უარყოფს ე. ვეელიძის შიპოთეზას... (ივ. ჯავახ.).

რაკეტა:

საიციკო სანახაობის ბრწყინვალე ამოთოვს წარმოადგენს მსახიობების... რთული ვარჯიში ცირკის თლის ქვეშ მფრინავ საპაერო რაკეტაზე (ლილო).
იპონიამ რაკეტა გაუშვა (კომ.).

რაკეტი:

ამერიკის რაკეტულმა თვითმფრინავებმა სატრანსპორტარ კოლონა რომ შეამჩნიეს... ტყვიამფრქვევი და რაკეტი დაუშინეს (კომ.).

პლანეტა:

როცა კარგ გუნებაზე ვარ, ყოველთვის ვუტყერ ამ პლანეტას (პ. ლომთ.).
მიწაც პლანეტაა... (ახ. კომ.).

პლანეტი:

ისევე საკვირველი კრიან, როგორც მოძრაობა მელიდურ ცაში მოლონთა პლანეტოა (ილია).

ორბიტა:

თვალს კაკალი ყველა თავისი ნაწილით მოთავსებულთა თვალბუდეში—ორბიტაში (პლასტიკური ანატომია).

ორბიტი:

... იმპერიალიზმის ორბიტს გამოვლოჯა დედამიწის მეექვსედი ნაწილი (კომ.).
... ქართული ხელოვნების დეკადა ზაქარია თალაშვილის ორბიტში მოექცა (კომ.).
... ავტორის წიგნის მხორე ნახევრიდან უკვე შევყავართ მაშინდელი უცხოეთის საინტერესო ამბების ორბიტში (ლიტ. ახ. ხელ).

პირამიდა:

ფარაონის პირამიდაზე უნახვ ერთი ბარელიფი მარმან (კ. ვაშს.).
... თბლისელთა ოთხეულმა ზუსტად შეასრულა ურთულესი პირამიდა (ახ. კომ.).

პირამიდი:

თუნდ პირამიდი და სასახლენი დაეყვანეთ შათ საბარკელაძე... (ჩ. შაჩაბ., თარგმ.).
დაე ზოგიერთმა მწიგნობარმა მეცნიერების სახელითა გაიწყალოს თვალ და გონება იმის გამოძიებაში, რომ ამა და ამ ეგვიპტის პირამიდებს იტარებულ იყოს უნდა იყოს (ილია).

ამპლიტუდა:

... თბლისის „ზღვის“ წარმოქმნა... დედაქალაქში ტემპერატურულ ამპლიტუდას 2-3 გრადუსით შეანულეს... (კომ.).
ტემპერატურის ამპლიტუდა (ინვარი-ივლისი) 24°-დან 28°-მდე (ნ. კობ.).
ტემპერატურის წლიური ამპლიტუდა და აბსოლუტური მინიმუმი მეტა ზღვიდან დაცობულ ადგილებში, ვიდრე სანაპიროზე (ნ. კვარაცხ.).

ამპლიტუდი:

... პნევმოგრაფი იწერს სუნთქვის ამპლიტუდას და სიხშირეს (ახ. კომ.).

ამგვარი სიტყვები სხვადასხვა ლექსიკონშიაც კი სხვადასხვა ფორმით გვხვდება:

მაგალითად, „მათემატიკურ ტერმინოლოგიაში“ ამგვარი ტიპის უცხოური სიტყვები უმთავრესად -ა მოკვეცილი სახითაა შეტანილი: ახსციხი, ამპლიტუდი, ბისექტრისი, მანტისი, მედიანი, ორბიტი, პარაბოლი, პრიზმი, პლანეტი, შიპერბოლი, შიპოთეზი და სხვ.

შდრ.: ახსციხა, ამპლიტუდა, ბისექტრისა, ორბიტა, პარაბოლა, პლანეტა, პრიზმა, შიპოთეზა... (რუსულ-ქართული ლექსიკონი).

ამრიგად, ერთი გარკვეული წესი ა-ზე დასრულებული რუსულის გზით შემოსული უცხოური სიტყვების გადმოცემისას ქართულ სალიტერატურო ენაში გატარებული არაა.

მაინც შესაძლებელია ზოგიერთ გარკვეულ ტენდენციებზე მითითება.

1. -tura-ზე დაბოლოებული სახელები ქართულში ყოველთვის უცვლელად, -ა დაბოლოებით, გადმოიცემა: აგენტურა, ადვოკატურა, ამარატურა, კანდიდატურა, კლავიატურა, კორექტურა, კვადრატურა და სხვ.

ასევე უცვლელადაა გადმოცემული მა-ზე დამთავრებული სიტყვები: თეორემა, დრამა, დიორამა, პროგრამა, ფერმა, ფირმა, ტელეგრამა და მისთ.

-იზა დაბოლოებიანი: ექსპერტიზა, ანტრეპრიზა...

-იკა-ზე და კა-ზე: ფიზიკა, ენერგეტიკა, ტონიკა...

2. საერთოდ, ა-ზე დასრულებულ უცხო სიტყვათა დიდი უმრავლესობა რუსულიდან ქართულში უცვლელად, -ა დაბოლოებითაა შემოსული. ამ სახით დამკვიდრდა ქართულში უცხოურ სიტყვათა მთელი წყება:

ბაზა, ბრიგადა, პროპაგანდა, დეკადა, ღამა, სცენა, ლოჯა, აფიშა, მასკა, მოდა, მანერა, ფიგურა, ფაზა, ანკეტა, კანტორა, კატორღა, პაუზა, ნორმა, დოზა, დიეტა, არენა, ბირჟა, სიგარა, სქემა, ფლორა, ფაუნა, ანგინა, აორტა, ვენა, განგრენა, ჰიგიენა, კავერნა, პლევრა, გლუკოზა, ეგზემა...

შენიშვნა. ატმოსფერო-ს და იქედნე-ს ტიპის სიტყვები, რომლებიც რუსულში ა-ზე ბოლოვდება, ქართულში თავისებურადაა გადმოცემული: ატმოსფერო და იქედნე, მაგრამ ეს ფორმები ქართულში ძველი დროიდან დამკვიდრდა და რუსულთან არაა დაკავშირებული.

უკვე აღინიშნა, რომ ა-ზე დასრულებული უცხო სიტყვები ქართულში უმთავრესად რუსულს ენის მეშვეობით შემოვიდა. ეს ა ხმოვანი სიტყვის ბოლოს უცხო სიტყვათა გარკვეულმა ნაწილმა რუსულ ენაში შეიძინა, ხოლო შემდგომ რუსული ენის გზით ქართულშიც გადმოვიდა.

შდრ.:

бацилла — ლათ. bacillum
цитата — გერმ. das Zitat
вахта — გერმ. die Wache, die Wacht
ракета — გერმ. die Rakete
гипотеза — ბერძ. ἡπóθεσις
кабина — ფრანგ. la cabine

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ა ხმოვანით გადმოიცემოდა რუსულში უმთავრესად მდებრობითი სქესის უცხო სიტყვები („В первой половине“)

вине XIX века женский род языка-источника чаще отражался во внешней стороне слова—оно попадало в склонение на -а; позже преобладали по преимуществу формы мужского рода, ближе соответствовавшие французскому произношению“—Л. А. Булаховский, Русский литературный язык первой половины XIX века, 1954, გვ. 92).

როგორც ცნობილია, უცხო სიტყვათა დიდი ნაწილი რუსულში ფრანგული ენის მეშვეობით შევიდა. ამ შემთხვევაში -ა დაბოლოებით გადმოიცა რუსულში ფრანგულიდან შესული მდებრობითი სქესის სახელები, რომლებიც ქართულში, თავის მხრივ, ხან ა-თი გვხვდება და ხან უანოდ.

бомба — la bombe (ბომბა, ბომბი)
баррикада — la barricade (ბარიკადა, ბარიკადი)
ниша — la niche (ნიშა, ნიში)
кабина — la cabine (კაბინა, კაბინი)
галета — la galette (—, გალეთი)
манжета — la manchette (—, მანუეტო)

ამგვარადვე გადმოვიდა რუსულში ქართულში შემდგომ ა დაბოლოებით დამკვიდრებული სახელები:

лампа — la lampe (ლამპა)
сцена — la scène (სცენა)
ложка — la loge (ლოჯა)
афиша — la affiche (აფიშა)
мода — la mode (მოდა)
манера — la manière (მანერა)
доза — la dose (დოზა)
анкета — la enquête (ანკეტა)
ферма — la ferme (ფერმა)
помада — la pommade (პომადა)

შედარებით იშვიათია ქართულში ისეთი სიტყვები, რომლებიც მხოლოდ ა ხმოვანმოკვეცილი ფორმით იხმარება, ე. ი. თანხმოვანფუძიანი გამხდარა.

ასეთი სიტყვებია:

გაზეთი	(газета)	შაუპტვახტი (гауптвахта)
ციფრი	(цифра)	ჰეკატომბი (гекатомба)
კანფეტი	(конфета)	შილზი (гильза)
კატლეთი	(котлета)	დუჟინი (дюжина)
პაპიროსი	(папироса)	დიუნა (дюна)
პუდრი	(пудра)	ზამში (замша)
კარტი	(карта)	დომინანტი (доминанта)
კალოში	(калоша, галоша)	ნოტი (нота), მაგრამ ნოტა (დიბლომატ.)
გალეთი	(галета)	პალატა—სასახლე (палата), მაგრამ პალატა (палата): საავადმყოფოს პალატა, თემთა პალატა
პლომბი	(пломба)	პაპი (папа)
გამაში	(гамаша)	
ბლონდი	(блонда)	

ზოგი მათგანი ზეპირი გზით ჩანს შემოსული (გაზეთი, გალეთი, კანფეთი, კატლეთი, პუდრი, გამაში, კალოში, კარტი. შდრ., სასაუბრო ენის „ბუღკი“ — რუს. булка, „კალბასი“ — колбаса). მაგრამ **ა**-ს მოკვეცა ნასესხებ სიტყვაში, ამ სიტყვების ზეპირი გზით შემოსვლას არ უნდა მიეწეროს.

არის სიტყვები, რომლებიც ქართულში მხოლოდ ზოგიერთი საფანადო განათლების არმქონე პირის მეტყველებაში თუ გვხვდება, მაგრამ რომლებშიც **ა** სიტყვის ბოლოს მაინც დაცულია:

მაგ-ლათად:

„პარტა“ (парта)	„მაშინა“ (машина)
„პლიტა“ (плита)	„ატაკა“ (атака)
„ტრუბა“ (труба)	„აბლავა“ (облава)

კიდევ მეტი, ქართულში, ამგვარსავე მეტყველებაში ზოგჯერ **ა** ანალოგიით დავრთვის რუსულიდან შემოსულ სიტყვებს, თუმცა რუსულში სიტყვის ბოლოში **ა** არ არის.

ватин—ვატინი ვატინა	наган—ნაგანი ნაგანა
сатин—სატინი სატინა	георгин—გეორგინი გეორგინა
ратин—რატინი რატინა	гопак—გოპაკი გოპაკა

ხშირად **ა** ხმოვანმოკვეცილი ზოგიერთი ფორმის წყარო რუსული მრავლობითი რიცხვის ფორმა (მაგ., მრავლ. калоши, галеты, котлеты, карты...).

ანალოგიური პარალელური ფორმები საკუთრივ ქართულ სიტყვებსაც ან აღმოსავლურ ენებიდან შემოსულ სახელებსაც მოეპოვებათ: ქართულში **ა** ბოლო-ხმოვანი სახელების გვერდით **ა**- მოკვეცილი, თანხმოვანფუძიანი ვარიანტებიც გვხვდება. ჩვეულებრივ, უფრო გავრცელებულია **ა** ბოლოხმოვანი ფორმები. ბევრ შემთხვევაში ეს **ა** წარმოშობით კნინობითის მაწარმოებელია.

ძალი—ძალია:

ვაჭვ. ჩემი სისხლი არ შეპრჩეს, ძალი შემწვედეს ქაღალსა („ვეფხისტყ.“, 608).
კაცო, ძალსა წუ იქაღი, წუცა მოკვეც ვითა შირვალი,
არას ვარგებს ძლიურება. თუ არ შეგწვეს ღმრთისა ძალი („ვეფხისტყ.“, 1046).

მელი—მელა—მელია:

ერთი მელი დაცანყარებდა... ერთი მამალი შემოეყარა. კეთისა მეღსა (საბა).

წიწილა—წიწილი:

ქორმა წიწილა წიწილა,
იძახდა წიავ-წიავსა (ვაჟა).

ტომარა—ტომარი:

ატნი ტომარა, მატნი ტომარა,
სახელს რომ გეტყვი, გვარს მოტომ არა (გამოცანა).
საჩქაროდ მოარბენინა ნაცნობის ბინაზე დატოვებული ღიღი ტომარი (ნ. ლორთქ.).

კალათა—კალათი:

ღღღღამ ხილოთ სავსე კარგა დღი კალათა ბავშვებს გადამალა თითქმის ძალის-
ძალათა (შ. შდვ.).
აღბათსა, მალათასა, ხელი ჩაყავ კალათასა (ხალხ.).
შიღის ურმისავენ ყურძნით სავსე კალათა კალათაზე და იცემა გოდორი-
გოდორზე (ნ. შანშ.).

წიფელა—წიფელი:

„ხმელი წიფელი“ (ვაჟა).

ბეპელა—ბეპელი:

მაშ რად მინდა ბეპელა.
უგნური, თავის მკვლელო? (აკაკი).

ოფოფი—ოფოფა:

წერთაც გადაიარეს,
მერცხალც მოფრენილო,
ოფოფა სავარცხლიანი
იმათ მოუძღვა წინაო (ვაჟა).

და ასე: **წურბელა** და **წურბელი**, **ჭიანჭველა**, **ჭინჭველა** და **ჭინჭველი**, **პრახი** და **პრახა**, **პილბიდი** და **პილბიდა**, **შიშველი** და **შიშველა**, **ტიტველი** და **ტიტველა** და სხვ.

აღნიშნულ პარალელურ ფორმათაგან **ა** მოუკვეცილი ფორმები უფრო სი-
კოტლისუნარიანი ჩანს.

რუსულიდან მომდინარე **ა**-ზე დასრულებულ უცხო სიტყვათა ქართულში გადმოსაცემად უცხო ენის დაწერილობას ან წარმოთქმას დაყრდნობა გაუმართ-
ლებელი იქნებოდა, ამით საქმე გართულდებოდა და ფორმათა სიჭრელს ვერ
ავიცდებდით. ამოსავალი უნდა იყოს შუამავალი (ამ შემთხვევაში რუსული) ენა.

ა-ზე დასრულებულ რუსულიდან მომდინარე უცხო სიტყვათა გადმოცემა
ქართულში **ა** ხმოვანმოკვეცილად (ხმოვანფუძიანად) საესებით ბუნებრივი ჩანს.
ასეთ ფორმებს უპირატესობა აქვთ ხმოვანმოკვეცილებთან (თანხმოვანფუძიანებთან)
შედარებით.

რამდენადაც ასეთი სახელები ფუძეკვეცილები არიან, წარმოებისას, კერძოდ
ხმოვანი დაწყებული სუფიქსის დართვისას, არ იქმნება არავითარი უხერხულობა.
ხოლო თანხმოვანზე დაწყებული სუფიქსების (ეთქვათ, მრავლობითის ნათესაო-
ბითში თ-ს) დართვისას, რაც ძალიან ხშირია, ამათ დიდი უპირატესობა აქვთ
თანხმოვანფუძიანებთან შედარებით; მიუხედავად იმისა, რომ **დეტეშა**-ს გვერდით
საკმაოდ ხშირად **დეტეში** იხმარება, გვაქვს მხოლოდ და მხოლოდ **დეტეშათა** საა-
გენტო (**დეტეშთა** შეუძლებელია). ასევე უფრო მოსაზრებელია თანდებულების
დართვა ამ ფორმებზე; შდრ. **პრიზმზე** და **პრიზმაზე**, **პრიზში** და **პრიზმაში**.

ანგარიში უნდა გავწიოს იმ ფაქტს, რომ ქართულში ასეთი უცხო სიტყვები
ხმოვანმოკვეცილი ფორმითაა გაბატონებული, თანხმოვანფუძიანი ფორმები უფრო
იშვიათია, პარალელურ ფორმათა ხმარების შემთხვევაშიც (**ჰიპოთეზა**—**ჰიპოთეზი**,
ციტატა—**ციტატი**, **კაბინა**—**კაბინი**...) **ა** ხმოვანი ვარიანტების ხმარება სჭარ-
ბობს.

ნათქვამის საფუძველზე:

1. **ა**-ზე დასრულებული რუსულის გზით შემოსული უცხო
სიტყვები ქართულში უნდა გადმოიცეს **ა** დაბოლოებით, ხმო-
ვანფუძიანად.

მაშასადამე, უნდა იყოს:

აბსცისა, **ალტერნატივა**, **ამპლიტუდა**, **ამპულა**, **ამბრაზურა**,
ანკეტი, **ანტენა**, **ანტიფეზა**, **ანტრეპრინა**, **ანფილადა**, **აორტი**,
ბალტრინა, **ბარკადა**, **ბაცილა**, **ბიხექტრინა**, **ბლოკადა**,
ბუფონადა, **გირლანდა**, **გლუკოზა**, **გრიმასა**, **დრეზინა**,
კაბინა, **კავატინა**, **კამერა**, **კანტატა**, **კარეტა**, **კოლონადა**,
კომეტი, **კოპორტი**, **კუბიურა**, **ლაიკა**, **ლაქტოზა**, **მაკაკა**,
მანდოლინა, **მანტისა**, **მატრიცა**, **მედიანა**, **მემბრანა**, **პარაბოლა**,

პარადიგმა, ტურბინა, პასტა; პერსპექტივა, პირამიდა, პლატინა, პრიზმა, რეტორტა, ფისტულა, ციტატა, ჰიპერბოლა...

შენიშვნა. დაეას არ იწვევს ის სიტყვები, რომლებიც რუსულში ბოლოვდება -tura, -ma, -niza, -nika და -ka-ზე; მათ ქართულში პარალელური ვარიანტები არ აქვთ. ყველა ა-ზე ბოლოვდება (აპარატურა, კანდიდატურა, კლავიატურა... თეორემა, რეკლამა, პროგრამა... ექსპერტიზა, ანტრეპრიაზა... ფიზიკა, ენერჯეტიკა...).

2. გამონაკლისის სახით თანხმობან ფუძიანებად უნდა დადასტურდეს ქართულში ასე დამკვიდრებული სიტყვები:

გაზეთი	წამში
ციფრი	დომინანტი
კატლეტა	ნოტი (მუს.), მაგრამ ნოტა (დიპლ.)
პაპიროსი	ფანერი
მანუეტი	ბომბი
პლომბი	კოორდინატა
პაპი (რელიგ.)	ორდინატა
ვახტი	კალოში
შახტი	იოტი
შაუბტვახტი	კალკი
რეზინი	კულისი
შილზი	გლანდი
დიუნნი	როზგი

შენიშვნა 1. ორივე მუხლით ნავარაუდები ყველა სიტყვა ორთოგრაფიულ ლექსიკონშია სრულად წარმოდგენილი.

შენიშვნა 2. ხფერო და რთულფუძიანი სიტყვები, რომლებშიც ეს სიტყვა შედის (ატრატოსფერო; ხუბსტრატოსფერო. ატმოსფერო, ბიოსფერო და მისთ.) ქართულში ი დაბოლოებით უნდა დარჩეს.

მიმართულებითი პასუხის დაპოვნება

1. მიმართულებით ბრუნვაში სადავოა — დონი იწერებოდეს ბოლოს თუ თანი. მაგ.: ამხანაგად თუ ამხანაგათ, მიწად თუ მიწათ, დიდად თუ დიდათ და სხვ.

2. სალიტერატურო ქართულში უძველესი დროიდან მოყოლებული მიმართულებითი ბრუნვის დაბოლოება ხმოვანფუძიან სახელებში -დ იყო და არის დღესაც, ხოლო თანხმოვანფუძიანებში -ად. დ-ს მოცილებდ თ ჩნდება სპორადულად გვიანდელ (XVII—XVIII სს.) ძეგლებში.

3. ცოცხალ კილოებში მიმართულებითის დაბოლოებად დღეს ბევრგან -თ და -ათ არის და კილოების ვავლენით იგი სალიტერატურო ენაშიც იჩენს ხოლმე თავს.

4. დ-ს თ-დ ქცევა, რასაც ადგილი აქვს მიმართულებითი ბრუნვის დაბოლოებაში, განცალკევებით მდგომი მოვლენა არ არის. ამგვარივე ხასიათისა ზ-ს დაყრუება და ფ-დ ქცევა -ებ და -ობ სუფიქსებიან ზმნებში (განსაკუთრებით დასავლურ კილოებში): გაკეთფ, ვამზოფ და სხვ.

5. ბოლოკიდური მქდერის დაყრუების ფაქტიდან არ გამომდინარეობს ის დასკვნა, რომ აუცილებლად ყრუ უნდა ეწერათ. ამის საუკეთესო მაგალითია ზმნების -ეფ და -ოფ სუფიქსებიანი ფორმები, რომლებიც დიალექტურ მოვლენად არის მიჩნეული. აქ ზანის დატოვებას გვიკარნახებს ისეთი ფორმების არსებობა, სადაც ზ უცვლელად რჩება: აკეთებზ—აკეთებდა, კეთება, გაკეთებული; ამზობზ—მზობა, ნამზობი და სხვ.

6. ზემოხსენებული -ეფ, -ოფ სუფიქსების მსგავსად დიალექტურ მოვლენას წარმოადგენს მიმართულებითის თ-ც, რომლის პირვანდელი სახე დ მკვიდრადაა დაცული მიმართულებითისაგან ნაწარმოებ ფორმებში, როგორცაა:

ა. წილათა სახელები: მესამედ—მესამედი, მებუთედ—მებუთედი, მეათედ—მეათედი, მესამედ—მესამედი და სხვ.

ბ. სახელები, რომელთა ფუძედ მიმართულებითი ბრუნვის ფორმებია გამოყენებული: ტანად—ტანადი—ტანადობა, თვალად—თვალადი—თვალადობა, პირად—პირადი—პირადობა და ახალი ნაწარმოები: ფულად—ფულადი, ჰედად—ჰედადი, ზრადად—ზრადადი და სხვა.

ამის მიხედვით შემდეგი დასკვნები უნდა იქნეს გაკეთებული:

1. მიმართულებითი ბრუნვის ნიშნად დარჩეს -დ, -ად და არა -თ, -ათ.

მასასადამე, სახელები მიმართულებით ბრუნვაში (კითხვებზე: რად? როგორ? რამდენად? სად?) უნდა იწერებოდეს მხოლოდ -დ (ხმოვანფუძიან სახელებთან) და -ად (თანხმოვანფუძიან სახელებთან) დაბოლოებით: მაგ.: კაცად (და არა კაცათ), ამხანაგად (და არა ამხანაგათ), ზედ, ყრუდ... დიდად, კარგად, ხაშიად, მუთად, ხოფლად და ქალაქად და სხვა.

2. ერთი ჯგუფი სიტყვებისა, რომლებიც ზმნისართებია და მოქმედებითი ბრუნვისაგან არიან მიღებული, ან რომლებიც ფუძეში თ-ს შეიცავენ, დაიწერება თ-თი (და არა დ-თი); ასეთებია: გარეთ, ზემოთ, ქვემოთ, უნებლიეთ, წინათ, უკეთ, ალბათ (ისევე, როგორც ზევით, ქვევით, შიგნით და სხვა.).

წოდებითი ფორმის დაბოლოება

წოდებითის დაბოლოება უძველესი დროიდან მოყოლებული ზოგად სახელებთან -ო იყო. იგი დღევანდლამდის შერჩა ბოლოთანხმოვნიან სახელებს: ამა-ნაგ-ო, მეზობელ-ო და სხვა; ხმოვნით გათავებულ ფუძეებთან კი წოდებითის -ო იქცა ვ-დ ან სულ დაიკარგა და ამიტომ მივიღეთ ასეთი პარალელური ფორმები: დედა-ვ და დედა, მებაღე-ვ და მებაღე, წყარო-ვ და წყარო და სხვა.

ადამიანთა საკუთარ სახელებს დაბოლოება თავიდანვე არა ჰქონია: პეტრე! დავით! ვახტანგ! ეთერ!

ხმოვანფუძიანი ადამიანთა საკუთარი სახელების -ვ დაბოლოებიანი ფორმები წოდებითისა, რაც არაიშვიათად გვხვდება მწერლობაში (პეტრე-ვ, შარბარტ-ვ და მისთანანი), დიალექტურია ისევე, როგორც ბოლოთანხმოვნიან ადამიანის საკუთარ სახელთა -ო დაბოლოებიანი ფორმები (დარეჯან-ო, ქეთევან-ო, ბეჟან-ო...).

უკანასკნელ ხანებში სასაუბრო მეტყველებაში ფართოდ გავრცელდა და (იშვიათად, მაგრამ მაინც) წიგნის ენაშიც გვხვდება ბოლოთანხმოვნიან ადამიანის საკუთარ სახელთა წოდებითის ფორმები, რომლებიც სახელგაბითის ფორმებს იმეორებს (ნოდარი! გურამი! თენგიზი! ეთერი!). ასეთი ფორმები უკუსავდებია, როგორც ლიტერატურული ენის თვალსაზრისით საგვებთ უმართებულა.

წოდებითში სახელები ასე უნდა გაფორმდეს:

ა) ბოლოთანხმოვნიანი ზოგადი სახელები წოდებითში წარმოითქვას და დაიწეროს -ო დაბოლოებით: მაგ.: კაც-ო, ამხანაგ-ო, მეგობარ-ო, თავ-ო, წყაღ-ო, სახლკარ-ო და სხვ.

ბ) ბოლოთანხმოვნიანი ორ- და მეტმარცვლიანი ზოგადი სახელები წოდებითში იხმარებოდეს პარალელური ფორმებით: -ვ დაბოლოებით ან უდაბოლოებოდ (ე. ი. ფუძის სახით); მაგ.: ქვეყანა-ვ და ქვეყანა, მიწა-ვ და მიწა, მებაღე-ვ და მებაღე, წყარო-ვ და წყარო, სამშობლო-ვ და სამშობლო და სხვ.

დაბოლოების გარეშე იხმარებოდეს უ ბოლოთანხმოვნიანი ორმარცვლიანი სახელები: ძუძუ და სხვა.

გ) ერთმარცვლიანი ბოლოთანხმოვნიანი ზოგადი სახელები წოდებითში გადმოიცეს -ო დაბოლოებით: ძმა-ო („ძმავო, რა ტყბილად, რა უღარღელად ჩემი დღეები იქ მიდიოდნენ...“ — ილია), და-ო, მთა-ო („მთავო, გადმიშვი, გადმიშვი!“ — ხალხური), მზე-ო („მზეო, ამოდი, ამოდი, ნუ ეფარები გორასა“ — ხალხური), ხბო-ო, ყრუ-ო და სხვ.

შენიშვნა: ზოგ შემთხვევაში, განსაკუთრებით კი ლექსებში, დასაშვებია ერთმარცვლიანი ბოლოთანხმოვნიანი ზოგადი სახელები წოდებითში იხმარებოდეს -ვ დაბოლოებით: მაგ.: ძმა-ვ („მართალია, ძმავ, კაცს მოსწყინდება ძუნწი ცხოვრება ეს დასალონი...“ — ილია), და-ვ, მზე-ვ („მზევ, შინ შემოდი!“ — ხალხური), მთა-ვ და სხვ.

დ) ადამიანის საკუთარი სახელები წოდებითში წარმოითქვას და დაიწეროს დაბოლოების გარეშე: გურამ, ნოდარ, თენგიზ, ეთერ, დავით, ლუა, პეტრე, ელენე, შაქრო, დუტუ და სხვა.

ე) -ძე, -ვა, -უა და -ია-ზე გათავებული გვარები წოდებითში ადამიანის საკუთარ სახელებს გაუთანაბრდეს და იხმარებოდეს უდაბოლოებოდ: მამასადამე, უნდა ითქვას და დაიწეროს; ბაქრაძე, ჭავჭავაძე, ჭონჭაძე... გუგუნივა, კუბრავა, ჯაბუა, ნოდია, ხოშტარია და სხვ.

ვ) ბოლოთანხმოვნიანი გვარები წოდებითში ზოგად სახელებს გაუთანაბრდეს და -ო დაბოლოებით გაფორმდეს: მამასადამე, იქნება: ბურღულაო, წერეთლო; ცხველიანო, გომართლო, ბარათაშვილო და სხვა.

გ) ცხოველთა საკუთარი სახელები და გეოგრაფიული სახელები წოდებითში ზოგად სახელებს გაუთანაბრდეს და შესაბამისად გაფორმდეს; სახელდობრ:

ბოლოთანხმოვნიანებს დაერთოს =ო; მაგ. გორ-ო („გორო, ქართლის შუაგულს...“ — აკაკი), თბილის-ო, შოკოვ-ო, ქუთაის-ო („შემეწიერო ქუთაისსო, სავარდო და სამაისო...“ — აკაკი), თერგ-ო („ნეტავი შენ, თერგო! იმიო ხარ კარგი, რომ მოუსვენარი ხარ...“ — ილია), მტკვარ-ო („ვინ იცის, მტკვარო, რას ჰბუტბუტებ, ვისთვის რას იტყვი...“ — ნ. ბარათ.), რიონ-ო, დნებარ-ო და სხვა.

ბოლოთანხმოვნიანებს დაერთოს -ვ ბოლოსართი ან იხმარებოდეს უდაბოლოებოდ. მაგ.: აბაშა-ვ და აბაშა, სამტრედია-ვ და სამტრედია, ოდეხა-ვ და ოდეხა, ვოლგა-ვ და ვოლგა და სხვა; ლაბა-ვ („ერთ ბედს ქვეშა ვართ, ლაბავ, მე და შენ...“ — ილია) და ლაბა, ნიშა-ვ („ნიშავ, ნიკორას გაუწი, მაგას მოაბი მხარია...“ — რ. ერისთ.) და ნიშა, ნიკორა-ვ და ნიკორა, შვინდა-ვ („ჩემო შვინდავ!“ — შ. არაგვი) და შვინდა, ყურმა-ვ და ყურმა და სხვა.

თ) ქვემოჩამოთვლილ ადამიანთა საკუთარ სახელებში ბოლოკიდური -ი ფუძისეულია და, მამასადამე, შერჩება სახელს ყველა ბრუნვაში.

ავჭენტი, აკაკი, ალექსი, ამბერკი, ამბროსი, ანატოლი, არკადი, ბიენტი, გინაი, გერგასი, გერგენტი, გვალი, გივი, გიორგი (გაგი), დევი, დიმიტრი, დომენტი, ევგენი, ევგრაფი, ევლამპი, ევსევო, ევტიზი, ერასტი, ვალერი, ვახუშტი, ინიკენტი, ირაკლი, იური, კლიმენტი, კორნელი, კუკური, ლავრენტი, ლავროსი, ლევანსი, ლეონტი, მელენტი, პროკოფი, რატი, სერგი, ტარასი, ტერენტი, ქიშვარდი, ქუჯი, ხარლამპი.

ალაი, გუგული, ელუკი, ვასასი, ლილი, ლალი, ლილასი, მერი, ნანული, ნინელი, პუპი, ფატა და სხვ.

ქვემოთ ჩამოთვლილი ადამიანთა საკუთარი სახელები თანხმოვან ბგერებზე ბოლოვდება და, მამასადამე, წოდებითში ასე უნდა იხმარებოდეს: უშანგ, ეთერ, ივლით, ბესიკ...

ი) იმ, -იმ და -იმ-ზე დამთავრებული რუსული გვარების გადმოცემისას ქართულში ბოლოკიდური -ი ფუძისეულია. მამასადამე, უნდა ითქვას და დაიწეროს: გორკი—გორკიმ, წოდ. გორკი! ჩერნიშევსკი—ჩერნიშევსკიმ, წოდ. ჩერნიშევსკი! ბუდიონი—ბუდიონიმ, წოდ. ბუდიონი! ტოლსტოი—ტოლსტოიმ, წოდ. ტოლსტოი! პოლევოი—პოლევოიმ, წოდ. პოლევოი!

უცხო გვარებში, რომელთაც რუსულში ბოლოკიდურად იმ აქვთ, ქართულად გადმოცემისას ბოლოკიდური -ი ფუძისეულია განეკუთვნება: მამასადამე, იქნება: ტორჩელი — ტორჩელიმ, წოდ. ტორჩელი! ბოტიჩელი — ბოტიჩელიმ, წოდ.

ბოტიჩელი! გარიბალდი—გარიბალდიმ, წოდ. გარიბალდი! მარინეტი—მარინეტიმ, წოდ. მარინეტი! მაძინი—მაძინიმ, წოდ. მაძინი! და ასე: პაჯანინი, პუჩინი, პანინი და სხვ.

ეგვემ წესი ვრცელდება გეოგრაფიულ სახელებზედაც: ტრიპოლი—ტრიპოლიმ, წოდ. ტრიპოლი! დელი—დელიმ, წოდ. დელი!

კ) თანხმოვანზე დაბოლოებული რუსული გვარები წოდებითში ქართულად უნდა გაფორმდეს: ლეხედევ-ი—ლევხედევო! გრიბოედოვ-ი—გრიბოედოვო! და ასე: ამხანაგო ივანოვო! ამხანაგო პეტროვო!

ლ) უცხოურიდან მომდინარე ტიტულები წოდებითში ქართულად უნდა გაფორმდეს მაშინაც, როცა დამოუკიდებლადაა ნახმარი და მაშინაც, როცა მსაზღვრელადაა გამოყენებული. ბარონო! გრაფო! ვიკონტო! მარკიზო! შერცოვო! ლორდო! მილორდო! შერცოვო ველინგტონო! გრაფო გლოხტერო!

უცხოური „მადამ“, „მისტერ“, „მის“, „მისის“, „ხერ“, „ლედი“ ქართულში გაუფორმებლად დარჩება.

მ) სკოლაში მასწავლებლის მიერ მოსწავლის გამოძახებისას სავალდებულოდ იქნეს მიჩნეული გვარების წოდებითში ხმარება ამჟამად უმართებულოდ ხმარებული სახელობითის ნაცვლად (ახათიან-ო, გომართელი-ო, დავითაშვილი-ო...), ხოლო სიაში ან ჟურნალში ამოკითხვისას—სახელობითში (ახათიან-ი, გომართელი, დავითაშვილი-ი და სხვ.).

ჩიხვიძის სახელების მართლწერის საკითხები

ჩიხვიძის სახელები შეიქმნა იყოს რაოდენობითი, რიგობითი და წილობითი.

1. რაოდენობითი ჩიხვიძის სახელების ფუძე ქართულში არის მარტივი შედგენილობისა და რთული შედგენილობისა.

მარტივია ერთეულების გამომხატველი სახელები: ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა, ცხრა; შემდეგ: ათი, ოცი, ასი და [ქართული სიტყვა-წარმოების თვალსაზრისით] რიცხვთა უმაღლესი კლასის გამომხატველი ნასესხები სახელები: მილიონი, მილიარდი (ბილიონი), ტრილიონი, კვადრილიონი და ა. შ.

ყველა დანარჩენი რთული შედგენილობისა: ათის შემდეგ ოცამდე: თერთმეტი (←ათერთმეტი), თორმეტი (←ათორმეტი), ცამეტი (←ათსამეტი), თოთხმეტი (←ათოთხმეტი), თხუთმეტი (←ათხუთმეტი), თექვსმეტი (←ათექვსმეტი), ჩვიდმეტი (←ათშვიდმეტი), თვრამეტი (←ათრვამეტი), ცხრამეტი (←ათცხრამეტი); ოცდაერთი, ოცდაშვიდი, ოცდაცხრამეტი... ორმოცი... სამოცი, ოთხმოცი... ას ერთი, ას ოცი, ას ორმოცდაცხრამეტი... ორასი, შვიდასი, ათასი... ათას ხუთასი... ოცი ათასი, ას ოცი ათასი და ა. შ.

ამასთან, რთული შედგენილობის რაოდენობითი რიცხვითი სახელები თერთმეტიდან ცხრამეტამდე (ათერთმეტი, ათცხრამეტი), ოცეულების გამომხატველი სახელები (ორმოცი ← ორმოცედი, ოთხმოცი ← ოთხმოცი) ასეულების შემცველი სახელები (ორასი, ხუთასი, ათასი...), ათასეულებისა და ასეულების შემცველები (ათასასი, ათასორასი, ათასშვიდასი...) ფუძეების უკავშიროდ შეერთებით მიიღება, ხოლო იმ რიცხვით სახელებში, რომლებიც გამომხატავენ რიცხვებს ერთი ოცეულიდან შემდეგ ოცეულამდე, ფუძეები და კავშირით არის შეერთებული ერთმანეთთან: ოცდაშვიდი, ოცდაათი, ორმოცდაჩვიდმეტი, სამოცდაცხრამეტი, ოთხმოცდათვრამეტი...

რაც შეეხება ათასეულს, ათასეულთა რაოდენობის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელები თანამედროვე ქართულში ათასთან სახელობითი ბრუნვის ფორმითაა შეწყობილი მაშინაც, როცა ათასი სახელობით ბრუნვაშია დასმული, და მაშინაც, როცა ათასი სხვა ბრუნვებშია წარმოდგენილი.

მაგალითად:

ქართული დროსა ორას ათასის წლას განმავლობაში ქართველობას შახლეთ და დიდებით ხელში შეჭრა, თავის სისხლში ამოუვლო და რუსეთისათვის შეუმწყვლელად და უჩორქოდ გადაუცია (ილია).

ბევრი ათი ათასი წელწადა გავადა, ვიდრე ადამიანი ენას შექმნილა სამეტყვეოდ (ილია).

ეს რომ სულ ორმოცი ათასი მონგოლო... დაესა თავს ჩვენს ქვეყანას (ი. გოგებ.).

ორი ათასი თოფი ქართველის ჯარისა სეტყვასავით აყრიდა ტყვიას თავზე (ი. გოგებ.).

5. თანამედროვე ქართული ჰალიტერატურა ენის ნორმები

ერთ მხრედ იბრძოდა ათი ათასი თათარი (ი. გოგებ.).
[დღეა ფუტკარს] თან ახლავს რამდენიმე ასი ათასი ფუტკარი (ი. გოგებ.).
ყოველდღე უკანასკნელი სამოცი ათასი გირვანქა თევზი მიიწვ მოუნდნა-
მათ (ი. გოგებ.).

ჩვენს ბრძანებაზე ათასნი, ათი ათასნი დადიან (ვაჟა);
ათი ათასი ყოველმხრედ რომ დაიქუხებს ერთად (ვაჟა).
ამ ფულიდან თოთხმეტი ათასი მანეთი შეეკლავს დაურიგა (გ. წერეთ.).
ოცდახუთი ათასი მანეთი ყოველწლიურად გადადებული იყო მოსწავლეთა
სტაჟენდიებისათვის (დ. კლდ.).
საჭირო იყო, სულ უკანასკნელი თერამეტი ათასი ფული სიმინდი რომ
შეტანილიყო სოფელში (დ. კლდ.).
ახალიცხელია საშველად ოსმალეთიდან ოცი ათასი ასკერი მოჰყავდა
(მ. ჯავახ.).

მხიარულად მისცა ხმა ათი ათასმა მრევლს გულმა (ი. გოგებ.).
იგრილა ათი ათასმა ფრთამ (ვაჟა).
თუ მოვიწადინე, ათასს და ათი ათასს არ ვიშოვი? (ვაჟა).
იქიდან წამოსული სინათლე ათი და ათჯერ ათი ათას წელს შემდეგ იღწევს;
ჩვენამდე (ტ. ლომთ.).
ეს მამული დარჩება ბახვა ფულავას ოცი ათას მანეთში (გ. წერეთ.).
ხუთი ათასი ჭარბველი ებრძოდა სამშობლოს დასაცველად სამოცდაათი
ათას სპარსელსა (ი. გოგებ.).
მაშასადამე, ყველა მატლი თევზი ოცდაათს ნაყოფს სქამს და შვიდი ათას
ხუთასი ჭია შესქამს ორას ოცდახუთი ათას ნაყოფსა (ი. გოგებ.).

მტერთა რიცხვი ოცდაათი ათასს აღემატებოდა (ი. გოგებ.).
ხუთი ათას თუმანზე მოვაწერე ხელს (აკაკი).
რუსულს თეატრს კი ამჯერ ხანებში ხუთი ათას თუმანამდე ფული მიამწველა.
მთავრობამ (ილია).

ათასსუთისი მაშინ მომხმარე ოცი ათასად დაჯანდებოდა (აკაკი).
სუსტი ზარი მის ხელში გვიდებდა და ათი ათას ნაკლულ იღუპება (მ. ჯავახ.).
ჩვენებური ზანკი... წელიწადში ოცი ათას თუმანზე მეტს მოგვას იძლევა და ამ
ოცი ათას თუმანიდან თითქმის ათი ათასს თუმანს საზოგადო. საქვეყნო ჭირსა
და ვარაშს ანდობებს (ილია).

მოწინავე ჭარს, ტურჯად დარაზმულს, ოთხი ათასსა დაპყრებს ჭაბუკს (აკაკი).
ხუთი ათას კაცამდე ნაცნობი და უცნობი მიდის იმის პანამვიდზედ (ილია).
კაცი, მაგალითებრ, მოგითბრობთ, რომ საქართველოს სამი ათასი წელიწადი-
უცხოვრია და ამ სამი ათას წელიწადში არც ხელი გაუნძრევია, არც ჰქუა და
გონება უმოქმედებია, არც გული და გრძნობა გამოუჩინებია, არც წესი და არც რიგი
ცხოვრებისა გამოუტრკევია, არც არადროს ცოდნა და გავება ჰქონია, ერთი სიტყვით,
ისტორია არა ჰქონია. ეუბნებით, თუ ყოველი ეს მართალია, მაშ როგორღა გაუძლია
საქართველოს დღემდე, რას შეუძნავეს ამ სამი ათას წელიწადში და რატომ
მტვრად არა ქცეულა ამოდენა მტრებ შორის მოქცეულ? (ილია).

თუ გვეძინება ორი ათასეული და ორი ასეული, ამის მოკლედ ასე გამოვთქვამთ: ორი
ათას ორასი. ასევე ხუთი ათასეული, სამი ასეული და ოთხი ასეული მოკლედ ასე
გამოითქმის: ხუთი ათას სამას ორმოცი. ან კიდევ, შვიდი ათასეული, რვა ასე-
ული და ორი ათეული შემოკლებულად ასე გამოითქმის: შვიდი ათას რვაას ოცი.
დაასახელებ შემდეგი რიცხვების თანრიგები: ოთხი ათას შვიდს ორმოცდა რვა;
ხუთი ათას ექვსასი; ოთხი ათას ოცდა რვა; სამი ათას სამას ერთი (ა. ხა-
ჩაბაძე, ართიმ. ამოც. და მაგ. კრებული III კლ.).
დაწერეთ რიცხვები: თერთმეტი ათას ორას ერთი, ას შვიდი ათას ოთხას
სამოცი (მხივე, IV კლ. სახელმძღვანელო).

რაც შეეხება ძველ ქართულს. იქ ათასეულთა რაოდენობის აღმნიშვნელი
რიცხვითი სახელები ათასთან ფუძის სახით იყო წარმოდგენილი:

ოდეს-იგი ჭეუზად განუტეებ ხუთ ათასსა (მარკ. 8, 10).
ინამა დგა კაცებან მან რიცხუთ ხუთ ათასმან (ლონე 6, 10).
ოდეს-იგი უთი ბური განუტეებ ხუთ ათასთათს (მარკ. 8, 10).
(ლონე) იყენეს ვრ ორ ათას (მარკ. 5, 18).
ხოლო რომელთა ჭამეს, იყენეს ოთხ ათას მაჰანი (მათე 15, 88).
და ვბოვით პრპატრეეს ორ ათას ას და შუღი სული (წარტყ.).
და ვბოვით ვოდოლსა თანა დავითოსსა ორ ათას ორას და ათი სული (წარტყ.).
და ვბოვით ქუბათი შინა და ორმოთა და ლაქუთა შინა და მტოლთა ექუს ათას
ცხრაას და ათშუდმეტი სული (წარტყ.).

მაგრამ ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში უკვე საკმაოდ ხშირად გვხვდებ-
ა შემთხვევები, როცა ათასეულთა რაოდენობის აღმნიშვნელი რიცხვითი სახე-
ლები ათასთან სახელობითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი:

იყო რიცხვ იგი ყოველთად მათ ერთბამად სამოცოცდაექუსი ათასი და ხუთასი
და ცხრაას სული (წარტყ.).
განაძლო ოთხი ათასი სული (კომენი I).
და მოსრეს ძეთა ისრაელისათა ბენიამენი მას დღესა შინა ოცდახუთი ათასი და
ასი კაცი (ოშვი, მსაჭულთა).
მინიჭა მამასა გრიგოლს და მოყუსათა მისთა დრამათ ათი ათასი (ხანძთ.).
გამოზარდა ექუსასი ათას ორმოცთა წელსა (კომენი I).
და დავცა სიმრავლე ოთხას ათასის ხაზოლოსად (ხრონ.).
ხოლო იუდასა შორის ოთხას ოთხმეოცი ათასნი კაცი აღმოჩნდნენ
მებჯლისანი (ხრონ.).

ათასეულის რაოდენობის აღმნიშვნელი სახელი ზოგჯერ ბრუნვაშიც კი შე-
იძლება იყოს შეთანხმებული ათასთან:

უკუთუ შემძლებელ არს ათითა ათასითა შემთხუვად ოცითა ათასითა
მოშავლისა მის ზედა? (ლუკა 14, 81).
მეორმინდელ ძეგლებში სახელობითი ბრუნვა საბოლოოდ შეკვირდება.

მაგალითად:
წარმოემართა ლაშქრთა ოცდაცამეტი ათასითა (ანა დედოფ. ქ. ც.).
და მოსწყუდნა სატლითა სარკინოზოზიან ოცდათხუთმეტი ათასი (იქვე).
შენ მინიჭე უშიდას ოთხმოცთა ათასი სული (იქვე).
ასი ათასი წითელი შენ ქრთამად შეოწრო (ავფხისტყაოსანი, სტროფი 741).
შეცარა წითელი ასი ათასი პირად მზემან და ტანად სარომან (იქვე, სტროფი 771).
შევიარნ სპანი, არაბეთს აღარა ხანსა ზმულთა,
კაცი ოთხმოცი ათასი, ყველაი დავაშულთა (იქვე, სტროფი 1567).
გვირახის კარსა ჭაბუკი ათი ათასი მცველი (იქვე, სტროფი 1882).
ათი ათასი ჭაბუკი დგას ყველაჲი ხასები (იქვე, სტროფი 1248).

თუმცა აქა-იქ შეიძლება ძველი ნორმაც ამოტივტივდეს:
ათი ათასი ჭაბუკი დგას ყველაჲი ხასები,
ქალაქს კართა სამოთვე სამათასსამათასებ (იქვე, სტროფი 1248).
ასეთი შემთხვევები მეტად იშვიათად, მაგრამ მინიმალ ქართულშიც
დასტურდება:
[მუშა ფუტკარის] რიცხვი უწევს თხუთმეტი ათასიდან ოცდახუთ ათასამდე
(ი. გოგებ.).

ამ შემთხვევაში ჩანს ტენდენცია ათასს მისი რაოდენობის გამომხატველი
რიცხვითი სახელი ისე შეეწყოს, როგორც ბრუნვაში შეთანხმებული მსახდრეული.

უფრო მაღალი კლასის გამოხატველი რიცხვითი სახელების (მილიონი, მილი-
არდი და ა. შ.) რაოდენობის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელები ფუძის სახით წარ-
მოდგენილი არ შეიძლება იყოს, მაგრამ აქ ერთი თავისებურება შეიმჩნევა: მაშინ,
როცა ათასთან სახელობითი ბრუნვის ფორმა მჭიდროდა დაკავშირებულია და
ათასის ბრუნვაში ცვლისაგან არაა დამოკიდებული, ყოველთვის სახელობითში
გვხვდება, რომელ ბრუნვაშიც უნდა იყოს ათასი, — მილიონს, მილიარდს და ა. შ.
მისი რაოდენობის გამოხატველი სახელი ისე შეეწყობა, როგორც მსაზღვრელი
და მასთან ბრუნვაში შეთანხმებული (შდრ.: ორი ათასმა კაცმა და ორმა მილი-
ონმა კაცმა, ორი ათას კაცს და ორ მილიონ კაცს და ა. შ.).

მაგალითები:

რიცხვი დანარჩენთა მკვიდრთა ოცს მილიონზედ მეტა (ილია).
დაწერეთ რიცხვები: ...ორი მილიონ ერთი ათას სამასი; ოთხმოცი მილიონ
ორმოცდა ორი; ოთხთმეტი მილიარდ რვა მილიონ ოთხი; შეიდას ოცი
მილიარდ სამასი; ერთი მილიარდ ერთი მილიონ ერთი ათას ერთი
(ათ. ხარაბაძე, არათმეტოის სახელმძღვანელო, IV კლ.).

ცალკე უნდა გამოიყოს რიცხვითი სახელას — თხუთმეტი-ის საკითხი.

საერთოდ, რიცხვითი სახელები, თერთმეტიდან მოყოლებულა, რაგორც
ცნობილია, რაჟული შედგენილობისაა და ასეა მიღებული: თერთმეტი ← ათერთ-
მეტისაგან თავკიდურა ა-ს ჩამოცილებით; თორმეტი ← ათორმეტისაგან ამგვარადვე;
თოთხმეტი ← ათთხმეტისაგან ამგვარადვე; თექვსმეტი ← ათექვსმეტისაგან ამგვარ-
ადვე; ცხრამეტი ← ათცხრამეტისაგან ამგვარადვე; ცამეტი ← ათსამეტისაგან თავ-
კიდური ა-ს ჩამოცილებით, ერთი მ-ს დაკარგვით და თს ბგერების შერწყმით;
ჩვიდმეტი ← ათშვიდმეტისაგან თავკიდური ა-ს ჩამოცილებით და თშ ბგერების
შერწყმით; თვრამეტი ← ათთვრამეტისაგან თავკიდური ა-ს ჩამოცილებით და ვ ბგე-
რის რ-ს წინ გადმოსმით.

ათხუთმეტისაგან თავკიდური ა-ს ჩამოცილებით მიღებულია თხუთმეტი,
მაგრამ ზოგჯერ თ-ც იკარგვის და რჩება ხუთმეტი. გარდა ამისა გვხვდება თუთხ-
მეტიც (განსაკუთრებით დასავლურ კილოებში და დასავლეთ საქართველოდან გა-
მოსულ მწერალთა ნაწერებში). ეს ფორმა თოთხმეტის ანალოგიით მიღებულადა
მიჩნეული.

ხუთმეტი

ხუთმეტი [უჩრებო] ჩვენ კაცებში თავის გაჩენაში არ შეძლება (ილია).
იანვრის „ცასკარა...“-მ დაწინააღმდეგებულ მათის „მოამბეზიდ“ მართა ხუთ-
მეტი და ნახევარ ფურცლით არას მეტი (ილია).

ხუთმეტი წელი გავიდა (ვაჟა).
ოცდაათის თუ ოცდახუთმეტის წლისა არსია (ე. ნინოშვილი).
მეშამულეს მოუტანინებია ოცდახუთმეტი თუნადა (ილია).
ჩემი სიყო... ეს ხუთმეტი წელიწადია არ მინახავს (შ. არაგვი).
დარჩა მხოლოდ ციხისთავი, ხუთმეტი ოსმალო, ორასი შესხი და თოთხმეტი ხარ-
ბაზანი (მ. ჭავჭავაძე).

ხუთ კოდამდე დიკა ჰქონდა დათესალა, ხუთმეტი კოდის იმედი ჰქონდა (ვაჟა).
ქალაქ გაიხარდა და მოიყარა თოთხმეტ-ხუთმეტის წლისა (თ. რაჭა).

თუთხმეტი

ხუთ [ფრედინის] თუთხმეტს სოფელში ირიცხება დაახლოებით 7000 კომლამდე
(ი. გოგებ.).
შომეცი თუთხმეტი მანეთი (ნ. ლორთქ.).

ერთი თუთხმეტი ცხენოსანი მოვიყროდით თავს (ნ. ლორთქ.).
იმათვის თუთხმეტი მანეთი დღე ფული იყო (ე. ნინოშვილი).
თუთხმეტი წელიწადი მეზღვაური ვიყავი (ს. კლდ.).
ხვალის თუთხმეტს უნდა ჩამოხვიდე ჩემთან ქალაქში (დ. კლდ.).

თხუთმეტი

ხანებში მისაბარებლად და შესანახავად შეტანილ ოქმთა მკვიდრთაგან თხუთმეტი
მილიონამდე (ილია).

ორმოცდათხუთმეტის წუთის განმავლობაში მასწავლებელმა უნდა შეაჩვიოს
ბავშვები რუსულის სიტყვებისა, ფრაზებისა და პატარა სტატიების გამოცხადებას (ილია).
[მუშა ფურცლების] რიცხვი უწყევს თხუთმეტი ათასიდან ოცდახუთ ათასამდე
(ი. გოგებ.).

მოსე წინასწარმეტყველი გარდაიცვალა მეთხუთმეტე საუკუნის დასასრულს
(ილია).

ერთ დღეს თხუთმეტი წლის მყავალს, მის უნებურად, გულაზედ ჭვარა კი ვა-
დასწერეს (ე. ნინოშვილი).

თხუთმეტი მანეთ ნაქლებ კი არ დავწერ ჭვარს (ე. ნინოშვილი).

მარამბოსთვის თხუთმეტი იყო (სოფ. მგაღ.).

მატარებელიც ოთხზე და თხუთმეტიზე გადის (ი. გოგებ.).

ხუთს თხუთმეტი წელი აკლდა (მინოვი).

ფიქრო, აღარ გახსოვს ამ ათ-თხუთმეტი წლის წინათ როგორ იყავი (თ. რაჭა).

ათიღამ თხუთმეტი წლამდისა იმედა კიდევ ვწავლობდა (მანაძე).

მე მინახავს, რომ მთელი თხუთმეტი წამი ხელეობი აგრე უხებია (ი. გოგებ., თარგმ.).

ემ მასლით გაკეთდება თხუთმეტი ქაბაბი (ბ. ჯორჯაძე).

ქველს, თხუთმეტი დღის წინათ მოსულ თოთხ... ემატებოდა... შემოდან
(ე. ნინოშვილი).

მაშინ სიძინა თხუთმეტის წლისა იქნებოდა (ე. ნინოშვილი).

პირველს ძილზე ძირულის სერს ამოუდგებიანო თხუთმეტი ცხენოსნითა (გ. წერეთ.).
მის ოჯახში დახვდება... ჯერინათი უხეზარდი თხუთმეტი წლის გოგონა მარინე
(ბ. ჭიჭი).

მთელი თხუთმეტი წელიწადი ისე ვართ, თითქო გერმანის ვასალები ვიყვნეთო
(ილია).

ჩვენ სოფელს ქვემოდამ ერთი თხუთმეტი ოდენ ვერსტი რომ გაგველოთ, კი სა-
ნადირო ადგილები იყო (ილია).

თხუთმეტი ძირითადი ფორმაა სალიტერატურო ქართულსათვის „გვეფხის-
ტყაოსნიდან“ მოყოლებული დღემდე („თხუთმეტისა წლისა ვიყავ, მეფე
მზრდიდა ვითა შვილსა“ — „გვეფხისტყ.“ 332, 1). იმ რიცხვით სახელებში, რომელთა
შემადგენლობაში ათი შედის, ათის ნაშთი თ შეერწყმა მიმდევრო თანხმოვანს, სა-
დაც ეს შერწყმა შესაძლებელი იყო (თხ→ც: ათსა(მ)მეტი→თსა(მ)მეტი→ცამე-
ტი; თშ→ჩ: ათშვიდმეტი→თშვიდმეტი→ჩვიდმეტი). დარჩა იმ შემთხვევებში,
სადაც შერწყმა შეუძლებელი იყო (თორმეტი, ათთხმეტი, თექვსმეტი, თვრა-
მეტი).

ერთადერთი შემთხვევა, როცა თ დაკარგულია, გვაქვს ცხრამეტ-ში. აქ თ
დაიკარგა იმიტომ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებდით შეუძლებელ თც
კომპლექსს, შერწყმა კი შეუძლებელი იყო, რადგანაც აფრიკატი ც თვით შე-
იღაცეს თ-ს.

ამდენად, თხუთმეტი თვრამეტ-ის რიგის ფორმაა და არა ცხრამეტ-ისა. აქ
სიტყვის დასაწყისში, ჩვენ გვაქვს ქართულსათვის ზუნებრივი თხ კომპლექსი,
რომლის გამოარტყვების საფუძველი არ არსებობს. რაც შეეხება ფორმებს ხუთ-

შეტი და თუთხმეტი, პირველად ამკამად აღმოსავლური, ხოლო მეორე დასავლური დილექტური ფორმაა.

რაოდენობითი რიცხვითი სახელების მართლწერაში ერთგვარობის დასაყარებლად უნდა გატარდეს შემდეგი წესები:

ა) ათასეულთა რაოდენობის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელები ათასს სახელობითი ბრუნვის ფორმით შეეწყოს ყველა ბრუნვაში:

- სახელ. ორი ათასი კაცი
- მოთხრ. ორი ათასმა კაცმა
- მიცემ. ორი ათას კაცს
- მიმართ. ორი ათას კაცად
- ნათეს. ორი ათასი კაცის
- მოქმ. ორი ათასი კაცით

ბ) მილიონს, მილიარდს და რიცხვთა მაღალი კლასის აღმნიშვნელ რიცხვით სახელებს, რომლებიც ქართულში წასესხებული უცხო ენებიდან, მათი რაოდენობის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელი შეეწყოს როგორც მსაზღვრელი სახელი საერთო წესის თანახმად:

- სახელ. ორი მილიონი კაცი
- მოთხრ. ორმა მილიონმა კაცმა
- მიცემ. ორ მილიონ კაცს
- მიმართ. ორ მილიონ კაცად
- ნათეს. ორი მილიონი კაცის
- მოქმედ. ორი მილიონი კაცით

გ) იმ შემთხვევაში, როცა რთული რიცხვითი სახელები გვაქვს, შემდგარი სამი და მეტი ნაწილსაგან (ორი ათას ხუთასი, ორი მილიონ სამი ათას ხუთასი, ხაში მილიარდ ხუთასი მილიონ ოთხასი ათას ხუთასი...), მილიარდი, მილიონი, ათასი ფუძის სახით იქნეს წარმოდგენილი, ხოლო მათი რაოდენობის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელები—სახელობით ბრუნვაში. ამ შემთხვევაში ბრუნვის წესებს სხვადასხვა ბრუნვაში დაიბრუნეს მხოლოდ უკანასკნელი (საზღვრული ისწინა) რიცხვითი სახელი.

- | | |
|-------------------------------|--------------------------------------|
| სახელ. ორი ათას ხუთასი კაცი | ორი მილიონ ხუთასი ათას სამასი კაცი |
| მოთხრ. ორი ათას ხუთასმა კაცმა | ორი მილიონ ხუთასი ათას სამასმა კაცმა |
| მიცემ. ორი ათას ხუთას კაცს | ორი მილიონ ხუთასი ათას სამას კაცს |
| მიმართ. ორი ათას ხუთას კაცად | ორი მილიონ ხუთასი ათას სამას კაცად |
| ნათეს. ორი ათას ხუთასი კაცის | ორი მილიონ ხუთასი ათას სამასი კაცის |
| მოქმ. ორი ათას ხუთასი კაცით | ორი მილიონ ხუთასი ათას სამასი კაცით |

დ) და კავშირით შეერთებული რიცხვითი სახელები დაიწეროს ერთად, ხოლო ყველა დანარჩენი—ცალკეაქვე.

ერთად დაიწერება: ოცდაერთი, ოცდაათი, ოცდაჩვიდმეტი, ორმოცდაცამეტი, სამოცდათხუთმეტი, ორმოცდაცხრამეტი და მისთ.

ცალკეაქვე დაიწერება: ახ ერთი, ახ შვიდი, ახ ოცი, ახ ორმოცდაათი,

სამას ერთი, სამას ორმოცი, ათას შვიდას ოცდაათი, ათას ცხრას ერთი, ოცი ათას შვიდასი, ოცი ათას შვიდას ოთხმოცი, ორჯინი ათას ხუთას ოცდაცამეტი, მილიონ ათას შვიდას ოცი, ხუთი მილიონ ხუთასი ათას შვიდას ოცდათერთმეტი და მისთ.

ე) სამი პარალელური ფორმისაგან—თხუთმეტი, ხუთმეტი და თუთხმეტი სალიტერატურო ქართული სათვლის ერთადერთ ფორმად მიჩნეულ იქნეს თხუთმეტი.

2. რიცხვითი რიცხვითი სახელი იწარმოება რაოდენობითი რიცხვითი სახელების ფუძეებისაგან მე-პრეფიქსისა და -ე სუფიქსის დართვით: ორ-ი—მე-ორ-ე, ათ-ი—მე-ათ-ე, ცხრამეტი-ი—მე-ცხრამეტი-ე, ოცი-ი—მე-ოცი-ე, ორმოცი-ი—მე-ორმოცი-ე, ას-ი—მე-ას-ე, ხუთას-ი—მე-ხუთას-ე, ათას-ი—მე-ათას-ე...

მაგრამ რთული შედგენილობის რაოდენობითი რიცხვითი სახელებისაგან, რომლებიც ოცეულებსა და ათეულ-ერთეულებს, ან ასეულებსა და ერთეულ-ათეულ-ოცეულებს, ან ათასეულებსა და ასეულ-ოცეულ-ერთეულებს შეიცავს, რიცხვითი რიცხვითი სახელები სხვადასხვაგვარად მიიღება: ოცეულების, ასეულების, ათასეულების და ა. შ. გამომატველი რიცხვითი სახელები უცვლელი რჩება, საწარმოებელ ფუძედ აღებული რიცხვითი სახელის ფუძე ერთიდან ოცამდე, აგრეთვე ასეულთა გამომატველი რიცხვითი სახელები და მე-პრეფიქსი და -ე სუფიქსი მათ ემატება, ხოლო შემდეგ ამანიალ მიღებული რიცხვითი რიცხვითი სახელი დაერთვის ოცეულების, ასეულების, ათასეულების გამომატველ არსებით სახელებს. გამოწაკის წარმადგენს ერთი, რომლისაგანაც რიცხვითი რიცხვითი სახელი ჩვეულებრივი წესით (მე-ერთ-ე) მხოლოდ მაშინ იწარმოება, როცა ეს ერთი ოცეულების გამომატველ სახელს ემატება (ოცდა-მე-ერთ-ე, სამოცდა-მე-ერთ-ე), ჩვეულებრივ კი პირველი იხმარება. ასე იყო ძველ ქართულში, ასეა ახალ ქართულშიც.

მაგალითები ძველი ქართულიდან:

ხოლო იყო გარდაცვლილი ნეტარისა მამისა ზუნისა გრიგოლისი რიცხუსა წელიწადთა მისთასა ახ და მეორესა წელსა (ხანძთ.). ექუსას და მეორესა წელსა ცხორებისა მისისასა გამოიღო კილონისაგან (ხრთ.).

ხუთ ათას მეხუთასესა წელსა... სრულ იქმნა სიტყუა იგი (ხრთ.). ხოლო ინდოეთისა ოთხსა და ოცდამეერთესა წელსა პერეკლეს მეფობისასა და იყრა (წარტყ.).

გარდაცვალებითგან მისით დაიწერა ცხორება ესე... დასაბამითგან გარდასრულთა წელთა ექუს ათას ხუთას ორმოცდამეთოთხმეტესა წელსა (ხანძთ.). ხოლო ეამსა პასაკისა მისისათა ოთხმოცდამეტესა წელსა შეისუენ მამამან ჩუენთან საბა (კიმენი I).

ხოლო ოცდამეტესამეტესა დღესა მოიყენეს იგი (კიმენი I). აღსრულების ცხრად თთუდ ოცდამეტესთ დღეს თთუა დეენბერისა (კიმენი II).

მაგალითები ახალი ქართულიდან:

ინდოური მთელი თვე ზის კვერცხებზედ და ოცდამეათე დღეს სწავეს ქუეებსა (ი. გოგებ.).

სამხედრო დებულებათა ოცდამეთხუთმეტი (დ. კლდ.). მე ოცდასამი წლისა შევსრულდი და ოცდამეთხუთმეტი ვიღავდექი (შ. არაგვ.). წასვლის დრო მაქვს, წასვლისა! ხუმრობა ხომ არ არს, ოთხმოცდამეთორმეტი ვიღავდექი (გა. ვაზ.).

გვხვდება როგორც ოცდამეერთე, ისე ოცდამიერთე:

ოცდაშვიდრთე დღეს რომ სახუდართან მოვიდო, კვერცხებიდან კაკუნი მომეცა,
(ი. გოგებ.).

თუ ოცდაპირველს დღეს მივალთ სახუდართან, ვნახავთ, რომ წიწილები ნისკარ-
ტით ამტვრევენ ნაჭუჭსა და ვარეთ გამოდიან (ი. გოგებ.).

მაგრამ როგორც ძველ ქართულში, ისე ახალ ქართულში გვხვდება პეორე-
გვარი წარმოება, როცა საწარმოებელ ფუძედ აღებულია მთლიანი ფუძე რთული
შედგენილობის რაოდენობითი რიცხვითი სახელისა.

ძველი ქართული:

და დავეს ბრძოლათა შინა ოცი დღე და ესროდეს ფილაკანიათა ძლიერად, ვიდრემოს
დასცეს ზღულმ ქალაქსაჲ მეოცდაერთესა დღესა (წარტყ.).

და თავდასა იესუს ეწყო ოდენ ყოფად მეოცდაათესა წელსა (ლუკა 3, 28).

და თვადსა იესუს ეწყო ოდენ მეოცდაათესა წელსა (ლუკა, 3, 28).

ახალი ქართული:

[არსენას] ოცი თავი რომ ჰქონდეს, ოცვეს მოეჭრდი.—ისეთი ზრახით სთქვა და-
ვითმა, რომ მაიორს შეეშინდა, მეოცდაერთე ჩემივ არ მიყოლოსო (მ. ჯავახ.).
მეორმოცდაოთხე ველო; მეორმოცდაერთე ველო; მეორმოცდაათე ველო (ანერეული სისტემის ტრავმული დაავადებანი).

არის ნარევი წარმოების შემთხვევები:

სწორედ მეოცდაშვიდრთე თავის მეხუთე სტრიქონზედ შევდევით (ილია).
უფრო ქვეით, საბძლის ძირში, ოცი გლეხი გაქვავებულიყო და მეოცდაპირველს
ერთადერთი თვალი ცალთვალა ბუსავით დაემყიტა (მ. ჯავახ.).

პირველი რიგის წარმოებას ვარკვეული ნაკლოვანებები აქვს. ჯერ ერთი,
დარღვეულია წარმოების პრინციპი: როდესაც რთული ფუძისაგან ახალი ფუძეები
იწარმოება, საწარმოებლად მთლიანი რთული ფუძეა ჩვეულებრივ აღებული და
არა მისი შემადგენელი ერთ-ერთი ფუძე. ამ მხრივ მეორე რიგის წარმოება უფრო
თანამიმდევრულია და ეგუება ქართული სიტყვაწარმოების პრინციპს.

პირველი სახის წარმოებას სხვა უხერხულობაც ახლავს. მარტივი აგებულე-
ბის რაოდენობითი რიცხვითი სახელებისაგან ნაწარმოები რიგობითი რიცხვი-
თი სახელები არაბული ციფრებით გამოხატვის შემთხვევაში ასე იწერება: მე-2,
მე-7, მე-100, მე-19. როგორღა უნდა დაიწეროს რთული შედგენილობის რაოდენ-
ობითი რიცხვითი სახელებისაგან ნაწარმოები რიგობითი რიცხვითი სახელები, მა-
გალითად, ოცდამეშვიდე, ოთხმოცდამეცხრე, ოთხმოცდამეცამეტე? თუ ამგვარადვე
დაიწერა (მე-27, მე-89, მე-98), მაშინ აღარ წაიკითხება როგორც ოცდამეშვიდე,
ოთხმოცდამეცხრე ან ოთხმოცდამეცამეტე. ამიტომ ასეთი დაწერილობა გავრ-
ცელდა: 27-ე, 89-ე, 98-ე. წაიკითხვის უხერხულობები არც ამ შემთხვევაშია საე-
სებით დაძლეული.

ერთის შესაბამისი რიგობითი რიცხვითი სახელია პირველი; ცალკე მე-
ერთ-ე არა გვაქვს, ხოლო ოცდაერთის, ორმოცდაერთის, ას ერთის და მისთ.
შესაბამისად ოცდამეერთე, ორმოცდამეერთე, ასმეერთე და ა. შ. იხმარება.
გვხვდება ოცდაპირველი, ორმოცდაპირველი, ასპირველი ფორმების ხმარების
შემთხვევებიც.

რიგობითი რიცხვითი სახელებისაგანა მიღებული წილობითი რიცხ-
ვითი სახელები: მესამე—მესამედ—მესამედი, მეათე—მეათედ—მეათედი,
მეახტე—მეახტედ—მეახტედი. როცა წილობითი სახელების წარმოებისას ემყარე-
ბიან ოცდამესამე, ოცდამეათე და მისთ. ფორმებს, ვიღებთ წილობით რიცხვით

სახელებს: სამი ოცდამესამედი, ხუთი ოცდამეხუთედი. პარალელურად გვხვდება
მეოცდამესამედი, მეოცდამეხუთედი ფორმებიც.

რიგობითი რიცხვითი სახელების არაბული ციფრებით გამოსახვისას სხვადა-
სხვაგვარი დაწერილობა გვხვდება: მე-10, მე-10-ე; ზოგჯერ პირველსაც წერენ
არაბული ციფრებით: 1-ლი ან 1-ელი, რომელი ციფრების გამოყენებისასაც
გვხვდება სხვადასხვაგვარი დაწერილობა: XIX, მე-XIX, მე-XIX-ე.

პირველის მიმართულებითი ბრუნვის ფორმა გამოყენებულია ფუძედ პირ-
ველადისათვის; ამგვარადვე უნდა ყოფილიყო მეორედი, მაგრამ მის ნაცვლად
მეორადი გვხვდება მეორედულის გვერდით.

ჩვენს მწერლობაში კარგა ხანია გავრცელებულია პარალელური ფორმები:
მესამოცე წლები და სამოცანი წლები, მეოთხმოცე წლები და ოთხმოცანი
წლები.

ერს უქირაა ორმოცნი და ორმოცდათნიან წლების განმავლობაში (ილია).
მწერლობა ჩვენი, ოცდაათნიან წლებში ხელახლად ფეხდამული, პირველ ხანს
უფრო შინაური საქმე ყყო, ვიდრე საყოველთაო (ილია).

წარსულ საუკუნის ოთხმოცნიან წლებში მოიშალა „ნამესტინკობა“ (დ. კლდ.).
მაგრამ:

მესამოცე წლებმა ჩვენში აქამდე ვარდები დამყნა (აკაკი).
სამწუხარო ის არის, რომ ამგვარ სახელთა რიცხვში ხედავთ მესამოცე და მე-
ოთხმოცე წლების ზოგიერთ პატრიოტებსაც (ი. გოგებ.).
მესამოცე წლების მოღვაწეებში... ყველაზე წინ მებატეხიან გ. წერეთელი.
ს. მესხი და ნ. ნიკოლაძე (აკაკი).

რიგობითი რიცხვითი სახელების მართლწერაში ერთგვარობის დამყარებ-
ლად უნდა გატარდეს შემდეგი წესები:

ა) რთული შედგენილობის რაოდენობითი რიცხვითი სახე-
ლის ფუძისაგან რიგობითი რიცხვითი სახელის ორგვარი წარ-
მოებისაგან (ოცდამეშვიდე და მეოცდამეშვიდე, ოცდამეხუთმეტე და
მეოცდამეხუთმეტე), მიუხედავად წარმოების თვალსაზრისით ზოგიერთი უხერ-
ხულობისა, სალიტერატურო ენაში ერთადერთ ფორმად პირვე-
ლი უნდა დარჩეს, რადგანაც იგი ვაბატონებულია თანამედ-
როვე სალიტერატურო ქართულში. ე. ი. გვექნება: ოცდამეხუთე და
არა მეოცდამეხუთე, ოცდამეჩვიდმეტე და არა მეოცდამეჩვიდმეტე, ორმოცდა-
მეცამეტე და არა მეორმოცდამეცამეტე, ოთხმოცდამეხუთმეტე და არა მეოთხ-
მოცდამეხუთმეტე და ა. შ.

პარალელურ ფორმათაგან—ოცდამეერთე და ოცდაპირველი, ორ-
მოცდამეერთე და ორმოცდაპირველი, ასმეერთე და ასპირველი—სალიტერატ-
ურ ენაში დარჩეს ოცდამეერთე, ორმოცდამეერთე, ასმეერთე ფორ-
მები, ოცდაპირველი, ორმოცდაპირველი, ასპირველი უკუსაგდებია.

შენიშვნა. მაგრამ ცალკე—პირველი და არა მეერთე.

ამის მიხედვით იქნება ნაწარმოები წილობითი რიცხვითი სახელები: ოცდ-
მეხუთედი და არა მეოცდამეხუთედი, ოცდამეჩვიდმეტედი და არა მეოცდა-
მეჩვიდმეტედი, ორმოცდამეცამეტედი და არა მეორმოცდამეცამეტედი და ა. შ.

შენიშვნა. რიგობითი და წილობითი რიცხვითი სახე-
ლები ერთად, ერთ სიტყვად დაიწერება.

ბ) რიგობითი რიცხვითი სახელების რომელი ციფრებით გამოსახვისას არც თავსა და არც ბოლოში პრეფიქსი ან სუფიქსი არ დაერთოს: XIX და არა მე-XIX ან მე-XIX-ე.

გ) რიგობითი რიცხვითი სახელების არაბული ციფრებით გამოსახვისას თავში დაერთოს მე- პრეფიქსი, რომელიც ციფრისაგან დეფისით გამოიყოს (მე-15 და არა მე-15-ე), ხოლო რთული შედგენილობის რაოდენობითი რიცხვითი სახელების ფუძისაგან ნაწარმოები რიგობითი რიცხვითი სახელების გამოსახვისას მხოლოდ ბოლოში დაერთოს -ესუფიქსი, რომელიც ციფრისაგან დეფისით გამოიყოს: 27-ე.

დ) რიცხვითი სახელი პირველი დაიწეროს ან ასოებით, ან რომაული ციფრით (პირველი ან I), ან არაბული ციფრით ასე: 1-ლი.

ე) ფორმათაგან მეორადი და მეორეული ერთადერთ ლიტერატურულ ფორმად მიჩნეულ იქნეს მეორეული (ისევე როგორც მესამეული, მეოთხეული...).

ვ) პარალელურ გამოთქმათაგან მესამოცე წლები და სამოციანი წლები ორივე იქნეს მიჩნეული ლიტერატურულ გამოთქმად. ასევე გვექიება: მეოთხმოცე წლები და ოთხმოციანი წლები, ოთხმოცდამეათე წლები და ოთხმოცდაათიანი წლები.

მოსავლარეები საქითხები აღმინის სახელთ ბრუნებისას

აღმინის სახელთა ფუძე ქართულში შეიძლება ბოლოვდებოდეს როგორც ხმოვან, ისე თანხმოვან ბგერებზე. ხმოვან ბგერებზე ბოლოვდება ფუძეები სახელები-სა: პაპუნა, მამუკა, კახა, ილია, ნათელა, ცისანა, მართა; ალექსანდრე, პეტრე, პავლე, ელენე, მკერინე, ბარბარე; ნინო, დოდო, სოსო, ქაიხოსრო; ნუნუ; ირაკლი, აკაკი, გიორგი, დიმიტრი, ედუიკი, ლილი... თანხმოვან ბგერებზე უბოლოვდება ფუძეები სახელებს: ვახტანგ-ი, დავით-ი, არჩილ-ი, გურამ-ი, ნოდარ-ი, ვასილ-ი, თამარ-ი, ქეთევან-ი, დარეჯან-ი, როდამ-ი, თინათინ-ი...

როცა სახელის ფუძე ა, ე, ო ან უ ხმოვანზე ბოლოვდება, ასეთი სახელის ბრუნებისას წესის დარღვევას არ ვხვდებით. ბოლოკიდური ხმოვანი არსად არ მოეკვდება, სახელობითი ბრუნვის ფორმა (ე. ი. დასახელების ფორმა) და მიმართვის ფორმა ერთგვარია, ერთგვარია აგრეთვე მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვის ფორმები:

სახელობითი	—ნათელა
მოთხრობითი	—ნათელა-მ
მიცემითი	—ნათელა-ს
მიმართულებითი	—ნათელა-დ
ნათესაობითი	—ნათელა-ს(ი)
მოქმედებითი	—ნათელა-თი
წოდებითი	
(მიმართვის ფორმა)	—ნათელა

როცა სახელის ფუძე ი ხმოვანზე დაბოლოებული ან როცა სახელს ფუძის ბოლოკიდურად თანხმოვანი ბგერა მოუდის, მაშინ სახელობითი ბრუნვის ფორმაში (ე. ი. დასახელების ფორმაში) ამგვარა სახელები გარეგნულად ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან. ერთი მხრით, გვაქვს: ვახტანგი, გურამი, არჩილი, თამაზი, თამარი, როდამი და სხვ., ხოლო, მეორე მხრით: ალექსი, აკაკი, გიორგი, დიმიტრი, ირაკლი, ლილი, მერი და სხვ. მაგრამ, თუ პირველი წყების სახელებში (ვახტანგი, გურამი...) ბოლოკიდურა ი სახელობითი ბრუნვის ნიშანია და სხვა ფორმებში (ვთქვათ, მოთხრობითსა და მიცემით ბრუნებებში, მიმართვის ფორმაში) არ გადაჰყვება სახელებს, მეორე წყების სახელებში (ალექსი, გურამი...) ი, რაკი ფუძისეულია, სხვა ფორმებშიც გვექნება (ვთქვათ, მოთხრობითსა და მიცემით ბრუნებებში, მიმართვის ფორმაში). ამიტომაც, რომ, ერთი მხრით, გვაქვს: გურამ-ი ხატავს, გურამ-მა დახატა, გურამ-ს დაუხატავს; მიმართვისას—გურამ! მეორე მხრით, გვაქვს: ალექსი ხატავს, ალექსი-მ დახატა, ალექსი-ს დაუხატავს; მიმართვისას—ალექსი!

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია შედეგი, რაც მოჰყვა იმ ფაქტს, რომ სახელობითი ბრუნვის ფორმანტი ქართულში ი- სუფიქსი იყო: ქართულში აღარ შემოგვრჩა ი ხმოვანზე დაბოლოებული ქართული ფუძეები. ერთადერთ ვინ ნაცვალსახელს მოუღის ფუძის ბოლოკიდურად ი ხმოვანი და ისიც იმიტომ, რომ საკუთარი სახელობითი არა აქვს (მოთხრობითი ბრუნვის ფორმა სახელობითისათვისაც გამოყენებული), ი სიტყვის ბოლოკიდურად არ მოხვდა, ბოლოკიდური ნ-ც არ აღიქმებოდა მოთხრობითის ფორმანტად და საერთოდ მთელი სიტყვა დაშლას არ ექვემდებარებოდა.

ამრიგად, ბევრი ქართული ფუძე, რომლებიც ი ხმოვანზე ბოლოვდებოდა, დასახელებული მიზეზის გამო ი-ს ჩამოცილების შედეგად თანხმოვანფუძიან სახელთა წყებაში მოექცა.

ცნობილია აგრეთვე, რომ ქართულ ენაში შემოსულმა ჯცხოურმა სიტყვებმაც ქართული სიტყვების ბედი გაიზიარეს: ქართულში მათაც ჩამოცილდა ფუძის ბოლოკიდური ი ხმოვანი და თანხმოვანფუძიან სახელთა ჯგუფს შეუერთდნენ. ასეთი სიტყვებია, მაგალითად: მონასტერი, პარასკევი (ბერძნ.), ყადი, მუშტარი (არაბ.), აზაზი, ზანგი (სპარს.), ელჩი, გემი, ყუთი (თურქ.) და ზოგი სხვა (აკ. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 67, თბილისი, 1953).

ადამიანთა უცხოური სახელები, ე. წ. „კალენდრის“ სახელები, როცა ქართულში შემოდიოდა, თუ მათ ფუძის ბოლოკიდურად ი ხმოვანი ჰქონდათ, ჩვეულებრივ ეს ი ხმოვანი ფუძეს შერჩებოდა. ამის გამოა, რომ გვაქვს ბევრი სახელი, რომლებსაც ფუძე ი ხმოვანზე უბოლოვდება: აკაკი (მოთხრ.—აკაკი-მ, მიმართვისას—აკაკი!), ამბროსი (მოთხრ.—ამბროსი-მ, მიმართვისას—ამბროსი!), გერონტი, გიორგი, ევსევი, ირაკლი, ალექსი და მისთ. ამ წესს დავუქვემდებარევენ უფრო გვიან შემოტანილი სახელებიც: ანატოლი (მოთხრ.—ანატოლი-მ, მიმართვისას—ანატოლი!), მერაი, დიდი და მისთ. მაგრამ შემოდისახელებული პროცესი ფუძის ბოლოკიდური ი ხმოვნის სახელობითის ბრუნვის ფორმანტად გაგებისა და ფუძეს ჩამოცილებისა იმდენად ძლიერი იყო, რომ არათუ მხოლოდ ზოგადი სახელები მოიცვა, არამედ ადამიანთა სახელებიც ასე თუ ისე გავრცელდა.

ამიტომაც, რომ ადამიანთა სახელებში (ანტონი, გრიგოლი, ბასილი და ზოგი სხვაც), რომლებშიც ბოლოკიდური ი წარმოშობით ფუძეს განეკუთვნება, ეს ი ბევრ შემთხვევაში მართლაც ფუძისეულად იყო მიჩნეული ძველ ქართულში და ამიტომ მიცემით ბრუნვაში ანტონი-ს, გრიგოლი-ს, ბასილი-ს, ხოლო მიმართვისას ანტონი! გრიგოლი! ბასილი! ფორმებით იყო წარმოდგენილი. მაგრამ უკვე ძველს ქართულში ამ სახელებში ბოლოკიდური ი სახელობითი ბრუნვის ფორმანტად იქნა გაგებული და სხვა ფორმებში ჩამოცილდა. მიცემითში დამკვიდრდა ანტონ-ს, გრიგოლ-ს, ბასილ-ს და ა. შ. ფორმები, ხოლო მიმართვისას—გრიგოლი! ანტონ! ბასილი! თანამედროვე ქართულში ასეთი ფორმები ერთადერთია და ეს სახელები თანხმოვანფუძიან სახელთა ჯგუფს განეკუთვნებიან.

სახელობითი ბრუნვის ნიშნადა გაგებული ი სიტყვებში: ნუგეში-ი და თაყვანი-ი (მოთხრ.—ნუგეში-მა, თაყვანი-მა; მიცემ.—ნუგეში-ს, თაყვანი-ს; მიმართვისას—ნუგეში-ო: ჩემო ნუგეშიო! ამ ფუძეთაგან ახალი ფუძეებიც კია წარმოქმნილი: ხა-თაყვანი-ო, უნუგეში-ო...). საყოველთაოდ ცნობილია, რომ პირველი მიღებულია გამოთქმისაგან ნუგეშის, ნუგეშინის! მეორე კი მიღებულია სიტყვისაგან თაყვანისცემა.

ქართულში კარგა ხანია შეიმჩნევა ამ პროცესის საწინააღმდეგო შემთხვევებიც. მაგალითად, XVI—XVII საუკუნეების ქართულში შემოსული სახელი გვი თანხმოვანზე იყო დაბოლოებული, ისევე როგორც, ვთქვათ, დავითი და ისევე იბრუნოდა, როგორც ეს უკანასკნელი: სახელობითი—გვი-ი, მოთხრ.—გვი-მა, მიცემ.—გვი-ს; მიმართვისას—გვი! (შდრ.: სახელობითი—დავით-ი, მოთხრ.—დავით-მა, მიცემ.—დავით-ს; მიმართვისას—დავით!). ამყვამდ ამ სახელში ი სასველით შეეზარდა ფუძეს და შესაბამისი ფორმები საბოლოოდ დამკვიდრდა როგორც სალიტერატურო ენაში, ისე ჩვეულებრივ სიტყვახმარებაში: სახელობითი—გვი, მოთხრ.—გვი-მ, მიცემ.—გვი-ს; მიმართვისას—გვი!

ასეთივე პროცესი შეიმჩნევა თანამედროვე ქართულში სახელებში: ეთერ-ი (მოთხრ.—ეთერ-მა, მიცემ.—ეთერ-ს; მიმართვისას—ეთერ!), უშანგი-ი (მოთხრ.—უშანგი-მა, მიცემ.—უშანგი-ს; მიმართვისას—უშანგი!).

მაგალითები:

- უდიდესი მწვერვალი, რომელზედაც უშანგი ჩხვიე ავიდა, როგორც შემოქმედი მსახიობი, იყო ჰამლეტი (ა. თევზაძე, უშანგი ჩხვიე, სახელგამი, 1955, გვ. 53).
- პირველი ძლიერა შთაბეჭდილება პატარა უშანგიზე მოახდინა იმამად ქიათურის თეატრში მომუშავე გამოჩენილმა მსახიობმა ვალერიან შალიკაშვილმა (იქვე, გვ. 25).
- კიდევ უფრო ფართოდ გამოამყვანა არტისტული ნიჭი უშანგიმ სანდრო შანშიაშვილის „ლატავრაში“ (იქვე, გვ. 31).
- ჩემო უშანგი! ჰამლეტი იყოს მხოლოდ დასაწყისი იმ დიდი გზისა, რომელსაც, მგერა გაივლი, როგორც დიდი შემოქმედი (იქვე, გვ. 63).
- სულ რამდენი ვაკეი დაუხარჯავს ეთერი ს? (შ. იაშვილი და ნ. კვიციანიძე, არითმეტრული ამოცანებისა და საკარგიშოების კრებული, 1 კლ. სახელმძღვ., თბილისი, 1953, § 869).
- მე შინახავს—თქვა ეთერიმ... გაიცინა ეთერიმ (პაროდოხალი ბუნება, IV კლ. სახელმძღვ., გვ. 35, თბილისი, 1954).

ფუძის ბოლოკიდური ი ხმოვნის სახელობითი ბრუნვის ფორმანტად გაგებასა და, მაშასადამე, ფუძეს ჩამოცილების თვალსაზრისით წინა ებრძვის სალიტერატურო ენასთან შედარებით თანამედროვე სალიტერატურო ქართულში არსებითი ხასიათის ცვლილებები არ მომხდარა. ახლად შემოსული ადამიანთა სახელები ძველ წესს ექვემდებარებიან: ფუძის ბოლოკიდური ი-ს ვინარჩუნებთ. ამათ დავმატა უცხოური გვარები და გეოგრაფიული სახელები, რომელთაც ფუძის ბოლოკიდურად ი აქვთ: ტორჩელი, ზოტჩელი, შაძინი, გარიბალდი, ტოლიატი... გორკი, ჩერნიშევსკი, დოსტოევსკი, ტოლსტოი, ბუდიონი... ტრიპოლი, დელი... ზოგადი სახელებიდან: ჩაი, შაი, ტრამაი... ეს კია, რომ, თუ ეს სახელები მხოლოდ სახელობითი რიცხვის ფორმებში ინარჩუნებს ფუძის ბოლოკიდური ი-ს, მრავლობითში (როცა კი მრავლობითის ფორმის წარმოება შესაძლებელია) ი უსათუოდ ჩამოშორდება. ერთადერთი ფორმებია: გარიბალდები, ტორჩელები, ჩერნიშევსკები, ტოლსტოევი... ასევე ჩვეულებრივია შაები, ტრამაები... ი ჩამოშორდება წარმოების შემთხვევაშიც: გარიბალდი — გარიბალდ-ელი-ი. გეოგრაფიული სახელები მრავლობითში არ იხმარება, მხოლოდობითში ფუძის ბოლოკიდური ი-ს ვენარჩუნებთ, მაგრამ თანდებულს დართვისას ამ ი-ს შენარჩუნება თანდათან ძნელი ხდება: კონფერენცია ჩატოვოვს ინდოეთის დელეგაქლამ დელიში... ტრიპოლიმდე (ან დელიმდე) თვითმფრინავით ეიმგზავრეთ... თვითმფრინავმა ტრიპოლიზე გადაიფრინა... ასეთი ფორმები ნორმა სალიტერატურო ენაში, მაგრამ სასაუბრო ენაში ბოლოკიდური ი ჩვეულებრივ იკვეცება და მართებულ ტრიპოლიმდე, დელიში ფორმებს უმართებულა ტრიპოლიში, დელიში ფორმები ცვლის.

სამაგიეროდ საკმაოდ მწვავედ იგრობა თანამედროვე სალიტერატურო ქართულში პროცესი სახელობითი ბრუნვის -ი ფორმის შესრულის, რამაც შედეგად გივი-მა, გივი-ს ფორმათა ნაცვლად მოგვცა გივი-მ, გივი-ს ფორ-მები და რომელიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, ნაწილობრივ გავრცელდა ციფრ-უშანგ-სახელმწიფად. ეს პროცესი სასაუბრო მეტყველებაში ვრცელდება სა-ერთოდ თანხმობანფუძიან აღმამათა სახელმწიფ, მაინცდამინც ამ სახელმწიფ იმ ნაწილზე, რომელიც განსაკუთრებით ფართოდაა ხმარებული. ამის შედეგია ისეთი ფორმების ხმარება, როგორცაა: მიმართვისას—ნოდარი-მ, გურამი-მ, ვახტანგი-მ; თამარი-მ, ნესტანი-მ; მიცემითი—ნოდარი-ს, გურამი-ს, ვახტანგი-ს, თამარი-ს, ნესტანი-ს და ა. შ. სასაუბრო მეტყველებიდან ეს ფორმები არცთუ იშვიათად გადადის სა-ლიტერატურო ენაშიც, მაინცდამინც მხატვრული ლიტერატურის ენაში და ამრიგად თანამედროვე სალიტერატურო ენაში ფართოდ ვრცელდება გაუმართლე-ბელი და მცდარი ფორმები. ქართულიდან რუსულად თარგმნის დროს ასეთი ფორმები აღმამათის ქართული სახელებისა გადადის თარგმანში და რუსულშიც ვრცელდება ქართული სახელების მცდარი დაწერილობა.

ყურნად „მნათობის“ ერთ-ერთ ნომერში, მაგალითად, ასეთი ფორმა გვხვდება: როგორც გამოირკვა, ნოდარი-ს ხუმრობით წებო დაუსხანს სკანზე („მნათობი“, № 10, 1960: მარიამ ხვედელიძე, „მარიამის საბავშვო მოთბობები“).

ქართულ აღმამათის სახელთა მცდარი ფორმების გავრცელების მიზეზი რამ-დენიმეა.

პირველ ყოვლისა ის ფაქტია აღსანიშნავი, რომ სახელობითის ი ფუძეს არა ყველა თანხმობანფუძიან სახელებში ეხორცება. აღნიშნული მცდარი ფორმები გვხვდება:

1. იმ სახელებში, რომლებიც აღმოსავლური წარმოშობისაა, განსაკუთრე-ბით XVI—XVII საუკუნეებიდან გავრცელდა საქართველოში, ხოლო დღეს წმინდა ქართულ სახელებად მიჩნეული და ამიტომ არქმევენ ხშირად ბავშვებს. ასეთე-ბია: რევაზი, თამაზი, ჯუმბერი, ჯუანშერი, ჯიმშელი, ოთარი, როდამი, ზენაბი, რამინი და მისთ.
2. იმ სახელებში, რომლებიც თურქული წარმოშობისაა და უკანასკნელ ხა-ნებში ყალბი ეგზოტიკისადმი მისწრაფების შედეგად აგრეთვე ძალიან გავრცელდა. ასეთებია: ჯემალი, ენვერი, მურთაზი, თამარი და მისთ.
3. იმავე მისწრაფების შედეგად უკანასკნელ ხანებში ჩვენში ფართოდ გავრ-ცელებულ ევროპულ სახელებში, მათ შორის ისეთებშიც, რომლებიც ლიტერა-ტურული წარმოშობისაა არიან. ასეთებია: მენრიხი, ალბერტი, რობერტი, ზიგფრიდი, ზიგმუნდი, ჰამლეტი, ტრისტანი და მისთ.
4. ახალ შერქმეულ სახელებში, რომლებიც მიღებულია ან უცხოური გვა-რების გამოყენებით (ენგელსი, შორეხი, ზინმარკი, ცეზარი...), ან დედისა და მამის სახელებს დასაწყისი მარცვლების შეერთებით (დეონერი, ვრიდერი...), ან გამოჩენილ პირთა გვარების დასაწყისი მარცვლებისა ან ბგერების შეერთებით (მელსი, მარდენი...), ან სხვადასხვა გამოთქმებში შემავალ სიტყვათა დასაწყისი ასოების შეერთებით (დაზმირი, მელორი...).

5. იმ სახელებში, რომლებიც ქართული გამონათქვამებისაგანაა შედგენილი (მწვეთინარი, ქალთათავი, დედისხმედი, გულნაზი, დედისთვალე, ოთარქალი...).

რაც აქვთ საერთო ამ სახელებს, ან რით უბიძგისპირდებიან ისინი საერთოდ გავრცელებულ ცნობილ სახელებს, როგორცაა, ვთქვათ, დავით-ი, მიხეილ-ი

მტიგოლ-ი, სიმონ-ი, თამარ-ი, თინათინ-ი და მისთ., რომელთა გამოყენებისას ზემოდასახელებულ მცდარ ფორმებს იშვიათად ვხვდებით?

მხოლოდ იმით, რომ ამ უკანასკნელთ ყველას მოეპოვება საშინაოდ სახ-მარი, მოფერებითი, ასე ვთქვათ, საბავშვო ვარიანტები (დავით-ი; დათო, დათი-კო, დათა, დათუნა; მიხეილ-ი; მინა, მიხო, მიხაკო; ვრიგოლ-ი; ვრიგო, ვიგა, ვიგოლი; სიმონ-ი; სიკო, სიმონიკა; თამარ-ი; თამრო, თამრიკო; თინათინ-ი; თინა, თინიკო და ა. შ.), მაშინ როდესაც ზემოთ დასახელებულ სახელებს საში-ნჯო, მხოფერებითი ფორმები არ უკეთდება. სასაუბრო მეტყველებამ ერთგვარი კომპენსაცია მოახდინა იმ მხრივ, რომ მოფერებით ფორმად სწორედ ი-ნიანი ფორ-მები (ც. ა. სახელმწიფო ბრუნვის -ი ფუძეს რომაა შეზარდილი, ის ფორმები) გამოიყენა: მარიკოც, გურამი, ოთარი და მისთ. ფორმები დღემდეც ქართულში მოჭერებრივად შეინახეს შემცველია ყოველთვის.

საკმაოდია ზემოთ დასახელებულ სახელთაგან რომელიმეს მართალი მოფე-რებითი ფორმა ვაუწყებდეს, რომ მცდარი ფორმა უმალ ქრება. მაგალითად, ვინც რომელიმე ფორმა მსგავსს ოთარიკოს ან ზურციკოს დაუძახებს, მას ეძინება დაუძახის; ოთარი! ზურციკი!

ესეც კმა, რომ ქართულად წესიერად ნაწარმოები მოფერებითი სახელების დაძახება შეუძლებელია ბევრ შემთხვევაში ძალიან ეხამება და ერთგვარად დამამცი-რებლადაც კი მოქმედებს. ეს მაშინ, როდესაც აქამდე მართლა კნინობითის ფორმაც კი არ ითვლებოდა დამამცირებლად, თუ იგი გარკვეული ემოციური ელფერიტ რქნებლად გამოყენებულა.

მაგალითად, ვინც არ ასსოვს რ. ერისთავის ლექსი:

შევიბოდი მე ციგაში
და ზედ მიჯლა გოგოვლა,
გადაბრუნდის ჩვენი ციგა,
კოტრიელა, კოტრიელა!

ერთდროს ეფილშვილს აქვს ორი შესანიშნავი საბავშვო მოთბობა. ერთის სახელწოდება: „წვერილი ზებოას ჩურჩხილებთან“. მას ასლავს მიძღვნა: „ვუძღვნი ჩემს თამარკიელას“ მჭერის სათაურია: „პასუხი ქალბატონ თამარიკელას“.

მეორე მღვწილს ერთ-ერთ ლექსს ასეთი მიძღვნა ჰქონდა თავის დროზე დარ-თულს: „ჩემს კუდიკაში, წიწკნატელას, რომ უცინის ტუბილად ყველას, ცუტარუმელას, ცისარტყელას—მართალია მარიკელას“.

აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ აღნიშნულ მცდარ ფორმათა აღკვე-თის ერთ-ერთ საშუალებათაგანს წარმოადგენს გავრცელება ისეთი სახელებისა, რომელთაც საშინაო, მოფერებითი ვარიანტები აქვთ, და კატეგორიულად აღკვეთა ყალბი ეგზოტიკისადმი მისწრაფების შედეგად შექმნილი სახელებისა.

უსათუოდ ხელს უწყობს აღნიშნული მცდარ ფორმების გავრცელებას წყობი-ლიანობის, კერძოდ ქვემოთხსენებულის, განსაკუთრებით სამტრფილას-განის სექტო-რის მეტყველების გავლენა: ის ფაქტი, რომ ამ მეტყველებაში თანხმობანფუძიან მსახვერულ სახელს ყველა მხრივში შევზარდა სახელთაგანის ი და განსაკუთრე-ბით ის, რომ ჯვარის წინ დასმული თანხმობანფუძიანი სახელი ყოველთვის სახე-ლობითია იმის მიხედვითაც, რომელიც ურუნველყოფს უნდა იყოს ჯვარი, ხელის შე-წყობის ფაქტორი აღმოჩნდა ოთარი, ზურციკი და მისთ. ფორმათა გავრცელებ-ისათვის.

სალიტერატურო ენაშიც გვხვდება ზოგჯერ შემთხვევები სივრცის შედგენისას გვარის შემდეგ დასმული სახელის ო დართული ფორმით ხმარებისა:

აბაშიძე მიხეილი
ბაქრაძე ვახტანგი
გელდევანიშვილი დავითი
დარახველიძე ოთარო
ერისთავი თამარი...

ეს ფაქტიც ხელისშემწყობი ფაქტორია ო შეზრდილი ფორმების გავრცელებისა. ამიტომაც იყო, რომ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენმა მუდმივმა სახელმწიფო კომისიამ ერთ-ერთი დადგენილებით (იხ. მსაზღვრელი სახელის შეთანხმება საზღვრულთან ბრუნვაში) აღკვეთა ასეთი ფორმების ხმარება და გადაწყვიტა, რომ ასეთ შემთხვევაში სახელი მხოლოდ ფუძის სახით იწერებოდეს:

აბაშიძე მიხეილ
ბაქრაძე ვახტანგ
გელდევანიშვილი დავით
დარახველიძე ოთარ
ერისთავი თამარ...

დასასრულ, თანხმობანფუძიან ადამიანთა სახელებში მცდარი ფორმების გავრცელების ერთ-ერთი საფუძველთაგანი შეიძლება იყოს შემდეგი ფაქტიც.

ცნობილია, რომ წოდებების ო, რომელიც ამჟამად იმართდება დეართვის ფუძეს, როგორც სხვა ბრუნვის ფორმანტები, წარმოშობით შორისდებულთაა. მიმართვისას (დაძახებისას) ეს შორისდებულ დეართად სახელს. შეიძლება დართოდ თავში, შეიძლება დართოდ ბოლოში, უმეტესად, როგორც ჩანს, ბოლოში. კილოებში ხმის ამაღლება მიმართვისას ამ ო ხმოვანზე მოდიოდა და მოდის, ხოლო, თუ ო არ გვაქვს, მაშინ სიტყვის ბოლოკიდურ სხვა ხმოვანზე; ბუნებრივია, რომ ეს ხმოვანი გავრცელებულად გამოითქმის. მიმართვის ფორმის კილოურ წარმოთქმას დღეს მკვეთრად უპირისპირდება ლიტერატურული წარმოთქმა მიმართვის ფორმისა, ლიტერატურულ წარმოთქმაში კი ხმის ამაღლება სიტყვის დასაწყისშია. კილოური წარმოთქმა სალიტერატურო ენაშიც იქრება. ხმოვანზე დაბოლოებულ სახელებს ეს წარმოთქმა ადვილად ეგუება (ბოლოში ხმოვანი ბგერა აქვთ და ამიტომ); თანხმობანფუძიანებს კა—ერა. ამის გამო თანხმობანფუძიანი სახელები იჩენენ ტენდენციას, ბოლოკიდურად ხმოვანი გაიჩინონ და ზემოთ დასახელებული სხვა ფაქტორების თანამოქმედებით სწორედ ო ხმოვანი ჩნდება.

ი-ს ფუძესთან შეზრდის პროცესი, ცხადია, წოდებებითში, მიმართვის ფორმაშია დაწყებული და აქედან გადავიდა ინიანი ფორმები შემდგომ მოთხრობითსა და მიცემით ბრუნვებში.

ადამიანთა სახელების მცდარი ფორმების გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლა საჭირო. ბუნებრივია, რომ პირველ ყოვლისა უნდა მტკიცედ ვიცოდეთ, რომელ სახელებშია ო ფუძის ბოლოკიდური და, მასასადაშე, გადაწყვეტა სახელს მოთხრობითსა და მიცემით ბრუნვებში და მიმართვის ფორმაში, და რომელ სახელებშია ო სახელობითი ბრუნვის ნიშანი და, მასასადაშე, არ გადაწყვეტა მოთხრობითსა და მიცემით ბრუნვებში და მიმართვის ფორმაში.

ასეთი სახელების სია აქვე ერთვის.

A. სახელები, რომლებშიც ო ფუძეს განეკუთვნება

- ალათი (მოთხრო.—ალათი-მ, მიცემ.—ალათი-ს; მიმართვისას—ალათი!)
- ალაი (მოთხრო.—ალაი-მ, მიცემ.—ალაი-ს; მიმართვისას—ალაი!)
- ლესი (მოთხრო.—ლესი-მ, მიცემ.—ლესი-ს; მიმართვისას—ლესი!)
- ელუკი (მოთხრო.—ელუკი-მ, მიცემ.—ელუკი-ს; მიმართვისას—ელუკი!)
- ვასასი (მოთხრო.—ვასასი-მ, მიცემ.—ვასასი-ს; მიმართვისას—ვასასი!)
- ლალი (მოთხრო.—ლალი-მ, მიცემ.—ლალი-ს; მიმართვისას—ლალი!)
- ლილი (მოთხრო.—ლილი-მ, მიცემ.—ლილი-ს; მიმართვისას—ლილი!)
- მერი (მოთხრო.—მერი-მ, მიცემ.—მერი-ს; მიმართვისას—მერი!)
- ნანული (მოთხრო.—ნანული-მ, მიცემ.—ნანული-ს; მიმართვისას—ნანული!)
- ფატი (მოთხრო.—ფატი-მ, მიცემ.—ფატი-ს; მიმართვისას—ფატი!)
- აექსენტი (მოთხრო.—აექსენტი-მ, მიცემ.—აექსენტი-ს; მიმართვისას—აექსენტი!)
- აკაი (მოთხრო.—აკაი-მ, მიცემ.—აკაი-ს; მიმართვისას—აკაი!)
- ალექსი (მოთხრო.—ალექსი-მ, მიცემ.—ალექსი-ს; მიმართვისას—ალექსი!)
- ალფესი (მოთხრო.—ალფესი-მ, მიცემ.—ალფესი-ს; მიმართვისას—ალფესი!)
- ამბერკი (მოთხრო.—ამბერკი-მ, მიცემ.—ამბერკი-ს; მიმართვისას—ამბერკი!)
- ამბროსი (მოთხრო.—ამბროსი-მ, მიცემ.—ამბროსი-ს; მიმართვისას—ამბროსი!)
- არკადი (მოთხრო.—არკადი-მ, მიცემ.—არკადი-ს; მიმართვისას—არკადი!)
- ბადრი (მოთხრო.—ბადრი-მ, მიცემ.—ბადრი-ს; მიმართვისას—ბადრი!)
- ბიკენტი (მოთხრო.—ბიკენტი-მ, მიცემ.—ბიკენტი-ს; მიმართვისას—ბიკენტი!)
- გენადი (მოთხრო.—გენადი-მ, მიცემ.—გენადი-ს; მიმართვისას—გენადი!)
- გერვასი (მოთხრო.—გერვასი-მ, მიცემ.—გერვასი-ს; მიმართვისას—გერვასი!)
- გერონტი (მოთხრო.—გერონტი-მ, მიცემ.—გერონტი-ს; მიმართვისას—გერონტი!)
- გივი (მოთხრო.—გივი-მ, მიცემ.—გივი-ს; მიმართვისას—გივი!)
- გიორგი (მოთხრო.—გიორგი-მ, მიცემ.—გიორგი-ს; მიმართვისას—გიორგი!)
- გოდერძი (მოთხრო.—გოდერძი-მ, მიცემ.—გოდერძი-ს; მიმართვისას—გოდერძი!)
- დაჩი (მოთხრო.—დაჩი-მ, მიცემ.—დაჩი-ს; მიმართვისას—დაჩი!)
- დევი (მოთხრო.—დევი-მ, მიცემ.—დევი-ს; მიმართვისას—დევი!)
- დიმიტრი (მოთხრო.—დიმიტრი-მ, მიცემ.—დიმიტრი-ს; მიმართვისას—დიმიტრი!)
- დომენტი (მოთხრო.—დომენტი-მ, მიცემ.—დომენტი-ს; მიმართვისას—დომენტი!)
- ევგენი (მოთხრო.—ევგენი-მ, მიცემ.—ევგენი-ს; მიმართვისას—ევგენი!)
- მესევი (მოთხრო.—მესევი-მ, მიცემ.—მესევი-ს; მიმართვისას—მესევი!)
- ერასტი (მოთხრო.—ერასტი-მ, მიცემ.—ერასტი-ს; მიმართვისას—ერასტი!)
- ვახუშტი (მოთხრო.—ვახუშტი-მ, მიცემ.—ვახუშტი-ს; მიმართვისას—ვახუშტი!)
- ირაკლი (მოთხრო.—ირაკლი-მ, მიცემ.—ირაკლი-ს; მიმართვისას—ირაკლი!)
- კლიმენტი (მოთხრო.—კლიმენტი-მ, მიცემ.—კლიმენტი-ს; მიმართვისას—კლიმენტი!)
- კორნელი (მოთხრო.—კორნელი-მ, მიცემ.—კორნელი-ს; მიმართვისას—კორნელი!)
- ლავერენტი (მოთხრო.—ლავერენტი-მ, მიცემ.—ლავერენტი-ს; მიმართვისას—ლავერენტი!)
- ლეონტი (მოთხრო.—ლეონტი-მ, მიცემ.—ლეონტი-ს; მიმართვისას—ლეონტი!)
- მეჭი (მოთხრო.—მეჭი-მ, მიცემ.—მეჭი-ს; მიმართვისას—მეჭი!)
- პროკოფი (მოთხრო.—პროკოფი-მ, მიცემ.—პროკოფი-ს; მიმართვისას—პროკოფი!)
- რატი (მოთხრო.—რატი-მ, მიცემ.—რატი-ს; მიმართვისას—რატი!)
- სევსტი (მოთხრო.—სევსტი-მ, მიცემ.—სევსტი-ს; მიმართვისას—სევსტი!)
- სერგი (მოთხრო.—სერგი-მ, მიცემ.—სერგი-ს; მიმართვისას—სერგი!)

6. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმაში

ტარასი (მოთხრ.—ტარასი-მ, მიცემ.—ტარასი-ს; მიმართვისას—ტარასი!)
ტერენტი (მოთხრ.—ტერენტი-მ, მიცემ.—ტერენტი-ს; მიმართვისას—ტერენტი!)
ქიშვარდი (მოთხრ.—ქიშვარდი-მ, მიცემ.—ქიშვარდი-ს; მიმართვისას—ქიშვარდი!)
ქუჭი (მოთხრ.—ქუჭი-მ, მიცემ.—ქუჭი-ს; მიმართვისას—ქუჭი!)
ხარლამპი (მოთხრ.—ხარლამპი-მ, მიცემ.—ხარლამპი-ს; მიმართვისას—ხარლამპი!)

B. სახელები, რომლებშიც ი სახელობითი ბრუნვის ნიშანია

ასინეთ-ი (მოთხრ.—ასინეთ-მა, მიცემ.—ასინეთ-ს; მიმართვისას—ასინეთ!)
ასმათ-ი (მოთხრ.—ასმათ-მა, მიცემ.—ასმათ-ს; მიმართვისას—ასმათ!)
გულნაზ-ი (მოთხრ.—გულნაზ-მა, მიცემ.—გულნაზ-ს; მიმართვისას—გულნაზ!)
გულქან-ი (მოთხრ.—გულქან-მა, მიცემ.—გულქან-ს; მიმართვისას—გულქან!)
შენს გარდა მე ცხო არვინ მინდა (ი. ყაზბ.).
შენს გარდა იცოდა ვინმემ? (აკაკი).
თქვენს გარდა პატრონი და ჭირისუფალი ვინდა ეყოლებათ? (აკაკი).
თქვენს გარდა არც ნათესავი მყავდა, არც მეგობარი (გ. ქიქ., თარგმ.).

ამეამად გაქვევებული გამოთქმაა ამას გარდა.

მ. იქით, აქეთ, იქიდან, აქედან

ესენი მხოლოდ პოსტპოზიციურად შეიძლება იყვნენ დასმულნი. არსებით სახელებს, ჩვეულებრივ, ნათესაობითში მოითხოვენ (რა თქმა უნდა, გაუვრცობელ ფორმას დაერთვიან).

გადავიხედე ღობის იქით (ილია).
კოში ნაგსად გუროს იქით იყო ამართული (გ. ქიქ., თარგმ.).
იმ დღის აქეთ, ვინც იჭირავო, სუყველა გამოჰყარა ეშმაკმა (აკაკი).
აკაკი, იმ დღის აქეთ... ჩავარდა ნალექში (ილია).

ლუარსას ამ დღის აქეთ სულ ის... ქალი აგონდებოდა (ილია).
ბერიძემ უღელტეხილს მიადწია და გადახედა მთის იქით (ვაჟა).
ორმოც-დაათი როზვი დაეკრას იმასო, ვინც თავის ნაბატონარს დღეის იქით ბატონს დაუძახებდა (ილია).

შენს ხელში ვარ დღეის იქით (ილია).
მინამ მთის იქიდან მზე ამოაღაპლაპებდა თავის სხივსა... კესო ჩამუღლ-და-ხურული ბაღში იყო ზოლმე (ილია).

მთის იქით სურათი სრულიად გამოიკვალა (ვაჟა).
ხნულის იქით გვერდზე ბატარა ნაკადი ჩამოუდიოდა (ვაჟა).
მზე და დღეს ტნის იქით მთის უკან იშალება (ვაჟა).
ზღვის იქიდან დაღალულ-დაქანცული ორი ტრეღო მოფრინდა (ვაჟა).

მაგრამ მიცემითთანაც გვხვდება:

გიორგობის რვა ს 1864 წ. აქეთ არა მებატონეს ნება არა აქვს ვლეს ჩამოართოს რამე (ილია).

ჩვეულებრივია გამოთქმა: ცხრა მთას იქით... ცხრა მთას, ცხრა ზღვას იქით...

III პირის ნაცვალსახელთან ნათესაობითში:

მთელი ქვეყანა ამ შეილში მოუქცევიათ და იმის იქით არა სწომთ-რა (ილია).
მაგრამ ჩვეულებრივია გამოთქმა: მას აქეთ („მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული, პოი მამულო, გამიკრთა მე ძილი და შეება.—ილია), ამას იქით...

ნათესაობითსა და მიცემითს შორის მერყეობა ჩანს ამ ტიპის მაგალითში:
ჩემს ქვრივობის აქეთ სოსანი კაბა არ ჩამიკვამს (ილია).

I და II პირის ნაცვალსახელთან ასე გვაქვს:

ჩემს იქით:
ჩემს იქით თოვნი ვინდა კუნძს მოხვედრია და ვინდა კაცსაო (ანდაზა).
[სოსია] ჩემს იქით არსად წაუა (შელანია).

შენს იქით:
შენს იქით კაცსა ვერ ეპოვებ (ვაჟა).
შენს იქით ვზა არც ერთს არა გვაქვს (აკაკი).

ასევე: ჩვენს იქით და თქვენს იქით.
სანმოკვეცილი ფორმები არ გვხვდება.
ეს გამოთქმები იმავე რიგისაა, როგორიც ამას იქით, ცხრა მთას იქით, მას აქეთ გაქვევებული გამოთქმებია ამეამად.

3. უკან ნათესაობითსაც დაერთვის და მიცემითსაც თანაბრად. დაისმის პოსტპოზიციურად. დაერთვის მხოლოდ გაუვრცელებელ ფორმებს. აღნიშნავს ან ადგილს, ან დროს.

ნათესაობითთან:

რომ გაათვა ლოცვა, აილიო და მეც ხატის უკან დამედა შესაწირავად (აკაკი).
მეც თურმე ჩანვალზედ გამომხელა ნაცტიკის უკან ავთრეული (ილია).
სახლის უკან კალო-საბაქლოა (ილია).
[ლიამვეს აქვს] ფეხები შორბუნალნი უფროსის წინ და ნამეტნავად მდიდრის უკან (ილია).

ყო... მიჩაკაცება თავის პატარა ბატონის უკან (ილია).
ბევრი ათბრევისეს თავლის უკან (ილია).
სახლის უკან ჩამოსდგამს ვეერდა (ვაჟა).
თამარი ხალხის უკან იღვა (ვაჟა).

მზე დალესტნის იქით მთის უკან იმალება (ვაჟა).
უჩინის უკან კარბუტა მიაგოვმანებდა თავის ლურჯას (ვაჟა).

მიცემითან:

ჯაგს უკან თოფიანი კაცია მიმალული (ვაჟა).
ჩვენ კიდევ უხურავს უკან მუქარა მივყოლეთ (ვაჟა).
თავლას უკან ორმოა (ილია).
[ლუარსაბმა] პატარა ხანს უკან ხერხეა ამოუშვა (ილია).
დალაგმეს ცხენები და პატარა ხანს უკან შორევეს ჩრდილოშია (ილია).
ორ დღეს უკან ჩენის სოფლის ბოლოში მივედით (ილია).
ღარჯანმა ისე ახსნა ეს სიზმარი, რომ სწორედ ცხრა თვეს უკან შეიღო უნდა
ველოოს (ილია).
საღილს უკან ლაზთიანად გამოიწმინდნენ ცოლ-ქმარნი (ილია).
ხელოთრა იზოლდამ თვითუღი სიტყვა გაიგონა კედელს უკან მღვარმა
(გ. ჭიჭ., თარგმ.)

III პირის ნაცვალსახელთან ჩვეულებრივ მხოლოდ ღროს აღნიშნავს და მეტ-
წილად მიცემითს დაერთვის.

ნათესაობითან:

იშის უკან კი ბოდუშის მოთხოვნა მართლა გასაოცარია (ილია).

მიცემითან:

მას უკან ხშირად იტყოდა ხოლმე: ჩემი დაუფიქრებლობით კინაღამ ცოლვაში
ჩავფარდიო (ვაკაი).
მას უკან, ხშირად საღამ-საღამოობით ბოსტნის ბოლოზე ვიდელა ხოლმე (ვაკაი).
რა ილაპარაკეს მას უკან, არ ვიცი (ილია).

I და II პირის ნაცვალსახელთან: **ჩემს უკან, ჩვენს უკან, შენს უკან, თქვენს უკან და პარალელურად: ჩემ უკან, ჩვენ უკან, შენ უკან, თქვენ უკან:**

ვიწყე სირბილი და ჩემმა კმარმა ჩემს უკან ქუდმოგლეჯილა კინკილი (ბაჩანა).
ჩვენ უკან კი... ჩვენი წარბები... სჩებდნენ ტყეებს (ივ. მაჭ., თარგმ.).
მე დავტოვე პატარა კობერფილი ჩემს უკან ცხოვრების შარა-გზაზე
(ჭ. ბაჭრ., თარგმ.).

მას უკან, პატარა ხანს უკან, უხურავს უკან, პირს უკან („მოყვარეს პირში უზრახვე, მტერს—პირს უკანაო!“—ანდაზა) გაქვავებულ გამოთქმებს წარმო-
ადგენენ.

4. **შორის ორ სახელს ახლავს ან, თუ ერთ სახელს დაერთო, ეს სახელი მრავლობით რიცხვშია დასმული ან კრებითი შინაარსი აქვს; დაერთვის ორ ბრუნვას: ნათესაობითსა და მიცემითს.**

ამჟამად პოსტპოზიციურადაა დასმული.

შორის ნათესაობითან:

გორგი უხილავად დაქროდა ამ ნანგრევთა მუხა-იფნების შორის (ვაჟა).
გამონდა საჭიროება იმგვარ ლიტერატურისა, რომელიც... აღვიღად უნდა დას-
რულდეს... შუამივლობასა შეცნობების და ცხოვრების შორის (ილია).
დიდი ზღვა ბატონის და კიკოს შორის მავარს საქმეებში (ილია).

შორის მიცემითან:

ჩემოდანში პირად ნივთებს შორის იდგა პატარა ამანათი („ლიტ. ხაჭ.“).
წაშლილია ზღვარი მიცვალეზ ულსა და ცოცხალს შორის („ლიტ. ხაჭ.“).
დაცუტუნებდა წამებსა და ტაბაკებს შორის (ილია).
შეიქმნა დიდი თქმულობა შეფესა, ვაზირსა და რუქის შორის (ხაბა).
რა განსხვავებაა ცოცხალი კაცის პირის-სახესა და მოცვალეზულის პირის-სახეს
შორის? (ილია).

შთელი დღე დაკოგავდა ფერად ყვავილებს და მწვანე მდელოებს შორის
(ილია).

მთარგმნელი უნდა იმასა სცდლობდეს, რომ გადმოიღოს სხვისი აზრი ისე, რომა
ნამდვილსა და თარგმანის აზრს შორის არ იყოს რა იოტის ოდენა განსხვა-
ება (ილია).

III პირის ნაცვალსახელთან უმეტეს წილად - თ სუფიქსიან მრავლობითშია
და არ გაირჩევა ნათესაობითი და მიცემითი: **ამათ შორის.**

I და II პირის ნაცვალსახელთან ხშირად იხმარება და ორგვარი ფორმა
გვაქვს:

ჩვენ შორის და ჩვენს შორის:

მივივრს, საიდან ამოხველა ჩვენს შორის ღვარძლად (ვაჟა).
ვიღაც შესაშე, ვიღაც მახინჯი ჩაღვა ჩვენს შორის (გ. ტაბ.).
ჩვენ შორის ბრწყინავს შენი სახელი (ალ. აბაშ.).
შენ კი ჩვენს შორის უფსკრული გათხარე (ს. შანშ.).
ჩვენ შორის რაღაცას ვხედავთ? ხშირად სრულიად წინააღმდეგსა (ი. გოგებ.).

თქვენ შორის და თქვენს შორის:

ომი თქვენ შორის ეგანება ქვეყნის განაპობს (ივ. მაჩაბ., თარგმ.).
ვეიხარის ფრიად, რომ ვართ თქვენ შორის (კ. მაყ.).
რამდენიმე საათია, რაც თქვენ შორის ვიყოფები (შ. დად.).
მეც მადლევრქელს თქვენ შორის, უმტროსი მშა ვარ თქვენიო (ვაჟა).
მეც... ვღვგავარ თქვენს შორის (ა. მაშ.).

როლესაც შორის მიცემითს დაერთვის, მიცემითის ს შეიძლება მოეკვეცოს.
ასეთი შემთხვევები საკმაოდ ხშირია.

თვითუღ მათგანს ღიღად სწამს, ამ ნანგრევებში, ამ დახვებულ ლოდებ შორის
ქლოერი, ყოვლად შემძლებული ღვითური სული განსვენებს (ვაჟა).
ჩვენ თვალებდაწყვეტილი ამავებ-შორის დაქვრებობით (ილია).
სხვათა სიტყვის ნაწილებ შორის მარტო ზენა არას აზრის გამომხატველი
(ილია).

გლტების სახლებ შორის მოჩანდნენ შევიდიოდ თავადის-შვილის თორი სახლები
(ილია).

ყვავილებ-შორის მოჩანდა თავი ახალგაზრდა ქალისა (ილია).
ერთ ფანჯარაში ვარდებ-შორის მოჩანდა ერთი ცოცხალი ვარდი (ილია).
კოლა ძალიან მორცხობდა უცნობ ყმაწვილებ შორის (ილია).
ვხედავ ჩემს თავს ჩემს პატარა სოფელში, ჩემს პატარა ფენჩულა და-ქმებ შორის
(ილია).

5. **შუაგ ორ სახელს ახლავს ან, თუ ერთ სახელს დაერთო, ეს სახელი მრავლობით რიცხვშია დასმული ან კრებითი შინაარსის მქონეა; დაერთვის ორ ბრუნვას: ნათესაობითსა და მიცემითს, უპირატესად მიცემითს. ამჟამად პოსტპო-
ზიციურადაა დასმული.**

შუა ნათესაობითან:

რა ვიცოდი, რომ ბატონ-ყმობის შუა სოცვარტლის ხილი არ გაიდება (ილია).
იქვე ხალხის შუაში სავეტ ტივები ეყარა (ვაჟა).
ჩემის ფიქრებისა და თერგის ჩივილის შუა არის რაღაც იდუმალი კავშირი
(ილია).

მე ოთხი წელიწადი... ბეწვის ხილა, სიბნელიისა და სინათლის შუა ბედისა-
გან გადებულ (ილია).

შუა მიცემითან:

თვალსა და ხელს შუა გავებარე (აკაკი).
ტყვისა და ტყვის შუა ველები იყო (ვაჟა).
სოფელში გაზრდილი და ქალაქში მყოფ ბავშვებს შუა ისეთი განსხვავებაა, როგორც ნამდვილსა და მისი ჩრდილს შუა (აკაკი).
გზებსა და გზებს შუა აი ისეთი კვლები უნდა დაიკვლიოს (ილია).
მაშინ რკინის გზა მოსკოვსა და პეტერბურგს შუა იყო (აკაკი).
აჰყვა წისქვილის რუსს და დიდბონ ტირიფის ფესვებს შუა ჩაწვა (ვაჟა).
ტიროდენ ყვავილნი კლასანი, ქვებსა და ქვებს შუა ნავზე ამობრუნებულნი (ვაჟა).

მამალს ქორის ტრაპაზი არ ესმოდა, გვირუღად დასვირინობდა ეზოში დედებს შუა (ვაჟა).
სამოციან წლებში გამოსულთ მწერალთა ჩაუდგეს ქვაკუთხედი იმ ხედს, რომელიც ჩატყდა წარსულსა და აწმყოს შუა (ილია).
ველი მადლია და მადლი მარტო არის შუა სსქმობს (ილია).
ზაგრატი ზახარის ხელებსა და ბაკუნბარლებს შუა ვარდი უწყვია (ვაჟა).

III პირის ნაცვალსახელთან უმეტეს წილად თ-სუფიქსიან მრავლობითში დასმული და არ განირჩევა ნათესაობითი და მიცემითი:

მათ შუა ჩადგა ნიავი (გ. დიონ).
ღელამ მოყვანა ვანო ამ დამალ ვაშლებთან და მათ შუა სიყუთარი ხელით ჩაიღო-
ბინა სალი ვაშლი (მ. გობა).

I და II პირის ნაცვალსახელთან ორგვარი ფორმა გვაქვს:

ჩვენ შუა და ჩვენს შუა:

ჩვენ შუა ხილია ჩატეხილი (ილია).
ჩვენ-შუა საბოლოოდ ჩატეხე ხიდი (ილია).
ჩვენს შუა დადი ღრუა (შ. არაგვი).

თქვენ შუა და თქვენს შუა:

აბა ერთი მითხარ, რა დადის ეხლა ჩვენ-შუა (ილია).
იბადებოდა უფსკრული თქვენს შუა (შ. დად.).

როდესაც შუა ორ ნაცვალსახელთან ან ნაცვალსახელთან და არსებით სახელთან იხმარება, მაშინ ზოგჯერ ასეთი ფორმები გვაქვს:

ჩემ და ღმერთ შუა ერთი აღარა არის რაო (დ. კონჭ.).
რამინო... ჩემსა და დავითის შუა გაჩნდა (წ. ლორთქ.).
ჩემ და ქვეყნის შუა ხომ ეხლა ხიდი ჩატეხილია (ილია).
ლევანი ძლიერა, იგი ჩვენსა და იმერეთს შუა ღვას (წ. ლორთქ.).
თქვენსა და ჩემს შუა დადებულს პირობას ახლა მარტო თქვენზე აქვს ძალა (გ. წერ.).

უფრო კი ასეთი:

ავად თუ კარვად გადაქრა მე და ქმრის შუა დავისა (მაჩანა).
ვგრძნობდი, რა საშინელი ზღვარა იდგა მე და იმის შუა (ივ. შაგა., თარგმ.).
აქამდისაც არ თავდება [მტრმოყვარეობა] მე და იმას შუა (აკაკი).

როდესაც შუა მიცემითს დაერთვის, მიცემითის ს შეიძლება მოეყვებოდეს ასეთი შემთხვევები ხშირია.

ფოთლებ და ბუჩქებს შუა გამოჩნდა (ილია).
ჩვენ-შუა საბოლოოდ ჩატეხე ხიდი (ილია).

წარბებ-შუა შებლა... ჩამნაოქებოდა (ილია).
ბევრჯერ უტრინია სერაფენიას, სორიში მოკუნტულს, თუ სადმე ჯავის ძირას-გო-
ხებში ლოდებს-შუა გატრუნულს (ვაჟა).
პუბია საცოდაოდ გახდა... ლოყები ყბებს-შუა ჩავეყვა (ილია).
ამ ორ ტახტ-შუა აღმოსავლეთის კედელზედ მოჩანდა... ბუხარი (ილია).
ვისხედეთ... ამ ოთხ კედელ-შუა (ილია).
დავრჩით მე და სოფო ორ წყალ-შუა (ვაჟა).

6. შემდეგ, შემდგომ დაერთვის როგორც ნათესაობითს, ისე მიცემითს.

ნათესაობითან:

ორმოცი წლის ხეტიალის შემდეგ იპოვნეს აღთქმული ქვეყანა (აკაკი).
ამ ამბის შემდეგ არ გაუვილა დიდ ხანს, რომ შალვა, ელიზბარ და ბიძინა აღმოსავლეთის გზას დაგვენ (აკაკი).
ქიდაობის შემდეგ აბლუშაილი თავის ქერქში ვეღარ იყო (აკაკი).
დაითვის მოკვლის შემდეგ მე იმ არე-მარეში ყოფნა ძალიან გამოძინელდა (ილია).
ორიოდ გონიერ ბაასის შემდეგ... სადილობაც მოვიდოდა (ილია).
ცოლა-ქმარსა ჯვარის წყარის შემდეგ სდევდა უკან ერთი უხედურება (ილია).
[მაჩანემა] დედობის შემდეგ დიდხანს ვეღარ იცოცხლა (ილია).
არწივის შემდეგ გადმოაფლავუნებს სვავი (ვაჟა).
მონც ამ შემდეგარის შემდეგ წრუწუნა კაცად აღარ ვარგოდა (ვაჟა).
ორმოცი დღის შემდეგ ოქროსთიანთა იზოლდამ ივადმყოფი თოქმის სრულიად განკურნა (გ. ქიქ., თარგმ.).
დაუდგებ ყურსა და ელი, რა მომხდარა ამ და ამ საქმის შემდგომ (ილია).
წერილის წაქითხვის შემდეგ სულ ერთსა და იმავეს ფიქრობდა დავითი (ლ. ქიჩ.).

მიცემითან:

ნახევარ საათს შემდეგ დაებრუნდი (ვაჟა).
სადილის შემდეგ ძილი, მერე ისევ გაღვიძება, მერე ისევ ჩაი, მერე ისევ ვახშამი (ილია).
ხანგრძლივ შფოთებს შემდეგ სვენება უპრიანია (ილია).
ეს მოგვიხდება ორმოცდა-შვიდს წელიწადს შემდეგ (ილია).
პატარა ხანს შემდეგ ხელახლა მოუტრიალდა (ილია).
წუთს შემდეგ... გულში იკრავდა (ა. ყაზბ.).
ამ ფიქრებს შემდეგ უცებ ჩაეძინა (გ. წერ.).
ამ სიტყვებს შემდეგ სალომემ სამჯერ გამოისახა პირველი (გ. წერ.).
ერთ ხანს შემდეგ მან იგრნო, რომ მარცხენა ხელი შეუსუსტდა („ლიტ. ხაქ.“).
ცოტა ხანს შემდეგ დემეტრემ ზღურბლიდამ თავის დედაკაცს თავმოქრილი დედალი გადმოუღო (ვაჟა).
ახლა-კი თავს იტყვენ სიკვდილს შემდეგ (აკაკი).

მიცემითის ს მოკვეცილია ზოგჯერ:

ამ სიტყვებს შემდეგ... კოლა შექდა ცხენზე (ილია).
ყველას მიეთათ გული გლახებსა ამ სიტყვებს შემდეგ (ილია).
დედაბერმა დაიბინა სადილ შემდეგ (ილია).

III პირის ნაცვალსახელთან:

მიცემითან:

დიდმა ხანმა გაიარა ამას შემდეგ (აკაკი).
პაპა და თამარი, კარგა ხანია მას შემდეგ, რაც დაიხოცნენ (ვაჟა).
მას შემდეგ... თამამად თვალს გაუფსწორებდი (ილია).
რაც ეს სალოცავი დაარსდა, მას შემდეგ მსახურად ხვეისბერები და დასტურები იყვნენ (ვაჟა).
მას შემდეგ აქ არის („ლიტ. ხაქ.“).
მას შემდეგ ერთხელ კიდევ შევხვდი (აკაკი).

შას შემდეგ, რაც ტრისტანი წავიდა, პუსდანი თავის ბუნავში წევს (გ. ჭიჭ., თარგმ.).
ამას შემდეგ სალომე თვითონ მიიღოდა პორტში (გ. წერ.).

ნათესაობითთან:

ამის შემდეგ სამმა დღემ განვლო (გ. ჭიჭ., თარგმ.).
ამის შემდეგ აღარავის გაუხედეს იმ ტერში შესვლა (გ. ჭიჭ., თარგმ.).
არ გასულა ამის შემდეგ რამდენიმე წუთი, რომ კარი ისევ გაიღო (ილია).
არჩილი ამის შემდეგ მივიდა ოთარაანთ ქვრივთან (ილია).

I და II პირის ნაცვალსახედებთან:

შეიძლება ჩემს შემდეგ სხვა ქალი, ხელთერთა იზოლდა შეიყვარო (გ. ჭიჭ., თარგმ.).

არ ვიცი, რა მოგვლით ჩემს შემდეგ (გ. ჭიჭ., თარგმ.).
უნდა ჩემ შემდეგ ადგილი დაიჭიროს (ავჭ. ცაგ.).
ჩემ შემდეგ ვინც უნდა წავიდეს, ცოცხალი ვეღარ გამობრუნდება (შ. არაჯვ).
შენს შემდეგ შენმა შეიღმა მიიღოს (გ. ჭიჭ., თარგმ.).
შენს შემდეგ სხვა კერბი ვეღარა ვნახე (შ. ლოშო.).
თქვენს შემდეგ გაცემულობა არ წავადგებათ არარა (რ. ერ.).
საქმენი თქვენი აქ დარჩებიან... რომელნიც თქვენ შემდგომ აქ ბევრს გააშა.
რებს და აატირებს (ი. გული.).

იშვიათად პრებოზიციურადაც გვხვდება, რა თქმა უნდა, ნათესაობითთან:
დღე-მამამ, შემდეგ დრომ განსჯისა, გადასწყვიტეს, რომ კოლასათვის ჭჭრ აღრეა
სწავლა (ილია).

პირველთან ამან ალღა ფეხი ჩვენში შემდეგ კარგა ხნის დუმილისა (ილია).
დათო... შემდეგ შეტანის მოყრისა ემთხვეოდა [საყდრის] კედლებსა (ილია).
ამის საწყალი ჭალაბი, შემდეგ რამდენიმე ხნის ციებისა... ჩაბარდა პატრონსა
(ილია).

შემდეგ ამ მწუხარე სცენისა... მიუბრუნდა კაცოს (ილია).

7. ქვეშ დაერთვის ნათესაობისა და მიცემითს

ქვეშ ნათესაობითთან:

იგნის ქვეშ ისხდენ (ვაჟა).
მე კი სუ შიშის ქვეშა ვარ (ვაჟა).
დაუწყეს სუფრის ქვეშ ძალღებს ცემა (აკაკი).
მათურის ხმალი ხატმა მთლი თავის მფარველობის ქვეშ (ვაჟა).
არაყინა ცის ქვეშ ჩემი მადლობელი (ვაჟა).
ღამშევი ამ დროს გაფხორილი ხეივანის ქვეშ დასეირნობდა (ვაჟა).
ვინ დიდ წიფლის ქვეშ მობუნაგებულყო თავის ცოლშვილით, ვინ მუწის
ქვეშ (ვაჟა).

ნატრა ცარიელ ნატრად არა რჩება ცის ქვეშ (ილია).
შენის კალთის ქვეშა... რამდენი გაბორბებული მტერი აღამაინაო თავს იმა-
ლეს (ილია).

დახეულებლამ გამოჩანდა რაღაც დამპალის საბნის ნაგლევი, კაბის ქვეშა ვარ-
შემო ჩამოკიდებული (ილია).

ამათ გარდა რამდენი სხვა ბაწაწინტელა პოეტები იყვნენ ბაირონის გავლენის
ქვეშ (ილია).

თვალი შეისწრო გიორგის, კაკლის ქვეშ ჩრდილში მწოლარეს (ილია).

ქეჩის ქვეშ რომ ნაპარათეია, ჩამომიტანე (ილია).

დდი ფიჭვის ქვეშ ტრისტანი მარმარილოს მოაჯირზე იყო დაედრდობილი
(გ. ჭიჭ., თარგმ.).

ლალატის შიშით მონძების ქვეშ ჯავშანი ჩაეცა (გ. ჭიჭ., თარგმ.).
იმ ხის ქვეშ ტყუილი არ გაიხედებოდა (აკაკი).

ისე მოგვიდა დენო, რომ იქვე უგრძობლად სუფრის ქვეშ გაგორდა (აკაკი).
რა სჯობია იმას, რომ ხის ქვეშ ჩეროში იჯდეს და დანასობის ან კენჭობის თა-
ვაშობდეს (აკაკი).

მარტოდ მარტო დახედება ცის ქვეშ (ილია. სიჭ.).

ქვეშ მიცემითთან:

შეძვრენ სუფრას ქვეშ და წამოწვენ (აკაკი).
მინდა გულით იმ ლოდს ქვეშ შევეტურდეს (ვაჟა).
ქალი... ფრთას ქვეშ უზის დედას (ილია).
ბიჭი მიიყვანეს და სახარხო ბელას ქვეშ დააყენეს (ილია).
ოთარაანთ ქვრივი შევარდა სახლში, იღლიას ქვეშ ამოიჩარა ექვსი შიითი (ილია).
ჩემს საკუთარს ქვეშ ქვეშ ყოფნა... დიდად მუფასებოდა (ვაჟა).
ოცი წელწაღია თურმე, რაც ლუარსაბი და დარეგანი... ერთს ბედის კალთას ქვეშ
ამოფარებულან (ილია).
რასა ქვერიან, როგორც ღორები ღობეს ქვეშაი. (ილია).
განა უნდა დაივიწყებ შენს კალთას ქვეშ შემოხიზნულსა? (ვაჟა).
ღიაცენს უღვაშებს ქვეშ ჩაეცინა (ვაჟა).
თვლივამოკუსული ბაყაყი წამოცუტქმულიყო ქვეს ქვეშ (აკაკი).
ერთი-ორი მადლი აზნაურების სუფრას ქვეშაც შემძვრალყო (აკაკი).

მიცემითს დართვის შემთხვევაში განსაკუთრებით ხში-
რია მიცემითის ხს-მოკვეცვა. ამ შემთხვევაში ქვეშ უერთდება სახელის
ფუძეს.

შინალობით რიცხვში:

დასხა ცაცხე ქვეშ (აკაკი).
კაკალ ქვეშ ჩავსხელით (ილია).
ისხდნენ დიდ ფურცელ ქვეშ (ილია).
ბატონს ფეხ ქვეშ ჩაუფარდები (ილია).
ფეხ-ქვეშ სთვლავდა ერის უფლებას (ვაჟა).
თითქონ ფეხ-ქვეშ საღები ჰქონდათ დაფენილი (ვაჟა).
საბან ქვეშ ელოცულობდი (ვაჟა).
ბავშვებმა საშობაო საჩუქრები ბალიშ-ქვეშ ამოდეს (ვაჟა).
კაკალ-ქვეშ რამდენიმე ჩამოფარდნილი კაკალი იპოვნა (ვაჟა).
ცალი თითი თავე-ქვეშ ამოიღო (ვაჟა).
აქვე ისაბილებდა და აქვე წაიძინებდა ჩრდილ-ქვეშ (ვაჟა).
[ლუარსაბს] სამკეცად ჰქონდა ნიკაბ ქვეშ ჩამოსული დაბაბი (ილია).
უკადრისობად მიგვანია ქვეშა უწიგნო ტყაბუ ქვეშაც ვიგულვით (ილია).
სახლის უკან კალა-საბეღია და საბეღელ-ქვეშ გომური (ილია).
ლევანსაც, ნიკოლოზსაც წინ ჰქვეშ ვაივადებს (ილია).
ამ ჩარდახ-ქვეშ შევადარე თავი (ილია).
ისე დადუმებულია [თერგი], თითქო... რომ გე-ქვეშ არის გატარებული (ილია).
[გიორგი] წამოწვენოდა ეზოში მწვანეზედ, თავ-ქვეშ ორსაც ხელებს ამო-
იდებდა (ილია).
გულშეწონებული დასვა ცაცხე ქვეშ, ბრტყელ ქვაზე (აკაკი).
მკურდ ქვეშ თითქო გული გაეყინა (გ. ჭიჭ., თარგმ.).
რავიცი, — უთხრა ცოლმა, — ტახტ-ქვეშ თუ შეძვრიაო (აკაკი).
ჩემი და ტალავერ ქვეშ იდგა და ყურძენს ჰკრეფდა (აკაკი).

მრავლობით რიცხვში:

დალაშქებისას ბნელ ხეებ ქვეშ ჩამოჯდა (გ. ჭიჭ., თარგმ.).
[ყმაწვილები] სადილად წიგნებით იღლივ-ქვეშ მოვიდოდნენ შინ (ილია).

მ. თანამედროვე ქართული სილიტერატურა ენის ნორმები

მეტრებები... გაშტვილიყენენ... ურმეზ-ქვეშ (ილია).
მზის სხივებ-ქვეშა... დაბალი მღები ჰფეთქდნენ... განახლების სიცხოვლითა
(ილია).
დაეწვიე კაკლებ ქვეშ (ილია).
მის ფეხებ ქვეშ რამდენამე ყვავილმა დაიყენეს და გაჩუმდა (ვაჟა).

ასეთი მავალითები XIX საუკუნის ბოლოსა და ჩვენი საუკუნის დასაწყისში
სამგვარად დაწერილი გვხვდებოდა: ცალ-ცალკე (პერ ქვეშ), დედისით (პერ-ქვეშ)
და ერთად (პერ ქვეშ). უფრო ხშირად მაინც და მაინც დედისით წერდნენ. ამჟამ-
მად თითქმის გაბატონებულია ერთად წერა.

იშვითად ქვეშ I და II პირის ნაცვალსახელებთანაც გვხვდება:

[მუხავ], კვლავ მოიჩრდილებს შენს ქვეშა ლალი ირები ჩხინა (შ. მღვ.).
დღეს ჩემმა ცხენმა სამჯერ ჩემ ქვეშ წაიფორხილა (ივ. მაჩ., თარგმ.).

8. გამო ნათესაობითს დაერთვის:

დროშა სიძველის გამო იყო წმინდა. როგორც თვით სალოცავი (ვაჟა).
ბევრი ქალი დაბრუნებულა შინ ამისთანა სიყვარული გამო (ვაჟა).
იქნებ ამ ცოდვის გამო ვისკები? (ვაჟა).
კუჭის სიხუტის გამო ყურძნის ჰამა აკრძალული მქონდა (აკაკი).
დღეღაღალი დაღღალი იყო გამოვლილი შიშის გამო (გ. ქიქ., თარგმ.).
მეფეს შიშის გამო არ დაუნდვივართ (გ. ქიქ., თარგმ.).
ფრიდონი... არ გვახსოვს რა მიზეზით და რის გამო—ზღვისპირის ქართველია
(ილია).
არის სხვა მიზეზიც, რის გამოც ქურნალი არ მოეწონება ხოლმე ხალხსა (ილია).
ეგ ჩემი ზრალია და აირის გამო (ილია).
ზოგი შეუძლებლობისა გამო, ზოგი სიშორისა გამო, ზოგი მოუღ
ლელობისა გამო... (ილია).
სარდოს მესხივის კრიტიკის გამო (ილია).
შენ ჩემს მეგობრობისა გამო... გულმოდგინედ მესმარები (ილია).
სულ-კინებამ თავის ანგარიშების გამო 'საქმე ცოტად გააძრავა (ილია).
ლუარსაბი ვერე სწუხდა ეხლანდელ დროების ქირისა გამო (ილია).

III პირის ნაცვალსახელებთან:

ამის გამო ჩვენ კვალ-და-კვალ მიყოლას თავს ვანებებთ (ილია).
არ გვეგონოთ, მკითხველნო; რომ ეს სახლი ეკუთვნოდეს ერთს უსამეს ღარიბს და მის-
გამო იყოს ვერე... თავმონებებული (ილია).
ამის გამო ალი-ყული-ხანი შიშის ქარმა აიტანა (აკაკი).
ჩაის დაღვევა მინდოდა და ამის გამო სამოგრის დაღვევა შევეუფეთე (ილია).
ჩემი ბატარატი კი გრძობდნენ თავიანთ საწყლობას, სიყვარული ხნოსადმი ამის
გამო უთათსდებოდათ (ვაჟა).

I და II პირის ნაცვალსახელებთან გვხვდება: ჩემ გამო და
ჩემს გამო, ჩვენ გამო და ჩვენს გამო, შენ გამო და შენს გამო, თქვენ გამო და
თქვენს გამო:

შე დღეს რად უნდა ვიტანო, თქვენ გამო რისთვის გეწენსია? (ვაჟა).
დედაჩემო ჩემს გამო არ წასულიყო წირებაზე (ვაჟა).
თუ რამე მიქნია, სულ შენ გამო, სულ შენის სარგებლობისათვის (სოფ. მგაღ.).
შე მიღიოდი ნანგრევებზე თბლად, თბლად შენს გამო (გ. ტაბ.).

9. წინაშე

ნათესაობითთან

წარსტა ორივე მეფის წინაშე (გერ. ქიქ., თარგმ.).
როგორ გამოჩენილიყო შტრების წინაშე (გერ. ქიქ., თარგმ.).
ღვთის წინაშე, ქურდიცა ვარ, ვერ დავალავ (ვაჟა).
წარმოიდგინეთ ნაპოლეონ თავის სახელოვან მხედრობის წინაშე (ვაჟა).
მჩვენები დაოქლები იღვინ დათვის წინაშე (ვაჟა).
მოხვევა მასწავლებლების ბეზლობას მშობლების წინაშე (ვაჟა).
სახელისილები წარსდგვით ციხელის წინაშე (ვაჟა).
ეს ჩვენი ვალდებულება გახლავსთ ჩვენი შთამომავლობის წინაშე (ილია).
მეტად კადნიერად კუნტრუმობს [ქერელი ბეჭა] საზოგადოების წინაშე
(ილია).
აბა, ნახეთ რუსთაველი, ყოველთვის უტყუარი და მართალი ბუნების წინაშე
(ილია).
იგო... სწურება დმანისის დიდებულ ნანგრევების წინაშე (ილია).
შენი ქვეყნის შეილი... ქვეყნის წინაშე თამამად თავს მოიწინებს (ილია).

მესამე პირის ნაცვალსახელებთან ჩვეულებრივად ნათესაობითს დაერთვის:

მის წინაშე ბევრი დეაწლი მიმიძღვის (გერ. ქიქ., თარგმ.).
ძალაუნებურად მის წინაშე უნდა თავი მოგებათა (ვაჟა).

I და II პირის ნაცვალსახელებთან გვხვდება: ჩემ წინაშე და
ჩემს წინაშე, ჩვენ წინაშე და ჩვენს წინაშე, შენ წინაშე და შენს წინაშე, თქვენ
წინაშე და თქვენს წინაშე.

გავიგეთ... თქვენ მიერ სამავალითოდ დასჯა ურჩთა და სრგულთა სიფლეთითა, რომელ-
თაც ვაბედეს და გამოიჩინეს საბრძოლვე და სიჭიუტე თქვენს წინაშე (ვაჟა).
გაგონილა, ვინდა თუ არა, ჩემ წინაშე თავი მოიხარეთ (ილია).
გაქაცია... მუხლს მოიდრეკს ჩემს წინაშე (გ. ბარჩ.).
თორი ტყეების მიმგება გუნდი და კვლავ მარტა ვარ მე ჩემს წინაშე (გ. ტაბ.).
ემა, ვსდგვიართ შენს წინაშე, დიდო მსაჭულო! (გ. ბარჩ.).
დღეღაღალი დგას შენს წინაშე (ივ. მაჩ., თარგმ.).
მე იმას შენ წინაშე სუ დამუხლისთავებულს მოვიყვან (გ. წერ.).
აი, შეფე, თუ რათ ვბედავ თქვენს წინაშე დღეს ურჩობას (აკაკი).
შართალი განვაცხადეთ თქვენს წინაშე (ი. გოგებ.).
ქალაქის საბჭოს წარსული შემადგენლობა... თქვენ წინაშე დიდდ დამნაშავეა
(ნ. ლორთქ.).
მაგრამ, რასაც ვგრძობთ, სჯობს აღვიართ აწ თქვენ წინაშე გულის სიწრფე-
ლით (აკაკი).
წინაშე თითო-ორიოჯ შემთხვევაში პრებოზიციურადაც შეიძლება შეგვხვდეს:
დამზობილიყენენ წინაშე ღიდი ბატონისა (ვაჟა).
ასეთი წყობა სტილისტიკური მიზნებით აიხსნება.

10. წინ

ნათესაობითთან:

სოსია მწისტიელეს ეხლა ორივე მუხლი მოეყარა უსული ოთხარაანთ ქვერვის
წინ (ილია).
სახლის წინ რომ ყვავილებს ბაღს იყეთებ, მოდი, გიორგისაც დაეკითხე ხოლმე
(ილია).
დიამბეგის წინ დგას მოჩივარი ლამაზი ქვრივი (ილია).

არჩილი მაშინვე მუხლის კერებზედ დაეცა გიორგის წინ (ილია).
ბუხარის წინ ქეაბებს დასტრიალებდა (ილია).
ბუხარის წინ გაგვიშლიდნ შელის ტყავს და დავესვამდნ ზედ (აკაკი).
ჩვენში, როგორც შობის წინ ალილოზე, ისე სააღდგომოდ ქონაზე დადიოდნ
ხოლმე მომდერლები (აკაკი).
ტფის სახლის წინ იდგა, ჩონგურით ხელში, თავდასრული გოგია მერთნგურე
(აკაკი).
გამაჩერა სარკის წინ (აკაკი).
ისხნენ ახალგაზრდა ბიჭები ცეცხლის წინ (აკაკი).
ხინჯიანი ხონჩები სტუმრების წინ ელაგა (ვაჟა).
მეფე-დედოფლის წინ მაშალა იყო გამართული (ვაჟა).
დედის წინ მორბინალს კვიცს მველი შესჭამს (ვაჟა).
სასახლის წინ თვალს ვერ გადააწყვედნა კაცი (ვაჟა).
ბუხარის წინ მხოლოდ ღნავალა სთვლემდა (ვაჟა),
გადავით, რომ სიკვდილის წინ საღამოსა და სიყვარულს ვუგზავნი
(გერ. ქიქ., თარგმ.).

მიცემითან:

ალი გაქრა უცბად და ჩვენს ეზოში იქვე კარებს წინ ვნახე ტურფა ბალი (ვაჟა).
თვალებს წინ საზარელს სურათს დავუყენებ სიკვდილისას (ვაჟა).
იგი უკროდა თვალებს წინ ისეთი, როგორც თავად მოსწონდა (ვაჟა).

ს მოკვეცილი და სახელის ფორმას შერწყმული:

ვირს თვალწინ წარმოუდგა თავისი წარსული (ვაჟა).
ყმაწვილ კაცსა... წარსულ ცხოვრებამ გაუარა თვალწინა (ილია).
ერთი მშვენიერი ანგელოზი... თვალწინ გამოჰცხადა (ილია).
ეს იყო შუა-ზაფხულის პაპანაქებაში, სადილ-წინ (ილია).
საქმე ცხვირ-წინა მაქვსო (ილია).
მიიბამდა კულის წვერზე რამდენსამე მარცვალს და მიუშვერდა მამალს ცხვირ-
წინ (ვაჟა).

სიკვდილი თვალწინ მედგა (ვაჟა).
ჯეილში კი არ გამოვიდა, იქვე თვალწინ დამიდგა (ვაჟა).
ყველა ეს იმის ცხვირ-წინ დაეცა (ვაჟა).
თვალწინ მიდგას მისი სახე (აკაკი).
დავიტყუდნენ და ჩემს თვალწინ მოკლავდნენ (გერ. ქიქ. თარგმ.).
ფრემს ნისკარტით ეჭირა გუგული და დედას თვალვ-წინ უფრიალებდა (ვაჟა).

ამ რიგისაა საყოველთაოდ ცნობილი გამოთქმა: გუშინწინ.

გუშინწინ წვიმიანი დღე იყო (ვაჟა).
გუშინწინ სოფელში გახლდით (ვაჟა).

მესამე პირის ნაცვალსახელთან მხოლოდ ნათესაობითან არის:

დადგა მის წინ თავდაკიდებული (ვაჟა).
მის წინ გადაიშალა თვალგადუშვდენელი მინდორი (ვაჟა).
მის წინ იდგა ის, ვისაც ეს ივლუფა და სტიროდა (აკაკი).
ამ დროს წაიდა მის წინ ვილაც ახალგაზრდა (აკაკი).
მოდი და ნუ მოიდრეკ იმის წინ მუხლსა (ილია).
[ლურჯარსაზე] თითქო... არც იჯერებსო, რომ იმის წინ დარეგანია (ილია).
ვიღებ ისე სულელსავეთ იმის წინ (ილია).

I და II პირის ნაცვალსახელთან:

ჩემ წინ:

საითაც იყო და არ იყო, ჩემ წინ ეზოში ყურდაცქვებალი კურდღელი გაჩნდა
(ვაჟა).
მოვიდა და დადგა ჩემ წინ (ვაჟა).

შემოიყარა, ბატონო, ჩემ წინ დოინჯი (ილია).
ჩემ წინ ნახევარ-მკედარი კაცი იღო (ილია).
ამიწია ჩემ თვალ-წინ და დამიწია მხრები ჩემ წინ, ჩემ წინ, (ილია).
ჩემ წინ ერთი ცირცელი იდგა (ვაჟა).
ის ღალღუნებული იდგა ჩემ წინა (ილია).
ჩემ წინ იდგა ვლიყო (აკაკი).
ემპაეები ჩემ წინ სულ მაღაყს გადადიოდნენ (აკაკი).
ჩემ წინ ბურთი კოტრიალობდა (აკაკი).
მერე დაიჩოქა ჩემ წინ (აკაკი).

ჩემს წინ:

ქედანმა ხმა გაკმინდა... ჩემს წინ დაეცა (ვაჟა).
ჩემს წინ მხოლოდ დიდრონი იფნები და მუხები იდგა (ვაჟა).
ჩემს წინ გამოჩნდა დიდი სასახლე (ვაჟა).
დათვი იდგა ჩემს წინ (ვაჟა).
ჩემს წინ ალი იდგა და იცინოდა (ვაჟა).
დავინახე, ჩემს წინ ფრთამოტეხილი შაშვი მიკინკილებდა (ვაჟა).

ჩვენს წინ:

ქედანი მოვიდა და დაჯდა ჩვენს წინ თელის ტოტზე (ვაჟა).
ჩვენს წინ ერთ ხელზე გარშემო კოდალა ევლებოდა (ვაჟა).

ჩვენ წინ:

ჩვენი თავი... ცხოვლად იყოს წარმომდგარი ჩვენ წინა (ილია).
ჩვენ წინ კაცმა გამოიარა (ვაჟა).

შენ წინ:

შენ წინ დაჩოქილი ტირის (ილია).
ჩემი გული... იწვედა, რომ შენ წინ გადაშლილიყო (ილია).

თქვენ წინ:

საქმეწინოდ თქვენ წინ შოღმს უხდი (ილია).
მწარ წარსულს მოგონებით თქვენ წინ მთქმელი ვარ ამისა (აკაკი).

11. მიერ მხოლოდ ნათესაობითს დაერთვის:

ვისმენდით ციხელის მიერ მოთხრობილს ამბებს (ვაჟა).
მოუყვება შაჰაბაზის მიერ საქართველოს აკლებას და ქოთევან დედოფლის წამე-
ბის ამბებს (ვაჟა).

ახევია მესამე პირის ნაცვალსახელთან:

მის მიერ ზელთა მამულისათვის გაწირვას არაფერი ფასი არა აქვს (ილია).
მის მიერ სანატრელ სადგურს იგი ფიქვდა სიყვარულში (ილია).
მის მიერ განვლილი გზა ჩვენში ჯერ უცალი იყო (ილია).

ამ მხრივ მოსაწესრიგებელი არც არაფერია. პარალელური ფორმები ჩნდებოდა
და, მამასადაზე, მოწესრიგების საკითხი დგება I და II პირის ნაცვალსახელბის
დართვისას.

ჩვეულებრივ, ჩემ მიერ, ჩვენს მიერ, შენს მიერ, თქვენს მიერ ფორმათა გვერ-
დით გვეხდება ჩემს მიერ, ჩვენს მიერ, შენს მიერ, თქვენს მიერ ფორმები.

ეს აზრი... მოსაწონი აზრია და... შალღობის ღირსიცა ჩვენს მიერ (ილია).
პირველმან ამან მიგვხედა ჩვენს მიერ დავიწყებულს წარსულს (ილია).
ჩვენს მიერ უყვროდ დადგმული გვირგვინი დიდებისა... უნდა მოეხადოს თავიდან
(ილია).
შემრწუნებულნი იქნებიან ჩვენს მიერ (ვაჟა).
ეს ჩემს მიერ აღნიშნული ღირსებაც მოგანიჭოს ღმერთმა (ვაჟა).
მოლოდ ჩემს მიერ მიცემული ფიციც მოიგონოს (გ. ქიქ. თარგმ.).

მე დაგივრე თქვენი უბაში სიტყვები, თქვენ მიერ ტრისტანზე თქმული (გ. ქიქ., თარგმ.).
შენ მიერ ხილული—ჩემთვის უხილავი იყო (ვაჟა).

12. მერმე, მერე ბრუნვის ფორმასთან დაკავშირების თვალსაზრისით რაიმე განსხვავებას არ გვიჩვენებს. გვხვდება ნათესაობითთან:

მერე სასიძო ხომ მოვნიშნის მერეთ? (ილია).
ამის მერმედ ბევრი აღარა დასცალდა რა (ილია).
იმის მერე გე შენი სტილნაჩაღნიკი შემხედა (ილია).

I და II პირის ნაცვალსახელებთანაც ისეთივე ვითარებაა, რაც სხვა შემთხვევებში ვნახეთ: ჩემ მერმე და ჩემს მერმე და ა. შ.

ჩემი თინათინ არ დაინაგროს ჩემს მერე (ლ. ქიჩ.).

ერთმანეთს ექიშება მერმე, მერე ფორმები, XIX საუკუნეში მერმედ ფორმაც აქტუალური იყო („ღმერთმა გილხინოს, თუ შევიღის მერმედ კიდევ რამ საღებნი დაგრჩენია ამ წუთისოფელში“.—ილია; „ამის მერმედ ბევრი აღარა დასცალდა რა.—ილია).

13. გაღმა, გამოღმა, გაღამა, გაღმოღმა

ნათესაობითთან:

გზის გაღამა თავ-თავ-ქვე დავეშვით (ილია).
ქიშკრის გაღამა... სწორი შევა უფლიდა დავითის ეზოს (ლ. ქიჩ.).
ლობის გაღამა... ძალი წვეს (ილია).

არანაკლებ ხშირია მიცემითთანაც:

ნადირზას... სახიფათოდ მოიჩნდა რუსის ჯარის გაღმოსვლა კავკასიის ქედს გაღმოღმა („ლიტ. საქ.“).
ტრისტანი ზღვის გაღმა გადაიხვეწა (გ. ქიქ., თარგმ.).
რამდენჯერ გვადა, ხევს გაღამა ჩემამდე მოეწვდინა თავისი ყლორტები და მომხვეწოდა (ვაჟა).

ს მოკვეცილია და თანდებული შეერთებულია სახელის ბრუნვის ფორმას:

ეს რომ გაათავეს, ბძანა, რომ ხელშეკრული გაეყვანათ წყალგაღმა (აკაკი).
გიორგი მთელი წიგნი იყო ხიდგაღმა დაწერილი (ილია).
თამრო... ცხოვრობდა ალაზან-გაღმა თავის დედინაანთასა (ილია).
გადაყვანილია ქიშკარგაღამა (დ. კლდ.).
ხევ გაღამა ისინია, ხევ გაღამოღმა ჩვენები (ი. ნინ.).
თვალწინ ესახება... დიდი გორა ტეხურ-გაღმა (შ. დად.).

14. ზევით, ზემოთ, ქვევით, ქვემოთ, ზემოდან, ქვემოდან

ნათესაობითთან:

ნეტავი თითონვე მაგ გამოჩენილს მწერალს არ ეხმაროს სიტყვა სწორედ მაგ ფორმით ჩემ ლექსების ზემოთ (ილია).
პირდაპირ მეორე კიდებზე გაეყვანა კლდის ზემოთ (აკაკი).
— განა სხვაგან სადმე იცხოვრება?—ხალხში, კაცებთან, ნათესავთ დედამიწის ზემოთა (ილია).

მიცემითთან:

სწორედ სტატკი სოვეტნიკის შესაფერი ბაკნარდები გულზედ აწყვია ორთაოვით გადაჭარბდინებული ხელეპს ზევით (ვაჟა).

ჩვენ სოფელს ქვემოთ ამ ერთი ხუთმეტრიოდ ვერსტი რომ გაგველოთ, კაი სა-
ნადირო აღვიღებო იყო (ილია).

მიცემითის ს-ს მოკვეცის შედეგადაა მიღებული შერწყმული ფორმები:

თავზევით ღონე აღარ არის (აკაკი).

გაკომპოზიტებულია: ხვალზევით.

I და II პირის ნაცვალსახელებთან:

მოიტანს ნანადირევს, დაჯდება ჩემს ზემოდან ერთს ამოჩემებულს ლოდზედ (ვაჟა).
ჩვენ ზემოდან ერთი ბეჭური იყო (მელანია).
მუცელი ჩემს ქვევით არის და არა ჩემს ზევით (ი. ვოგ.).
ფრანკფურტი იქვე ჩანდა ჩვენს ქვევით მხარ-მარჯვენე (ივ. მაჭ., თარგმ.).
ცაზე ჩვენს ზევით ამ აღვიღას ღრუბელი იღვა ვ. ტაბ.).

**ზევით—ქვევით-ში ვ ბგერა განვითარებულია, XIX საუკუნის სალიტერატურ-
ლო ქართულში გვხვდება როგორც ზევით, ისე ზევით და როგორც ქვევით, ისე
ქვევით ფორმები.**

ახალუხისას, სარტყელს ზევით, ორს ან სამს ღილს თუ შეიკრავდა (ვაჟა).
ნინოამ ნუერს ააცილა ცული და ნუერის ქვევით დაკრა (ვაჟა).
მუხლბე-ქვევით მიშველ-ტიტელებს სულ აღარა აცვიათ რა (აკაკი).
წყალ ქვევით წყალი პფარავდა... წყალზევით-კი მიშველი იყო (აკაკი).

ამჟამად ზევით, ქვევით ფორმები დასაყვანილია დიალექტიზმებისა სალიტერატურ-
ლო ენის მიმართ და არა არქაიზმები.

15. წინათ (წინალ, წინეთ, წინელ)

ნათესაობითთან:

პურის გატეხის წინეთ, ჯერ პურს ემთხვევა (აკაკი).
ამ რამოდენიმე ხნის წინეთ ისე ნეტარებით მიჰქანდა (აკაკი).
რაც უნდა შეიღო-თვის შემდეგ დაიწეროს, ის შეიღო თვის წინალ ვერ დაიბე-
ღება (ილია).
ორის ან სამის საათის წინათ გელაპარაკებოდა ისე საამურად (ილია).
ისე ცხადად გელარ გარჩევ ასოსა წიგნში, როგორც ამ ათის წლის წინათა (ილია).
წუთის წინალ რას ვლაპარაკობდი, არ მახსოვს (ილია).
ჩართი-ფურთხებს... ჭწოთდა ამ ერთის თვის წინათ (აკაკი).
ამ ათის წლის წინეთ... ბანკის დირექტორობა მთხოვა ერთხმად კრებამ (აკაკი).
რამდენიმე წამის წინელ ბესია წავიდა (ე. ნინოშ.).

მიცემითთან:

შვიდ თვეს შემდეგ დასაბადებელი შვიდ თვეს წინად არ ინათლება (ილია).

გაქვავებულ გამოთქმაში:

რაც ამას წინად მივამზადე... ჯერ ისინი ხალხმა მიიღოს (ილია).

**წინათ ერთადერთი სწორი ფორმაა მოქმედებითი ბრუნვისა. წინად წარმო-
შვა მიმართულებითი ბრუნვის -დ, -ად დაბოლოების ანალოგიით. წინეთ (წინედ)
დიალექტიზმია.**

16. მაგიერ (მაგიერად) არსებით სახელებს დაერთვის მხოლოდ ნათესაობითან:

ხალხი ფილთაქვას ხმარობდა წისქვილის მაგიერად (ვაჟა).
ალმასები და იაგუნდები ასხია ხილის მაგიერად (ილია).
გომურის მაგიერად ხელაში დაემწყვდევ (ილია).
სომღერის მაგიერად საუბარი ვაიბეს (აკაკი).
თვლები ცრემლებს მაგიერად მრისხანებას აფრქვევდნენ (შ. დად.).
ბატონმაც... ღვინის მაგიერ... წყალი... ჩაასხვევინა ჭურში (აკაკი).
მზეთუნახავის მაგიერ მახინჯი დარეჯანი შერთეს (ილია).
თთარაინთ კერძეს ვუღის მაგიერ ქვა უღვესო (ილია).
კარპია... დახმარების მაგიერ ყველას ხელს უშლიდა (მ. ჯავახ.).

ასევე მესამე პირის ნაცვალსახელებთან:

მაგის მაგიერად... ერთი სიკეთე დასთეს (ა. ყაზბ.).
რუსუდანს და ხვამაქს დააეილა მის მაგიერ ცხენით ჩამოველოთ ყველან (შ. დად.).
მის მაგიერ მე გთხოვთ, ჩემთან მოხვიდეთ სალილად (აკაკი).

I და II პირის ნაცვალსახელებთან გვხვდება პარალელური ფორმები: ჩემ მაგიერ და ჩემს მაგიერ, შენ მაგიერ და შენს მაგიერ, ჩვენ მაგიერ და ჩვენს მაგიერ, თქვენ მაგიერ და თქვენს მაგიერ.

წინამძღოლად ჩემ მაგიერ ჩემი გიორგი (ვ. ბარნ.).
თქვენ ხშირად რჩებით ჩემ მაგიერ (დ. კლდ.).
ჩემ მაგიერ შეორემ მიუღო (აკაკი).
ჩემ მაგიერად ლორდი პასტინგსი მოიკითხე (ივ. შაჩ., თარგმ.).
ჩემ მაგიერ სთხოვე... ეხლავე მოვიდეს (ნ. ლორთქ.).
ჩემ მაგიერ ელენეს გამოგიგზავნით (აკაკი).
ღანის მუღეს... ჩემ მაგიერ სალაში უძღვენ (ივ. შაჩ., თარგმ.).
ჩემ მაგიერ ხელი მოაწერე (ილია).

მაგრამ: ბავშვებს აკოცე ჩემს მაგიერ (ჭ. ლომთ.).
შენ მაგიერადაც ვემთხვიე (ილია).
შენ მაგიერად დაუძახე სხვას (აკაკი).
შენ მაგიერ პასუხს აძლევინა ღმერთსაც და კაცსაც (აკაკი).

მაგრამ: ის მიიყვანე შენს მაგიერად (აკაკი). მე მივცემ შენს მაგიერად განკარგულებას (ნ. ლორთქ.). წერილა შენს მაგიერ შეიღვინათ (ალ. ყაზბ.). მე დავუხვდები შენს მაგიერად ჯოჯობის ცეცხლს და ცხელ მარწუხებს (გ. ლეონ.). შენლობას ითხოვენ ჩვენს მაგიერად (აკაკი).

მაგრამ: [ისინი] მიიღეს ჩვენს მაგიერ (შ. დად.).
ნებას დამრთავთ თქვენს მაგიერ ვილაპარაკო? (ილია).
თქვენს მაგიერ ჩვენ ვაგებთ პასუხს (ლ. ქიჩ.).

მაგრამ: ის გასცემს მაგათ თქვენს მაგიერ პასუხს (აკაკი). თქვენს მაგიერ ათასობით მივა ხალხი (ნ. ლორთქ.).

17. ახლო, ახლოს, შორიანლო, შორიანლოს ჩვეულებრივ გვხვდება მხოლოდ ნათესაობითან:

რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ დაბრუნდა და დაჯდა ვალიის ახლოს (აკაკი).
ეჭვე, მოზარის ახლოს, შორის ისმის ღლინი (ვაჟა).
უნაგირის ახლოს რაღაც მძივი იპოვა (ს. კლდ.).

ერთი ნატები ყმაწვილის ახლოს დავა (ს. შანშ.).
იმ ტყის ახლოს... ერთი ქალაქი იყო (თ. რაზიკ.).
ასწლოვანი ვერხვის ახლოს მწვანეზე გულადმა დავეწიე (შ. არაგვ.).
იის ახლოს ისევ ის ჩიტი იჯდა (თ. რაზ.).
მუშა... ღრუბელს ჰგუფს ზღვის ძირში ნაკირის შორიანლო (ი. გოგბ.).
მღვდლის შორიანლო ის უბედური მუშა ფართხალობდა (ილია).
საყდრის შორიანლო ცეცხლის ალი ავარდა (ვაჟა).
[ყვავი] ყორის შორიანლო ერთ ცხვარს დააქდა (ვაჟა).
ცეცხლის შორიანლო ძალი იწვა (ილია).
ღებიც მამის შორიანლო დადგნენ (რ. გვებ.).

მაგრამ I და II პირის ნაცვალსახელებთან აქაც საკმაოდ ხშირია ს-ანიანი ფორმები:

მტრის ჯარისკაცები ჩემს ახლოს მოკოცავდნენ (შ. დად.).
ჩემს ახლოს ნაღები ცუკოდა (გ. ნატრ.).
სულ ჩემს ახლოს დაფრინავს (თ. რაზიკ.).
დღა შეშვიც... ჩემს შორიანლო ხეებზე ჯდებოდა (ვაჟა).
იგი ჩემს შორიანლოს დაჯდა (ჭ. ბაქრ., თარგმ.).
მაქსიმე და დედა გაშტერებული იდგნენ ჩვენს ახლოს (ივ. გავ.).
დამურები ჩვენს ახლო დაუბრკოლებლად ცხოვრობდნენ (ი. გოგბ.).
[გერმანელები] წამოვიდნენ და იქვე ჩვენს ახლოს დაბანადნენ (ივ. შაჟავ., თარგმ.).

რარიც მწუფრია შენს შორიანლო განახლებისა მოვიკლა ვინი (გ. ტაბ.).
ანალოგიური საკითხები ჩნდება მახლობლად, მსგავსად, მოშორებით, ირგვლივ, გასწვრივ, პირას (პირად, პირზე), განაპირას, პირდაპირ, წინააღმდეგ, მეტი, უშალ, ბოლოს, ძირს (ძირას), შესახებ, გარეთ, გარეშე, გარეშემო, ნაცვლად, გვერდით (გვერდზე) და მისთ. ზმნისართების სახელის ფორმებთან დაკავშირებისას. ვადასაწყვეტით ცალკე მდგომარეობაში თანდებულებისა და ზმნისართების სახელებთან შეწყობასთან დაკავშირებული ორი ძირითადი საკითხი:
1. იმ შემთხვევაში, როცა თანდებულ ან ზმნისართი ორ ბრუნვას — ნათესაობითა და მიცემით — უკავშირდება, რომელ ფორმას მიეცეს უპირატესობა.

2. უნდა გადაიჭრას I და II პირის ნაცვალსახელებთან დაკავშირებისას პარალელური — სანიანი და უსანი — ფორმების საკითხი.

როგორც ცნობილია, ძველ ქართულში აქ დასახელებული თანდებულები ორ ბრუნვას — ნათესაობითა და მიცემით — უკავშირდებოდა გარკვეული კანონზომიერების დაცვით. ახალ ქართულში ძველი ქართულის კანონზომიერება მოიშალა, მაგრამ ორ ბრუნვას დართვა თანდებულებისა შემოგვრჩა. კიდევ მეტი: ანალოგიით ეს წესი სხვა თანდებულ-ზმნისართებზედაც გავრცელდა. ამასთან, შემოგვრჩა ძველიდან მომდინარე გაქცევებული ფორმებიც. მაინც დღევანდელ ქართულში, თუ ამ გაქცევებულ ფორმებს არ მივიღებთ მხედველობაში, გარკვეული უნიფიკაციისადმი მძლავრი ტენდენცია მაინც შეიმჩნევა: ნათესაობითი ბატონდება. ამას ხელს უწყობს შეგნებული ცდებიც, სალიტერატურო ენის სადავო საკითხების მოწესრიგების მიზნით მიმართული. გამოხატვის წარმოადგენს შორის და შუა, რომლებიც მიცემით უკავშირდებიან.

რაც შეეხება I და II პირის ფორმებთან პარალელური წარმოების (სანიანის და უსანოს) არსებობას (ჩემ წინაშე და ჩემს წინაშე და მისთანებს), აქ უმეტეს შემთხვევაში, ს სხვა (ზოგადი) სახელების ანალოგიით კი არაა მიღებული, არამედ ძველი ქართულის ფორმების ნაშთია. ძველ ქართულში I და II პირის ნაცვალსახელები ამ თანდებულ-ზმნისართების დართვისას შესაბამისი კუთვნილებითი

ნაცვალსახელების მიცემითი ბრუნვის ფორმებს იყენებდნენ (წინაშე ჩემსა). ამის გამარტივებას წარმოადგენს დღევანდელი ჩემს წინაშე და მსგავსი ფორმები.

როცა ცალკე მდგომი თანდებული ან ზმნისართი ორ ბრუნვას — ნათესაობითსა და მიცემითს — დაერთვის, პარალელურ ფორმათაგან უპირატესობა ნათესაობითს უნდა მიეცეს. მიცემითი მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა დარჩეს, როცა გაქვევებუნი გამოთქმები გვაქვს.

I და II პირის ფორმებთან უსანო ფორმები უნდა იქნეს მიჩნეული ძირითად ფორმებად. ამით ეს ფორმებიც გაჰყვება საერთო წესს, დაშორდება მიცემითს, თანდებულ-ზმნისართები საბოლოოდ ნათესაობითთან იქნება დაკავშირებული, რამდენადაც უსანო ფორმები ნათესაობითის ბადალია.

ამის მიხედვით უნდა დამკვიდრდეს შემდეგი წესები:

1. გარდა შეიძლება წინ უსწრებდეს სახელს და შეიძლება მოსდევდეს მას; ორივე შემთხვევაში ის უნდა იხმარებოდეს ნათესაობითთან: ამხანაგის გარდა და გარდა ამხანაგისა, ამის გარდა და გარდა ამისა. როგორც ჩვეულებრივი გამოთქმა, დარჩება მიცემითთან ამას გარდა. ამ გამოთქმას ზმნისართული შინაარსი აქვს.
2. იქით, აქით და მისთ. იხმარებოდეს ნათესაობითთან. როგორც ჩვეულებრივი თქმა, დარჩება მიცემითთან: ცხრა მთას იქით; ამას იქით; მას იქით; ცხრა მთას, ცხრა ზღვას იქით. I და II პირის ნაცვალსახელებზე ამ ზმნისართის დართვისას, აგრეთვე როგორც ჩვეულებრივი გაქვევებული გამონათქვამები, დარჩება: ჩემს იქით, შენს იქით, ჩვენს იქით, თქვენს იქით. გავრცელებული აქით და აქით სახეობათაგან ლიტერატურულად აქით სახეობა იქნეს მიჩნეული, აქით უკუსაგდება.
3. უკან იხმარებოდეს ნათესაობითთან. როგორც ჩვეულებრივი თქმა, დარჩება მიცემითთან: მას უკან, პატარა ხანს უკან, ზურგს უკან, პირს უკან.
4. შორის იხმარებოდეს მხოლოდ მიცემითთან.
5. შუა იხმარებოდეს მხოლოდ მიცემითთან.
6. შემდეგ, შემდგომ იხმარებოდეს ნათესაობითთან. როგორც ჩვეულებრივი თქმა, დარჩეს მიცემითთან მას შემდეგ.
7. ქვეშ იხმარებოდეს ნათესაობითთან.
8. გამო იხმარება და იხმარებოდეს ნათესაობითთან.
9. წინაშე იხმარებოდეს ნათესაობითთან
10. წინ იხმარებოდეს ნათესაობითთან.
11. მიერ იხმარება და იხმარებოდეს ნათესაობითთან.
12. მერმე იხმარებოდეს ნათესაობითთან. მერმე, მერმე, მერმედ სახეობათაგან ლიტერატურულად მიჩნეულ იქნეს მხოლოდ მერმე.
13. გაღმა, გამოღმა, გაღამა, გაღამა იხმარებოდეს ნათესაობითთან. როგორც ჩვეულებრივი თქმა, დარჩეს მიცემითთან ცხრა მთას გაღამა, ზღვას გაღამა, წყალს გაღამა, წყალს გამოღმა.
14. წინათ იხმარებოდეს ნათესაობითთან. აღინიშნოს, რომ წინათ წარმოშობით მოქმედებითი ბრუნვის ფორმაა და ამდენად, სრულიად გაუმართლებელია მისი დ დაბოლოებით ხმარება (წინად), რაც ზოგჯერ გვხვდება სალიტერატურო ენაში მიმართულებითი ბრუნვის დაბოლოების ანალოგიით. ასევე უარყოფილ იქნეს წინეთ სახეობა, როგორც დიალექტური.

როგორც ჩვეულებრივი გამოთქმა, დარჩეს მიცემითთან: ამას წინათ.

15. ზევით, ზემოთ, ქვევით, ქვემოთ იხმარებოდეს ნათესაობითთან, აღინიშნოს, რომ ზემოთ, ქვემოთ წარმოშობით მოქმედებითი ბრუნვის ფორმებია და, ამდენად, გაუმართლებელია მათი დ დაბოლოებით ხმარება (ზემოად, ქვემოად), რაც ზოგჯერ გვხვდება სალიტერატურო ენაში მიმართულებითი ბრუნვის დაბოლოების ანალოგიით. ასევე უარყოფილ უნდა იქნეს ზევით, ქვევით ფორმები. თუმცა ისტორიულად ეს ფორმები გამართლებულია, დღევანდელი სალიტერატურო ენის მიმართ დიალექტიზმებს წარმოადგენს. ერთადერთ ფორმებად მიჩნეულ იქნეს ფორმები, რომლებშიც გ ბგერაა ჩართული: ზევით, ქვევით.
16. მაგიერ (მაგიერად) იხმარება და იხმარებოდეს მხოლოდ ნათესაობითთან.
17. ახლო, ახლოს, შორიახლო, შორიახლოს იხმარებოდეს მხოლოდ ნათესაობითთან.
18. ანალოგიურად უნდა დაუკავშირდეს სახელს ნათესაობით ბრუნვამი: მახლობლად, მსგავსად, მოშორებით, ირგვლივ, ვასწვრივ, პირას (პირად, პირზე), ნაპირას, განაპირას, პირდაპირ, წინააღმდეგ, მეტი, უმაღლ, ბოლოს, ძირს (ძირას), შესახებ, გართ, გარეშე, გარშემო, ნაცვლად, გვერდით (გვერდზე) და სხვა ზმნისართ-თანდებულები.
19. ზემო პუნქტებში ჩამოთვლილი თანდებულ-ზმნისართები (ძირითადად) პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელების სანმოკვეცილ ფორმებს უნდა დაუკავშირდეს (ე. ი. ჩემ, შენ, ჩვენ, თქვენ სახეობებს), რომლებიც ნათესაობითი ბრუნვის ბადალია. ამის მიხედვით გვექნება: ჩემ გარდა, შენ გარდა, ჩვენ გარდა, თქვენ გარდა, ჩემ უკან, ჩემ უკან, შენ უკან, ჩვენ უკან, თქვენ უკან, ჩემ შემდეგ, შენ შემდეგ, ჩვენ შემდეგ, თქვენ შემდეგ და ასევე შემდგომ, ქვეშ, გამო, წინაშე, წინ, მიერ, მერმე, წინათ, ზევით, ზემოთ, ქვევით, ქვემოთ, მაგიერ, ახლო, შორიახლო და სხვ. თანდებულ-ზმნისართებთან. ამით დამყარდება ერთგვარობა და გზა აღარ გაეხსნება ისეთ ფორმებს, როგორიცაა: ჩემსკენ, შენსკენ, ჩვენსკენ, თქვენსკენ, ჩემს მიერ და სხვ., რომლებშიც ანალოგიითაა გაჩენილი.
20. ასევე უნდა იხმარებოდეს ჩვენ შორის, ჩვენ შუა, თქვენ შორის, თქვენ შუა. ამ შემთხვევაში ჩვენ, თქვენ მიცემითის ბადალია და კუთვნილებითი ნაცვალსახელის ფორმის გამოყენება აღარ დაგვირდება. შუა და შორის — გაჰყვება საერთო წესს.
21. ისეთი შემთხვევები, როცა შორის და შუა ორ ნაცვალსახელთან იხმარება, ზემო მუხლში გათვალისწინებულ წესს უნდა დაუქვემდებარდეს, ე. ი. ყველგან ს მოკვეცილი ფორმები უნდა იხმარებოდეს: ჩვენ და თქვენ შორის, თქვენ და ჩვენ შორის და ა. შ.
იმ შემთხვევაში, როდესაც ორი ნაცვალსახელისაგან ერთ-ერთი პირველი პირის მე ნაცვალსახელია, იგი ჩვეულებრივ პირველ ადგილას დაისმის და ერთადერთი ლიტერატურული გამოთქმები იქნება: მე და შენ შორის (ან შუა), მე და მას შორის (ან შუა), მე და თქვენ შორის (ან შუა), ჩემ და შენ შორის და მისთ. გამოთქმები უარყოფილ უნდა იქნეს. თუ პირველი პირის ნაცვალსახელი მეორე ადგილზე გადაისმის, მხოლოდ ამ შემთხვევაში მე-ს შეენაცვლება ჩემ: შენ და ჩემ შორის.

22. სახელის მიცემით ბრუნვას შეერთებული (ს მოკვეცილი) ფორმები გაკომპო-
ზიტებულია და ერთ სიტყვად დაიწეროს:
ლოდებშუა, ბერქვეშ, კაალქვეშ, ფებქვეშ, კაკლებქვეშ, თავქვეშ, თვალწინ,
ცხვირწინ, გუშინწინ, წყალგალმა.
23. ყველა თანდებულ-ზმნისართი პოსტპოზიციურად დაერთოს სახელს. გამო-
ნაკლისს წარმოადგენს გარდა, ამ შემთხვევაში პრეპოზიციული წყობაც დარ-
ჩება: ამის გარდა (ვარიანტი: ამას გარდა) და გარდა ამისა.

ზედსართავ სახელთა ნაჩმოვება ნასესხებ სიყვამთაგან ურ ბოლოსართით

-ურ ბოლოსართი ქართულში სადაურობისა და თვისების აღმნიშვნელი სიტყვების საწარმოებელია¹. ეგვე -ურ ბოლოსართი აწარმოებს ზედსართავებს იმ შემთხვევაშიც, როცა მათ ფუძედ უცხო სიტყვა აღებული (ინტერნაციონალ-ურ-ი, ცენტრალ-ურ-ი, ტექნიკ-ურ-ი). ნასესხებ სიტყვებსა და მათს ახალ წარმოებებში -ურ სუფიქსის ხმარებისას არე-დარევაა. ეს არე-დარევა უმეტეს წილ შემთხვევაში დამყარებულია იმ გაუგებრობაზე, რომელიც მდგომარეობდა ამ სიტყვათა რუსული ენიდან გადმოღების დროს ერთ-ერთი რუსული ბოლოსართის მცდარ დანაწევრებაში², სახელდობრ, ისეთ სიტყვათა გადმოღებისას, როგორცაა: динамический, диалектический, фонетический... ბოლოსართად გაგებულ იქნა -ческий, რომელიც ჩამოსცილდა სიტყვას და მის მაგერ მიემატა ქართული -ურ-ი: დინამი-ურ-ი, დიალექტი-ურ-ი, ფონეტი-ურ-ი... ნამდვილად კი აქ რუსული დაბოლოებაა -еский, ხოლო ყ უმეტესწილად კ-ს სახეცვლილებაა (შეად. человек — человек-еский, грек — греч-еский). აღნიშნულ არე-დარევას სხვა მიზეზებიც აქვს, ნაკლებ მნიშვნელოვანი.

მოცემული რივის სიტყვახმარებაში ერთფეროვნების დასამყარებლად სახელმძღვანელოდ უნდა იქნეს მიღებული შემდეგი დებულებები:

1. სავალდებულოა უცხო ენებიდან ნასესხები ზედსართავების ქართული გაფორმება:

სოციალური (და არა: სოციალი), რეალური (და არა: რეალი), ცენტრალური (და არა: ცენტრალი), კონკრეტული (და არა: კონკრეტი), პასიური (და არა: პასივი) და სხვ.

2. გაფორმება ხდება შემდეგი თავსართებისა და ბოლოსართების საშუალებით: უმრავლეს შემთხვევაში -ურ სუფიქსით, აგრეთვე -ობრივ სუფიქსით და სა- -ო პრეფიქს-სუფიქსით; მაგ.:

პოლიტიკ-ურ-ი, კლას-ობრივ-ი, სა-რევოლუცი-ო-ო...

ამთგან არე-დარევა ჩნდება -ურ ბოლოსართის ხმარებისას.

შენიშვნა. თუ საწარმოებელი სიტყვის ფუძეში რ ბგერა შედის, მაშინ ბოლოსართი -ურ დისიმილაციით -ულ სახით წარმოგვიდგება.

3. აღნიშნული ბოლოსართები და თავსართები ემატება სახელს იმ ნაწილს, რომელსაც მივიღებთ ნათესაობით ბრუნვაში ბრუნვის -ის დაბოლოების ჩამოცილების შემდეგ, ე. ი. შეკუმშულ და ბოლომოკვეცილ ფუძეებს (თუ სახელი კუმშვადი ან კვეცილია).

¹ ათიოდ სიტყვაში ვხვდებო ბოლოსართი -იურიც: შიური, დღიური, წილიური... მაგრამ ის სხვა წარმოშობისა და აღებული კატეგორიისათვის დამახასიათებელი არ არის.

² თუმცა აღნიშნული სიტყვები ვეროპულ ენებს ეკუთვნის, მაგრამ ქართულში ისინი ჩვეულებრივ რუსულის გზით შემოდიოდნენ.

ძმა	ძმ-ის	ძმ-ურ-ი
პოლიტიკა	პოლიტიკ-ის	პოლიტიკ-ურ-ი
ისტორია	ისტორი-ის	ისტორი-ულ-ი
პრაქტიკა	პრაქტიკ-ის	პრაქტიკ-ულ-ი
კლას-ი	კლას-ის	კლას-ობრივ-ი
რევოლუცია	რევოლუცი-ის	სა-რევოლუცი-ო...

4. ნასესხები სიტყვებისგან ზედსართავის წარმოებისათვის დასაყრდენია ან არსებითი, ან ზედსართავი სახელის ფუძე.

5. როცა მხოლოდ ზედსართავია ნასესხები (და სათანადო არსებითი სახელი კი — არა), ქართული სუფიქსი ემატება სათანადო უცხო ენის ზედსართავის ფუძეს:

актуальный	აქტუალ-ურ-ი
реальный	რეალ-ურ-ი
социальный	სოციალ-ურ-ი
специальный	სპეციალ-ურ-ი
конкретный	კონკრეტ-ულ-ი
серьезный	სერიოზ-ულ-ი

6. როცა სათანადო არსებითი სახელიც არის ნასესხები, ქართული ბოლოსართი ემატება არსებითი სახელის ფუძეს (მესამე მუხლში აღნიშნული ვაგებით).

გიგანტი-ი	გიგანტი-ის	გიგანტი-ურ-ი
დინამიკა	დინამიკ-ის	დინამიკ-ურ-ი
ლოგია	ლოგიკ-ის	ლოგიკ-ურ-ი
პერიოდი	პერიოდ-ის	პერიოდ-ულ-ი
სტატია	სტატიკ-ის	სტატიკ-ურ-ი
ადმინისტრაცია	ადმინისტრაცი-ის	ადმინისტრაცი-ულ-ი
ასტრონომია	ასტრონომი-ის	ასტრონომი-ულ-ი
გრამატიკა	გრამატიკ-ის	გრამატიკ-ულ-ი

და ასე: ანალიტიკა: ანალიტიკ-ურ-ი, მაგრამ:

- ანალიზ-ი: ანალიზ-ურ-ი
- გრაფიკა: გრაფიკ-ულ-ი
- ეთიკა: ეთიკ-ურ-ი
- ლირიკა: ლირიკ-ულ-ი
- მათემატიკა: მათემატიკ-ურ-ი
- მექანიკა: მექანიკ-ურ-ი
- პოლიტიკა: პოლიტიკ-ურ-ი
- სპეციფიკა: სპეციფიკ-ურ-ი
- სტატისტიკა: სტატისტიკ-ურ-ი
- სქოლასტიკა: სქოლასტიკ-ურ-ი
- ტაქტიკა: ტაქტიკ-ურ-ი
- ტექნიკა: ტექნიკ-ურ-ი
- იდეალი: იდეალ-ურ-ი

იდეალისტი-ი: იდეალისტი-ურ-ი
 ინტერნაციონალი-ი: ინტერნაციონალი-ურ-ი
 ინტერნაციონალისტი-ი: ინტერნაციონალისტი-ურ-ი

შენიშვნა 1. ამ რიგისათვის, გამოწაკლისის სახით, წარმოების დასაყრდენად შეიძლება მიღებულ იქნეს უცხო ზედსართავის ფუძეც, თუ ეს წარმოება სალიტერატურო ენაში ვაბატონებულია:

მუსიკალ-ურ-ი, ფორმალ-ურ-ი, თეატრალ-ურ-ი, ცენტრალ-ურ-ი, მატერიალ-ურ-ი.

შენიშვნა 2. მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც ნასესხები არსებითი სახელის ფუძისაგან ზედსართავის კანონზომიერი წარმოება პარალელურად საესებით დასაშვებია:

მუსიკალ-ურ-ი და მუსიკ-ურ-ი, ნორმალ-ურ-ი და ნორმ-ულ-ი და სხვ.

შენიშვნა 3. -ურ სუფიქსით ზედსართავი სახელის წარმოების პარალელურად ფართოდ უნდა გავხსნას გზა, ერთი მხრით, -ობრივ სუფიქსით წარმოებას და სა- პრეფიქსისა და -ო სუფიქსის გამოყენებას, ხოლო, მეორე მხრით, ნათესაობითი ბრუნვის ფორმის გამოყენებას უცხო-ური ზედსართავის გადმოსაცემად; მაგალითად, ფაქტიური, ტიპური ზედსართავების ნაცვლად, რომლებიც, როგორც ასე თუ ისე გავრცელებულნი, გამოწაკლისის სახით დატოვებული იყო სალიტერატურო ენაში, უნდა ვინმართ ფაქტ-ობრივ-ი, ტიპ-ობრივ-ი (ფაქტობრივი მდგომარეობა, ტიპობრივი წესდება); ასევე: საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება, ფილოლოგიის ფაკულტეტი, ენერგეტიკის ინსტიტუტი და სხვ.

7. ზემოთქმულის მიხედვით შეუწყნარებელია წარმოებისათვის დასაყრდენად გამოყენება უცხო ენის ზედსართავის უმართებულოდ გამოყოფილი ფუძისა. უნდა იყოს: ელასტიკ-ურ-ი და არა: ელასტი-ურ-ი: эластический (*эласти-кеский)

ტრაგიკ-ულ-ი (და არა: ტრაგი-ულ-ი)

8. ბერძნულიდან მომდინარე -მა-თი დასრულებული არსებითი სახელისაგან ზედსართავი იწარმოება სახელის ფუძეზე -ურ ბოლოსართის დართვით:

ემიგრამა — ემიგრამ-ულ-ი

ღრამა — ღრამ-ულ-ი და აგრეთვე: ღრამის, მაგ., თეატრი. აგრეთვე: ღრა-მატ-ულ-ი)

პრობლემა — პრობლემ-ურ-ი (აგრეთვე: სა-პრობლემ-ო)

პროგრამა — პროგრამ-ულ-ი (აგრეთვე: სა-პროგრამ-ო)

სისტემა — სისტემ-ურ-ი (აგრეთვე: სისტემატ-ურ-ი)

სქემა — სქემ-ურ-ი (აგრეთვე: სქემატ-ურ-ი)

და ასე: პრიზმა — პრიზმ-ულ-ი

ტრავმა — ტრავმ-ულ-ი...

შენიშვნა. თუ ნასესხებია ზედსართავი სახელები, რომელთა შესაბამი-მა დაბოლოებანი არსებითი სახელები ქართულში არ მოიპოვება, მაშინ ზედსართავი ფორმდება რუსულის გზით მიღებული ზედსართავის ფუძისაგან:

პნევმატ-ურ-ი пневмат-ический

პრაგმატ-ულ-ი прогмат-ический

სომატ-ურ-ი сомат-ический

9. უნდა გაირჩეს სხვადასხვა შინაარსის მქონე ზედსართავი წარმოებანი, რომლებიც გარეგნულად ერთმანეთს ემსგავსებიან:

პედაგოგია (წერტნა): პედაგოგი-ურ-ი, მაგრამ: პედაგოგ-ი: პედაგოგ-ურ-ი, პე-
დაგოგია: პედაგოგია-ურ-ი.

მასივ-ი: მასი-ურ-ი (МАССИВНЫЙ), მაგრამ: მასა: მას-ობრივ-ი, სა-მას-ო, მას-
ურ-ი (МАССОВЫЙ).

კლას-ი: კლას-ობრივ-ი (КЛАССОВЫЙ), მაგრამ: კლასიკ-ურ-ი (КЛАССИЧЕСКИЙ).

ასევე: თუ ამოსავალია ეკონომიკა ფუძე, მისგან ნაწარმოები ზედსართავი იქ-
ნება — ეკონომიკ-ურ-ი; თუ ამოსავალია ეკონომია ფუძე, მისგან ნაწარმოები
ზედსართავი იქნება — ეკონომი-ურ-ი, ხოლო, თუ ამოსავალია ეკონომ ფუძე —
მისგან ნაწარმოები ზედსართავი იქნება ეკონომ-ურ-ი. რუსული ЭКОНОМНЫЙ-ს
შესატყვისად ქართულში დარჩება ეკონომიურ-ი.

ზედსართავი სახელის ნაკრება გეგმიური მოხიზნა
მა-ზე დსკრდებულ აკსეზით სახელთაგან

მა-ზე დსკრდებულ ბერძნულ არსებით სახელთაგან ზედსართავთა წარმოქმნისას ჩნდება სადავო საკითხები.

ერთ შემთხვევაში ბერძნულიდან შემოსულ სახელს უშუალოდ ემატება -ურ სუფიქსი და ვიღებთ: (პროგრამა + -ურ =) პროგრამული, (ეპიგრამა + -ურ =) ეპიგრამული...

მეორე შემთხვევაში აღებულია ბერძნული სახელის ფუძე ატ ელემენტი და მას ერთვის იგივე -ურ ბოლოსართი, ვიღებთ:

პრობლემა — პრობლემატ: პრობლემატ-ურ-ი

სისტემა — სისტემატ: სისტემატ-ურ-ი

შესაძლებელია ამით პარალელურად, რუსული ენის გავლენით, ი-ურ სუფიქსიანი ფორმებიც გვხვდებოდეს: პრობლემატიური, სისტემატიური, სქემატიური და სხვ.

პირველ ყოვლისა ისმის საკითხი იმის შესახებ, თუ რა ფუძისაგან ვაწარმოთ —მა ელემენტიან სიტყვათაგან ზედსართავი სახელი: ვაწარმოთ ის ქართულში დამკვიდრებული არსებითი სახელის ფუძისაგან, თუ თვით ბერძნული არსებითი სახელის ფუძისაგან. თუ საფუძვლად დავუდებთ ქართულში დამკვიდრებულ არსებით სახელებს, მაშინ მივიღებთ: დრამა — დრამ-ულ-ი, სისტემა — სისტემ-ურ-ი, სქემა — სქემ-ურ-ი...

მეორე მხრივ, თუ ამოსავლად მივიჩნევთ ბერძნული არსებითი სახელის ფუძეს დრამატ-, სისტემატ- და სხვას, მაშინ კითხვა ისმის: როგორ ვწეროთ: დრამატული თუ დრამატიული? სისტემატური თუ სისტემატიური და სხვ.

ამ არსებით სახელთაგან ნაწარმოები ზედსართავი სახელები ძველ ქართულში არ გვხვდება, თუ არ მივიღებთ მხედველობაში სიტყვას „დრამატიკოსობა“, რომელიც ყაჯმაჯ-სგან კი არ არის ნაწარმოები, არამედ შუა სიტყვისაგან ყაჯმაჯ-საქ. არის კიდევ ერთი სიტყვა, სადაც უ სუფიქსიანი ფორმა შემოსული: „დრამატურია“, მაგრამ აქაც შუა არსებითი სახელია საფუძველი ზეჯმაჯ-საქ და არა ზეჯმა, ზეჯმათ-.

მეორე საკითხი უკვე ვადაწვეტილია (იხ. ზემოთ: „ზედსართავ სახელთა წარმოება ნასესხებ სიტყვათაგან -ურ ბოლოსართით“): მიღებულია გარკვეული წესი, რომ უნდა იწერებოდეს კონკრეტული და არა კონკრეტიული, აბსოლუტური და არა აბსოლუტიური; ცხადია, ეს წესი გავრცელდება აქ წარმოდგენილ შემთხვევებზედაც და ამდენად ყველაგან -ურ სუფიქსი იქნება გამოყენებული.

საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი ფუძე ავიღოთ ამოსავლად, აგრეთვე წყდება თანახმად საერთო წესისა, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: როდესაც ქართულში უცხოური არსებითი სახელია შემოსული, ზედსართავი სახელის წარმოებისას ამოსავლად ქართულში დამკვიდრებული არსებითი სახელის ფუ-

9. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები

ძე უნდა იქნეს აღებული, ამდენად, ბერძნული არსებობის სახელის ფუძის გამო-
ყენებაზე ამოსაყლად ზელი უნდა ავიდეთ. მის შესაღამე, ზედსართავი უნდა ვა-
წარმოთ არა დრამატ ფუძისაგან, არამედ დრამა ფუძისაგან. ამის მიხედვით
ვექნება: დრამა — დრამული, პრიზმა — პრიზმული, სისტემა — სისტემური,
სქემა — სქემური, ეპიგრამა — ეპიგრამული, ტრაგედია — ტრაგედული და სხვ. მაგ-
რამ, თუ წასესხებია ზედსართავი სახელები, რომელთა შესაბამისი მათ დაბოლოვ-
ბიანი არსებითი სახელები ქართულში არ მოიპოვება, მაშინ ზედსართავი ქარ-
თულში ფორმდება რუსული გზით მიღებული ზედსართავის ფუძისაგან: პნევ-
მატურ-ი (пневмат-ический), პრაგმატურ-ი (прагмат-ический), სომატურ-ი
(сомат-ический)...

არ არის აგრეთვე გამორიცხული, რომ წარმოების დასაყრდენად საერთოდ
მიღებულ იქნეს უცხო ზედსართავის ფუძეც, თუ ეს წარმოება სალიტერატურო
ენაში გაბატონებულია, მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც წასესხები არსებითი სახელის
ფუძისაგან ზედსართავის კანონზომიერად წარმოება პარალელურად სახესებით
დასაშვებია. გარდა ამისა, ფართოდ უნდა ვაჩვენებთ პარალელურად სახესებით
აფიქსებით წარმოებას, ხოლო, მეორე მხრივ, ნათესაობითი ბრუნვის ფორმის
გამოყენებას უცხოური ზედსართავის გადმოსაცემად (პრობლემა — პრობლე-
მური, სპრობლემა, პრობლემატური; დრამა — დრამული, დრამატული და
დრამის; დრამის თეატრი).

მსაზღვრელი სახელის შემთხვევა საზღვართან გრძნავში

(წითელი დროშის თუ წითელ დროშის)

1. ძველ ქართულში მსაზღვრელი შეიძლებოდა ყოფილიყო დასაშუალო საზღვრულის წიხა ც და შემდეგ ა ც. აღრინდელ ძველებში მსაზღვრელი მეტწილად მოსდევდა საზღვრულს. ორივე შემთხვევაში მსაზღვრელი, უსწრებლად იგი საზღვრულს თუ მოსდევდა მას, იღებდა სრულ დაბოლოებას, ე. ი. ერთ-ნაირად იბრუნებოდა მსაზღვრელიცა და საზღვრულიც.

სახ.	დიდი სიხარული	სიხარული დიდი	მთაჲ მაღალი
მოთხრ.	დიდმან სიხარულმან	სიხარულმან დიდმან	მთამან მაღალმან
მიცემ.	დიდსა სიხარულსა	სიხარულსა დიდსა	მთასა მაღალსა
მიმართ.	დიდად სიხარულად	სიხარულად დიდად	მთად მაღლად
ნათეს.	დიდისა სიხარულისა	სიხარულისა დიდისა	მთისა მაღლისა
მოქმედ.	დიდითა სიხარულითა	სიხარულითა დიდითა	მთითა მაღლითა
წოდებ.	დიდო სიხარული	სიხარული დიდო	მთაო მაღალო

2. ახალ ქართულში მსაზღვრელი ჩვეულებრივ წინ უსწრებს საზღვრულს და ბრუნებისას ძველ ქართულთან შედარებით მას რიგი თავისებურებები ახასიათებს, სახელობით:

ა) თუ მსაზღვრელი ბოლოსმოგინანია (ე. ი. ფუძის ბოლოკიდურად მოუღის ხმოვანი ა, ე, ი, უ) და უსწრებს საზღვრულს, იგი უცვლელი რჩება ყველა ბრუნვასა და რიცხვში (მრავლობით რიცხვში ნაგარაუდგევა - ებ ბოლოსართით ნაწარმოები საზღვრული); მაგ.:

მხოლოდობით რიცხვში:

სახ.	რკინა კაცი	გამრჯე ქალი	ფართო ველი	ყრუ მოხუცი
მოთხრ.	რკინა კაცმა	გამრჯე ქალმა	ფართო ველმა	ყრუ მოხუცმა
მიცემ.	რკინა კაცს	გამრჯე ქალს	ფართო ველს	ყრუ მოხუცს
მიმართ.	რკინა კაცად	გამრჯე ქალად	ფართო ველად	ყრუ მოხუცად
ნათეს.	რკინა კაცის	გამრჯე ქალის	ფართო ველის	ყრუ მოხუცის
მოქმედ.	რკინა კაცით	გამრჯე ქალით	ფართო ველით	ყრუ მოხუციით
წოდებ.	რკინა კაცი	გამრჯე ქალი	ფართო ველი	ყრუ მოხუცი

მრავლობით რიცხვში:

სახ.	რკინა კაცები	გამრჯე ქალები	ფართო ველები	ყრუ მოხუცებით
მოთხრ.	რკინა კაცებმა	გამრჯე ქალებმა	ფართო ველებმა	ყრუ მოხუცებმა
მიცემ.	რკინა კაცებს	გამრჯე ქალებს	ფართო ველებს	ყრუ მოხუცებს
მიმართ.	რკინა კაცებად	გამრჯე ქალებად	ფართო ველებად	ყრუ მოხუცებად
ნათეს.	რკინა კაცების	გამრჯე ქალების	ფართო ველების	ყრუ მოხუცების
მოქმედ.	რკინა კაცებით	გამრჯე ქალებით	ფართო ველებით	ყრუ მოხუცებით
წოდებ.	რკინა კაცებო	გამრჯე ქალებო	ფართო ველებო	ყრუ მოხუცებო

შენიშვნა. ასეთივე მდგომარეობაა მაშინაც, როცა საკუთარ სახელებს მოსდევს გვარი, თანამდებობის ან პროფესიის გამოხატველი სიტყვა განუტრიალად იმისა, ბოლოთანხმოვნანია თუ ბოლოხმოვნანია ეს სახელები; მაგალითად:

სახ.	დავით დროიძე	გლახა ჭრიაშვილა	თამარ მეფე
მოთხრ.	დავით დროიძემ	გლახა ჭრიაშვილმა	თამარ მეფემ
მიცემ.	დავით დროიძეს	გლახა ჭრიაშვილს	თამარ მეფეს და სხვ.

ბ) თუ მსაზღვრელი ბოლოთანხმოვნანია და წინ უსწრებს საზღვრულს, იგი იცვლება ყველა ბრუნვაში. ამ შემთხვევაში შეიძლება გვექნეს ოთხი სახეობა; სახელდობრ:

I. სრული, როდესაც მსაზღვრელი ყველა ბრუნვაში დაირთავს ბრუნვის ნიშნებს, ოღონდ მიმართულებითში იღებს მიცემითის ნიშანს, ხოლო მოქმედებითში — ნათესაობითისას;

II. გარდამავალი, როდესაც მსაზღვრელს სრული დაბოლოება აქვს მხოლოდ სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში, ბრუნვის ნიშანი მთლიანად მოკვეცილია მიცემითსა და მიმართულებითში, ხოლო ნაწილობრივ (თანხმოვნითი ელემენტი) მოკვეცილია ნათესაობითსა და მოქმედებითში;

III. მოკვეცილი, როდესაც სახელობითის, (ზოგჯერ) მოთხრობითისა და წოდებითის გარდა სხვა ბრუნვებში ბრუნვის ნიშანი მთლიანად მოკვეცილია, და

IV. ვულგარული, როცა ყველა ბრუნვაში სახელობითის ფორმა ვაკეცს.

ნ ი მ უ შ ე ბ ი

I. სრული სახეობა		II. გარდამავალი სახეობა	
სახ.	დიდი საქმე	დიდი საქმე	
მოთხრ.	დიდი საქმემ	დიდი საქმემ	
მიცემ.	დიდს საქმეს	დიდს საქმეს	
მიმართ.	დიდს საქმედ	დიდს საქმედ	
ნათეს.	დიდის საქმის	დიდი საქმის	
მოქმედ.	დიდის საქმით	დიდი საქმით	
წოდებ.	დიდო საქმეე	დიდო საქმეე	

III. შეკვეცილი სახეობა IV. ვულგარული სახეობა

სახ.	დიდი საქმე	დიდი საქმე
მოთხრ.	დიდ(მა) საქმემ	დიდი საქმემ
მიცემ.	დიდს საქმეს	დიდი საქმეს
მიმართ.	დიდს საქმედ	დიდი საქმედ
ნათეს.	დიდს საქმის	დიდი საქმის
მოქმედ.	დიდს საქმით	დიდი საქმით
წოდებ.	დიდო საქმეე	დიდი საქმეე

შენიშვნა. მრავლობით რიცხვში -ებ ბოლოსართით ნაწარმოებ საზღვრულთან მსაზღვრელი მხოლოდობით რიცხვშია დასმული (საზღვრულს რიცხვში არ ეთანხმება) და ბრუნვაში ისე იცვლება, როგორც მხოლოდობითში: დიდი საქმეები, დიდმა საქმეებმა, დიდს საქმეებს და სხვ.

3. შემონახვენი ოთხი სახეობიდან ვულგარული სახეობა მხოლოდ ზოგ დასავლურ კილოში გვხვდება, ლიტერატურულ ენაში არ გავრცელებულა და, ამდენად, როგორც არალიტერატურული ფორმა, სახეებით უკუგდება უნდა იქნეს (იგულისხმება დიდი საქმემ, დიდი საქმეს, დიდი საქმედ და მისთ.); ასევე: მიცემითი ბრუნვას, მოქმედებითი ბრუნვაში და მისთ.).

დღევანდელი სალიტერატურო ქართულისათვის ძირითადია გარდამავალი სახეობა.

ძირითადი სახეობის სასარგებლოდ ლაპარაკობს ის, რომ

ა) გარდამავალი სახეობა ყველა სახეობაზე უფრო გავრცელებულია დღევანდელ სალიტერატურო ქართულსა და ცოცხალ მეტყველებაში;

ბ) კუთვნილებითი ნაცვალსახელები, როგორც მსაზღვრელები, მხოლოდ გარდამავალი სახეობით იხმარება (არ გვხვდება: ჩემ ვზით, შენ სიტყვით; ბუნებრივია: ჩემი ვზით, შენი სიტყვით და სხვ.);

გ) როდესაც მსაზღვრელად ისეთი სახელია წარმოდგენილი, რომლის ფუძედ მოქმედებით ან მიმართულებითი ბრუნვის ფორმებია გამოყენებული, აცილებულია მსაზღვრელთა შეკვეცილი სახით ხმარებისას მოსალოდნელი ორპარონება (მაგ.: დროებით მთავრობის დადგენილება მოქმედება; შეიღებულა მას: დროებით მთავრობის დადგენილება მოქმედება).

დ) ერთმარცვლიანი მსაზღვრელები ჩვეულებრივ მხოლოდ გარდამავალი სახეობით იხმარება (ერთი კაცის, ორი სახლის და სხვ.)

4. ამგვარად, ა) თანხმოვანფუძიანი მსაზღვრელის ბრუნვისას როგორც მხოლოდობით რიცხვში, ისე -ებ ბოლოსართიან მრავლობითში ძირითად ფორმებად უნდა მიჩნეულ იქნეს გარდამავალი სახეობა:

მხოლოდობითში:

მრავლობითში:

სახ.	წითელი დროშა	წითელი დროშები
მოთხრ.	წითელმა დროშამ	წითელმა დროშებმა
მიცემ.	წითელ დროშას	წითელ დროშებს
მიმართ.	წითელ დროშად	წითელ დროშებად
ნათეს.	წითელი დროშის	წითელი დროშების
მოქმედ.	წითელი დროშით	წითელი დროშებით
წოდებ.	წითელო დროშე	წითელო დროშეო

ბ) ძირითადი სახეობის გვერდით დასავლურ ენებში შეიძლება მიჩნეულ იქნეს სრული სახეობა მიცემითსა და ნათესაობითში (დიდს საქმეს, დიდის საქმის), აგრეთვე მოქმედებითსა და მიმართულ ენებში (მოქმედებითში — ნათესაობითი ბრუნვის ფორმით, ხოლო მიმართულებითში—მიცემითი ბრუნვის ფორმით: დიდის საქმით, დიდს საქმედ). ეს უკანასკნელი ფორმები განსაკუთრებით საჭიროა იმ შემთხვევაში, როდესაც მსაზღვრელად ისეთი სახელია წარმოდგენილი, რომლის ფუძედ მოქმედებით ან მიმართულებითი ბრუნვის ფორმებია გამოყენებული (მაგ., მოქმედებითს ბრუნვაში, პირველად პარტორგანიზაციას და სხვ.).

გ) თუ მსაზღვრელად კუთვნილებითი ნაცვალსახელია, მაშინ ერთადერთ ფორმად სრული სახეობა უნდა იქნეს მიჩნეული მიცემითსა და მიმართულებითში (ჩემს ამხანაგს, შენს ამხანაგს, ჩვენს ამხანაგს, თქვენს ამხანაგს, მათს ამხანაგს; ჩემს ამხანაგად, შენს ამხანაგად, ჩვენს ამხანაგად, თქვენს ამხანაგად, მათს ამხანაგად).

დ) თუ მსახდერელად პროფესიის აღმნიშვნელი სახელია, ძირითად ფორმად ბრუნვის ნიშანმოკვეცილი სახეობა უნდა იქნეს მიჩნეული წათესაობითსა და მოქმედლებით ბრუნვებში (გენერალ ჩანჩიბაძის, გენერალ ჩანჩიბაძის; პროფესორ მედიკიშვილის, პროფესორ მედიკიშვილით).

ე) თუ გვართან ერთად ბრუნებისას აღამიანის თანხმოვანდუძიანი სახელია და იგი წინ უსწრებს გვარს, არც ერთ ბრუნვაში არ შეიცვლება:

სახ.	გრივოლ ორბელიანი
მოთხრ.	გრივოლ ორბელიანსა
მაცემ.	გრივოლ ორბელიანს
მიმართ.	გრივოლ ორბელიანად
ნათეს.	გრივოლ ორბელიანის
მოქმედ.	გრივოლ ორბელიანით
წოდებ.	გრივოლ ორბელიანო

ჟ) თანამედროვე სალიტერატურო ქართულში იშვიათია შემთხვევები, რომ აღამიანის საკუთარი სახელი მოსდევდეს გვარს, თუ მოსდევს, ორივეს უნდა ერთოდეს ბრუნვის ნიშნები მთლიანად (ბრუნვის ნიშანი არ დაერთვის სახელს მხოლოდ სახელობითსა და წოდებითში).

სახ.	ორბელიანი გრივოლ
მოთხრ.	ორბელიანსა გრივოლსა
მაცემ.	ორბელიანს გრივოლს
მიმართ.	(არ გვხვდება)
ნათეს.	ორბელიანის გრივოლის
მოქმედ.	(არ ვხვდები)
წოდებ.	ორბელიანო გრივოლ

ზ) გათიშულ მსახდერელს, მიუხედავად იმისა, ხმოვნდუძიანია იგი თუ თანხმოვნდუძიანი, ბრუნვის ნიშნები ყოველთვის სრულად უნდა დაერთოს.

„ქრელს ჩაგიტომდო კაბასა“ — (ვაჟა).

„მწვანეს ეწველება ფთათოლსა ხარი ირემი რქიანი“ — (ვაჟა).

თ) სიების შედგენისას, როცა ჩვეულებრივ ჯერ გვარი იწერება და შემდეგ სახელი, სახელი ფუძის სახით უნდა იქნეს წარმოდგენილი.

ამაშიძე ვახტანგ
 ბერიძე ტურამ
 გაბუნია თამაზ
 დიასამიძე ქეთევან
 ერისთავი თენგიზ
 ვარდოსანიძე შარისმ
 ზედადაძე ნოღარ
 თარგამაძე იოსებ და ი. შ.

ნანათესაობითაჲი მსაზღვრელი სახელის შთანხმება

საზღვრელთაჲი ბრუნვაჲი

(წიგნს ამხანაგისას თუ წიგნს ამხანაგისაჲი)

1. ნათესაობით ბრუნვაჲი დასმული მსაზღვრელი შეიძლება იყოს საზღვრელის წინაჲც და შემდეგაჲც როგორც ძველ ქართულში, ისე ახალში.

ა) როცა ნათესაობით ბრუნვაჲი დასმული მსაზღვრელი წინ უსწრებს საზღვრულს, რაც არაიშვიათი მოვლენაა ძველ ქართულში და გაბატონებული წყობაა ახალ ქართულში, მსაზღვრელი ყველა ბრუნვაში უცვლელი რჩება. ემუატიკური -ა ნათესაობით ბრუნვაში დასმული მსაზღვრელი საზოგადო სახელისა ძველ ქართულში აუცილებელია, ახალ ქართულში კი იგი აღარ დაერთვის ამავე ბრუნვაში დასმულ მსაზღვრულს.

მაგალითები

ძველ ქართულში:

სახ.	ძმისა წიგნი
მოთხრ.	ძმისა წიგნმან
მიცემ.	ძმისა წიგნსა
მიმართ.	ძმისა წიგნად
ნათეს.	ძმისა წიგნისა
მოქმედ.	ძმისა წიგნითა
წოდებ.	ძმისა წიგნო

ახალ ქართულში:

ძმის წიგნი
ძმის წიგნმა
ძმის წიგნს(ა)
ძმის წიგნად
ძმის წიგნის(ა)
ძმის წიგნით(ა)
ძმის წიგნო

ბ) როცა ნათესაობით ბრუნვაში დასმული მსაზღვრელი მოსდევს საზღვრულს, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა ძველ ქართულში და იშვიათია ახალში, მსაზღვრელი ეთანხმება საზღვრულს, მიმართულე ბათის გარდა, ყველა ბრუნვაში, ე. ი. იღებს იმავე დაბოლოებებს, რაც საზღვრულს მოეპოვება, ოღონდ ახალ ქართულში გამარტივების შედეგად რიგი თავისებურებები გვაქვს; სახელდობრ: სახელობითსა და სწირად წოდებითში ბოლოსართები -ი და -ვ მოკვეცილია, ნათესაობათი და მოქმედებითი არ გვხვდება, მაგალითები:

ძველ ქართულში:

სახ.	წიგნი ძმისა
მოთხრ.	წიგნმან ძმისამან
მიცემ.	წიგნსა ძმისასა
მიმართ.	წიგნად ძმისა(დ)
ნათეს.	წიგნისა ძმისაჲსა
მოქმედ.	წიგნითა ძმისაჲთა
წოდებ.	წიგნო ძმისაო

ახალ ქართულში:

წიგნი ძმისა
წიგნმა ძმისამ
წიგნს ძმისას
წიგნად ძმისა
—
—
წიგნო ძმისა(ვ)

მაგრამ ბოლოთქვეყნულ მსახურებებს, ე. ი. ისეთ სახელებს, რომელთაც ნათესაობითი მხოლოდ ბრუნვის ნიშნის თანხმონითი -ს ვლემენტი აქვთ შერჩენილი ბრუნვის ნიშნად, სახელობითა და წოდებითი -ი და -ო ბოლოსართები ენახებათ ახალ ქართულში; მაგალითად:

სახ.	წიგნი ნიკოსი	თარგმანი სახოკიასი
მოთხრ.	წიგნმა ნიკოსამ	თარგმანმა სახოკიასამ
მიცემ.	წიგნს ნიკოსას	თარგმანს სახოკიასას
წოდებ.	წიგნო ნიკოსო	თარგმანო სახოკიასო

2. შემოიყვანილი სწორი ფორმების პარალელურად თანამედროვე სალიტერატურო ქართულში გვხვდება არასწორი ფორმები, სახელდობრ: ნათესაობით ბრუნვის ნიშნის დასმული მსახურელი უცვლელი რჩება ყველა ბრუნვაში სახურელი უცვლელი; ამ შემთხვევაში ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვების ფორმებიც გვხვდება; მაგ.:

სახ.	წიგნი ძმის
მოთხრ.	წიგნმა ძმის ან ძმისა
მიცემ.	წიგნს ძმის ან ძმისა
მიმართ.	წიგნად ძმის
ნათეს.	წიგნის ძმის ან ძმისა
მოქმედ.	წიგნით ძმით ან ძმისა
წოდებ.	წიგნო ძმის

ამის საილუსტრაციო თრიოდე მაგალითი: „სცოდნოდა გინათხა იმ ქალის შვილის“ — (ვ. ბარნოვი); თარგმანი ქიქოძის; და დგმა ა. ვ. ვასაძის...

აღსანიშნავია, რომ ნიკ. ბარათაშვილისა, აკაკი წერეთლისა და სხვათა ლექსებშიც ვხვდებით ანალოგიურ ფორმებს: „ნუ დამიტიროს სატრფოშ გულისა“ — (ნ. ბარათაშვილი); „...უამმან მეფობის მოუვლინა აწ ვამოხატვა ხა ჩემს ყუაწვილო ბის“ — (მისივე); „... შემყურეჲ თქვენის ბედნიერების, ნებაჲ ჰქონია“ — (აკაკი) და სხვ.

ამგვარად, თანამედროვე ქართულში გვაქვს პარალელური ფორმები:

სახ.	წიგნი ამხანავისა	წიგნი ამხანავის
მოთხრ.	წიგნმა ამხანავისამ	წიგნმა ამხანავის ან ამხანავისა
მიცემ.	წიგნს ამხანავისას	წიგნს ამხანავის ან ამხანავისა
მიმართ.	წიგნად ამხანავისა	წიგნად ამხანავის
ნათეს.	—	წიგნის ამხანავის ან ამხანავისა
მოქმედ.	—	წიგნით ამხანავის ან ამხანავისა
წოდებ.	წიგნო ამხანავისა(ვ)	წიგნო ამხანავის (იშვითად)

3. ამორი სახეობიდან ერთადერთი ლიტერატურული ფორმაა პირველი სახეობა, რადგანაც იგი

ა) გრამატიკულად სწორია,

ბ) სალიტერატურო ენაში გაბატონებული ფორმაა,

გ) ეგვიპება ქართული ენის განვითარების ტენდენციის, რამდენადაც მსახურელი ყოველთვის ეთანხმება ბრუნვაში წინ მდგომ სახურულს; მაგ.:

სახ.	მდინარე	ღრმა	ველი	ფართო
მოთხრ.	მდინარემ	ღრმამ	ველმა	ფართომ
მიცემ.	მდინარეს	ღრმას	ველს	ფართოს და სხვ.

ღ) აუცილებელია შეთანხმება მამინ, როცა მსახურელი წარმოდგენილია და სახურული ივლისსებება; მაგ.:

მოთხრობითი: დავითის შევილა ისწავლა, ვახტანგისამ — არა.

მიცემითი: დედის მავიგრობას ბიოლა უწედა, მამისას კი — ბიძა; ერთი ქალისას ამბობენ, მშვენიერება არაა" — (აკაკი)...

ასეთ შემთხვევაში შიშობულუბნითი კო შეთანხმება გვაქვს: თავის თავს თვლიდა არა სოფლის მცხოვრებლად, არამედ — ქალაქისად...

ბოსტოპოზიტიურად მდგომი მსახურელის ბრუნვაში შეთანხმება სახურულთან აუცილებელია იმიტომ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ვიღებთ ე. წ. ლია კონსტრუქციას და არაა გამორიცხული მსახურელის დაკავშირების შესაძლებლობა ფრაზაში სხვა მომდევნო სიტყვასთან; შდრ. ერთმანეთს: წიგნი ამისა ამხანავისთვის მიუცია — წიგნი ძმის ამხანავისთვის მიუცია.

მეორე სახეობა, როცა ნათესაობით ბრუნვაში დასმული მსახურელი მოსდევს სახურულს, ბრუნვაში არ ეთანხმება და არც ემფატიკური ხმოვანი აქვს ლართული, როგორც გრამატიკულად არასწორი, უაჩოფილ უნდა იქნეს.

მაშასადამე, უნდა ითქვას და დაიწეროს:

სახელ. ქვეყანა სოციალიზმისა, თარგმანი მაქავარიანისა, დადგმა მარჯანიშვილისა...

მოთხრ. ქვეყანამ სოციალიზმისამ, თარგმანმა მაქავარიანისამ, დადგამ მარჯანიშვილისამ...

მიცემ. ქვეყანას სოციალიზმისას, თარგმანს მაქავარიანისას, დადგმას მარჯანიშვილისას.

მიმართ. ქვეყნად სოციალიზმისა, თარგმანად მაქავარიანისა, დადგმად მარჯანიშვილისა.

ნათეს. —

მოქმედ. —

წოდებ. ქვეყანა(ვ) სოციალიზმისა, პროლეტარებო ყველა ქვეყნისა.

ბოლო უარყოფილია:

მოთხრ.	წიგნმა ამხანავის ან ამხანავისა
მიცემ.	წიგნს ამხანავის ან ამხანავისა
მიმართ.	წიგნად ამხანავის
ნათეს.	წიგნის ამხანავის ან ამხანავისა
მოქმედ.	წიგნით ამხანავის ან ამხანავისა

შენიშვნა. მოთხრობით ბრუნვაში ორი პარალელური ფორმისაგან წიგნმა ამხანავისამ და წიგნმა ამხანავისამ, თარგმანმა სახოკიასამ და თარგმანმა სახოკიასამ — უნდა დარჩეს მხოლოდ პირველი (წიგნმა ამხანავისამ, თარგმანმა სახოკიასამ), მეორე უკუბღებულ უნდა იქნეს.

უნდა აღინიშნოს, რომ საზღვრულის შემდეგ ნანათესაობითარი მსაზღვრელის სმარების შემთხვევები თანამედროვე ქართულში შედარებით იშვიათია და გამართლებულია მხოლოდ სტილისტიკური და, იშვიათად, სინტაქსური საჭიროებით.

შედარებით აქტუალურია მხოლოდ სახელობითი ბრუნვის ფორმები: დადგმა ა. ვასაძისა, დადგმა ა. ზორაფასი, თარგმანი გერონტი ქიქოძისა, თარგმანი კონსტანტინე გამსახურდიასი, მუსიკა ზაქარია ფალიაშვილისა, მუსიკა იონა ტუსკიასი.

„სსაზღვრადი სახელის შეთანხმება საზღვრულთან მრავლობით ჩიხსვში

ქველ ქართულში მრავლობითი რიცხვის საწარმოებლად უპირატესად გამოყენებული იყო -ნ და -თ(ა) სუფიქსები. -ებ სუფიქსი მრავლობითის საწარმოებლად უფრო იშვიათად იხმარებოდა.

-ნ და -თ(ა) სუფიქსებიანი მრავლობითი არა მხოლოდ გამოყენების მხრივ სჭარბობდა -ებ სუფიქსიანს, არამედ სინტაქსური ძალითაც; კერძოდ -ნ და -თ(ა) სუფიქსებიანი მრავლობითში დასმული საზღვრული მსაზღვრელს ითანხმებდა რიცხვში, -ებ სუფიქსიანი მრავლობითში დასმულა საზღვრული კი — ვერა.

შემდგომ თანდათან -ებ სუფიქსიანი მრავლობითის ხმარების არე იზრდება, -ნ და -თ(ა) სუფიქსიანებისა კი მცირდება, იზღუდება და ახალ ქართულში უკვე გაბატონებულია მრავლობითის წარმოება -ებ სუფიქსით, იშვიათია -ნ და -თ(ა) სუფიქსებიანი ფორმები.

ამასთან, შესუსტდა -ნ და -თ(ა) სუფიქსებიანი მრავლობითის სინტაქსური ძალაც, სახელდობრ, ამგვარ მრავლობითში დასმული საზღვრული მეტწილად ვედარ ითანხმებს მსაზღვრელს რიცხვში.

-ნ და -თ(ა) სუფიქსებიანი მრავლობითის ფორმათაგან დღესდღეობით პროდუქტიული დარჩა ნათესაობითი ბრუნვის ფორმები, მიცემითისა და მოთხრობითის, აგრეთვე სახელაობითისა და წოდებითის ფორმები აქტუალური აღარაა თანამედროვე ქართულისათვის.

-თ(ა) სუფიქსიანი მრავლობითის ნათესაობითი ბრუნვის ფორმის შემცველი გამოთქმები ზოგჯერ ერთადერთიც კია თანამედროვე სალიტერატურო ენაში: საზჭოთა კავშირი; დედათა და ბავშვთა ოთახი; მოსწავლეთა არდადეგები; კომპოზიტორთა კავშირი; მშრომელთა დებუტატების საბჭო; ეროვნებათა საბჭო; მეცნიერებათა აკადემია; ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი.

რიცხვში შეთანხმება ყველგან დარღვეულია, მათ შორის ნათესაობით ბრუნვაშიც.

მე-19 საუკუნის მწერალთა ნაწერებში მრავლობითი რიცხვის ნათესაობითში დასმულ საზღვრულთან მსაზღვრელი ფუძის სახითაა წარმოდგენილი.

ილია: აქა ყოფილა უწინ კრებული ღვთისთვის ქვეყნიდამ განდგილ ქმათა. გვექნობენინა ჩვენ შკითხველთათვის.

აკაკი: ვინ შეამკოს ღირსეულად ქართველ გმირთა მხარამკლავები? ერთხელ მხოლოდ, ისიც ძილში, ქართველ ქალთა ვნახე კრება.

ვახა: საუნწე ჩემის გულისა. ქართველ დედათა შვილები. მომიხდა ძველი დროების, გარდასრულ გმირთა ხსენება.

მთათ გულე, დაწყულულებული დახოცილ შვილთა შერითა...
კვლავ ვყო აღტყინებული, კეთილ ხმათ ხმებზე მწყობელი.

მსაზღვრელი ფუძის სახითაა წარმოდგენილი მიცემით ბრუნვაშიც:

ილია: [მთვარე] თვის მკრთალ სხივთა ჰყრის ქვეყანაზედ,
ბეგრს ეფერნენ და არ გაჰყვა მეფე თვის ერთ გულ ყმათა.
ვაჟა: ხმელი წიფელი... ყურს არ ათხოვებს ამ ამაც მცენარეთ.
ღირსეულ შვილთა უთელავთ სამშობლოს მინდორ-მთებია.
აკაკი: დაჩაგრულ მოძმეთ მიხედვ, სიცოცხლე გაიმწარეთ.
უსულს საგანთ მაინც შესწივლეთ.

მაგრამ მიცემითში მსაზღვრელს იშვიათად ბრუნვის ნიშანიც დაერთვის:

კარგს ყმათ საკარგუმის ასმევენ (ვაჟა).

სახელობითში რიცხვში შეთანხმება არაა, მსაზღვრელი მხოლოდობით რიცხვშია.
წარმოდგენილი:

პირდაპირი წყობა

ილია: მეწვივნენ იგი უცხო ხილვანი.
მაგრამ კი თქვენი მრუდე საქმენი ისევ ისევე მრუდელ დარჩება.

ასეთი შემთხვევები ჯერ კიდევ დ. გურამიშვილთან გვაქვს:

დაცაიფიწყეს მათ მისი ურიცხვი მოწყალე ბანი.
მოიღეთ წმინდა ქურქელები.

შებრუნებული წყობა

აკაკი: ბევრჯერ ვნახო დღენი ტკბილი.

მაგრამ მე-19 საუკუნის მწერალთა ნაწერებში შეთანხმების შემთხვევები ჯერ კიდევ სშორია.

სახელობითი ბრუნვა

პრეპოზიციური წყობა

ილია: მართო ერთნი სირინოზნი იმ აკვანს ვარს ეხვევიან.
მაშ რისთვის გამობრძანდებიან ხოლმე ამ გვარნი პირნი სენაზედ?
გამოვედით ორნი თბოლნი იმ ტრიალ დედაშიწაზედ.

ვაჟა: პოი, შენი, ჭირივე, რო დაგებდე, ბიჭო! — ეუბნებოდენ თავს შეჯარხო შებეულ-
ნი ფრინველები.

ამას იძახდენ სტუმრად მოწყველნი ფრინველები
სუღარჩაეცმულნი მთანი ღვანან.

აკაკი: და მცილებელთა შავნი საქმენი ფერს ვერ უცვლიან თერთსა სუღარსა..

პოსტპოზიციური წყობა

ილია: და მას ფოთოლნიც მოშრიალენი ხშირად უფრთხობდნენ მოსვენებასა.
მოედრიანა მუხლნი ძლიერნი.

ვაჟა: „მთანი მალაღნი“.
განს მოშორებით დამდგარან დიაცნი მანდილიანნი.
ვაჟკაცნი იმედოიანნი ჩვენს ბატონს ებედებია.

აკაკი: სიამნი მკვნესარნი სამარის ხმითა ზედ დასტირიან რადაც სავანსა.

მოთხრობითი ბრუნვა

პრეპოზიციური წყობა

ილია: კვლავ ვანიღვიძეს ჩვეულთა ფიქრთა.
აგერა მცხეთაც... სად პირველ ქართულს მთრქმულთა შვილთა ღმამად
ჩარგეს ძირი თავისუფლების.

პოსტპოზიციური წყობა

ვაჟა: სამოთხის ფერი დაიდევს არე-მარეთა ტყიანთა.

მიცემითი ბრუნვა

პრეპოზიციური წყობა

ილია: ტრეღლთა ენათა ერიდეთ.
ბოგოსკაში ქვებზედ ხათქა-ხუთქი უკეთესთა ფიქრთა დამიბნევდა ხოლმე.

ვაჟა: [მთვარე], რად აღენთ ცივთა წყაროთა? რად ზრდით ლაღთა ხარჯიხვთა?
ყარად და მსხდართა ნევსურთა თავზედ წაადგა ბაღლები.

პოსტპოზიციური წყობა

ილია: [მზე] კაცასის მთების წვერთა მალაღთა ზედ გალაჟინა ოქროს ნათელი.

ვაჟა: [არწივი] დასდევნებოი მდევრადა წეროთა გადმომაგალთა.

ნათესაობითი ბრუნვა

პრეპოზიციური წყობა

ილია: სახელოვანი ვანუახლე წარსულთ დღეთ ყოფა.
ვხლა თვითვე, გვგონია, დარწმუნდნენ, რომ არამც თუ პეშქინის და ლერმონტოვის
თარგმნა შექლოს, არამედ კაზლოვისაცა და სხვათა უფრო მდარეთა რით-
მის მბეჭველთა პოეტთა.

ვაჟა: მცოდნება კვალ უცთ თვალთ ხედვა.
ვაჟე-მუზარადით მორთულნი წარსულთა დროთა ქართველნი.

აკაკი: [სიმება] მომცეს წარსულთა დროთ მოგონება.
[მდინარეს] მსურს გაგლეჯა კლდოვანთ კიდეთა.

პოსტპოზიციური წყობა

ილია: მეც ვგრე ვარ, როგორც მხედვეთ, ორატორთა კარგთა სწორი.
ოცჯერ ზომვა, ერთხელ ჭრალ—წესია მეფეთ ქებულთა.

ვაჟა: [ხევსურებმა] თან გადივოლენ მზის სხივი მუბისა წვერთა მბრქვეინავთა.

ამიმართვის ფორმა

პრეპოზიციური წყობა

ვაჟა: რაც ჩვენ არ ვიცით, მგირფასნო ყმანო, ის დაწვრილებით ცაში იციან.

პოსტპოზიციური წყობა

ვაჟა: მთანი მალაღნი, მარად იქეცით.
არის შემთხვევები, როდესაც საზღვრულს ორი მსაზღვრელი ახლავს, რომელ-
თაგან ერთი წინ უძღვის, ხოლო მეორე მოსდევს, ან ორივე მოსდევს. ასეთ შემ-
თხვევებში კლასიკოსთა ნაწერებში მსაზღვრელ-საზღვრული შეთანხმებულია რი-
ცხვში.

ილია: შორნი მნათობანი მოკამკამენი იმ მწუხარს დამეს მხიარულობდნენ.
თვალწინ მიყრიან უკეთესნი ყვაავილნი მჭკნარნი.

ვაჟა: დასალნი კლდენი, პირქუშენი, უფსკრულს ჩასულნი ფესვითა.

მოყვანილი ნიმუშები ცხადყოფს, რომ XIX ს. სალიტერატურო ენაში -ნ და -თ(ა) სუფიქსებიან მრავლობითში დასმულ საზღვრულთან მსაზღვრელის რიცხვში შეთანხმების შემთხვევები ჯერ კიდევ ხშირია, მაგრამ შეთანხმების ეს წესი უკვე საკმაოდ შერყეულია და, არც თუ იშვიათად გვაქვს შეუთანხმებლობის შემთხვევები. შემთხვევითი არ არის, რომ შეთანხმება უფრო ხშირად გვხვდება ლექსში, ნაკლებ — პროზაში. ამდენად, ასეთი ფორმები სტილისტიკური მოთხოვნებით გამოწვეული ჩანს, არქაული ფორმების, როგორც სტილისტიკური ხერხის, გამოყენების შედეგად ხშირად. ვაჟასთან ასეთი ფორმების სიუხვე კი დილაქტის გავლენით უნდა აიხსნას.

ამ ვარაუდს შეიძლება მხარი დაუჭიროს ერთმა ფაქტმა: XIX საუკუნის (იშვიათად თანამედროვე) მწერლები ზოგჯერ ცდილობენ -ებ სუფიქსიან მრავლობითში დასმულ საზღვრულსაც შეუთანხმონ მსაზღვრელი, რაც ძველი ქართულისთვისაც კი უცხოა. ასეთ შემთხვევაში -ებ სუფიქსიან მრავლობითში დასმულ საზღვრულთან -ნ და თ(ა) სუფიქსებიანი მრავლობითით გაფორმებული მსაზღვრელი გვაქვს.

ილია: დაღალულნი მევრმეები დაეყარნენ და ძილს მიეცნენ.
ძირს მიღაგებულნი ფიქრები მაღლა მოეჭენენ.
აი, ეს უპირატესნი ვარსკვლავები რუსის ლიტერატურისა.
აკაკი: მთანი და კლდენი სისხლს უჩვენებენ, ქვესკნელი — საფლავს და ძველებს გაამხმარათა.

თანამედროვე მწერალთაგან

ი. აბაშიძე: ხევისბერებით ჩამომსხდარან მთები ქვიანნი.
ო. სულაბერიძე: რად არ აკვსებთ ვალეებს ჭკვიანთ.
ეს მაგალითები იმაზე მიუთითებს, რომ -ნ და -თ(ა) სუფიქსებიან საზღვრულთან მსაზღვრელის შეთანხმების ძველი წესი უკვე შერყეულია.
თანამედროვე სალიტერატურო ენაში კიდევ უფრო შეიზღუდა -ნ — თ(ა) სუფიქსებიანი მრავლობითის ხმარება და კიდევ უფრო იშვიათი გახდა შეთანხმების შემთხვევები.

რამდენიმე შემთხვევა მაინც გვაქვს:

პრეტოზიციური წყობა

მფრინავი ხარ, მაღალთა კლდეთა ვადამახველი (გ. აბაშ).
[ციხე] კვლავ ისმენს, ძველთა ველთა ნიავ-ქარის ნანს (ლ. აბაშ).
ჩვენ წინაპართა ნაშთს სანახაოდ დაეძრწოდით ტყე-ღრედ (ი. გრიშ).

პოსტპოზიციური წყობა

ბზოდა ველოდ და ცრემლთა მდღუდართა ღერიდა მრავალი მისი მნახველი (გ. აბაშ).

ასეთი ნიმუშები ახლა მხოლოდ აქა-იქ გვხვდება. ჩვეულებრივ -ნ და -თ(ა) სუფიქსებიან მრავლობითში დასმული საზღვრული ვეღარ ითანხმებს მსაზღვრელს რიცხვში.

სახელობითი

პრეტოზიციური წყობა

გ. ლეონიძე: იმ ცრემლებს შეუკრეფია ქართლის ცივ-ტყბილი წყარონი.
და თუ ლექსში სჩქევს მარად მშვენიებით სიოცხლის ძალთა ტყბილი ეღერანი.

ი. აბაშიძე: [ალექსანდრე] იბრაძე და ყოველ შემოტევაზე ისეთივე ლტოლვილი და გაანდენილი შატყველნი მოჰყავდა, როგორც თითონ იყო.

ბ. აბაშიძე: პატარა ტბები დგანან უძრავად იმ დიდ დღეობა მტნქო მთწმენი.
ახლაც ფრესკიდან გვიყურებს მკაცრად ცეცხლ-მოდებული შიისი ჭუგაჭანი.
ფეხები უღამო და ხეღუხლები ხრამში რომ ჩანდნენ, როგორც ქვე-გრები.

ი. აბაშიძე: არც თუ ისეთი მდევნი ყოფილან,
მოიჭრენ ბარში მთიულ მიდევნი.

ი. აბაშიძე: უზნებად ჩამომსხდარი კოლმეურნენი აღარ აცლიდნენ ურთ-მანეთს ლაპარაკს.

შეზარბო შებულღი ახანაშვილსა ხუბრენი მორიგე ჯამს სვამდნენ.

პოსტპოზიციური წყობა

ა. შირცხულავა: ბაღში აღარ შრიალევენ ხენა ფოჭლე მშემოცლად.
ბ. ვარლოშვილი: მონობის დღენი, მკაცრი ფაზნელი, ზიზღით განთებდა უმისარს მარად.

მოთხოვნითი

პრეტოზიციური წყობა

გ. ლეონიძე: ცხრა ძმათ მეათედ შიშილეს.

მიცემითი

პრეტოზიციური წყობა

მ. ჯავახიშვილი: ახალციხელ ქართველ კათოლიკეთა შორის თამარაანთ გვარი ყველაზე განათლებული და შეძლებული იყო.

გ. ლეონიძე: შენ დამიწვიე სიტყვები, ვით ხეს გასული მტეენები, შენი, შენდამი, შენს შუქთა, შენს ციმციმს მისადვენები.

ა. აბაშელი: მკენარ ფოთოლივით რად დანებდი გაფრენილ დღეთა?
[ვარსკვლავი] ცეცხლად იქცა და წინწლებად ცის თეთრ ყვავილთ დაესხურა.

ი. ნონეშვილი: ხილის ვადება სამ ძმათა შორის ოცნებად გქონდა.

ნათესაობითი

პრეტოზიციური წყობა

მ. ჯავახიშვილი: იქვე მახლობლად ახალ ნათარშევს — ქართველ ტყვეთა ფარას ჰყლიან.

ბ. ლეონიძე: მარად ბრწყინავს სამშობლო — დიდ შევილთა მეკავნე,
[შეხარი] ახალ სართულთა წითელ აგურებს.

ეს ლექსია, თუ მღერის ვადელი დღეთა კრებული?
თქვნი ჭრილობის წვეთ-წვეთი ძველ გმირთ სისხლს შეერთებია.

გაშალე... ყველა ფერცელი არის ფოლადის ნაყარი, დამსხვრეულ ხმალთა ძღრალი, დეგაცთა ნამამაციარი.

ა. აბაშელი: რკინის ზრიალში გამოკრთის ხშირად რეკა ქართულად მოქნეულ ხმალთა.
გეშის გუგუნეი გარდასულ უამთა.

ღამე გამოვიღის ზურგს უკან დარჩა ბნელი მანძილი შორ ქვეყანათა.
მფეთქავ სხივთა შადრევანმა შუა გააბო სივრცე ცისა.

სიოცხლე ჯერ კიდევ მინდა და მრავალ დღეთა მოიმედე ვარ.

ი. აბაშიძე: იყავ დღეგრძელი, შენ — ჩვენი მყერდი, ზედნიერ დღეთა გამომკვეთელი.
ბ. აბაშიძე: შმაგ მდინარეთა ბრუნვა მარქარებს,
ხმა მგლის ცხენით გათქერელ ყრმათა.

ლ. აბაშიძე: სუნთქვა მძინარე რაინდთა აბინინებდა ბალახსა.
ქ. კალაძე: მოგებს ხეტოლთ არნათ ზღვისა, ვით მოგონება უხსოვარ უამთა.

თანამედროვე მწერლობაში -ებ სუფიქსიან მრავლობითში დასმულ საზღვრულთან შეთანხმებული მსაზღვრელიც გვხვდება (პოსტპოზიციური წყობისას).

ა. აბაშიძე: მისი შიშები დაქარგულები.

ბუტბუტებენ ქვები მწველები.

დროშებს ფრთიანებს მოედანზე წითლად გადაშლილს.

შღრ. ვაჟა: შევამე მთები მალღებნი.

[მღევებმა] მომპყრეს გამაგებელი თვლები მხამიანები.

და გუწოდეს ყანწითურ მკლავები ტოტიანები.

ასეთი შემთხვევები მხოლოდ პოეზიის ენაში გვხვდება.

-ნ და -თ(ა) სუფიქსებიან მრავლობითში დასმულ საზღვრულთან მსაზღვრელი მხოლოდ შეუთანხმებელი ფორმით გვხვდება ჩვენს პრესაში:

„კომუნისტი“: უმალესი საბჭოს ტრინბუნიდან გაკეთდა... თვალსაჩინო წარმომადგენელი დიდი და პრინციპული განზოგადებანი.

მეცნიერულ და კულტურულ ფასეულობათა ვაცკლა.

გავითვალისწინოთ თვითეული რესპუბლიკის ერთეული თავისებურებანი და სპეციფიკა.

შეიქმნა რეალური შესაძლებლობანი მშვიდობის უზრუნველსაყოფად.

„ახ. კომუნისტი“: ნორჩ კიდეველთა სტუპურები.

ამგვარ გმირთა უკვდავ პლუდას ეკუთვნის ბახტრიონის სახელოვანი სარდლები.

ვევლისხმობთ ქართველ ეროვნულ გმირთა სახელებს.

„სახალხო განათლება“: ჩამორჩენილ მოსწავლეთა მშობლები მუშაობენ.

როგორ შეიძლება ორცვლიან მეცადინეობასთან დაკავშირებულ სიძნელეთა გადალახვა?

დავუბრუნოთ შენობები კანონიერ მფლობელთ!

შეთანხმება აღარაა საყოველთაოდ გავრცელებულ შესიტყვებებში, როგორცაა, მაგალითად: მოწარმე მაცურებელთა თეატრი, საგარეო საქმეთა სამინისტრო, არითმეტიკულ ამოცანათა კრებული, ნორჩ ნატურალისტთა განყოფილება, ნორჩ მათემატიკოსთა საქალაქო ოლიმპიადი.

საგანგებოდ უნდა გამოიყოს ისეთი შემთხვევები, როდესაც ნათესაობითში დასმული ან ნანათესაობითარი მსაზღვრელი გვაქვს.

ასეთი მსაზღვრელი შეიძლება იყოს მხოლოდობით რიცხვში ან მრავლობით რიცხვში (განთიადის დღენი, სამშობლოს ქვიშანი, მთების ასულნი).

როდესაც მართული მსაზღვრელი წინ უძღვის საზღვრულს, შეთანხმება არ შეიძლება გვექონდეს.

საზღვრული სახელობითშია:

ილია: ჩემი განთიადის დღენი ბატონის სახლში დამიდამება.

აკაი: ქვეყნის მკურნალნიც შემოკრებენ, ელარ მარგებენ ჩაპუსა.

ვაჟა: ჩემის სამშობლოს ქვიშანი ხშირ-ხშირად მომპყრობი.

შენი ერისა კბაბუკნი გაპპარებენ ხე ლხედა.

სიყრმისა დღენი წავიდენ.

საზღვრული მიცემითშია:

ვაჟა: ლამაზი მთების ასულთა ხმა ხმისთვის შეუწონია.

ვარსკვლავნი მთის წვერთ სწვევიან.

„ახ. კომუნისტი“: ნორვეგიის, შოტლანდიისა და დანიის სანაპიროების მცხოვრებთა ხშირად უნახავთ ასეთი წვიმა.

საზღვრული ნათესაობითშია:

ვაჟა: მშვიდობა შენს ნეშტს, მეკისანო, ქართლისა წყლულთა მოზარე!

ბრესა: იზრდება და მტკიცდება მშვიდობის მოხრეთა მოძრაობა... ომის გამჩაღებულთა წინააღმდეგ („ახ. კომ.“).

მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა გაფართოება („კომ.“).

რაც შეეხება პოსტპოზიციურ წყობას, დღეს უკვე საზღვრული ჩვეულებრივ არ ითანხმებს ნანათესაობითარ მსაზღვრელს:

ვაჟა: თრთინ უვავილნი მთებისა.

მტრალი დედის მოსალენადა მოიპატივა მნათობნი ცისა.

ჩვენს, მსხვერპლნი ძალმოშრობის, ცრემლს აღარ ვღვრიდეთ მწარესა.

მაგრამ იშვიათად, აქა-იქ ახალ მწერლობაშიც გვხვდება მომდევნო მართული მსაზღვრელის შეთანხმება:

ვაჟა: ის ლაღნი ძენი კლდეთანი ვეკაცს გატყვიან ნანასა.

ზაფხულში აყვავდებიან მკერდნიც კისლის კლდისანი.

ყვავილთ პირს ეკონებიან ციენი ნამცვრევენი ცისანო.

თუ დამეპოვოს შე რაჟა, ძაღნი მრისხავდენ ღვთისანი.

ძაღნი ცისანო, გვიშველეთ.

ასეთი შემთხვევები ან სტილისტიკურ არქაიზმად, ან კიდევ დიალექტიზმად უნდა მივიჩნიოთ.

როდესაც კუთვნილებითი ნაცვალსახელი გვაქვს მსაზღვრელად, რიცხვში შეთანხმება არ არის სახელობითსა და წოდებითში. მსაზღვრელს ბრუნვის ნიშანი აქვს ზოგჯერ მიცემითშიც. ნათესაობითში მსაზღვრელი ფუძის სახითაა წარმოდგენილი.

ვაჟა: ჩვენ ვართ, ერეკლე, შენი ხევსურნი.

მოვსდგით შენი მოძმენი შენი სამარის კარსაო.

შენს თვალთ ჭნაცვლის შამიდა.

პირნათლად შივა სულესა, საღც იმის წინაპარნია.

აკაი: საბრალო გულო, დროა გამოთქვა დღეს თავისუფლად შენი ტანჯვანი.

შენი სახე მაინც ჩემ თვალთ წინ არი.

მ. ჩახიშვილი: დაქინებით იმეორებდნენ მოსი მიმდევარნიც.

მაგრამ არც თუ იშვიათად (მით უმეტეს XIX ს. მწერლობაში) გვხვდება შეთანხმება პირდაპირ წყობაშიც და შებრუნებულშიც:

პ რ ე პ ო ზ ა ც ი უ რ ი წ ყ ო ბ ა

ილია: შენთა შვილთ-გული შენთა მტერთა შეაკლეს ზედა.

შენთა შვილთ სისხლით გული სრულად გარდამებანი.

ნგრეულან მისნი დიდნი პალატნი.

და ერს თვისთა ცრემლთ ნაღენით ტბა კარვად ზედ გაღუხურავს.

ვაჟა: ტუქილად აშფოთდებიან ჩემნი წაწალნი იანი.

ჩემთ ძმათ ცხოვნებამ.

რა ლამაზია, წყეულო, შენთ ზვირთთა ლაღნი ჩქერანი.

ეგ შენთა მოძმეთ სისხლია.

ი. ნონეშვილი: მეგონია, დამე შენთა თვალთა შუქით თენდება.

ასეთი შემთხვევებიც ან სტილისტიკური არქაიზმებია, ან კიდევ დიალექტიზმები.

პ ო ს ტ პ ო ზ ი ც ი უ რ ი წ ყ ო ბ ა

ილია: შენისა ცრემლით თვალნი ჩემნი მიტირებია.

ოჰ, სად არიან, სიჭაბუკე, სიტკბონი შენნი?

ვაჟა, რომ ბინდი დღეთა ჩემთა სიკვდილს მიჭადის.

წარვლილთა დღეთა შენთა მახსოვს დიდებულება.

ვაჟა: სხუთთა შენთა უფუჭრელო.

ი. ნონეშვილი: არ ექნებოდა სპაბა შენთა მტერთან ზიანი.

10. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები

შებრუნებული წყობა პოეზიის ენაში გვხვდება უპირატესად.
 -ნ და -თ(ა) სუფიქსებთან მრავლობითში დასმულ საზღვრულთან მსაზღვრელის შეთანხმება რიცხვში, რაც ძველ ქართულში ესოდენ მტკიცე წესს ემორჩილებოდა, თანდათან ირღვეოდა. მე-19 საუკუნის მწერალთა ენაში ეს წესი უკვე დარღვეულია. შეთანხმება შეიძლება იყოს და შეიძლება არც იყოს. შეთანხმების შემთხვევები ჭარბობს ლექსში.

ამ დროიდან შეთანხმების მოშლის პროცესი კიდევ უფრო ძლიერდება და თანამედროვე სალიტერატურო ენაში გაბატონებულია ასეთ საზღვრულთან მსაზღვრელის შეუთანხმებლობა რიცხვში.

მოვლენის განვითარების ისტორიაცა და თანამედროვე ვითარებაც გვიყარნახებს თანამედროვე სალიტერატურო ენისათვის დადგინდეს შემდეგი წესები:

1. პირდაპირი წყობისას (მსაზღვრელი+საზღვრული) -ნ და -თ(ა) სუფიქსებიან მრავლობითში დასმულ საზღვრულს მსაზღვრელი რიცხვში არ შეეთანხმება. სახელობითში და მიმართვის ფორმაში მსაზღვრელი ბრუნვის ნიშნებს დაირთავს, დანარჩენ ბრუნვებში ფუძის სახით იქნება წარმოდგენილი.

სახელობითი	მალალი მთანო	
წოდებითი (მიმართვის ფორმა)		მალალო მთანო
მოთხრობითი	}	მალალ მათა
მიცემითი		
ნათესაობითი		

2. ამათვე მიეკედლება ის შემთხვევები, როცა მსაზღვრელად კუთვნილებითი ნაცვალსახელება გამოყენებული. ოღონდ ამ შემთხვევაში მიცემითში დასაშვებად შეიძლება იქნეს მიჩნეული ფორმა, სადაც მსაზღვრელი ბრუნვის ნიშანს დაირთავს.

სახელობითი	ჩვენი მოძმენო
წოდებითი (მიმართვის ფორმა)	ჩვენო მოძმენო
მოთხრობითი	ჩვენ მოძმეთ
მიცემითი	ჩვენ მოძმეთ ჩვენს მოძმეთ
ნათესაობითი	ჩვენ მოძმეთ

3. შებრუნებული წყობისას (საზღვრული+მსაზღვრელი) მსაზღვრელი საზღვრულს რიცხვში შეეთანხმება. ეგვივე წესი გავრცელდება იმ შემთხვევებზედაც, როდესაც მსაზღვრელად კუთვნილებითი ნაცვალსახელებია გამოყენებული.

სახელობითი	მთანი მალალნი	მოძმენი ჩვენნი
წოდებითი (მიმართვის ფორმა)	მთანო მალალნო	მოძმენო ჩვენო
მოთხრობითი	}	მაათა მალალთა მოძმეთა ჩვენთა
მიცემითი		
ნათესაობითი		

სახელობითსა და წოდებითში (მიმართვის ფორმაში) პარალელურად შეიძლება შეუთანხმებელი მსაზღვრელიც იქნეს დატოვებული: მთანი მალალი, მთანო მალალო.

3. ნათესაობით ბრუნვაში დასმული და ნანათესაობითარი მსაზღვრელი საზღვრულს რიცხვში არ შეეთანხმება.

სახელობითი	მთის ყვავილნი	ყვავილნი მთისა
წოდებითი (მიმართვის ფორმა)		მთის ყვავილნო ყვავილნო მთისა
მოთხრობითი	}	მთის ყვავილთა ყვავილთა მთისა
მიცემითი		
ნათესაობითი		

დასახელებული ფორმები უპირატესად მწერლობის (უმთავრესად პოეზიის) ენაში შეიძლება შეგვხედეს და გამართლებულია სტილისტიკური მიზნებით. სალიტერატურო ენაში ჩვეულებრივ ხმარებული მხოლოდ ნათესაობითი ბრუნვის ფორმებია.

სხვათა სიწყვის მართლდარის საკითხები

ქართულ ენაში არის ნაწილაკები -**მეთქი**, -**თქო** || -**თქვა** და -**ო**. ეს ნაწილაკები გამოხატავენ პირველი პირის (მოსაუბრის) ან სხვა პირის (არამოსაუბრის) ნათქვამის ან განაზრახვის უცვლელად განმეორებას. ერთ-ერთი ამ ნაწილაკის შემცველი წინადადება სხვათა სიტყვის სახელწოდებითაა ცნობილი.

ა) -**მეთქი** ნაწილაკი მთელი წინადადებაა წარმოშობით (მე ვთქვი) და იხმარება პირველი პირის (მოსაუბრის) წინათ ნათქვამის ან განაზრახვის განმეორებით გადმოსაცემად.

მაგალითები:

მე ვუთხარი: ცოდო არ არის, ოფლიანი ცხენი დაგიბამს... ზურგზედ წყალს მაინც გადავლებდი-მეთქი; ხომ წახდა ცხენი; ან ზურგმა პავა აართვა, ან ფეხში დაიხუთა-მეთქი? (ილია).

ხშირად დავეკითხებოდი ხოლმე ძიძას: რა დაუშავა კრუხმა ქორს, რომ წიწილებს სტაცებს და არ ასვენებს-მეთქი? (აკაკი).

ვითამაშეთ და ქორმაქ მე გამოტაცა-მეთქი.—უუპასუხე სიცილით (აკაკი).

აკი მოგახსენეთ, კაკაკეს ურმები გავისტუმრე და, რაწამსაც -ჩამოვლენ, მაშინვე მოგართმევ-მეთქი? (ილია).

აკი მოგახსენეთ, გაგიადვლეთ-მეთქი სამეცნიერო სიტყვის გაგებასა! (ილია).

მე კიდევ ვუთხარი: ჩემო მზულო, წავიდეთ-მეთქი... ერთი შევიტყუთ, რა ამბავია-მეთქი (ილია).

მე სიტყვა მოუშერი კიდევ: ნახევარი ჩემის ობლებსა-მეთქი (ილია).

ბ) **თქო** || **თქვა** ნაწილაკი იხმარება მეორე პირის მიმართ, როდესაც პირველი პირი (მოსაუბრე) თავის ნათქვამს მას აბარებს მესამე პირისათვის გადასაცემად.

მაგალითები:

უთხარი შენს ქმარს: მეც დილაზედ ვინახულე, ღმერთთა მოწყალე-თქო, ყველანი მშვიდობით ვიქნებით-თქო (ილია).

უთხარი, რომ, როცა ბებია ცვდებოდა-თქო, შენა გლოცავდა-თქო (ილია).

იმ იმერელს... იცი, რა ვუთხარი?... იმერლებსაც უთხარი, რომ, რაც თქვენ კოკიანის წვენი გამოუვა, ერთ აკლამად არ მეყოფა-თქო და „ხლუბი“ კი კიდევ თქვენზედ დარჩება-თქო (ილია).

წაიდ, ბიეოლას მოახსენე... ნუ გეშინია, უთხარი, გიორგი გახლავთ-თქო (ნ. ლორთქ.). მალაქიასთან გადირბინე, ვარლამია, და უთხარი: დედა შემოგვხვეწა-თქვა, ჩემო მალაქია, ეს ერთი დოქი ღვინო გამომიგზავნე-თქვა და მე ვიცი შენი ბატონის-ცემა-თქვა... ჩემო მალაქია-თქვა, ძალიან შემოგვხვეწა დედა-თქვა (დ. კლდ.).

მე ვევე ნაწილაკია გამოყენებული იმ შემთხვევაშიც, როცა პირველი პირი (მოსაუბრე) მეორე პირს ავალებს რაიმე უთხრას მასვე, მოსაუბრეს.

11. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები

მაგალითები:

რასა მწიკლზე, შე დალოცვილო, ავრე მეტყოდი, რომ შენი არ არის-თქო (ილია).
გ) -ო ნაწილაკით გადმოიციემა მესამე პირის ნათქვამი.

მაგალითები:

მოწამე ვაყვარო?—ჰკითხეს მოჭამავირეს (ილია).
ბრძანებაა—ოცდახუთი მანეთი წაერთოს და ორმოცდაათი რიზი დაეკრას იმასო, ვინც თავის ნაბატონარს დღეის იქით ბატონს დაუძახებსო (ილია).
ჩაი უნდა მიირთოთო,—მიხასუბა სტანციის გუშაგმა (ილია).
ვინა სთქვა—გლეხმა ჩვენზედ გული აიყარაო (ილია).
იტყოდა: მაგდონი არაფერი ხანიაო გასული (ილია).
შენ მეუღლა ვინ მოკაო,—უთხრა მან არწივს,—ჩვენ როდის ამოვირჩიეთო? (ვაჟა).
ამბობდა ვეღა: ეს რა ამბავია, რამ გააწყო ჩიტები, რომ ერთის ხმა აღარსაიღან იმისო? (ვაჟა).
ზაფხულშით კატას არ დააყენებდა სახლში, ბუკს შორს წააყვანინებდა, გააშვებინებდა, სხვისსაც არ გააქაჩანებდა თავის ეზოში: ბუბულებსა სჭამენ შეჩვენებულნიო (ვაჟა).
შენაო, რადგანაც მებატონე ხარო და კეთილშობილიო, გლეხთან წინ არ უნდა წამოღგო, გლეხთან პირში ბურთი უნდა გეღოსო; თუ ხმას ამოიღებო, კრძალვითა და შინით უნდა ამოიღოვო, არ უნდა უჩიელო გლეხსაო. თქვენივეს ეხლა სამართლის კარი დახშულიაო, რაც არიან ეხლა, გლეხები არიანო, მე თქვენს საჩივარს ყურსაც არ ვათხოვებო, ბატონებოა: გადაეარდაო და თქვენ ვილა ყრბარათო (ილია).

განსაკუთრებით ხშირადაა გამოყენებული -ო ნაწილაკი ანდაზებსა და თითქმის ნაწილაკიან წინადადებებში.

მაგალითები:

ბედაური ცხენი მათრახს აო დაიკრავსო (ანდაზა).
ახალი ცოცხი კარგად გვისო (ანდაზა).
ასწიე ღონესა ჰქვია, დასწიე—უღონობასაო (ანდაზა).
თითქო ალაღმა დაქროლა წიწილებსაო (ილია).

ევევე -ო ნაწილაკი იხმარება იმ შემთხვევაშიც, როცა მეორე პირის მიერ მესამე ან პირველი პირისათვის წინათ ნათქვამის ან მეორე პირის განაზრახვის განმეორება ხდება.

მაგალითები:

თქვენ კი მიხანეთ, გლეხთან სიტყვა ფრთხილად იხმარეო (ილია).
შენ ერთხელ მეტყვი, „მითხარო“, მე ასკერ გმტყვი „ვერასა“ („ვეფხისტყაოსანი“, 235).

ზემოაღნიშნული ნაწილაკები სალიტერატურო ქართულში ზეპირი მეტყველებიდან ჩანს შემოსული. ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში ამ ნაწილაკით ხმარების თითო-ორჯოა შემთხვევა მხოლოდ აღნიშნული. საკმაოდ ფართოდაა წარმოდგენილი ეს ნაწილაკები უკვე „ვეფხისტყაოსანში“, ხოლო XVII—XVIII საუკუნეების ლიტერატურულ ძეგლებში, განსაკუთრებით „რუსულდანიანსა“ და დავით გურამიშვილის ნაწერებში, მეტად ფართო გასაქანი ეძლევა მათ.

მაგალითები „ვეფხისტყაოსნიდან“:

აღმოსავლეთით წადიო, პირსა იარე ზღვისასა (947).
ეხეწებოდა: „შეყო“, აქას ხეწენითა არებდა (894).
ველა პირზე ეტყვის ვაზირსა: „შე სიტყვა შევამყირეო, წა, ესე ჰკადრე შეყვსა, შევიინ-ვილოდეს ვირეო; მიაჯე ამოდ ვაშვება და თავი გაიგმირეო, ასი ათასი წითელი შენ ჰრთამად შეიწირეო“ (741).
შერბანდინსკა ახარებდეს, ფიცხლად თავნი მისკენ არნეს;

„მოვიდაო, აქანამდის ვისთვის ღვინი გავეწმარნეს“ (673).
მოვილა კაცი: „სასიო მოვაო“, მოსლუა გვაზარა (548).
ახლოს მივე, შემომხედეს; „შმაგიაო“, ესე თქვესა (446).
„მონააო ამათისი“, საწოლს ვუთხარ შემოყვანა.
მოეწერა: „გობრძანებსო“, ვისი მესვა გულსა დანა (392).
ბრძანა: „მინდორს შეეცდებიო“, ლაშქარიცა დაერაზმა (170).
ველა უბრძანა: „თავსა ჩემსა, რას იტონი, რად დამგვოვო?“
ყმამან ჰკადრა: „მოგახსენებ და ფარმანი მიზოქეო, რაცა გაადრო, არ გეწყინოს, არ გაპრისხდე, არ გასწყერო, არ გახმადო კადნიერად, არ ამიკლო ამაზეო“ (65).
„ნეტარ რა უმძიძს, რა სჭირსო“, შექმენს ამისი ცილობა (56).
„კარგა ჰქმენო“,—დაუმაღლა, წყალობანი უიმედნა (61).
მუთემან ბრძანა: „ვნახეო მიზენი ღვინოა ლევისა“ (98).
ახარებდეს: „წამოყლაო“, დედოფალი გამობრუნდა (355).
მაშინდა ჰკადრე მეფესა არ საქმე სასურველია, აცნობე ჩემი სიკვილი, იყავ მართ ვითა მირვალია, მიხზდა-თქო საქმე, რომელი ყოვლათვის გარდუვალია (158).

განსაკუთრებით უხე მასლას იძლევა ამ მხრივ „რუსულდანიანი“.

მაგალითები:

მან უბრძანა: დღეს ხელმწიფეს ვერ შევეცილებიო, მან დეღამთ მეფის ასულმან გვრე მოახსენა: ხელმწიფისა რა შეიკლება იქნებაო, თქვენ თქვენსა სახლსა მიბრძანადო და მეფე თავისსა მივო. მე ჩემსედ მიბრძანა: ყერ ეს ვნახოთო, როგორიაო; თუ ეს არ მომეწონებაო, ის მის უარესი იქნებაო, ცუდად არ გავირჩებიო, ავრე ბძანა: ამოღამ გრა გაეწყომა რაო და სახელიოდ მე ჰკლს მოგამზადებო და თქვენ ვეზირი მოამზადეო და ჰკლსაც გაჩვენებო და ჰკორწილიც უყავითო. თურმე დედოფალმან სიზმარი ნახა, რომ ამ ხეს სამყერ შენოჯარეო და სამყერ ათაყვანი ვეო და კარა გაიღებო, ერთი მნათობი ჰკლი გამოვო, ის შენთვის მწვე საჩვენებელიაო.
დეღამთ მეფის ასულმან მოახსენა: არ ხელმწიფის საფერი საქურბლენი და ხაზინანი არიანო, მაგრამ მაშინც თავისთა ღლმით ნაშოებსა ავრე არ ზოიძულდესო, რომელ ცუდათა კაცთა დაგანდოსო და ანუ გასაღებავდ დავეყაროსო. ნახოს ხელმწიფემან, თვისნი ბუკვდნი დასხნასო, რომე სხვათა კაცთა ცნან, ბატონი ჰყაო.
რა ეს შისგან მოვისმინე, გულსა ჩემსა ვერე უთხარ: თუ ეს ანბავი მართალია, ამის უკეთესსა რას ვნახავ-მეთქი და ანუ ამისთანას რას ვამებ ჩემთა მშობელთა-მეთქი, რომ ასეთის ჰრესტიანის ხელმწიფისა თვლით ნახული ანბავი უინო-მეთქი.
მოგახსენე: უწიგნოდ ვერსად წახვალ, თავად მომკლავს და, თუ არ მომკლავს, არ დამიყრებს-მეთქი.

XIX საუკუნის სალიტერატურო ენაში დაახლოებით ისეთი სახე მიიღო ამ ნაწილაკების ხმარებამ, როგორც ზემოთ იყო წარმოდგენილი. -მეთქი, -თქო || თქვა, -ო ნაწილაკები წინადადების ყველა წევრს შეიძლება დაერთოს, მაგრამ ჩვეულებრივ ნაწილაკი შედარებით ერთგვარია; რთული წინადადების შემადგენლობაში იგი ყოველ შემადგენელ წინადადებაში შეიძლება შეგვხვდეს; სტილისტიკური მოთხოვნების შესაბამისად იგი წინადადების სხვა წევრებსაც შეიძლება დაერთოს და ერთისა და იმავე წინადადების ფარგლებში განმეორდეს კიდევ (იხ. მაგალითები ზემოთ).

ნაწილაკიან წევრი ჩვეულებრივ წინადადების ბოლოშია (მარტივ წინადადებაში, რთული წინადადების შემადგენლობაში შემავალ მარტივ წინადადებებში...) ან წინადადების ბოლოსაც და შიგნითაც ერთად (ერთგვარწევრისმსმენლებიან წინადადებაში). წინადადების ბოლოს დასმული ნაწილაკიან წევრი უფრო ხშირად შე-

მასმენელა, მაგრამ წინადადების ბოლოს ნაწილაკი სხვა წევრებსაც შეიძლება დაერთოს, წინადადების შენგნთ კი ნაწილაკი ჩვეულებრივ მხოლოდ შემასმენელს დაერთვის, საერთოდ იმ წევრს, რომელსაც საპრედიკაციო მნიშვნელობა აქვს.

მაგალითები:

გაისარგე და ირჩინე თავიო... ვირჩეოდი და უტკივარ ლუქას ვკამდო (ილია). პატივისცემი დედაკაციო ეს ოთარაანთ კეროვი,—ხშირად უოქეამთ დასაყ და მძასაყ (ილია).

ამბობდნენ გლეხაკები: ბარს დაკრავს, ასე გვონია, დედამოფა უნდა შუაგულმდე ჩაანგრისო (ილია).

აქო მოვასხენეთ, გაკიადვილებთ-მეთქი საუკნიერო სიტყვის გაკებასა (ილია).

რა ღროს შევაზხეაო ცხენისა? (კ. გამს.).

ჩვენ გადავლახეთო შენს მაიურად არავს (კ. გამს.).

ანლაზებში ნაწილაკიანი წევრი ჩვეულებრივ ბოლოსა დასმული. ნაწილაკები ჩვეულებრივ ერთხელა გამოყენებული წინადადებაში.

მაგალითები:

ხშირად დავეკითხებოდი ხოლმე ძიძას: რა დეშეა კრუბა კორს, რომ წიწილეს სტაკებს და არ ასენებს-მეთქი? (აკაკი).

მე სიტყვა მოუტუტური კიდევ: ნახევარი ჩემი ობლებისა-მეთქი (ილია).

ამბობდა ყველა. ეს რა ამბავია, რამ გააწყო ჩიტები, რომ ერთის ხმა აღარსად იმისო (ვაჟა).

მაგრამ (განსაკუთრებით რთულ და ერთგვარწევრებიან წინადადებაში) იგი შეიძლება რამდენჯერმე იყოს გამოყენებული.

მაგალითები:

ასე რომ შენაო, ჩადვანაც მებატონე ხარო და კვილოშობილიო, გლესთან წინ არ უნდა წამოდგეო (ილია).

ხმელ წიფლის ძირს. კლდში, ეფუბი დაბუდებულაო,—ხმა ისმის სოფელში,—ლეკვები დაუყრიო, მონადირეებს ენახაო ხმელ წიფლის გარშემო დედა ვაფხის და იმის ლაკეების კვალიო (ვაჟა).

რატუ არ დაკველეთ თავის თავსაო? სად დაკარგეთ ი კაკი, რატუ არ მოსამბნითაო? (ვაჟა).

მოთხრა: ასეთი ალაგით მოველო, რომ, ტყეჯანა დამივლიო. არც იმის უკუეთსი ქალაქი მინახავსო და არც იმისთანა ხელწიფე ამბად მსმენიაო. ქრისტიანე ხელწიფე არიო და ხელწიფისა ქრისტიანობასა გონება კაცისა არ მისწიფებაო. ქალაქს ყფთლის ქალაქი ჰქვიანო და ხელწიფისა სახელი ნუშრევან არისო (რუსუდ.).

დელამთ მეფის ასულმა ვერე მოთხრაო: ვინ იცის, ხელწიფემ აქეთ შესვლა მოიწლო-მოს, დაშალო, თორემ ხმა დავარდებაო და სულ გაუდღებო ეს ქალაქი და ეს სასახლეო, რა ყველა იმის ანბავს სენოსო, რაღას ევარებაო! აჲ მე აქათვე წავალ, თქვენ ვე კარი ისე დაკლიტეო, კლიტე თან წაიღეო და სასახლეში მიდო, მეც იქ მოვალო, ევეთბ, სულ ამ ქალაქად ას ღირდეს, რა კლდე ნახოო (რუსუდ.).

მლაქისთან გადირბინე, ვარლამია, და უთხარი: დედა შემოგვხევა-თქვა, ჩემო მალაქია, ეს ერთი დოქი ღვინო გამომიგზავნე-თქვა და მე ვიცი შენი პატივისცემა-თქვა... ჩემო მალაქია-თქვა, ძალიან შემოგვხევა დედა-თქვა (დ. კლდ.).

უმეტეს შემთხვევაში ნაწილაკის განმეორება გარკვეულ სტილისტიკურ ზეგნებს წარმოადგენს პერსონაჟის მეტყველების დასახსიათებლად.

სხვათა სიტყვის ნაწილაკთა ხმარებასა და მართლწერაში ერთგვარობა დატული არაა.

ა) ზოგი მწერალი (აკაკი წერეთელი, დ. კლდიაშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე და ზოგიც სხვა) -თქო (||-თქვა) ნაწილაკს იმერული კილოს გავლენით პირველი პირის ნათქვამის გადმოსაცემად იყენებს.

მაგალითები:

მასპინწელს ვეტყვი, მიზეზს გვაჯებინებ—საქმე გვაქვს, უსათუოდ ხვალ აღრიანად წამავალი ვარ-თქვა, ძალიან საჭირო საქმეზედ-თქვა... შენი პატივისცემაც მიწოდდა-თქვა და ამასთან დაშორებაც არ შემეძლო-თქვა და ამისთანები (დ. კლდ.).

ღმერთს ვებეჭებოდი: ღმერთო, სტუმრებს ნუ გამოგვილეუ-თქო (აკაკი). მე გიმნახიაში მიგეჭებოდა და დავიბარე შენ: რომ დავბრუნდები, ფოსტიდან გამოვიტან-თქო (აკაკი).

სახლში მიქვს დაბარებული: უსათუოდ მოვალ ამდამ-თქვა (დ. კლდ.). მე მაღლი მოვასხენე და სიცილით ვუთხარი: დღეს კიდევ გადავჩრით-თქო (აკაკი). ნუ მომშალოს ამისთანა მგზი-თქო—გავივლ გულში (აკაკი). ახლა-კი მშვილობით-თქო—ვუთხარი და გახარებულა დავბრუნდი პეტერბურგში (აკაკი).

ბიჭო, რა გუბუნებოდი, მზეთუნახავს ენახავთ-თქვა, სწორედ იმ გზაზე გავივლით— ვინ მზეთუნახავია, რას ბოდავ? — ა, რა გუბუნებოდი, მივეპაროთ-თქვა (ნ. ლორთქ.).

მეგონა, მცდის-თქვა (დ. კლდ.). ათასჯერ მოთხრობია შეთვის: ნუ ხარ ღვინო-თქვა, ნუ ხარ დავახაკავებულო-თქვა (დ. კლდ.).

ვიფიქრე—დამტყრევა-თქვა, მარა შენც არ მომიყვდე. წელი არ გაუხრია (ნ. ლორთქ.). [ანას] შევხვეყე: ...ერთი მტვეანი მეც მომიწყვიტე-თქო (აკაკი).

ბ) გათე-ფშაველა პირველი პირის ნათქვამის გადმოსაცემად ი-ო ნაწილაკს იყენებს ფშავური კილოს გავლენით.

მაგალითები:

ირემი მოვარდა გაჩქარებით, დაეწავა ჩემს წმინდა წყალს, დალია და გაძღა. მაშინ გულდამშვიდებულმა ვსთქვი: არა ვარ გამშრალი, არაო, თბილად დავაწვინა, მაგრამ კიდევ ჩემი ნახალიც დავხურე ღვეწის, არ შესცივდესო. დაითხიე აქითაო—ვუთხარი,—განავარძო დარეჯანმა.

მემრე დავფიქრად: როგორღა იტირებს ჩემი შვილი, მიწაში ჩამალაო. შევხვეყე ჩემის მამის სალოცავთა: დამსვენეთო.

ვიფიქრე: ე ჩამოსადნობი, რას უწევარ ამაში? მე აქა ვწევარ მშრალად და ეს ამოდენა ნიაღვარი ჩემს შვილს გადასდის თავზედაო.

-ო ნაწილაკის გამოყენება პირველი პირის ნათქვამის გადმოსაცემად ამჟამად უნდა დაფასებულ იქნეს როგორც დიალექტური მოვლენა, მაგრამ ძველად იგი სალიტერატურო ქართულისათვის იყო დამახასიათებელი „ევეფხისტყაოსანში“ გვაქვს ამის მაგალითი:

„მონაო ისმითისი“, შემოყვანა ვუთხარი შენა, გულსა შენა დავუხრახე: „რა მპოვაო ანუ ვინა?“ (363).

„რუსუდანიანში“:

მე ვერე მოვასხენე: მე არა და, ძმაცა მყვანდეს და ანუ შვილი, იგაცა არა ღირსა გვოდენს თქვენს, სარჯელსა-მეთქი. ვინა ჩემის ღვინის გაგრძელებას თქვენთა მშობელთა გახარება სქობსო და თქვენი და იმათი ერთგან შეყრაო.

მოვასხენე: ამის მეტი არა უნდა რაო, მაგრამ ეს მუღანანა არიო, რომ ამისმა პატრონმა ამისი ხმარება არ იყოდეს-მეთქი.

გ) -მეთქი და -თქო ||-თქვა ნაწილაკები იწერება ზოგჯერ წინადადების წევრთან ერთად (შერწყმულად), ზოგჯერ ცალკე, ზოგჯერაც ეს ნაწილაკები წინადა-

დების წევრისაგან დეფისითა გამოყოფილი. -ო ნაწილად თითქმის ყოველთვის წინადადების წევრთან ერთად იწერება.

დ) სხვათა სიტყვის ბრქვალბშიაც სვამენ და უბრქვალბოდაც წერენ. ბრქვალბის ხმარების შემთხვევაშიც სხვადასხვაგვარი დაწერილობა გვხვდება:

„მოვიდა-მეთქი“,	„მოვიდა“-მეთქი,
„მოვიდა-თქო“,	„მოვიდა“-თქო,
„მოვიდაო“,	„მოვიდა“-ო.

-ო ნაწილად წინადადების წევრისაგან დეფისით მხოლოდ ამ შემთხვევაში გამოყოფენ.

ე) -თქო და -თქვა პარალელური ფორმებისაგან თანამედროვე სალიტერატურო ქართულში უნდა დატოვებულ იქნეს მხოლოდ ერთი ფორმა.

ვ) მრავლობით რიცხვში ჩვეულებრივ იგივე ნაწილაკებია გამოყენებული, რაც მხოლოდით რიცხვში გვხვდება. ერთადერთ გამონაკლას ამ შემთხვევაში წარმოადგენს -მეთქი ნაწილაკის ხმარება. მისი გამოყენება მრავლობითი რიცხვის ფორმებთან გარკვეულ უხერხულობას ქმნის და ამის გამო არც გვხვდება. ამის საფუძველი ის ფაქტი უნდა იყოს, რომ -მეთქი ნაწილაკის ეტიმოლოგია ნათელია: ზოგიერთ კოლოში „მე ვთქვი“ ფორმაც კი იხმარება. შდრ.: მე აღვნიშნე: ავტორის ეს მოსაზრება შემცდარი არის -მეთქი; ჩვენ აღვნიშნეთ: ავტორის ეს მოსაზრება შემცდარი არის-მეთქი.

-მეთქი ნაწილაკის გამოყენება უკანასკნელ შემთხვევაში უხერხულია.

ამ შემთხვევაში გამოყენებულია -თქო და -ო ნაწილაკები. -თქო ნაწილაკი გამოყენებული შემდეგ მაგალითებში:

როგორც ვუთხარი—მეფისთან უნდა წამოხვიდე-თქო, იმაც წამს დაკვეთანმა (ნ. ლორთქ.).

თანაც დავსქენდი, რომ შესაძლოა მთავრის წყებაში კოლოფანტის ძარღვები და კონკრეციები სხვაგანაც იქნეს აღმოჩენილი-თქო („საქართვე. მეცნ. აკადემიის მოამბე“).

სალიტერატურო ენის ტრადიცია უფრო -ო ნაწილაკის გამოყენებას უჭერს მხარს. ჯერ კიდევ „ვეფხისტყაოსანში“ გვაქვს:

ვთქვით, თუ: მზაო ქვეყანად, ნუ ვუბნებთ ცადენით“ (205).

„რუსულდანიანში“ ასეთი მაგალითები ჩვეულებრივია:

ზოსროს ვუთხარი: მაგ მონამ დავიწუნაო, ისინი რაღას გაქნვენო.

ესეაშლით და შევექცეოდით, ვამბობდით: აეს კაცს ბუფრი კი შესაქცევი ჰქონიაო.

ზემოთქმულის საუფუძელზე სხვათა სიტყვის გამოყენებასა და მართლწერაში ერთგვარობის დამყარების მიზნით უნდა გატარდეს შემდეგი წესები:

1. პარალელური ფორმებისაგან -თქო და -თქვა თანამედროვე სალიტერატურო ქართულში დატოვებულ იქნეს მხოლოდ ერთი ფორმა— -თქო.

2. -მეთქი ნაწილაკი გამოყენებულ იქნეს პირველი პირის (მოსაუბრის) წინათ ნათქვამის ან განაზრახის განმეორებით გადმოსაცემად იმ შემთხვევაში, როცა პირველი პირი მხოლოდობითი რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი.

3. იმ შემთხვევაში, როცა პირველი პირი მრავლობითი რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი, მის მიერ წინათ ნათქვა-

მის ან განაზრახის განმეორებით გადმოსაცემად გამოყენებულ იქნეს -ო ნაწილაკი.

-ო ნაწილაკის გამოყენებას ამ შემთხვევისათვის მხარს უჭერს სალიტერატურო ენის ტრადიცია და აგრეთვე ისიც, რომ ხმარებულ ნაწილაკთან -ო ყველაზე უფრო ზოგადია (გამოყენებულია III და II პირის ნათქვამის გადმოსაცემად, კილოებში I პირის ნათქვამის გადმოსაცემად). ამასთან მისი ეტიმოლოგია აღარაა ნათელი, საცხებით ნაწილაკადაა ქცეული.

4. იმ შემთხვევაში, როდესაც I პირი თავის ნათქვამს აბარებს II პირს III პირისათვის გადასაცემად, გამოყენებულ იქნეს -თქო ნაწილაკი. რიცხვს ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს. ეგვევ ნაწილაკი იქნეს გამოყენებული იმ შემთხვევაშიც, როცა პირველი პირი მეორე პირს ავალებს რაიმე უთხრას მასვე, პირველ პირს.

5. -ო ნაწილაკი გამოყენებულ იქნეს:

ა) III პირის ნათქვამის გადმოსაცემად,

ბ) II პირის ნათქვამის გადმოსაცემად,

რიცხვს არც ამ შემთხვევაში აქვს მნიშვნელობა.

6. -ო ნაწილაკი დაიწეროს წინადადების წევრთან ერთად, შერწყმულად, -მეთქი და -თქო ნაწილაკები გამოიყოს წინადადების წევრისაგან დეფისით.

7. მარტივ წინადადებაში ნაწილაკიანი წევრი ჩვეულებრივ ბოლოში დაისვას. სხვა ადგილას ნაწილაკიანი წევრის დასმა შესაძლებლად იქნეს მიჩნეული მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ზმნაა.

8. არ იქნეს შეზღუდული ნაწილაკიანი წევრთა რაოდენობა წინადადებაში (განსაკუთრებით ერთგვარწევრებისა და რთულ წინადადებებში). ნაწილაკიანი წევრთა რაოდენობა განისაზღვროს სტილისტიკური საჭიროების მიხედვით.

9. -მეთქი, -თქო და -ო ნაწილაკებიანი სხვათა სიტყვა ბრქვალბში არ ჩაისვას.

შარყმული დანართის მართვა
(სახლი-მუზეუმი თუ სახლ-მუზეუმი?)

დანართი (ანუ, როგორც ზოგჯერ ეძახიან, მიმატება) განსაზღვრების ერთი სახეობათაგანია. მას ისეთ განსაზღვრებას (მსაზღვრელს) უწოდებენ, რომელიც არსებითი სახელის სახითაა წარმოდგენილი, არსებითი სახელი განსაზღვრავს არსებით სახელს. ასეთ შემთხვევაში მსაზღვრელი არსებითი დანართის (მიმატების) სახელით არის ცნობილი.

გაიჩნევა ორგვარი სახეობა ურთიერთობისა. ერთ შემთხვევაში არსებითი სახელი და მსაზღვრელი არსებითი სახელი (დანართი) ისეთსავე დამოკიდებულებაში არიან ერთმანეთთან, როგორშიც ჩვეულებრივი მსაზღვრელ-საზღვრული, და ცალ-ცალკე არიან წარმოდგენილი: ფოლადი ადამიანი, რკინა კაცი, მანწაღლებელი დავითი, ეჭიმი გომართელი, გენერალი გედევანიშვილი, ქალაქი ქუთაისი და სხვ. მეორე შემთხვევაშიც ისევ მსაზღვრელ-საზღვრული გვაქვს, მაგრამ ორივე ერთად ერთ სიტყვადაა გააზრიანებული, გაკომპოზიტებულია. ამის ნიმუშებია ვირთხა, ძელქვა, ვაშლატამი, სირაქლემა, მუხანსვი და მისთ. მეორე შემთხვევა პირველისაგან იმითაც განსხვავდება, რომ პირველ შემთხვევაში დანართი ფუძის სახით არ შეიძლება იქნეს წარმოდგენილი, მეორე შემთხვევაში კი იგი სწორედ ფუძის სახითაა მოცემული.

პირველ შემთხვევაში დანართი საზღვრულთან ერთად მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების ჩვეულებრივ წესს ექვემდებარება: ისევე იბრუნვის, როგორც საზღვრულის წინ დასმული თანხმოდანფუძიანი ან ხმოვანფუძიანი მსაზღვრელი. ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ თანხმოდანფუძიანია, ნათესაობითა და მოქმედებით ბრუნებში ბრუნვის ნიშანს მთლიანად იკვეცს.

სახელობითი	—	ქალაქი-ი	ქუთაისი-ი	გენერალ-ი	გედევანიშვილ-ი
მოთხრობითი	—	ქალაქ-მა	ქუთაის-მა	გენერალ-მა	გედევანიშვილ-მა
მიცემითი	—	ქალაქ	ქუთაის-ს	გენერალ	გედევანიშვილ-ს
მიმართულებითი	—	ქალაქ	ქუთაის-ად	გენერალ	გედევანიშვილ-ად
ნათესაობითი	—	ქალაქ	ქუთაის-ის	გენერალ	გედევანიშვილ-ის
მოქმედებითი	—	ქალაქ	ქუთაის-ით	გენერალ	გედევანიშვილ-ით
წოდებითი	—	ქალაქ-ო	ქუთაის-ო	გენერალ-ო	გედევანიშვილ-ო

შდრ:

სახელობითი	—	მოხუც-ი	კაც-ი
მოთხრობითი	—	მოხუც-მა	კაც-მა
მიცემითი	—	მოხუც	კაც-ს
მიმართულებითი	—	მოხუც	კაც-ად
ნათესაობითი	—	მოხუც-ი	კაც-ის
მოქმედებითი	—	მოხუც-ი	კაც-ით
წოდებითი	—	მოხუც-ო	კაც-ო

ამ შემთხვევაში, ნათესაობითა და მოქმედებით ბრუნებში მსაზღვრელ სახელს ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვის ნიშნების ხმოვნითი ი ელემენტი შენარჩუნებული აქვს.

მეორე შემთხვევაში დანართიანი სახელი კომპოზიტია და იბრუნვის როგორც ერთი სიტყვა.

სახელობითი	—	ძელქვა
მოთხრობითი	—	ძელქვა-მ
მიცემითი	—	ძელქვა-ს
მიმართულებითი	—	ძელქვა-დ
ნათესაობითი	—	ძელქვ-ის
მოქმედებითი	—	ძელქვ-ით
წოდებითი	—	ძელქვა-ვ

რუსულ ენაში გავრცელებულია შერწყმული დანართი, რომელიც საზღვრულთან ერთად იბრუნვის და წერაში დეფისით არის მასთან შეერთებული: *изда-читальня, поэт-революционер, писатель-коммунист, телефон-автомат, волшебница-зима, царь-колокол* და სხვ.

ესაა, თუ შეიძლება ასე ითქვას, გარდამავალი საფეხური ზემოთ დასახელებულ ორ შემთხვევას შორის.

რუსულის მსგავსად ქართულშიც იკიდებს ფეხს შერწყმული დანართი. მას ქართულშიც დეფისით აერთებენ საზღვრულ სიტყვასთან, მაგრამ შერწყმისას პირველი წევრის, ე. ი. თვით დანართის, გადმოცემაში ერთგვარობა არაა დაცული. ზოგჯერ იგი ფუძის სახითაა წარმოდგენილი, ზოგჯერაც სახელობითი ბრუნვის ფორმით. ერთი მხრით, გვაქვს: *სახლ-მუზეუმი, აკადემიკოს-მდივანი, წვერი-კორესპონდენტი, ტელეფონ-ავტომატი* და ა. შ., ხოლო, მეორე მხრით, *სახლი-მუზეუმი, აკადემიკოსი-მდივანი, წვერი-კორესპონდენტი, ტელეფონ-ავტომატი* და ა. შ. არის შემთხვევები, როცა პარალელური ფორმები აღარ გვაქვს და პირველი წვერი მხოლოდ ფუძის სახითაა წარმოდგენილი: *ქობ-სამკითხველო*.

როდესაც პირველი წვერი სახელობითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი, მაშინ ორივე წვერი იბრუნვის: *წვერი-კორესპონდენტი, წვერმა-კორესპონდენტმა* და ა. შ. მაგრამ ქართულში არის ტენდენცია, რომ პირველი წვერი გადმოიცეს ფუძის სახით და ორივე წვერი იბრუნვოდეს ერთად, როგორც ერთი სიტყვა.

ამის შესაბამისად წერაში ერთგვარობის დასამყარებლად სალიტერატურო ქართულში უნდა მიღებულ იქნეს შემდეგი წესი:

ა) რუსულის მსგავსად ქართულში გაჩენილი ან რუსულიდან შემოსული შერწყმული დანართის პირველი წვერი გადმოიცეს ფუძის სახით და დაიწეროს საზღვრულთან ერთად დეფისით.

მაშასადამე, გვექნება: *მუზეუმ-ნაკრძალი, წვერ-კორესპონდენტი, პოეტ-აკადემიკოსი, აკადემიკოს-მდივანი, სახლ-მუზეუმი, ტელეფონ-ავტომატი, პოეტ-რევოლუციონერი, ეჭი-კონსულტანტი, მუზეუმ-კარმიდამო, მოგზაურ-ეთნოგრაფი, ქობ-სამკითხველო* და სხვ.

ბ) შერწყმული დანართი იბრუნვოდეს მთლიანად როგორც ერთი სიტყვა.

სახელობითი	—	ქობ-სამკითხველო	წვერ-კორესპონდენტი-ი
მოთხრობითი	—	ქობ-სამკითხველო-მ	წვერ-კორესპონდენტი-მა
მიცემითი	—	ქობ-სამკითხველო-ს	წვერ-კორესპონდენტი-ს
მიმართულებითი	—	ქობ-სამკითხველო-დ	წვერ-კორესპონდენტი-დ

ნათესაობითი	— ქოხ-სამკითხველო-ს	წევრ-კორესპონდენტ-ის
მოქმედებითი	— ქოხ-სამკითხველო-თი	წევრ-კორესპონდენტ-ით
წოდებითი	— ქოხ-სამკითხველო	წევრ-კორესპონდენტ-ო

ამ წესს მხარს უჭერს ის ფაქტი, რომ ამ გზითაა ქართულში მიღებული, როგორც ზემოთაა ნათქვამი, ერთმნიშვნელობიანი კომპოზიტები: **ქელქვა, ფაშლატაში, შაქარფაშლა** და მისთ.; მეორე მხრით, ქართულში უკვე დამკვიდრებულია დანართიანი კომპოზიტები, რომელთა პირველი წევრი ფუძის სახითაა წარმოდგენილი და რომელთა ორივე წევრი ერთად იბრუნვის, როგორც ერთი სიტყვა. ვწერთ მათ დეფინით. ასეთებია: **გენერალ-მაიორი, გენერალ-ლეიტენანტი, გენერალ-პოლკოვნიკი, ინჟინერ-მშენებელი, ინჟინერ-მეტალურგი, ინჟინერ-მექანიკოსი, ინჟინერ-ტექნოლოგი, ინჟინერ-ქიმიკოსი, პრემიერ-მინისტრი, რევიზორ-ინსპექტორი, სოციალ-დემოკრატი** და მრავალი სხვა.

სხვათა სიწყვის მართლდარის საკითხები

ქართულ ენაში არის ნაწილაკები -მეთქი, -თქო || -თქვა და -ო. ეს ნაწილაკები გამოხატავენ პირველი პირის (მოსაუბრის) ან სხვა პირის (არამოსაუბრის) ნათქვამის ან განაზრახვის უცვლელად განმეორებას. ერთ-ერთი ამ ნაწილაკის შემცველი წინადადება სხვათა სიტყვის სახელწოდებითაა ცნობილი.

ა) -მეთქი ნაწილაკი მთელი წინადადებაა წარმოშობით (მე ვთქვი) და იხმარება პირველი პირის (მოსაუბრის) წინათ ნათქვამის ან განაზრახვის განმეორებით გადმოსაცემად.

მაგალითები:

მე ვუთხარი: ცოდო არ არის, ოფლიანი ცხენი დაგიბამს... ზურგზედ წყალს მაინც გადავლებდი-მეთქი; ხომ წახდა ცხენი; ან ზურგმა პავა აართვა, ან ფეხში დაიხუთა-მეთქი? (ილია).

ხშირად დავეკითხებოდი ხოლმე ძიძას: რა დაუშავა კრუხმა ქორს, რომ წიწილებს სტაცებს და არ ასვენებს-მეთქი? (აკაკი).

ვითამაშეთ და ქორმაქ მე გამოტაცა-მეთქი.—უუპასუხე სიცილით (აკაკი).

აკი მოგახსენეთ, კაკაკეს ურმები გავისტუმრე და, რაწამსაც -ჩამოვლენ, მაშინვე მოგართმევ-მეთქი? (ილია).

აკი მოგახსენეთ, გაგიაღვლე-მეთქი სამეცნიერო სიტყვის გაგებას! (ილია).

მე კიდევ ვუთხარი: ჩემო მამლო, წავიდეთ-მეთქი... ერთი შევიტყუთ, რა ამბავია-მეთქი (ილია).

მე სიტყვა მოუშერი კიდევ: ნახევარი ჩემის ობლებსა-მეთქი (ილია).

ბ) თქო || თქვა ნაწილაკი იხმარება მეორე პირის მიმართ, როდესაც პირველი პირი (მოსაუბრე) თავის ნათქვამს მას აბარებს მესამე პირისათვის გადასაცემად.

მაგალითები:

უთხარი შენს ქმარს: მეც დილაზედ ვინახულე, ღმერთთა მოწყალე-თქო, ყველანი მშვიდობით ვიქნებით-თქო (ილია).

უთხარი, რომ, როცა ბებია ცვდებოდა-თქო, შენა გლოცავდა-თქო (ილია).

იმ იმერელს... იცი, რა ვუთხარი?... იმერლებსაც უთხარი, რომ, რაც თქვენ კოკიანის წვენი გამოუვა, ერთ აკლამად არ მეყოფა-თქო და „ხლუბი“ კი კიდევ თქვენზედ დარჩება-თქო (ილია).

წაიდ, ბიეოლას მოახსენე... ნუ გეშინია, უთხარი, გიორგი გახლავით-თქო (ნ. ლორთქ.). მალაქიასთან გადირბინე, ვარლამია, და უთხარი: დედა შემოგვხვეწა-თქვა, ჩემო მალაქია, ეს ერთი დოქი ღვინო გამომიგზავნე-თქვა და მე ვიცი შენი ბატონის-ცემა-თქვა... ჩემო მალაქია-თქვა, ძალიან შემოგვხვეწა დედა-თქვა (დ. კლდ.).

მე ვევე ნაწილაკია გამოყენებული იმ შემთხვევაშიც, როცა პირველი პირი (მოსაუბრე) მეორე პირს ავალებს რაიმე უთხრას მასვე, მოსაუბრეს.

11. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები

მაგალითები:

რასა მწიკლზე, შე დალოცვილო, ავრე მეტყოდი, რომ შენი არ არის-თქო (ილია).
გ) -ო ნაწილაკით გადმოიციემა მესამე პირის ნათქვამი.

მაგალითები:

მოწამე ვაყვარო?—ჰკითხეს მოჭამავირეს (ილია).
ბრძანებაა—ოცდახუთი მანეთი წაერთოს და ორმოცდაათი რიზი დაეკრას იმასო, ვინც თავის ნაბატონარს დღეის იქით ბატონს დაუძახებსო (ილია).
ჩაი უნდა მიირთოთო,—მიხასუბა სტანციის გუშაგმა (ილია).
ვინა სთქვა—გლეხმა ჩვენზედ გული აიყარაო (ილია).
იტყოდა: მაგდონი არაფერი ხანიაო გასული (ილია).
შენ მეუღლა ვინ მოკაო,—უთხრა მან არწივს,—ჩვენ როდის ამოვირჩიეთო? (ვაჟა).
ამბობდა ვეღა: ეს რა ამბავია, რამ გააწყო ჩიტები, რომ ერთის ხმა აღარსაიღან იმისო? (ვაჟა).
ზაფხულშით კატას არ დააყენებდა სახლში, ბუკს შორს წააყვანინებდა, გააშვებინებდა, სხვისსაც არ გააქაჩანებდა თავის ეზოში: ბუბულებსა სჭამენ შეჩვენებულნიო (ვაჟა).
შენაო, რადგანაც მებატონე ხარო და კეთილშობილიო, გლეხთან წინ არ უნდა წამოღებო, გლეხთან პირში ბურთი უნდა გეღოსო; თუ ხმას ამოიღებო, კრძალვითა და შინით უნდა ამოიღოვო, არ უნდა უჩიელო გლეხსაო. თქვენივეს ეხლა სამართლის კარი დახშულიაო, რაც არიან ეხლა, გლეხები არიანო, მე თქვენს საჩივარს ყურსაც არ ვათხოვებო, ბატონებოა: გადაეარდაო და თქვენ ვილა ყრბარათო (ილია).

განსაკუთრებით ხშირადაა გამოყენებული -ო ნაწილაკი ანდაზებსა და თითქმის ნაწილაკიან წინადადებებში.

მაგალითები:

ბედაური ცხენი მათრახს აო დაიკრავსო (ანდაზა).
ახალი ცოცხი კარგად გვისო (ანდაზა).
ასწიე ღონესა ჰქვია, დასწიე—უღონობასაო (ანდაზა).
თითქო ალაღმა დაქროლა წიწილებსაო (ილია).

ევევე -ო ნაწილაკი იხმარება იმ შემთხვევაშიც, როცა მეორე პირის მიერ მესამე ან პირველი პირისათვის წინათ ნათქვამის ან მეორე პირის განაზრახვის განმეორება ხდება.

მაგალითები:

თქვენ კი მიხანეთ, გლეხთან სიტყვა ფრთხილად იხმარეო (ილია).
შენ ერთხელ მეტყვი, „მითხარო“, მე ასკერ გმტყვი „ვერასა“ („ვეფხისტყაოსანი“, 235).

ზემოაღნიშნული ნაწილაკები სალიტერატურო ქართულში ზეპირი მეტყველებიდან ჩანს შემოსული. ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში ამ ნაწილაკით ხმარების თითო-ორჯოდა შემთხვევა მხოლოდ აღნიშნული, საკმაოდ ფართოდაა წარმოდგენილი ეს ნაწილაკები უკვე „ვეფხისტყაოსანში“, ხოლო XVII—XVIII საუკუნეების ლიტერატურულ ძეგლებში, განსაკუთრებით „რუსულდანიანსა“ და დავით გურამიშვილის ნაწერებში, მეტად ფართო გასაქანი ეძლევა მათ.

მაგალითები „ვეფხისტყაოსნიდან“:

აღმოსავლეთით წადიო, პირსა იარე ზღვისასა (947).
ეხეწებოდა: „შეყო“, აქას ხეწენითა არებდა (894).
ველა პირზე ეტყვის ვაზირსა: „შე სიტყვა შევამყირეო, წა, ესე ჰკადრე შეჟესა, შე-ვინ-ვიდოდეს ვირეო; მიაჯე ამოდ ვაშვება და თავი გაიგმირეო, ასი ათასი წითელი შენ ჰრთამად შეიწირეო“ (741).
შერბანდინსკა ახარებდეს, ფიცხლად თავნი მისკენ არნეს;

„მოვიდაო, აქანამდის ვისთვის ღვინი გავემწარნეს“ (673).
მოვილა კაცი: „სასიო მოვაო“, მოსლუა გვახარა (548).
ახლოს მივე, შემომხედეს; „შმაგიაო“, ესე თქვესა (446).
„მონააო ამათისი“, საწოლს ვუთხარ შემოყვანა.
მოეწერა: „გობრძანებსო“, ვისი მესვა გულსა დანა (392).
ბრძანა: „მინდორს შეეცდებიო“, ლაშქარიცა დაერაზმა (170).
ველა უბრძანა: „თავსა ჩემსა, რას იტონი, რად დამგვოვო?“
ყმამან ჰკადრა: „მოგახსენებ და ფარმანი მიზოქეო, რაცა გაადრო, არ გეწყონოს, არ გაპრისხდე, არ გასწყერო, არ გახმადო კადნიერად, არ ამიკლო ამაზეო“ (65).
„ნეტარ რა უმძიძს, რა სჭირსო“, შექმენს ამისი ცილობა (56).
„კარგა ჰქმენო“,—დაუმაღლა, წყალობანი უიმედნა (61).
მუთემან ბრძანა: „ვნახეო მიზენი ღვინოა ლევისა“ (98).
ახარებდეს: „წამოყლაო“, დედოფალი გამობრუნდა (355).
მაშინდა ჰკადრე მეფესა არ საქმე სასურველია, აცნობე ჩემი სიკვიდილო, იყავ მართ ვითა მირვალაია, მიხხედა-თქო საქმე, რომელი ყოვლათვის გარდუვალაია (158).

განსაკუთრებით უხე მასლას იძლევა ამ მხრივ „რუსულდანიანი“.

მაგალითები:

მან უბრძანა: დღეს ხელმწიფეს ვერ შევეცილებიო, მან დეღამთ მეფის ასულმან გვრე მოახსენა: ხელმწიფისა რა შეიკლება იქნებაო, თქვენ თქვენსა სახლსა მიბრძანადო და მეფე თავისსა მივო. მე ჩემსედ მიბრძანა: ყერ ეს ვნახოთო, როგორიაო; თუ ეს არ მომეწონებაო, ის მის უარესი იქნებაო, ცუდად არ გავირჩებიო, ავრე ბძანა: ამოღამ გრა გაეწყომა რაო და სახელიოდ მე ჰკლს მოგამზადებო და თქვენ ვეზირი მოამზადეო და ჰკლსაც გაჩვენებო და ჰკორწილიც უყავითო. თურმე დედოფალმან სიზმარი ნახა, რომ ამ ხეს სამყერ შენოჯარეო და სამყერ ათაყვანი ვეო და კარა გაიღებო, ერთი მნათობი ჰკლი გამოვო, ის შენთვის მწვე საჩვენებელიაო.
დეღამთ მეფის ასულმან მოახსენა: არ ხელმწიფის საფერი საქურბლენი და ხაზინანი არიანო, მაგრამ მაშინც თავისთა ღლმით ნაშოებსა ავრე არ ზოიძულდესო, რომელ ცუდათა კაცთა დაჯანდოსო და ანუ გასაღებავად დავეყაროსო. ნახოს ხელმწიფემან, თვისნი ბუკვდნი დასხნასო, რომე სხვათა კაცთა ცნან, ბატონი ჰყაო.
რა ეს შისგან მოვისმინე, გულსა ჩემსა ვერე უთხარ: თუ ეს ანბავი მართალია, ამის უკეთესსა რას ვნახავ-მეთქი და ანუ ამისთანას რას ვამებ ჩემთა მშობელთა-მეთქი, რომ ასეთის ჰრესტიანის ხელმწიფისა თვლით ნახული ანბავი უინო-მეთქი.
მოგახსენე: უწიგნოდ ვერსად წახვალ, თავად მომკლავს და, თუ არ მომკლავს, არ დამიყრებს-მეთქი.

XIX საუკუნის სალიტერატურო ენაში დაახლოებით ისეთი სახე მიიღო ამ ნაწილაკების ხმარებამ, როგორც ზემოთ იყო წარმოდგენილი. -მეთქი, -თქო || თქვა, -ო ნაწილაკები წინადადების ყველა წევრს შეიძლება დაერთოს, მაგრამ ჩვეულებრივ ნაწილაკი შედარებით ერთგვარია; რთული წინადადების შემადგენლობაში იგი ყოველ შემადგენელ წინადადებაში შეიძლება შეგვხვდეს; სტილისტიკური მოთხოვნების შესაბამისად იგი წინადადების სხვა წევრებსაც შეიძლება დაერთოს და ერთისა და იმავე წინადადების ფარგლებში განმეორდეს კიდევ (იხ. მაგალითები ზემოთ).

ნაწილაკიან წევრი ჩვეულებრივ წინადადების ბოლოშია (მარტივ წინადადებაში, რთული წინადადების შემადგენლობაში შემავალ მარტივ წინადადებებში...) ან წინადადების ბოლოსაც და შიგნითაც ერთად (ერთგვარწევრისმსმენლობიან წინადადებაში). წინადადების ბოლოს დასმული ნაწილაკიან წევრი უფრო ხშირად შე-

მასმენელთა, მაგრამ წინადადების ბოლოს ნაწილაკი სხვა წევრებსაც შეიძლება დაერთოს, წინადადების შენგნთ კი ნაწილაკი ჩვეულებრივ მხოლოდ შემასმენელს დაერთვის, საერთოდ იმ წევრს, რომელსაც საპრედიკაციო მნიშვნელობა აქვს.

მაგალითები:

გაისარგე და ირჩინე თავი... ვირჯულოდი და უტკივარ ლუქას ვკამდო (ილია). პატივისცემი დედაცაიო ეს ოთარაანთ კეროვი,—ხშირად უოქვამთ დასაცა და მამასაცა (ილია).

ამბობდნენ გლეხაკები: ბარს დაკრავს, ასე გვონია, დედამოწა უნდა შუაგულმდე ჩაანგრისოსო (ილია).

აქო მოვახსენეთ, გაკიადვილებთ-მეთქი საუკნიერო სიტყვის გაკებასა (ილია).

რა ღროს შევაზნეაო ცხენისა? (კ. გამს.).

ჩვენ გადავლახეთო შენს მკაიერად არავს (კ. გამს.).

ანლაზებში ნაწილაკიანი წევრი ჩვეულებრივ ბოლოსა დასმული. ნაწილაკები ჩვეულებრივ ერთხელა გამოყენებული წინადადებაში.

მაგალითები:

ხშირად დავეკითხებოდი ხოლმე ძიძას: რა დეშევა კრუბა კორს, რომ წიწილეს სტაკებს და არ ასენებს-მეთქი? (აკაკი).

მე სიტყვა მოუტუტური კიდევ: ნახევარი ჩემი ობლებისა-მეთქი (ილია).

ამბობდა ყველა. ეს რა ამბავია, რამ გააწყო ჩიტები, რომ ერთის ხმა აღარსად იმისო (ვაჟა).

მაგრამ (განსაკუთრებით რთულ და ერთგვარწევრებიან წინადადებაში) იგი შეიძლება რამდენჯერმე იყოს გამოყენებული.

მაგალითები:

ასე რომ შენაო, ჩადვანაც მებატონე ხარო და კვილოშობილიო, გლეხთან წინ არ უნდა წამოდგეო (ილია).

ხმელ წიფლის ძირს. კლდში, ეფუბი დაბუდებულაო,—ხმა ისმის სოფელში,—ლეკვები დაუყრიო, მონადირეებს ენახაო ხმელ წიფლის გარშემო დედა ვადხის და იმის ლაკეების კვალიო (ვაჟა).

რატუ არ დაქველვით თავის თავსაო? სად დაქვარგეთ ი კაცი, რატუ არ მოსამბნითაო? (ვაჟა).

მოთხრა: ასეთი ალაგით მოველო, რომ, ტყევიან დამივლიო. არც იმის უკუთესი ქალაქი მინახავსო და არც იმისთანა ხელწვიფე ამაღ მსმენიაო. ქრისტიანე ხელწვიფე არიო და ხელწვიფისა ქრისტიანობისა გონება კაცისა არ მისწიდეაო. ქალაქს ყუჭთლის ქალაქი ჰქვიანო და ხელწვიფისა სახელი ნუშრევან არისო (რუსუდ.).

დელამთ მეუის ასულმა ვერე მოთხრაო: ვინ იცის, ხელწვიფემ აქეთ შესვლა მოიწლო-მოს, დავალო, თორემ ხმა დავარდებო და სულ გაცუდდებო ეს ქალაქი და ეს სასახლეო, რა ყველა იმის ანბავს სენოსო, რაღას ვვარგებაო! აჲ მე აქათვე წავალ, თქვენ ვე კარი ისევ დაკლიტეო, კლიტე თან წაიღეო და სასახლეში მიდო, მეც იქ მოვალო, ევეთბ, სულ ამ ქალაქად ას ღირდეს, რა კლდე ნახოო (რუსუდ.).

მლაქიასთან გადირბინე, ვარლამია, და უთხარი: დედა შემოგვხევა-თქვა, ჩემო მალაქია, ეს ერთი დოქი ღვინო გამომიგზავნე-თქვა და მე ვიცი შენი პატივისცემა-თქვა... ჩემო მალაქია-თქვა, ძალიან შემოგვხევა დედა-თქვა (დ. კლდ.).

უმეტეს შემთხვევაში ნაწილაკის განმეორება გარკვეულ სტილისტიკურ ზეგნებს წარმოადგენს პერსონაჟის მეტყველების დასახასიათებლად.

სხვათა სიტყვის ნაწილაკთა ხმარებასა და მართლწერაში ერთგვარობა დატული არაა.

ა) ზოგი მწერალი (აკაკი წერეთელი, დ. კლდიაშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე და ზოგიც სხვა) -თქო (||-თქვა) ნაწილაკს იმერული კილოს გავლენით პირველი პირის ნათქვამის გადმოსაცემად იყენებს.

მაგალითები:

მასპინძელს ვეტყვი, მიზეზს გვაჯებინებ—საქმე გვაქვს, უსათუოდ ხვალ აღრიანად წამავალი ვარ-თქვა, ძალიან საჭირო საქმეზედ-თქვა... შენი პატივისცემაც მიწოდდა-თქვა და ამასთან დაშორებაც არ შემეძლო-თქვა და ამისთანები (დ. კლდ.).

ღმერთს ვებეჭებოდი: ღმერთო, სტუმრებს ნუ გამოგვილეუ-თქო (აკაკი). მე გიმნახიაში მიგეჭებოდა და დავიბარე შენ: რომ დავბრუნდები, ფოსტიდან გამოვიტან-თქო (აკაკი).

სახლში მიქვს დაბარებული: უსათუოდ მოვალ ამაღ-თქვა (დ. კლდ.). მე მაღლი მოვახსენე და სიცილით ვუთხარი: დღეს კიდევ გადავრჩი-თქო (აკაკი). ნუ მომშალოს ამისთანა მგზი-თქო—გავივლე გულში (აკაკი).

ახლა-კი მშვილობით-თქო—ვუთხარი და გახარებულა დავბრუნდი პეტერბურგში (აკაკი).

ბიჭო, რა გუბუნებოდი, მზეთუნახავს ენახავთ-თქვა, სწორედ იმ გზაზე გავივლით—ვინ მზეთუნახავია, რას ბოდავ?—ა, რომ გუბუნებოდი, მივეპაროთ-თქვა (ნ. ლორთქ.).

მეგონა, მცდის-თქვა (დ. კლდ.). ათასჯერ მოთხრობია შეთვის: ნუ ხარ ღვინო-თქვა, ნუ ხარ დავახაკავებულო-თქვა (დ. კლდ.).

ვიფიქრე—დამტყვევებ-თქვა, მარა შენც არ მომიყვდე. წელი არ გავხრია (ნ. ლორთქ.). [ანას] შევებეწე: ...ერთი მტვეანი მეც მომიწყვიტე-თქო (აკაკი).

ბ) გათე-ფშაველა პირველი პირის ნათქვამის გადმოსაცემად ი-ო ნაწილაკს იყენებს ფშავური კილოს გავლენით.

მაგალითები:

ირემი მოვარდა გაჩქარებით, დაეწავა ჩემს წმინდა წყალს, დალია და გაძღა. მაშინ გულდამშვიდებულმა ვსთქვი: არა ვარ გამშრალი, არაო, თბილად დავაწვინა, მაგრამ კიდევ ჩემი ნახალიც დავხურე ღვეინს, არ შესცივდესო. დაითხიე აქითაო—ვუთხარი,—განავარძო დარეგანმა.

მემრე დავფიქრად: როგორღა იტირებს ჩემი შვილი, მიწაში ჩამალაო. შევებეწე ჩემის მამის სალოცავთა: დამსვენეთო.

ვიფიქრე: ე ჩამოსადნობი, რას უწევარ ამაში? მე აქა ვწევარ მშრალად და ეს ამოდენა ნიაღვარი ჩემს შვილს გადასდის თავზედაო.

-ო ნაწილაკის გამოყენება პირველი პირის ნათქვამის გადმოსაცემად ამჟამად უნდა დაფასებულ იქნეს როგორც დიალექტური მოვლენა, მაგრამ ძველად იგი სალიტერატურო ქართულისათვის იყო დამახასიათებელი „ევეფხისტყაოსანში“ გვაქვს ამის მაგალითი:

„მონაო ამნათისი“, შემოყვანა ვუთხარი შენა, გულსა შენა დავუხრახე: „რა მშოვაო ანუ ვინა?“ (363).

„რუსუდანიანში“:

მე ვერე მოვახსენე: მე არა და, ძმაცა მყვანდეს და ანუ შვილი, იგია არა ღირსა გვოდენს თქვენს, სარჯელსა-მეთქი, ვინა ჩემის ღვინის გაგრძელებას თქვენთა მშობელთა გახარება სქობსო და თქვენი და იმათი ერთგან შეყრაო.

მოვახსენე: ამის მეტი არა უნდა რაო, მაგრამ ეს მუღანანა არიო, რომ ამისმა პატრონმა ამისი ხმარება არ იყოდეს-მეთქი.

გ) -მეთქი და -თქო ||-თქვა ნაწილაკები იწერება ზოგჯერ წინადადების წევრთან ერთად (შერწყმულად), ზოგჯერ ცალკე, ზოგჯერაც ეს ნაწილაკები წინადა-

დების წევრისაგან დეფისითა გამოყოფილი. -ო ნაწილაკი თითქმის ყოველთვის წინადადების წევრთან ერთად იწერება.

დ) სხვათა სიტყვის ბრქვალბშიაც სვამენ და უბრქვალბოდაც წერენ. ბრქვალბის ხმარების შემთხვევაშიც სხვადასხვაგვარი დაწერილობა გვხვდება:

„მოვიდა-მეთქი“,	„მოვიდა“-მეთქი,
„მოვიდა-თქო“,	„მოვიდა“-თქო,
„მოვიდაო“,	„მოვიდა“-ო.

-ო ნაწილაკს წინადადების წევრისაგან დეფისით მხოლოდ ამ შემთხვევაში გამოყოფენ.

ე) -თქო და -თქვა პარალელური ფორმებისაგან თანამედროვე სალიტერატურო ქართულში უნდა დატოვებულ იქნეს მხოლოდ ერთი ფორმა.

ვ) მრავლობით რიცხვში ჩვეულებრივ იგივე ნაწილაკებია გამოყენებული, რაც მხოლოდით რიცხვში გვხვდება. ერთადერთ გამონაკლას ამ შემთხვევაში წარმოადგენს -მეთქი ნაწილაკის ხმარება. მისი გამოყენება მრავლობითი რიცხვის ფორმებთან გარკვეულ უხერხულობას ქმნის და ამის გამო არც გვხვდება. ამის საფუძველი ის ფაქტი უნდა იყოს, რომ -მეთქი ნაწილაკის ეტიმოლოგია ნათელია: ზოგიერთ კოლოში „მე ვთქვი“ ფორმაც კი იხმარება. შდრ.: მე აღვნიშნე: ავტორის ეს მოსაზრება შემცდარი არის -მეთქი; ჩვენ აღვნიშნეთ: ავტორის ეს მოსაზრება შემცდარი არის-მეთქი.

-მეთქი ნაწილაკის გამოყენება უკანასკნელ შემთხვევაში უხერხულია.

ამ შემთხვევაში გამოყენებულია -თქო და -ო ნაწილაკები. -თქო ნაწილაკია გამოყენებული შემდეგ მაგალითებში:

როგორც ვუთხარი—მეფისთან უნდა წამოხვიდე-თქო, იმაც წამს დაკვეთანმა (ნ. ლორთქ.).

თანაც დავსქენდი, რომ შესაძლოა მთავრის წყებაში კოლოფანიტის ძარღვები და კონკრეციები სხვაგანაც იქნეს აღმოჩენილი-თქო („საქართვე. მეცნ. აკადემიის მოამბე“).

სალიტერატურო ენის ტრადიცია უფრო -ო ნაწილაკის გამოყენებას უჭერს მხარს. ჯერ კიდევ „ვეფხისტყაოსანში“ გვაქვს:

ვთქვით, თუ: მზაო ქვეყანად, ნუ ვეზბნებით ცადენით“ (205).

„რუსულდანიანში“ ასეთი მაგალითები ჩვეულებრივია:

ზოსროს ვუთხარი: მაგ მონამ დაგიწუნაო, ისინი რაღას გაქნვენო.

ვსვამლით და შევექცეოდით, ვამბობდით: აეს კაცს ბეჭი კი შესაქცევი ჰქონიაო.

ზემოთქმულის საუფუძელზე სხვათა სიტყვის გამოყენებასა და მართლწერაში ერთგვარობის დამყარების მიზნით უნდა გატარდეს შემდეგი წესები:

1. პარალელური ფორმებისაგან -თქო და -თქვა თანამედროვე სალიტერატურო ქართულში დატოვებულ იქნეს მხოლოდ ერთი ფორმა— -თქო.

2. -მეთქი ნაწილაკი გამოყენებულ იქნეს პირველი პირის (მოსაუბრის) წინათ ნათქვამის ან განაზრახის განმეორებით გადმოსაცემად იმ შემთხვევაში, როცა პირველი პირი მხოლოდობითი რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი.

3. იმ შემთხვევაში, როცა პირველი პირი მრავლობითი რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი, მის მიერ წინათ ნათქვა-

მის ან განაზრახის განმეორებით გადმოსაცემად გამოყენებულ იქნეს -ო ნაწილაკი.

-ო ნაწილაკის გამოყენებას ამ შემთხვევისათვის მხარს უჭერს სალიტერატურო ენის ტრადიცია და აგრეთვე ისიც, რომ ხმარებულ ნაწილაკთან -ო ყველაზე უფრო ზოგადია (გამოყენებულია III და II პირის ნათქვამის გადმოსაცემად, კილოებში I პირის ნათქვამის გადმოსაცემად). ამასთან მისი ეტიმოლოგია აღარაა ნათელი, საცხებით ნაწილაკადაა ქცეული.

4. იმ შემთხვევაში, როდესაც I პირი თავის ნათქვამს აბარებს II პირს III პირისათვის გადასაცემად, გამოყენებულ იქნეს -თქო ნაწილაკი. რიცხვს ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს. ეგვევ ნაწილაკი იქნეს გამოყენებული იმ შემთხვევაშიც, როცა პირველი პირი მეორე პირს ავალებს რაიმე უთხრას მასვე, პირველ პირს.

5. -ო ნაწილაკი გამოყენებულ იქნეს:

ა) III პირის ნათქვამის გადმოსაცემად,

ბ) II პირის ნათქვამის გადმოსაცემად,

რიცხვს არც ამ შემთხვევაში აქვს მნიშვნელობა.

6. -ო ნაწილაკი დაიწეროს წინადადების წევრთან ერთად, შერწყმულად, -მეთქი და -თქო ნაწილაკები გამოიყოს წინადადების წევრისაგან დეფისით.

7. მარტივ წინადადებაში ნაწილაკიანი წევრი ჩვეულებრივ ბოლოში დაისვას. სხვა ადგილას ნაწილაკიანი წევრის დასმა შესაძლებლად იქნეს მიჩნეული მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ზმნაა.

8. არ იქნეს შეზღუდული ნაწილაკიანი წევრთა რაოდენობა წინადადებაში (განსაკუთრებით ერთგვარწევრებისა და რთულ წინადადებებში). ნაწილაკიანი წევრთა რაოდენობა განისაზღვროს სტილისტიკური საჭიროების მიხედვით.

9. -მეთქი, -თქო და -ო ნაწილაკებიანი სხვათა სიტყვა ბრქვალბში არ ჩაისვას.

ვალორძინებდი, ვალორძინებდე, ავალორძინე, ავალორძინო, ამილო რძინებია, აშე-
ლორძინებინა ფორმები. ამის მიხედვით გაკეთდა ვნებითი ფორმები: ღორძინდებდა,
ღორძინდებოდა, ღორძინდებოდეს და ა. შ. ამის მიხედვითვე მივიღეთ მიმოვობები:
ასალორძინებელი, ამალორძინებელი...

თუ დღევანდელ სალიტერატურო ქართულში ეს ფორმები უკვე დამკვიდრე-
ბულია, XIX საუკუნის მეორე ნახევარში აღვიარებ || ვაღიარებ ფორმათა საკით-
ხი გაცხოველებული პოლემიკის საგანი იყო. ცნობილია, მაგალითად, XIX საუ-
კუნის მიწურულში სილოვან ხუნდაძესა და იაკობ გოგებაშვილს შორის გამარ-
თული ცხარე კამათი: პირველი მათგანი აღვიარებ ფორმას იცავდა, ხოლო მეორე
—ვაღიარებ ფორმას. მართლაც, XIX საუკუნის მწერლობაში პარალელური ფორ-
მები გვხვდებოდა.

...საშინაო და საზოგადო ვითარება... უნდა ვ აღიაროთ... (ილია).

ეს კი უნდა აღვიაროთ (ილია).

მოახსენა: რას მიზრძინებუ! აღვიარებ სიმართლესო (აკაკი).

შე აღვიარებ შენს სჯულსა (აკაკი).

ოქრუამ... გადასწყვიტა—ყოველივე სიმართლით აღვიარებინა და აღიარა კი-
დეს (ე. ნინოშვი.).

...დავითი თვითონაც აღვიარებდა ხანდახან (ე. ნინოშვი.).

ამ უკანასკნელი სახის ფორმების ხელოვნურად დამკვიდრების ცდას თან-
მედროვე მწერლობაშიც აქვს ადგილი (მაგ., კ. გამსახურდიას ნაწერებში).

აღორძინებს ზმნაში ახალი ფორმები ერთადერთია.

რამ აღლორძინა თვითმოქმედებითი ძალა? (ილია).

მას არ დაუტყურობთ სამშობლოს, რაც შრომით აღლორძინდა (გ. ლეონ.).

ჩეჩნები ესალმებოდნენ თავის სამშობლოს, რომლის... ასალორძინებლად

შამას შვილი არ შეუწყალებია (ა. ყაზბ.).

გონების თვალთ ის ეხლა მხედავდა იმ ქეშმარიტების ზრდას, რომელიც მომადლა
იმან ტანჯულ კაცობრიობას და რომლის ასალორძინებლად ეხლა უნდა
დაენთხია წმინდა სისხლი თავისი (ვ. ბარ.).

[ამერიკული თეზისი], როგორც ცნობილია, ხელ-ფებს უხსნის გერმანულ მილიტარის-
ტებს რეჟანსიტული არმიის ასალორძინებლად დასავლეთ გერმანია-
ში („კომ.“).

მთელმ: მსოფლიომ იცის, რომ უკანასკნელ დროს... იღებენ ყოველგვარ ღონისძიებებს
დასავლეთ გერმანიის რეგულარული არმიის ასალორძინებლად („კომ.“).

მაგრამ აქა-იქ უმართებულო ფორმებიც გვხვდება:

თვით უძრავნი ყვავილნიც კი თითქოს შეიძინენ, ვადიშაღნენ, იცვალეს მკრთალი ფე-
რი და, ღამის ნამით გალორძინებულნი, მსწრაფლ გაცხოველდნენ
(ა. ყაზბ.).

თუ ჩემი მტერი ჩემი გულის გასახარად ჩემს შვილსა და შვილიშვილში გალორ-
ძინებულს ვერ დამინახავს, ქვეყნად ტყუილად მივლია ბალახის მაძოვარი-
ვითა (ბ. ჩხ.).

XIX საუკუნის II ნახევრიდან მოყოლებული, პრევერბისეული ნ, დ, რ თან-
ხმოვნების ფუძესთან შეხორცების მაგალითები მრავლდება. ჩნდება ფორმები:
ანვითარებს, ანვითარებდა, ანვითარებდეს, გაანვითარებს, გაანვითარებდეს,
გაანვითარა, გაანვითაროს, გაუნვითარებია, გაუნვითარებინა, გაუნვითარებინოს.

ინვითარებს...

უნვითარებს...

უნვითარდება, უნვითარდებოდა, უნვითარდებოდეს, გაუნვითარდება, გაუნ-
ვითარდებოდა, გაუნვითარდა, გაუნვითარდეს.

გასანვითარებელი, გაუნვითარებელი.

და ამგვარად:

ანსახიერებს...

ანსხვავებს...

ანციფერებს...

ანხორციელებს...

ანთავისუფლებს...

ანზოგადებს...

ანრისხებს...

ანცალკევებს...

ანცხადებს...

ანმარტოებს...

ანმტკიცებს...

არღვენს...

აღწუთობებს...

აღფრთოვანებს...

ღწრდის...

ღძრავს...

ღნიშნავს...

ნკურნავს...

უფრო იშვიათად:

ღგვის (აღგვის)

ღწუსხავს (აღწუსხავს)

ღმართავს (აღმართავს)

ღჭურავს (აღჭურავს)

ღკვეთს (აღკვეთს)

ღრცხავს (აღრცხავს)

ღსაზღვრავს (აღსაზღვრავს)

ღწირავს (აღწირავს)

შედარებით უფრო ხშირია შეხორცების შემთხვევები კაუზატის ფორ-
მებში:

იშვიათია წსაზღვრავს, მაგრამ ხშირია: ვანსაზღვრინებს, მანსაზღვრინებს,
გაგანსაზღვრინა,

ასევე, შდრ. იშვიათი ნწირავს, მაგრამ: ანწირვინებს, გაანწირვინა, გაუნწირ-
ვინებია.

საილუსტრაციო მაგალითები:

გაკვეთილების დაწყებისას მონიტორები ამ ნიშნებს ურდგენდნენ მასწავლებელს
(გ. თავზ.).

განსაკუთრებული სიმართლელი... ურდგენს მას თავისი მუშაობის ახგარიშს
(სამოქ. სამ. კოდექსი, 1938).

...ექსლუატი ანთებით უბანში აწვავებს შხამიან ნაწარმებს... (ვლ. ჟღენტი, პათ. ანატ.),
ახალგაზრდა ქალის ფიგურა... მოქანდაკის განზრახვით, ქართულ ერს უნდა აწხორ-
ციელებდეს (გ. ქიქ. ეტიუდ.).

ვეფქრობ ქეშმარიტ ხელოვნებაზე, რომელიც ნამდვილად გვადფრთოვანებს და გავლუ-
ვებს („თბილ.“).

შეგრძნება იმისა... მაღფრთოვანებდა („თბილ.“).

...ის დიდი ისტატობით ანვითარებს სოუვეტს (გ. ქიქ.).

ის ღრმატიულად ანვითარებს თავის სიუჟეტს (გ. ჭიქ.).
რა სიჩქარეს ანვითარებდა მეორე მანქანა? (ა. ხარაბაძე, არიომ. ამოც.,
V—VI კლ.).

თვითმფრინავი ანვითარებდა 360 კმ-ის სიჩქარეს (იქვე).
ის... ანვითარებდა... პრაქტიკას (დარჯინიზმი, IX კლ.).
...არასაკმაოდ ანვითარებენ და ავრცელებენ გამოცდილებას („ახ. კომ.“).
„კანონის“ ავტორი ანვითარებდა... ექიმთა მთელს გამოცდილებას („ახ. განათლ.“).
რედაქციები სუსტად ანვითარებენ... მეცადინეობის გამოცდილებას („კომ.“).
...გვიამბო, როგორც ანვითარებდა მისი ბიჭი ყველაფერს, რასაც თითონ დიდდა
წიგნებში უკითხავდა (გ. ნატრ.).

ტეტლოს იგი ანვითარებს როგორც დიდბუნებოვან ადამიანს („კომ.“).
პირველი რატომღაც ანვითარებდა პატარა ბავშვის როლს („ლიტ. და ხელ“).
ლუციუსისაგან მას ანვითარებს... ჩანარების არაარსებობა (ა. თვალჭრ.).
ჩვენ განსხვავებით თბილ სხეულებს ცივისაგან (ფიზია, VIII კლ.).
ანვითარებენ შექცეული რეაქციის ორ ტიპს (პეტროგრაფია).
ანვითარებენ ორი სახის მოძრაობას (თბოვანადმიმართული სავაჭრ.).
პავლოვი ანვითარებს ოთხ ასეთ ტიპს (დარჯინიზმი, IX კლ.).
პროფესორი კულევსკი ანვითარებს ორ ძირითად ტიპს ცხენებს (მეცხენ.).
განთავისუფლებ (გ. ხარნ.).

...მშობლებს ანთავისუფლებდა ყოველი ხარჯისაგან შვილის აღზრდაში (დ. კლდ.).
გულდაზრდობით... ანთავისუფლებ შტარვალებისაგან (შ. არაგვ.).
დროგამოშვებით ორიოდ ტყვეს ყიდულობდნენ და ანთავისუფლებდნენ (მ. ჭავჭავაძე).
განთავისუფლებთ ჩავრულ ერებს... (გ. გაფრ.).
განთავისუფლებთ პროპორციები წილალებისაგან (ა. ხარაბ.).

საინტერესოა, რომ ილიასთან ასეთი ფორმებიც კი გვხვდება:

1549 წელს იფეთქა გლეხობის ანდრეულობამ.
განხეთქილების საქმე ზღაგერ ანდრეულად მიჰყავს ხოლმე.
ინგლისში მუშაობა ანდრეულად მოხდა.

რასაკვირველია, ეს არ ნიშნავს იმას, თითქმის ასეთი ფორმები გაბატონებული იყოს. გაბატონებულია ფუძეს შეუხორცებული, მართებული ფორმები და ამის მრავალი ნიმუში შეიძლება იქნეს დასახელებული. ამგვარად ჩვენთვის მთავარი ისაა, რომ ასეთი ფორმები საკმაოდ ხშირად გვხვდებოდა XIX—XX საუკუნის მწერალთა ენაშიც და უფრო იშვიათად, მაგრამ გვხვდება დღესაც.

ფუძესთან პრევერბისეული თანხმონის შეხორცების შემთხვევები მეტად ხშირია დასავლურ კილოებში, განსაკუთრებით გურულსა და იმერულში. სანიმუშოდ რომ წარვადგინო ზმნა ავილოთ, ასეთი სურათი გვეჩვენებოდა.

ვარდენ, ვარდენდი, ვარდენდე, წავარდენ, წავარდენდი, წავარდენი, წავარდენი, წამირდენი, წამირდენი, წამერდენი, წამერდენი.

ვირდენ, ვირდენდი, ვირდენდე, წამევირდენ, წამევირდენდი, წამევირდენი, წამევირდენი, წამომირდენი, წამომირდენი, წამომერდენი, წამომერდენი.

წამორდენი, წამორდენი, წამოსარდენი, წამონარდენი, წამომარდენი და ა. შ.

ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ ყველა ზმნაში არ ხდება პრევერბისეული თანხმონის შეხორცება ფუძესთან შეხორცება ერთი შეხედვით თითქმის იმ შემთხვევაში უნდა ხდებოდეს, როცა სხვადასხვა პრევერბი დაერთვის ფუძეს და სხვადასხვა მნიშვნელობას ანიჭებს მას. რადგან აწმყოში პრევერბი ზმნას არა აქვს, ამ მნიშვნელობათა გარჩევა აწმყოში უფრო ხერხდება, ამიტომ თითქმის პრევერბისეული თანხმონის შეხორცება აწმყოში სადიფერენციაციო საშუალებაა და შემდგომ სხვა დრო-კილოებში მიაჩნიათ გადატანილად.

შდრ.: არდგენს (წარადგენს ან წარმოადგენს) და ადგენს (დაადგენს, შეადგენს); ღვეის (ალვეის) და გვის (დაგვის, გაგვის); ღვეთს (ალვეთს) და კვეთს (მოკვეთს, გაკვეთს); ღძრავს (აღძრავს) და ძრავს (დაძრავს); ღნიშნავს (აღნიშნავს) და სხვ.

ზოგჯერ ასეთ ვარაუდს არდგენს და მისთ. ფორმათა სალიტერატურო ქართულში დაკანონების საბუთადაც კი იყენებენ.

მაგრამ. რა თქმა უნდა, ეს ასე არ არის. ჯერ ერთი, კიდევაც რომ არდგენს ფორმა წარადგენს ზმნის აწმყოდ იქნეს მიჩნეული და ამით განსხვავების დამყარება მოხერხდეს აწმყოში, როგორღაც განვსახვათ აწმყოში მაინც შეადგენს, დაადგენს და მისთ. ფორმები? მეორე, ქართულში არის მრავალი ზმნა, რომლებიც სხვადასხვა პრევერბდართული სხვადასხვა მნიშვნელობისა და აწმყოში ამ მნიშვნელობათა გარჩევა არ ხერხდება, მაგრამ ამ ზმნებში პრევერბისეული თანხმონის ფუძეს არ შეხორცებია (შდრ. აგებს—დააგებს, წააგებს, წამოაგებს, განაგებს, მიაგებს, მოაგებს, ჩააგებს, გადააგებს, ააგებს, გამოაგებს, ჩამოაგებს და სხვ.).

მესამე, რაც მთავარია, პრევერბისეული თანხმონის სწორედ ისეთ ზმნებშია უფრო ხშირად ფუძესთან შეხორცებულად ნახვარი, რომელთაც მხოლოდ ერთი პრევერბი დაერთვის და, მაშასადამე, აწმყოში მნიშვნელობათა დიფერენციაციის საჭიროება არ არსებობს:

ანსახიერებს
ანსხვავებს
ანცვიფრებს
ანხორციელებს
ანვითარებს
ანვითარებს
ანთავისუფლებს
ანცხადებს
ანცალკევებს და მისთ.

ისეთი ფორმების გამართლება, რომელთაც ფუძესთან პრევერბის თანხმონი აქვს შეხორცებული, არც იმით შეიძლება, რომ ამ შემთხვევაში თავს იჩინოს თითქმის ის დიფერენციაცია მნიშვნელობებისა, რომლებიც პრევერბების ძველ და ახალ სახეობათა ხპარებით მყარდება (შდრ. აზრდა და აღზრდა; აქედან ზრდის და ღზრდის).

შეხორცება პრევერბისეული თანხმონისა ფუძესთან ეხება ზმნების ძალიან მცირე რაოდენობას და, ცხადია, ეს არ შეიძლება გამოდგეს იმ გაურჩევლობის აღსაკვეთად, რომელიც ახალ ქართულ ენაში ზმნათა აწმყოს ფორმებში გვაქვს პრევერბის დაურთველობის გამო. სხვადასხვა პრევერბიანი ზმნა აწმყოში კონტრასტის მიხედვით უნდა გაიაროს.

მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ფუძესთან შეხორცის ყველაზე მეტ უნარს განპრევერბისეული თანხმონი იჩინს. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ უმართებულო ფორმები ანახლებს, ანახლებდა, ანახლებდეს (ნ მხოლოდ ამ სამ ფორმაშია შეხორცებული ფუძესთან) ძალიან გავრცელებულია თანამედროვე სალიტერატურო ქართულში (შდრ. ანახლებს და აახლებს).

ნათქვამის საფუძველზე თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ის ფორმები, რომლებშიც ფუძეს შეხორცებულია პრევერბისეული თანხმონი, უმართებულოდ უნდა იქნეს მიჩნეული.

გამონაკლისის წესით პრევერბისეული თანხმოვანი ფუძისთან შეხორცებულად უნდა დაჩრებს ალიარებს და აღორძინებს ზმნებში, სადაც პრევერბისეული თანხმოვნის ფუძისეულად გააზრების პროცესი კარგა ხანია დამთავრებულია და სალიტერატურო ენაში დამკვიდრებულია ამის შესაბამისი ფორმები.

იშვიათ შემთხვევაში შესაძლებლად უნდა იქნეს მიჩნეული პრევერბიანი ფორმის გამოყენება აწმყოს მნიშვნელობით: **შუამდგომლობას აღძრავს, წარმოვადგენ სათანადო სახუთებს...**

ამის მიხედვით თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენისათვის

მართებული ფორმებია:

ათავისუფლებს, ათავისუფლებდა,
ათავისუფლებდეს

გაათავისუფლებს || განათავისუფ-
ლებს, გაათავისუფლებდა || განათავი-
სუფლებდა

გაათავისუფლა || განათავისუფლა,
გაათავისუფლოს || განათავისუფლოს

გაუთავისუფლებია || განუთავისუფ-
ლებია, გაუთავისუფლებინა || განე
თავისუფლებინა, გაუთავისუფლებინოს
|| განეუთავისუფლებინოს

ითავისუფლებს, ითავისუფლებდა,
ითავისუფლებდეს

გაითავისუფლებს || განითავისუფ-
ლებს, გაითავისუფლებდა || განი-
თავისუფლებდა

გაითავისუფლა || განითავისუფლა,
გაითავისუფლოს || განითავისუფლოს

უთავისუფლებს, უთავისუფლებ-
და, უთავისუფლებდეს

გაუთავისუფლა || განუთავისუფლა,
გაუთავისუფლოს || განუთავისუფლოს

უთავისუფლდება, უთავისუფლ-
დებოდა, უთავისუფლდებოდეს

გაუთავისუფლდა || განუთავისუფლ-
და, გაუთავისუფლდეს || განუთავი-
სუფლდეს

გასათავისუფლებელი || განსათავი-
სუფლებელი

გამათავისუფლებელი || განმა-
თავისუფლებელი

უმართებული ფორმებია:

ანთავისუფლებს, ანთავისუფლებდა,
ანთავისუფლებდეს

გაანთავისუფლებს, გაანთავისუფლებდა

გაანთავისუფლა, გაანთავისუფლოს

გაუნთავისუფლებია, გაუნთავისუფლ-
ებინა, გაუნთავისუფლებინოს

ინთავისუფლებს ინთავისუფლებდა, ინ-
თავისუფლებდეს

გაინთავისუფლებს, გაინთავისუფლებდა

გაინთავისუფლა, გაინთავისუფლოს

უნთავისუფლებს, უნთავისუფლებდა,
უნთავისუფლებდეს

გაუნთავისუფლა, გაუნთავისუფლოს

უნთავისუფლდება, უნთავისუფლდება
და, უნთავისუფლდებოდეს

გაუნთავისუფლდა, გაუნთავისუფლდეს

გასანთავისუფლებელი

გამანთავისუფლებელი

**ამგვარადვე სხვა ზმნებში
მართებული ფორმებია:**

ასხეავენ და ა. შ.
აცვიფრებს და ა. შ.
ასახიერებს და ა. შ.
ასორციელებს და ა. შ.
აზოგადებს და ა. შ.
არისხებს და ა. შ.
აყალკეებს და ა. შ.
აცხადებს და ა. შ.
ამარტოებს და ა. შ.
ამტკიცებს და ა. შ.
აურნავს და ა. შ.
ადგენს (წარადგენს) და ა. შ.
აშფოთებს (აღაშფოთებს) და ა. შ.
აფრთოვანებს (აღაფრთოვანებს)
და ა. შ.
ზრდის (აღზრდის) და ა. შ.
ძრავს (აღძრავს) და ა. შ.
ნიშნავს (აღნიშნავს) და ა. შ.

უმართებული ფორმებია:

ანსხეავენ და ა. შ.
ანცვიფრებს და ა. შ.
ანსახიერებს და ა. შ.
ანსორციელებს და ა. შ.
ანზოგადებს და ა. შ.
ანრისხებს და ა. შ.
ანაყალკეებს და ა. შ.
ანცხადებს და ა. შ.
ანამარტოებს და ა. შ.
ანამტკიცებს და ა. შ.
ანაურნავს და ა. შ.
ანადგენს და ა. შ.
ანაშფოთებს (ანაღაშფოთებს) და ა. შ.
ანაფრთოვანებს (ანაღაფრთოვანებს)
და ა. შ.
ანზრდის და ა. შ.
ანძრავს და ა. შ.
ანნიშნავს და ა. შ.

აღვიარებ თუ ვაღვიარებ? აღვიარებ თუ ვაღვიარებ? აღვიარებ თუ ვაღვიარებ?

აღვიარებ (აღვიარებ, აღვიარებ) ზმნაში აღ პრევერბია: აღვიარებ (აღვიარებ), აღვიარებ (აღვიარებ), აღვიარებ (აღვიარებ), აღვიარებ (აღვიარებ); აღვიარებდი (აღვიარებდი), აღვიარებდი (აღვიარებდი), აღვიარებდი (აღვიარებდი); აღვიარებდეს (აღვიარებდეს), აღვიარებდეს (აღვიარებდეს), აღვიარებდეს (აღვიარებდეს); აღვიარე (აღვიარე), აღვიარე (აღვიარე), აღვიარე (აღვიარე); აღვიარო (აღვიარო), აღვიარო (აღვიარო), აღვიარო (აღვიარო); აღვიარებია (აღვიარებია), აღვიარებია (აღვიარებია), აღვიარებია (აღვიარებია); აღვიარებინა (აღვიარებინა), აღვიარებინა (აღვიარებინა), აღვიარებინა (აღვიარებინა); აღვიარებინოს (აღვიარებინოს), აღვიარებინოს (აღვიარებინოს), აღვიარებინოს (აღვიარებინოს).

მაგალითები ძველი ქართულიდან:

- შეკა აღვიარო იგი (შ 10, 32). რომელმან აღვიაროს ჩემდა მომართ წინაშე კათა (შ 10, 32). აღვიარებ შენ მამაო (დ 10, 21). აღ-თ-უ-ი-ნ-მ-ე-ი-არ-ოს იგი (ი 9, 22). უკეთუ აღვიინმე-ი-არ-ოს იგი (ი 9, 22).

მაგალითები XVIII საუკუნის ენიდან:

- მრწამს და აღვიარებ, ვდგები თუ ვიარებ, უკლობებ მე მას (დ. გურამ.). გმამა მოძღვართან შენ აღვიარა. წირვა-ლოცვაზედ საყდარს გვარა (დ. გურამ.). მაგრამ შემდგომ აღ პრევერბის დ თანხმობანი ფუძეს შეეხორცა, ფუძისეულად იქნა გავებული. ამის გამოა, რომ XIX საუკუნის ქართულ სალიტერატურო ენაში გვხვდება ისეთი ფორმებიც, როგორცაა: ვაღვიარებ, ვაღვიარებ, ვაღვიარებ, ვაღვიარებ... მიღვიარებია, მიღვიარებია, ვაღვიარებია და მისთ. მეორე მხრით, გვხვდება ნარევი ფორმებიც: ვაღვიარებ, აღვიარებ (შენ), აღვიარებ... მიღვიარებია, აღვიარებია, ვაღვიარებინა და მისთ.

ინტერესს მოკლებული არაა, რომ საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონში შეტანილია მასდარი აღვიარება, ამ სახითაა წარმოდგენილი ეს სიტყვა დ. ჩუბინაშვილის ქართულ-რუსულ ლექსიკონშიც.

საკითხი იმის შესახებ, თუ რა ფორმები უნდა იხმარებოდეს—აღვიარებ, ვაღვიარებ თუ ვაღვიარებ—უკვე XIX საუკუნეში დაისვა. 1880 წ. დიმ. ყიფიანი მიუთითებდა, რომ სალიტერატურო ენაში უპირატესად ხმარობენ ვაღვიარებ, აღვიარებ, აღვიარებია ფორმებს და რომ სწორი ფორმებია აღვიარებ, აღვიარებ, აღვიარებს („ივერია“, 1880, № 1). დიმ. ყიფიანის გრამატიკაში სპეციალურადაა შეტანილი ამ ზმნის უღვლილების პარადიგმები. იქ ამ ზმნის ფორმები წარმოდგენილია ძველი ქართულის ნორმების თანახმად.

უფრო გვიან, ოთხმოცდაათიანი წლების პრესაში, აღვიარებ თუ ვაღვიარებ ფორმების თაობაზე დისკუსია გაიმართა. მასში მონაწილეობა მიიღეს ა. წერეთ-

ელმა, ი. გოგებაშვილი, ს. ხუნდაძემ, გ. წერეთელმა, კ. დოდაშვილმა და სხვებმა. ა. წერეთელს უხეშ შეცდომად მიაჩნდა ი. გოგებაშვილის მოთხოვნაში ნახკარი ფორმა ვაღვიარებ. ი. გოგებაშვილი ამ უკანასკნელ ფორმას იცავდა, მისი მტკიცებით, ახალი ფორმები — ვაღვიარებ, ვაღვიარებ იმის შედეგია, რომ პრევერბი ზმნის ფუძეს შეუხორცდა. ი. გოგებაშვილს ეს ფაქტი საეხსიანო გამოდებულად მიაჩნია ენის განვითარების თვალსაზრისით. ამასთანავე ი. გოგებაშვილი ამ ფორმებს უპირატესობას აძლევდა მათი გავრცელებულობის გამო. აკაკისთან კამათისას იგი განაზღვრავდა, რომ ეს ახალი ფორმები უკვე გავრცელებულია ხალხში: „სრულიად სხვანაირად ფიქრობს მთელი აღმოსავლეთის საქართველო (და იქნება ბევრი დასავლეთ საქართველოშიც) ... ივინი ამბობენ და წერენ: ვაღვიარე, ვაღვიარებ, ვაღვიარებ, ვაღვიარებ, ვაღვიარებ, ვაღვიარებ, ვაღვიარებ, ვაღვიარებ“ („პასუხი ბ-ნს აკაკის“, „ივერია“, 1894, № 170). სხვა წერილში („პასუხი „ეკვლის“ რაზმსა“, „ივერია“, 1894, № 207, 208) ი. გოგებაშვილი აღნიშნავდა, რომ ვაღვიარებ, ვაღვიარებ, ვაღვიარებ ფორმებს ხმარობენ და იცავენ ანტ. ფურცელაძე, ნიკო ლომოური, მიხ. ყიფიანი და სხვები, რომ ეს ფორმები დასავლეთ საქართველოშიც (გურიაში, იმერეთშიც) საქმოდ გავრცელებულია, და იმთავითვე იქაურ მკვიდრთ.

ა. წერეთელი და „ეკვლის“ თანაშემრომლები, განსაკუთრებით ს. ხუნდაძე, აღვიარებ ფორმას იცავდნენ.

XIX საუკუნის მწერალთაგან აღვიარებ და მისთ. ფორმები წარმოდგენილია ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის ენაში, გვხვდება ე. ნინოშვილისა და ა. ყაზბეგის ნაწარმოებშიც და ი. მაიაშვილის თარგმანებშიც.

- ეს კი უნდა აღვიაროთ, რომ, საიდანაც უნდა იყოს ეგ მეორეხეობა წარმოდგარი, მაინც-და-მაინც იგი ცხოვრების წინ წაღვინა... (ილია). ჩვენსა სამწებაროდ, უნდა აღვიაროთ, რომ ჩვენს ლიტერატურას დღე და დღე საზოგადოება აკლდება (ილია). არც იტალიის გავრთებას აღვიარებო, არც მის შედეგსო (ილია).

ა. წერეთელი იცავდა აღვიარებ ტიპის წარმოებას და მის ნაწარმოებში მარტო ასეთი ფორმები გვხვდება:

- ...მრწამს და აღვიარებ, რომ მომავალი ქრისტიანობისაა. ვაღვიარებ რჩული გმლიდეს, შე აღვიარებ შენს რჩულს. ამ შემთხვევაში კი მხიარულად მართლის გულთ აღვიარებ. მე კი ჩემდა თავად რჩულად მიმანდა და სარწმუნოებად აღვიარებდი. მაინც არ აღვიარებ შენს თვითად და თვითსა შევად. მოახსენა: არას მობრძანებ? აღვიარებ სამართლესო“.

აღვიარებ გ. ნინოშვილის ნაწარმოებში:

- ამ შემთხვევაში მე ვაღვიარებდი, რაც შემძლია, რასაც მეგვადები, პარუთუნვად აღვიარო. მართალია, არის კი ისეთი შემთხვევები, მართაც კანონად არ შეიძლება აღვიაროთ. თურმეობითის ფორმებშიაც ამგვარივე წარმოება გვხვდება: ოქრამ... ვაღვიარებ... ყოველივე სამართლით აღვიარებინა და აღვიარა ვიდევ. ...თავად... და მისი მეუღლე ვერ ვერ მუდავდნენ, რომ გვიან ცხადია თავის მეგვიდრეთ აღვიარებინათ.

გვს. ნინოშვილის ნაწარმოები, როგორც ცნობილია, სწორდებოდა რედაქტორების მიერ. ამ შემთხვევაშიც „ეკვლის“ რედაქტორის ხელი ჩანს.

ა. ყაზბეგთან გვხვდება თურმეობითის ფორმები:

- ...მრწამს და აღვიარებ, რომ მომავალი ქრისტიანობისაა.

ი. მაჩაბლის თარგმანებში:

...უნდა აღვივოთ, რომ მეც სავე ვარ იმავ სისუსტით, რაიც მთელ ჩემს სქესს სჭირს, აღვივოთ, რომ თავახითა ჩვენვე ხელს ვუწყობთ ღვარძლს შფოთის და აჯანყებისას...

რაც შეეხება ვაღიარებ ფორმას, იგი გვხვდება ი. ჭავჭავაძის, ი. გოგებაშვილის, რ. ერისთავის, თ. რაზიკაშვილის ნაწერებში.

ღვთის წინაშე ვაღიარებ, საყარალო კაცი არ ვაყავი (ილია).
...ის-კი უნდა ვაღიაროთ, რომ ეს რამდენიმე ძალა ზოგჯერ ერთმანეთს ხელს არ უწყობენ (ილია).
...მკვლელობა ვაღიარებ და თქვენც დამინახეთ, უჩინარ იქნა დედაკაცი თვალთგან ჩემთა (ი. გოგებაშ.).
მეფერი ამპარტანუბა ნებას არ აძლევდა ლაშას კანონიერ მეუღლედ და საქართველოს დედოფლად ვაღიარებინა იგი (ი. გოგებაშ.).
გათამამებული მამლაყინწა ეხლა სხვას ეძებდა, რომ ამასაც ვაღიარებინა იმისი უპირატესობა და ბატონობა (თ. რაზიკაშ.).

ია ეკალაძის, ე. ბარნოვისა და ჭ. ლომთათიძის ნაწერებშიც ვაღიარებ, ვაღიარებ ფორმები დასტურდება.

აღარ მახსოვს... ვაღიარებ ჩემი თავი მანქანათ თუ არა... (ი. გოგებაშ.).
ურდოვ არ იქნება ვაღიარო ყველაფერი (ი. გოგებაშ.).
უნდა ვაღიარო ცოდვები (ე. ბარნ.).
ძედ ღვთისად და მესიდა არ ვაღიარებინა თავი (ე. ბარნ.).
დახ... დანაშაულია, ვაღიარებ აშკარად და საქვეყნოდ (ჭ. ლომთ.).
ნება მიბრძნეთ ვაღიარო საქვეყნოდ... (ჭ. ლომთ.).

ნარევი ვაღიარებ, აღვიარებ ფორმები ხშირი იყო გასული საუკუნის პრესის ენაში.

საქართველოს ეკლესია მის სიწმინდეს აღვივებდა („ივერია“, 1889, № 9).
ექიმება ა.ღვიარეს იგი სრულებით უიმედოთ („თეატრი“, 1887, № 1).

ქართულ მწერლობაში ამ ფორმებს ხმარობდნენ ი. ჭავჭავაძე, ვაჟა-ფშაველას, რ. ერისთავი; გვხვდება ეს ფორმები ი. გოგებაშვილის ნაწერებშიც, თუქცა ი. გოგებაშვილი, როგორც ზემოთ ითქვა, ვაღიარებ ფორმას იცავდა.

ჩვენ თავმოწონებით ვაღვიარებთ, რომ ღირსებად უნდა ჩავგვეთვალოს ამდენი დაბრკოლებითან სასოწარჟვეთელობა (ილია).
ავტორი... უარყოფს შუა წერილში მას, რასაც ჭეშარიტებად ვაღვიარებნს წერილის თავში (ი. გოგებაშ.).
სცხვენოდა, გულს პასუხი ვაღვიარებინა (ვაჟა).
ნაინომ აღსარება აღვიარა და წმინდა საიდუმლო მიიღო (რ. ერისთ.).
თუ თქვენ არ აღვიარებთ და უმისოთ დავამტკიცებთ დანაშაული, მაშინ ენონი უმძიმესი ვაგინდებთ (რ. ერისთ.).

აღსანიშნავია, რომ ილიასთან ღვიარება მისდარი გვხვდება:

ამის აღვიარება ჩვენ გულს გვიმარავს (ილია).
ბოროტების აღვიარება ნახევარი გასწორებაა (ილია).

ამინარი, XIX საუკუნის ქართულ სალიტერატურო ენაში სამი ფორმაა წამოდგენილი: აღვიარებ, ვაღვიარებ და ვაღიარებ.

ი. ჭავჭავაძის ენაში სამივე ფორმა დასტურდება. აღვიარებ ფორმას ხმარობდნენ ა. წერეთელი და ე. ნინოშვილი, ამავე ფორმას იცავდნენ ქუჩინაძე „კვალის“ თანამშრომლები ხ. ხუნდაძე, ე. წერეთელი კ. დოდაშვილი. იგივე ფორმაა

მოდგენილი და ყიფიანის გრამატიკაშიც. მხოლოდ ვაღიარებ ფორმას ხმარობენ ი. გოგებაშვილი, თ. რაზიკაშვილი.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში გაბატონებული ფორმებია ვაღიარებ, ვაღიარებ და ა. შ., ე. ი. ისეთი ფორმები, რომლებშიც პრევერბის თანხმობიანი ფუძესა შეზრდილი. ასეთი ფორმებია წარმოდგენილი მ. ჭავჭავაძის, ლ. ქიჩელის, შ. დადიანის, რ. გვეტაძისა და სხვათა ნაწერებში.

ვაღიარებთ... ვაძრავდით, ვაძრავდით... ვხოცავდით... დავგასაყე. შეგვიარებ (მ. ჭავჭავაძე).

სცხვენოდა, ვაღიარებინა, თუ როგორ გააბრიყვი ის უცნობა ქალმა (მ. ჭავჭავაძე).
მე ვაღიარებ და ახლაც ვაღიარებ, რომ მე მოკალი ვოლკოვი (შ. დადიანი).
აქვე უნდა ვაღიაროთ, რომ ნამდვილი გვარებით სცხვენულ პირთა ცხოვრებისას საქვეყნოდ გამოჩვენდება ჩემი მხრით უთუოდ კანდიდობა (რ. ვაჟაშვილი).
მე ვაღიარებ უწმინდეს ვაღად, შენ საუნწყებს რომ ვეზიარებ (ე. ბარნ.).
როგორც კი ვაღიარებ დანაშაული, სული გამიწმინდა (ო. ადგილი).
მე ხომ ვაღიარებ დანაშაული... სხვა რაღა გინდათ ჩემგან? (ო. ადგილი).

ემგევე ფორმებია დამკვიდრებული პრესის ენაში.

უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენმა რევოლუციონერმა ახალგაზრდობამ ამ საქმეში განსაკუთრებული როლი შეასრულა („ქომ.“).
იძულებული გახდა ვაღიარებინა, რომ თრამოები დიდი ბომბების აფეთქების შედეგი იყო („ქომ.“).
მამისადმი, მოგვიხდება ვაღიაროთ, რომ ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გავკეთდეს („ქომ.“).
ამის წინათ დალესი იძულებული იყო ვაღიარებინა, რომ არაბთა ქვეყნებში „იუთენიალურის დოქტრინაზე“ გამოხმაურება ხელსაყრელი არ ირის („ქომ.“).

აღვიარებ და მისთ. ფორმები პრესის ენაში აღარ გვხვდება. თანამედროვე მწერლებიდან მხოლოდ კ. გამსახურდია ხმარობს აღვიარებს, აღვიარა, აღვიარე ფორმებს.

...და უნდა აღვივოთ მინც („ქონა ვახუ“).
იმ დამსვე აღსარების ნება სთხოვა მელქისედეკს და აღვივარა თავისი და ქიანურის თანაზიარობა ფხოველთ ამბოხში („აღიღოსტატის მარჯვენა“).
მელქისედეკი აფრთხილებდა ყველას... თავად ვაღვიარებინათ დანაშაული („აღიღოსტატის მარჯვენა“).
არც ერთ მათგანს არ უნდოდა ეს აშკარად ვაღვიარებინა... („ვაზის ყვავილობა“).

თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში პრევერბისეული ლ თანხმობიანი უკვე შეზრდილია ფუძეს, ვაღიარებ, ვაღიარებ ფორმები უბევ დამკვიდრებულია და იმდენად ბუნებრივია, რომ გრამატიკულად და ისტორიულად სწორი წარმოების ფორმები აღვიარებ, აღვიარებ დღეს ხელოვნურად გვეჩვენება. ამას ადასტურებს მასდარისა და მიმდრობის წარმოება: ფორმებში აღვიარება, ვაღვიარებელი, ახალგაზრდობის საბოლოოდ გამოდგენა ძველი აღსარება, აღსარებულნი და მისთ.

მაგალითად:
იგი განუშორებელი თვისებაა რუსის თვითმპყრობელი ხელისუფლების მიღვიარებელისა (ე. კლდ.).
რა უშლის ხელს მორგანისეული გენეტიკის მიღვიარებელ ადამიანებს ვაიფონ გადაჯარედინების სარგებლიანობა და თვითდამტყვევების მავნეობა? („აგრობიოლოგია“ თარგმ.).

ამის გამო, ვაღვიარებ, ვაღვიარებ რიგის ფორმები ერთადერთ ფორმებად უნდა იქნეს მიჩნეული თანამედროვე სალიტერატურო ქართულში.

ამის მიხედვით ამ ზმნის საუღვლელები ერთეულები ქართულ სალიტერატურო ენაში დღეს ამ სახით წარმოვედგება:

ვაღიარებ (გაღიარებ), აღიარებ (მაღიარებ), აღიარებს (მაღიარებს, გაღიარებს);

ვაღიარებდი (გაღიარებდი), აღიარებდი (მაღიარებდი), აღიარებდა (მაღიარებდა, გაღიარებდა);

ვაღიარებდე (გაღიარებდე), აღიარებდე (მაღიარებდე), აღიარებდეს (მაღიარებდეს, გაღიარებდეს);

ვაღიარე (გაღიარე), აღიარე (მაღიარე), აღიარა (მაღიარა, გაღიარა);

ვაღიარო (გაღიარო), აღიარო (მაღიარო), აღიაროს (მაღიაროს, გაღიაროს);

მიღიარებია (მიღიარებია), ვიღიარებია (ვიღიარებია), უღიარებია (უღიარებია, უღიარებია);

მეღიარებინა (მეღიარებინე), გეღიარებინა (გეღიარებინე);

ეღიარებინა (ვეღიარებინე, ეღიარებინე);

მეღიარებინოს (მეღიარებინო), გეღიარებინოს (გეღიარებინო);

ეღიარებინოს (ვეღიარებინო, ეღიარებინო).

მასდარი: აღიარება.

მიმლოება: მაღიარებელი, აღიარებული, საღიარებელი, ნაღიარები.

სუბიექტის -ს ობიექტის მრავლობითობის თ-ს წინ

(მათ ის აქვს თუ აქვთ? ის თქვენ გიგზავნი თუ გიგზავნი?
ის თქვენ დაგიდგამს თუ დაგიდგამ?)

1. ქართული ენის სინტაქსისა და მორფოლოგიის ევოლუცია მეთერთმეტე საუკუნიდან დღემდე არაფერში არ ასახულა ისე მკვეთრად, როგორც რიცემითი და სახელობითი ბრუნვის სინტაქსური როლის ცვლაში.

2. თანამედროვე ქართულში მიცემით ბრუნვაში დასმული სახელი რ ე ა ლ უ რ ა დ შეიძლება სხვადასხვაგვარ როლს ასრულებდეს: პეტრეს მოუკლავს დათვი, პეტრეს უყვარს ნადირობა, პეტრეს აქვს თოფი, პეტრეს კლავს დათვი... ოთხსავე ფრაზაში „პეტრეს“ მიცემითი ბრუნვაა: ეს მიცემითი ბირველ შემთხვევაში გამოხატავს რ ე ა ლ უ რ ა დ მ ო ქ მ ე დ ს, აქტიურს (სუბიექტს) — პეტრეს მოუკლავს; მეორე ფრაზაში — „პეტრეს უყვარს“ — ეს აქტიუობა სუსტია; მესამეში — „პეტრეს აქვს“ — უჩინარია; ხოლო უკანასკნელ ფრაზაში — „პეტრეს კლავს დათვი“ — „პეტრე“ უკვე სხვისი მოქმედების საგანს წარმოადგენს: უკანასკნელი ფრაზის მიცემითი რ ე ა ლ უ რ ო ბ ი ე ქ ტ ს. აღნიშნავს.

3. ძველ ქართულში მიცემითი ბრუნვა ყოველთვის ერთისა და იმავე უფლების მქონე იყო, იმისდა მიუხედავად, აღნიშნავდა იგი რეალურ სუბიექტს თუ რეალურ ობიექტს, ენისთვის ის ყოველთვის ობიექტი იყო. ამისდა კვალობაზე მისი პირი ზმნაში აღინიშნებოდა, მისი მრავლობითობა კი არა:

ა ქ უ ნ დ ა მ ა თ მ ო ნ ა გ ე ბ თ ა ს ი მ რ ა ე ლ ს ა უ რ ა ც ხ ე ლ ი ... (ცხორებთა საბა ასურისა).

თანა ჰ ყ ვ ა ნ დ ა მ ა თ ე რ თ ი მ ე ნ ა ე ვ თ ა მ ა თ გ ა ნ ი ... (კომენი, I).

მ ტ ე რ თ ა მ ა თ ... უ ნ დ ა დ ა მ ა რ ხ ვ ა მ ი ს ი ... (კომენი, I).

უ ყ უ ა რ დ ა მ ა თ რ ჩ უ ლ ი ... (წამება ცხრათა ძმათა კოლაელთა).

გ ი ყ უ ა რ ს თ ქ უ ე ნ ზ ე მ ო ყ დ ო მ ა ... (ხანმეტი ტექსტები).

ამას ხოლო გ კ ი თ ხ ა ე თ ქ უ ე ნ ... (კომენი, I).

ვ ი ნ გ ი ჩ უ ე ნ ა თ ქ უ ე ნ ს ი ე ლ ტ ო ლ ა ? (სასულიერო პოეზია).

მ ე უ ფ ლ ა ჩ უ ე ნ ნ ა თ ე ს ა ე ვ ი ი გ ი პ ი ლ წ ი ს მ ა რ ს თ ა დ ა მ ი ყ ვ ე ს ჩ უ ე ნ უ ო ე ლ ო ე ნ ე ბ ი ს ა გ ბ რ მ ა თ ი ს ა ... (წარტყუენა იერუსალიმისა).

როცა „ჩვენ“ არის მიცემითს ბრუნვაში, ხშირად აღინიშნება ხოლმე მისი მრავლობითობა (მაგ.: ჩვენ გურწამს და აღვიარებთ... მოგუანივე ჩვენ ცხოვრება და სხვ.), მაგრამ არანაკლებ ხშირია ისეთი შემთხვევებიც, სადაც „ჩვენ“ მიცემითს ბრუნვაშია და მისი მრავლობითობა ზმნაში აღუნიშნელი რჩება (იხ. მაგალითები ზემოთ).

„თ ქ უ ე ნ“ და „მ ა თ“ მიცემითს ბრუნვაში თუ არიან, ზმნაში თავის მრავლობითობას არ აღნიშნავენ (იხ. მაგალითები ზემოთ).

4. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში მიცემით ბრუნვაში დასმული „ჩუენ“ და „თქუენ“ ყოველთვის ითანხმებს ზმნას რიცხვში¹, მათი მრავლობითობა ყოველთვის აღინიშნება, მესამე პირის მრავლობითობა კი ხან აღინიშნება და ხან არა. მესამე პირის მრავლობითობა აღინიშნება იმ შემთხვევაში, თუ ეს მიცემითი რეალურად მოქმედს, აქტიურს აღნიშნავს, აღუნიშნელი რჩება, თუ იგი რეალურად უმოქმედოზე, პასიურზე მიუთითებს.

5. იმ შემთხვევაში, როცა ზმნა ბოლოვდება სუბიექტის -ს სუფიქსით და ზმნის ობიექტის მრავლობითობის აღნიშნული -თ სუფიქსი დაერთვის, ვიღებთ -სთ კომპლექსს.

I.	გაქვს ის შენ	—	გაქვსთ ის თქვენ
	გყავს ის შენ	—	გყავსთ ის თქვენ
	გმართებს ის შენ	—	გმართებთ ის თქვენ
